

776
1989
n 1

ISSN 0206-3145
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო პრესის ცენტრი



პრესიკა

45
n 1

ხალხს დამენმაროთ
 რომორ ვაბატრონოთ მარგალიტს
 აწმყოდან მომავლისაკენ
 პირველად იყო სავნე
 მოღი ვნასთთ ვენახი
 ღრთა სავნეზე გადავიდეთ
 აქელი განმარტება
 კოლიტიკური „უნისტო“ პარტიველთა...
 კაცო და იდეალი
 ტრადიციონალ და სრული სიხარულე

45
n 1

0
119
29
1

1989



კრიტიკა

საქართველოს
მწერალთა კავშირის
ორგანო

1

45
N1

შ ი ნ ბ ა რ ს ი

ქალს დავეხმაროთ	3
როგორ გაატაროთ მარგალიტს	
რევან მიშველაძე. არ ენდოთ!	5
მურმან თავდიშვილი. ახალი გამოცემა და ძველი პრობლემები	8
სანდრო შაიშველაშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის	14
ლუარსაბ ვარდანაშვილი. ჩემი მოსაზრება	16
სიტყვა და საქმე	
სოსო სიგუა. აწმყოდან მომავლისაკენ	18
თენგიზ ჩხაიძე. პირველად იყო საქმე	22
თეიმურაზ დოიაშვილი. ლევან ბრეგაძე. მოდი ვნახოთ ვენახი	37
დოდო ჭუმბურიძე. ნამდვილი და ფაიფურის ქალები	51
თემას გვპაარნახოვს ცნობრება	
ირაკლი იაშვილი. დროა საქმეზე გადავიდეთ	57
მემკვიდრეობა	
ვახტანგ აბაშაძე. ქართული ინტელექტუალური ფენომენები	62
✓ შოთა გაგოშიძე. ავანგარდიზმის ფენომენი და ქართული კულტურა	73
მამუკა შელეგია. ლიტერატურული წარსულის ერთი ფურცელი	87
კოლმედიკა	
აღიქსანდრე დლონტი. ვითომ ასეა?	92
ნოდარ დომოური. აუცილებელი განმარტება	100
მურმან ჯგუზურია. „შენ, ყოვლის მთქმელო, ყოვლის არმთქმელო“	104
აღიქსანდრე სიგუა. ერთი სადავო საკითხის გამო	107
სანიტარია	
დოვარდ ტუხაშვილი. პოლიტიკური „უნისონი“ ქართველთა...	110
ლიტერატურული ურთიერთობანი	
ზაურ კილაძე. კაცი და იდეალი	119
მოგონებათა სკივრი	
ზაურ კალანდია. „უცნაური“ მეგობრის ნაცნობი პორტრეტი	129
შოთა ლეკვიშვილი. დაუფიქარი ამბავი...	131



თბილისი
მეცნიერებათა
1989

უცხოური მწერლობა

ოლდოს შაქლი. ტრაგედია და სრული სიმართლე	134
მეცნიერება	
✓ შაია ფანჯიკიძე. ავსტრიელი იმპრესიონისტების მხატვრული მეთოდი და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის ზოგიერთი თავისებურება	140
ახალი წიგნები	
ნოსრევან ჭიშკარიანი. საშური საქმე, საკბრო წიგნი	148
გაითვისებლად განსაჯოს	
გიორგი დვალისვილი. ვის დაგუჯეროთ?	152
იელცის ვნებანი	154
ესმისა წავიკითხო	
შაია ჩხეტიანი. სევდა მარადი	156
ელგუჯა შერაბიშვილი. „ეს ქვეყანაა თეთრი სასტუმრო“...	157
ჯანრი გოგეშვილი. „ქედელი“	158
აპოლონ ცანავა. ლია სტურუას ორი ლექსის გამო	159
ღიმილის წუთები	61, 147, 151

მთავარი რედაქტორი:

რედაქციის მდივანი

საბეჭდო კოლეჯი:

ანდრო ბეღუქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გურამ ბენავსილი, აკაკი ზაქარაიძე, გიორგი ზაჩიჩილაძე, გურამ გვამყვინთაძე, კობა იხიდაშვილი, შოთა კვიციანი, გიორგი მიქაპაძე, თამარ ნატროშვილი, სოსო სიგუა, ალექსანდრე სავსონია, როსტომ ჩხიმიძე, ვლადიმერ წვინარი, ზვიგონი ვაჟაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნაზი ჯუსთიძე.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 40/1.

ტელეფონები — მთავარი რედაქტორი 99-81-88, მთავარი რედაქტორის მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი 99-81-80, განყოფილებები და კორექტორი 98-28-78.

ხალხს დავეხმაროთ

86051

გარდაქმნის იდეა უაღრესად საჭირო და მომხიბვლელია, მაგრამ მის განხორციელებას ორი რამ უშლის ხელს: პირველი ის გახლავთ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჭერ კიდევ დათრგუნვილი დემოკრატიის, დესპოტიზმის, რეჟიმის ინერციით ცხოვრობს და გარდაქმნისათვის ფსიქიკურად მზად არ არის, მეორე — მთავრობა ჭერ კიდევ დიდ ანგარიშს უწყევს „კონსერვატორთა“ უსაფუძვლო სიფრთხილეს, აქაოდა სოციალიზმიდან გადახვევა არ დაგვწამონო, აქიანურებს ხათანადო კანონებით გარდაქმნის განმტკიცებას.

დრო გადის. დაყოვნება კარგს არას მოგვითანს. გარდაქმნის სამუხრუჭო შექანისში საეჭვო მასშტაბით ამუშავდა და სკეპტიკოსებს ამრავლებს.

თურმე ისე ოსტატურად გადავრევივართ ათეული წლების განმავლობაში ჭეშმარიტ დემოკრატიას, რომ მისმა პირველმადე გაფარუნებამ შეგვაკართო და ზოგმა სკივრში ჩალაგებულ სადრუნჩე ბადეებს (რუსები „ნამორდნიკებს“ რომ ეძახიან) დაუწყო ძებნა.

კვლავ მოდაშია საკრიტიკოდ დაშვებული და დაუშვებელი თემები. „დაუკრეფავში“ თუ გადახვალ, გაბიაბრუნება-განქიქების ფართო ფრონტით დაგესმინ თავს.

„დასცხეთ თუნდაც ჭვემეხებით,
ოღონდ მე ნუ შემეხებით“.

წარსული აკრიტიკე რამდენიც გინდა. წარსულის რეციდივების კრიტიკის თავისუფლებაც ხომ საქმეა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ „თავისუფლებასაც“ ზოგჯერ კურიოზულ ფაქტებამდე მივყავართ. სტალინი თურმე იმდენად გულქვა იყო, რომ კრემლის ეზოში ბედურებს საკენს არ უყრიდა (იმ სტალინზე ხომ არ ამზობენ, რომელმაც ომში შვილდაღუპული ყველა მშობლის ხოლიდარობის ნიშნად ფაშინთან ბრძოლას საკუთარი შვილი შესწირა?), ბერია თურმე იმდენად ვერაგი იყო, რომ თევზაობის დროს ერთი ჭვეშევრდომი კინაღამ დახვრიტა — როგორ გაზედე და ჩემზე მეტი დაიჭირეო.

ამგვარი ლაყბობის გზით ვერ შევამუღებთ ხალხს იმას, რაც დასაგმობია, ამოჩემებული სამიწნების უბადაღებული იერიშით უკუშედეგს ვიღებთ; წარსულის მიმართ დაუფიქრებელი კრიტიკანობით იმას ვაღწევთ, რომ თანამედროვეობაზე ნათქვამის გულწრფელობაშიც ეპარებათ ეჭვი.

ჭერაც ვერ მოვერიეთ გრძელი, უსაქმო თათბირების მავნე ტრადიციას. ჭერაც ჩვენს სხდომებს საოქმო ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე პრაქტიკული ღირებულება. ვერ გადავეჩვიეთ გულისამრევ „პრეზიდენუმობანას“, ჭვეყნის დაყოფას მასად და პრეზიდენუმში მხსდომ „რჩეულებად“. თათბირს ისეთი სახით ატარებს ზოგი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკი, თითქოს ჭეშმარიტების გასაღები მხოლოდ მას ედოს ჩიხეში.

ქ. ხალხს დავეხმაროთ
საბ. საბ. რესპუბ.

ჩემ კიდევ ვერ გადავადგეთ მოსარგენებლად გალაშახების, პოპულარული პარალელის, მლიქვნელური ჭების კორიანტელი და ჭეშმარიტ საქმეს ვერ ვეწიეთ.

საქართველო
საბჭოთაო

რა დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი იმ საზოგადოებაში, სადაც რაიონული გაზეთის რედაქტორს რაიკომის მდივანთან „შეთანხმებული მუშაობისთვის“ ისე გაათავისუფლებს რაიკომის ბიურო, რომ ხმასაც არ ამოაღებინებს.

ერთმანეთზე დამოკიდებული, იერარქიის კიბეს დაკონწილებული დაშინებული ბირების თაიგულია ნაწილობრივ ჩვენი საზოგადოება. დროზე და გაბედულად უნდა უარვყოთ, რაც სულს გვიხუთავს და უკან, უძრობის კაობისკენ მიგვერქება.

ნუთუ აღარ უნდა ეშველოს ყველაფრის „ცენტრთან“, მოსკოვთან შეთანხმების მავნე პრაქტიკას? სანამ უნდა მტკიცდებოდეს მოსკოვში „ადგილობრივ“ სამინისტროთა გეგმები, „ადგილობრივ“ სამეცნიერო საბჭოებზე დაცული დისერტაციები, „ადგილობრივ“ აღბინისტთა მიერ დაპყრობილი მწვერვალები?

ნუთუ არც იმის უფლება გვაქვს, „ალაგობრივად“ ჩვენს ტომონიშებს მაინც მივხედოთ, ძალად გათათრებულ სოფლებს უძველესი ქართული სახელები დავუბრუნოთ? ზოგი პარტიული ყოჩის მეტიჩრობით გადარქმეული უძველესი და კანონიერი სახელწოდებანი დავუბრუნოთ სენაკს, მარტვილს, ხონს, ოზურგეთს, ხარაგაულს...?

ქართველი მწერლის წინაშე ჩვენი ძნელი დრო განსაკუთრებული სიმწვავეთ აყენებს ორ უმთავრეს პრობლემას — ეროვნულს და სოციალურს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ ეროვნული კონსოლიდაციის იდეის დამკვიდრებისთვის, ჩვენი ენის განმტკიცებისა და მისი სამოქმედო არეალის გაფართოებისთვის, მხარში უნდა ამოვუდგეთ ხალხს ეკონომიკურად გაძლიერებისთვის, თავისი სახელი დავარქვათ მოვლენებს, ჭეშმარიტი გარდაქმნის მორალური კოდექსის გამარჯვება უნდა უზრუნველვყოთ.

ამს. გ. პატიაშვილი თავისი ცხოვრების წესითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ჭეშმარიტი დემოკრატის მაგალითს იძლევა. ჩვენი ვალია, მხარში ამოვუდგეთ მას ჭვეყნის ჭეშმარიტი გარდაქმნისათვის ხამართლიან ბრძოლაში.

უნდა ვიცოდეთ და სხვებიც უნდა გავარკვიოთ: რა გზაზე იაროს ჭვეყანამ, უნდა დავებმაროთ ხალხს, ერთმანეთისგან დროზე გაარჩიოს მედროვე კარიერისტი-დემოგოგი და ერის ჭეშმარიტი ქომაგი.

რედაქტორი

საქართველო
საბჭოთაო



რავან მიხვალაქი

არ ენდოთ!

სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყო მკითხველს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ, როგორც მოველოდით, აღასრულა თავისი საქმე — ოცი წლის განმავლობაში ერთგულად დაამხინჯა ჩვენი უპირველესი წიგნი და აჰა, საბოლოოდ შერყვნილი სახით გამოისცა („მეცნიერება“, 1988 წ., ტირაჟი 50 000). ყელი მიშრება და ხელი მიკანკალებს ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ. ამო აღმოჩნდა წლების განმავლობაში კომისიის არაწევრ სპეცილისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნები, ამო აღმოჩნდა მკითხველთა მიერ უანგაროდ გამოთქმული ვარაუდები, ამოდ დაშვრა „კრიტიკა“, რომელმაც ბოლო ხუთი ნომერი გულუხვად დაუთმო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენის პრობლემებს. 1966 წლამდე მომუშავე კომისიამ რუსთაველის პოემაში აუხსნელ „შესწორებათა“ დაკანონება საბოლოოდ ვერ მოასწრო, მაგრამ 1968 წელს შექმნილმა კომისიამ საბოლოოდ მოუთავა „ვეფხისტყაოსნის“ ხელი. წინა კომისიის შეცდომებიც გაიმეორა და თავის მხრივ ახალიც დაამატა. როგორც იქნა, დაიყვანეს გენიალური პოეტი შუასაუკუნეთა საშუალო პოეტის დონეზე. როგორც იქნა, მიაღწიეს „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოოდ შერყვნას. ამ მხრივ ჩვენს ინდუსტრიულ საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ჯიჯნამ არნახული ტემპი შეიძინა (ნეტავ ასეთი ტემპით ჩვენი სახალხო მეურნეობა განვითარებულიყო). უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გაკეთდა „ვეფხისტყაოსნის“ შერყვნის საქმეში ოცჯერ უფრო მეტი, ვიდრე მთელი რვაასი წლის მანძილზე. როგორ ფიქრობთ, ვინ ჩაიდინა ეს საჯაყი საქმე? პოემასთან მეცნიერის ლუბით მისულმა სწავლულებმა. აი, „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოოდ დადგენილი ტექსტის მთავარი რედაქცია: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი), სარგის ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ირაკლი აბაშიძე, ილია აბულაძე, ივანე გიგინეიშვილი, ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, შოთა ძიძიგური. დაიმახსოვრეთ ეს გვარები, ძვირფასო მკითხველებო. პატივცემულმა მეცნიერებმა ოცი წლის განმავლობაში შემოივლეს „შეუვალი ზღუდე“, დაიხშვეს ჭეშმარიტი მეცნიერული კამათის სასმენელი, არ მიუშვეს ამ საერთო-ეროვნულ საქმესთან არც თავიანთი სხვა კოლეგები და არც ქართველი მწერლები. თითქოსდა შეთქმულება მოაწყვესო საღი აზრის

წინააღმდეგ, არცთუ მთლად მეცნიერული ტერმინი რომ ვიხმაროთ: ამდღერის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და ასე მოსრილ-არეული წარმოგვიდგინეს,

წინასწარ ვგრძნობ ჩემს დონკიხოტურ მდგომარეობას. განმკითხველ გარკვეულ არის. ახლა ამ ჩემს წერილს (წერილს კი არა ყვირილს მთელი საქართველოს გასაგონად) მოჰყვება აკადემიკოსთა პასუხი გაზეთ „კომუნისტში“. აკადემიკოსები ამცნობენ ქვეყანას, რომ მე წინასწარგანზრახვით ვაბიბრებ მათს კეთილშობილურ შრომას. მერე სწრაფად გამოაცხადებენ, ამით ვწყვეტთ კამათს და ისევ თავიანთ მაღალ აკადემიურ ვალავანში შეიკეტებიან. ავი საქმე ძველი გზით წავა. კვლავ ჩამობეჭდავს მანქანა და ქვეყანას მოჰდენს შერყენილ „ვეფხისტყაოსანს“. ნუთუ არავის ესმის სიტუაციის მთელი სივალაღე? ამ ერთი წლის განმავლობაში არაერთ ჩვენს სახელოვან პოეტს ვთხოვე: შენს სიტყვას წონა აქვს, გადახედე „გასწორებულ“ „ვეფხისტყაოსანს“, ამოიღე ხმა, არ შეიძლება მთელი ცხოვრება შენი წიგნის ბეჭდვა-გვირისტი იყო დაკავებული, ცოტა შენს დიდ ძმას, შენზე ამავგაწეულ შოთა რუსთაველსაც მიხედე-მეთქი.

მხოლოდ ორიოდ პოეტმა გადადგა „ვეფხისტყაოსნის“ დაცვის კეთილშობილური ნაბიჯი. დანარჩენი დუმილით შეხვდა ჩემს დადადისს. „მოცილი“ მარტო მე აღმოვჩნდი.

რაი მერე? თუ გახსოვთ თავშივე დაგვიბრდა აკადემიური კომისიის ერთ-ერთი წევრი: ცამდე მართალიც რომ იყოთ, არცერთ თქვენს შენიშვნას არ ვითვალისწინებთო. დაგვიბრდა და შეასრულა კიდევ. საგანგაშო და საყოველთაოდ ცხადი, ექვმიუტანელი ლაფსუსებიც არ გაუსწორებიათ. მერედა რაზე ცდიან, მკითხველო, თავიანთ ჯიუტ ნებისყოფას? საქართველოს მარგალიტზე; ვის უდგანან კრიკაში? — შოთა რუსთაველს! ღმერთი არ არის? ასე როგორ დაყრუვდა ქვეყანა, რომ ათი კაცის ბუტიობას უნდა გადაეყოლოთ ჩვენი უპირველესი განძი? არ ეყო, არა, ნიჭი, ცოდნა, ალღო, პოეზიის, სიტყვის მაღლსა და ღირებულებაში გარკვევის უნარი კომისიას. მერე რა მოხდა? ქვეყანა არ დაიქცოდა, თუ მათი ოცწლიანი ნამუშავეი ტექსტის დადგენის ცდა და ერთ-ერთ ვარიანტად დარჩებოდა. ქვეყანა იმიტომ იქცევა, რომ კომისიას პრეტენზია აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობა დასრულებულად მიიჩნიოს და სარეცენზიო წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ვარიანტად წარუდგინოს მკითხველს.

სწორედ ამ „საბოლოო ვარიანტზე“ მოგახსენებთ და არა რომელიმე გამომცემლის ვარაუდებზე, ბატონებო.

გადაშალეთ ზემოთხსენებული გამოცემა და 72-ე გვერდზე, 444-ე სტროფის მესამე ტაეპი წაიკითხეთ:

„კაცსა შევეც, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“.

ახლა ილია ჭავჭავაძის (შეგახსენებთ იმ კომისიის ზოგ წევრს: თვით ილია, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია...) კომისიის მიერ დადგენილ ტექსტს ჩაახედეთ:

„კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“.

აკადემიურმა კომისიამ გამოთქმა „კაცს შუბი ვკარ“, შეცვალა გამოთქმით „კაცსა შევეც“. ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ ამაზე? ვიმტვრიოთ თავი, დაწერდა თუ არა რუსთაველი „კაცსა შევეც-ს?“ კიდევ ვასავსავებენ ხელებს „ამხანაგები“, „ეგ რთული საკითხია და, თუ ძმა ხარ, ნუ ჩავგრევ ამ საქმეშიო?“ რა არის რთული? „კაცს შუბი ვკარ“ შეიცვალა ჭკუიდან შესარყევი „კაცსა შევეც-ით“ და ესაა რთული, სპეციფიკური საკითხი?

იქნებ კორექტურააო, იკითხავს მკითხველი, რომელსაც არამც და არამც



არა სჯერა, რომ ათი სერიოზული მეცნიერი ამას შეგნებულად ჩაიდენდა. ნეტავ კორექტურა იყოს. ამ საკითხზე ნ. ნათაძემ ჯერ კიდევ „კრიტიკის“ 1988 წლის მეხუთე ნომერში ატეხა განცხადება: „როგორც „მაცნეში“ გამოქვეყნებული ოქმებიდან ვტყობილობთ, განზრახული ყოფილა, რომ ტრადიციული წაიკითხვა:

„კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიპნდეს მზესა, შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხმალო, ვინცა გლეხა!“

შეიცვალოს ასე: „კაცსა შევეც, ცხენი-დავეც...“ რტც. ნ. ნათაძემ ეს აზრი დასაბუქვად რედაქციაში მოიტანა, აღმაცერად შეგვხედე, მთლად ისე როგორ იქნება-მეთქი საქმე, ბატონმა ნოდარმა „მაცნე“ გამომიწორა. და აი, ახლა „საბოლოო“ ტექსტში შავით თეთრზე სწერია ის, რის დაუყოვნებლივ გასწორებას მაინც მოველოდით, სხვას თუ არა. „განზრახული ყოფილა“ ნოდარ ნათაძე წერდა, განზრახული სისრულეში მოუყვანიათ. დაჯდეთ და გიკამათოთ, პატივცემულო მკითხველებო და გამომცემლობათა მესვეურებო? ვისთვის ვიკამათოთ, რისთვის? ხომ ხედავთ, რომ ჩვენს კამათს წისქვილში ლაყბობად თვლიან აკადემიკოსები, ხომ დარწმუნდით ნოდარ ნათაძის შენიშვნას უგულისყურობის აკადემიური კომისიის მიერ აღმართული რა ცივი კედელი დახვდა?

მოვალეობად მიმაჩნია მიუუთითო მკითხველს კიდევ რამდენიმე „მარგალიტზე“, აკადემიურმა კომისიამ რომ შემოგვთავაზა. იმიტომ კი არა, რომ დიდი იმედი მაქვს: ჩემს შენიშვნებს ყურად იღებენ-მეთქი, უბრალოდ ქვეყანას მინდა გავასენო: ილია ჭავჭავაძის მიერ ხელდასმული რა მშვენიერი „ვეფხისტყაოსანი“ გვექონდა ხელთ, სანამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია თავის „სასახელო ეპოპეას“ დაიწყებდა და დაასრულებდა.

შედარებისას ისევ ქართველიშვილისეულ გამოცემას მივმართავ, გამოცემას, რომელსაც ვენდობი იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძის მადლიანი ხელი ეტყობა და ილია-რედაქტორის ნათელი ადვას („ვეფხისტყაოსანი“ ილ. ქართველიშვილისეული გამოცემა“ „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.): ბირველად ამოვწერ ილია ჭავჭავაძის კომისიის მიერ დადგენილ სტრიქონს, მერე აკადემიური კომისიის მიერ შერყვნილს. მე დავიდალე უშედეგო მტკიცებით, განსჯათქვენთვის მომინდვია:

იყო: „ნუვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმასთ ჩემი ნაუბარი“.

არის: „ნუვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?“

ამ შემთხვევაზე საქმაოდ ვიხმაურეთ და თავს აღარ შეგაწყყენთ.

იყო: „იგი წაჲა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;“

არის: „იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;“

ნახეთ, როგორაა წელში გადატეხილი ბრწყინვალე სტრიქონი. ჩაქუჩითაა დამსხვრეული „იგი წაჲა და სხვა მოვა-ს“ დიდებული მუსიკალურობა.

იყო: „სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“.

არის: „სხვაგან ჰნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“.

რატომ? რატომ? რაო, რაკი გონებასთან გვაქვს საქმე „ჰქრის“ შეუფერებელია? განა ცოტა მაგალითი ვიცით იმისა, რომ კაცი სრულიად სხვა საქმისათვის არის მოწოდებული და მისი გონება კი ჭიუტად „სხვაგან ჰქრის“?

იყო: „ზოგსა გარდაჰქრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად“.

არის: „ზოგსა გარდაჰქრის მათრახი ჰვე მკერდამდის გასაპობელად“.

ამაოდ ვამტკიცეთ „მკერდამდის“ ფორმის რუსთაველის ეპოქაზე ადრინდელიობა. კომისიამ ჭიუტად „გაიტანა თავისი“.

იყო: „ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;“

არის: „განგებება სწოლად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;“

არც ამ ტაეპს ეშველა, „ფათერაკის“ ნაცვლად ყოველად გაუმართლებელი „განგება“ დაკანონდა.

იყო: „საწოლს მეკარე“ შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;“

არის: „საწოლის მეკარე“ შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;“

ზაფრანის ფერი დაგედება კაცს, როცა წარმოიდგენ, რომ საწოლ ოთახს მომდგარ მეკარეს ვიწრო სპეციალობა — „საწოლის მეკრეობა“ დააბრალეს. აქ „მეკრე“, იქ „მკრადამის“, აფსუს, რუსთაველის სიტყვის სილაღევ და სიმსუბუქევე?

ვფიქრობ, მაგალითების მოტანას აზრი აღარა აქვს. ამ ფაქტებითაც დასტურდება, რისი თქმაც მუსურდა: არ ენდოთ „ტექსტის“ აღმდგენი აკადემიური კომისიის მიერ აღდგენილ „ვეფხისტყაოსანს“, იგი შერყვნილი, ცრუ „ვეფხისტყაოსანია“!



მურმან თავდიშვილი

ახალი გამოცემა და ძველი პროზაეზი

ჩვენი სახალხო მეურნეობა და ეკონომიკა წელში გატეხა და დააჩივავ იმან, რომ ათეული წლების მანძილზე მის სტიმულატორად გამოიყენებოდა არა მძლავრი და საქმიანი კონკურენცია, არამედ ფორმალისტურ-პარადული სოციალისტური შეჭიბრება. ამ ზეიმურმა შეჭიბრებამ ჩინში შეიყვანა ჩვენი ეკონომიკა, საიდანაც მის გამოყვანას არა ერთი და ორი წელი დასჭირდება. თუმცა ანალოგია შორეულია, მაგრამ ზუსტია: იგივე დაემართა ქართული ლიტერატურის მცოდნეობის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დარგს — რუსთველოლოგიას. თუ სხვა დარგებში მაინც არის ერთგვარი კონკურენცია, აქ ჩამოყალიბდა ე. წ. ოფიციალური რუსთველოლოგია, რომელსაც წლების მანძილზე მინდობილი ჰქონდა პოემის ტექსტის დადგენა-გამართვა და, რაკილა იგი უკონკურენციო ვითარებაში ფუნქციონირებდა, რაკილა მას ოპონენტად აღარავინ ეგულებოდა, არხეინად გრძობდა თავს. ასე შემუშავდა დასაგმობი შეხედულება — რუსთველოლოგიური პრობლემები მხოლოდ მეცნიერ-მკვლევართა ერთი ვიწრო წრის საქმეა და სხვას მასთან ხელი არა აქვს. არადა, საქმის წარმატებისათვის საჭიროა, ისევე როგორც სხვაგან, რუსთველოლოგიაშიც ამოიძიარკოს იმპერატიული სტილი და დამკვიდრდეს თანამშრომლობითი ურთიერთობა.

ვფიქრობ, ზემონახსენები სტერეოტიპის მსხვერვეს მოასწავებს „ვეფხის-

ტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი აკადემიური კომისიის გადაწყვეტილება
სანამ პოემის ავტორიან გამოცემას განახორციელებდეს, დღეს, საჯაროობის
თარებაში, ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს პოემის საგარეულო
ვეტიკრობ, კომისიამ სწორედ ამ მიზნით წარუძღვარა წინ მომავალ
მეულს სარეცენზიო წიგნი — შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, „მეცნიე-
რება“, თბ., 1988.

ამგვარი რამ ჩვენში პირველად ხდება, ეს მისასალმებელია.

ამ ვითარებაში არაოფიციალურ რუსთველოლოგიას საშუალება ეძლევა
ოფიციალურ რუსთველოლოგიასთან დიალოგისა. ამგვარი დიალოგი თუ რო-
გორ წაადგებოდა საქმეს, ამას ერთი მკაფიო მაგალითით ვუჩვენებ და შემდეგ
განვიხილავ სარეცენზიო წიგნის ღირსება-ნაკლოვანებებს.

კარი „ცნობა როსტევან შეფისაგან ავთანდილის გაბარვისა“ იწყება სტრი-
ქონით:

აწ ამბავი სხვა დავიწყო, — ყმასა წავყვე წამავალსა.

ახალი, 1988 წლის, აკადემიური გამოცემის მიხედვით ხაზგასმული ფრაზა
ამგვარადაა წარმოდგენილი: „ყმასა წავყვე წამავალსა“. ამგვარადვეა ეს ადგი-
ლი 1966 წლის საიუბილეო გამოცემაშიც. სასკოლო გამოცემა მხარს უჭერს
ერთ ძველ შესწორებას (კონიექტურას): „ყმას არ წავყვე წამავალსა“.

აღნიშნული ადგილი გაუგებრობას იწვევს. ამიტომაც „კრიტიკის“ მე-2
ნომერში ამ ფრაზის მართლწერის საკითხს კვლავ შეეხნენ.

დღეს ძირითადად ერთმანეთს ებრძვის ორი მოსაზრება ამ ფრაზის გაგე-
ბა-გათორმების საკითხში: ა) 1966 წლის ტექსტისა და 1988 წლის ტექსტის
რედაქტორები ითვალისწინებენ იმას, რომ ავთანდილმა ანდერძით აღჭურვა
შერმადინი და წავიდა. ამის შემდეგ მოდის არა ავთანდილის მგზავრობის აღ-
წერა, არამედ როსტევანის ამბავი. ამიტომაც, „ყმასა წავყვე წამავალსა“ გა-
მონახტავს შემდეგ აზრს: ავთანდილზე საუბარს შევყვე, ამიტომაც ახლა სხვა
ამბავს (როსტევანის ამბავს) დავიწყებო.

ამრიგად, მათი ფიქრით, ყმასა წავყვე წამავალსა სწორი ფორმაა და იგი-
ვეა, რაც ავთანდილზე საუბარს შევყვე. ამის გათვალისწინებით მოიძარჯვეს
ამგვარი პუნქტუაცია: „აწ ამბავი სხვა დავიწყო, — ყმასა წავყვე წამავალსა“.

კომისიის ეს თვალსაზრისი არაორაზროვნად ასე გამოხატა მკვლევარმა
ც. კიკვიძემ: „ყმას არ წავყვე წამავალსა“ — ეს კონიექტურა არ იქნა მიღე-
ბული, რადგან მის გარეშეც სტრიქონის შინაარსი სავსებით გასაგებია: „აწ ამ-
ბავი სხვა დავიწყო, — ყმასა წავყვე წამავალსა“ ნიშნავს: ახლა სხვა ამბავს
დავიწყებ — წამავალ ყმას (ავთანდილს) წავყვე, ე. ი. წამავალი ყმის ამბის
თხრობას შევყვე“ („ლიტ. საქართველო“, 1988, 15 ივლისი).

ბ) სასკოლო გამოცემა, როგორც ითქვა, იზიარებს კონიექტურას —
„ყმას არ წავყვე წამავალსა“. ესე იგი, რაკილა ამის შემდეგ როსტევანის ამბა-
ვი მოდის და იქ ავთანდილი არსადაა, უნდა იყოს არა „ყმასა წავყვე წამავალ-
სა“, არამედ „ყმას არ წავყვე წამავალსა“. ეს იგივეა, რაც: ავთანდილს აღარ
გავყვები და ახლა სხვა ამბავს დავიწყებო.

აზრობრივად, ერთი შეხედვით, ეს გაგება უფრო ლოგიკური ჩანს, მაგ-
რამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ორივე მცდარია. მათ მსჯელობაში გამოი-
კვეთა ერთი ტენდენცია — კომენტატორები თუმცა ერთმანეთს ეკამათებინ,
ოღონდ საოცრად ერთსულრვანნი არიან ერთში — ყმაში („ყმასა წავყვე წა-
მავალსა“) გულისხმობენ ავთანდილს. ესა ყველა მათგანის უმთავრესი შეცდო-
მა, ამ საქმეში ჩამოწოლილი ბურუსის პირობა. ამ საიდუმლოს მანამ ვერ გა-
ვარკვევთ, სანამ ხელნაწერების შტავრში არ მივაგნებთ იმ მარგალიტს, რუხ-

თველის იმ შესანიშნავ სტროფს, რომელიც სადავო ტაეპით დაწყებული სტროფს წინ უძღვის და რომლის აღდგენის შემდეგ აღარავითარი კონიქტურა აღარ გახდება სპირო — ყველაფერი დღესაკითხ ნათელი გახდება.

ამრიგად, არსებობს დღემდე გაუჩინარებული რუსთველური სტროფი, რომელიც ფრაზის — „ყმას წიყყე წამავალსა“ კლიტე-გასაღებია.

ავთანდილმა ანდერძი დაწერა, შერმადინს გადასცა და წავიდა. ამას იქით ავთანდილი აღარ ჩანს. ხელთ გვრჩება შერმადინი:

მონა ტირს და შეკრდსა იცემს, საბრალომან ცრემლი ღვარსა,
სატრონისა ვერ მკვერტელმან ყმამან რამცა გაიხარსა.

„მონა“ და „ყმა“ აქ უკვე ნიშნავს არა ავთანდილს, არამედ შერმადინს. ამის შემდეგ შოდის ყველაფრის ამხსნელი და დამაკონკრეტებელი, დღემდე ხელნაწერებში მიჩქმალული სტროფი, რომელშიც ავტორისეული თხრობის აქცენტი კიდევ უფრო მკვეთრად გადადის შერმადინზე, სტროფი, რომელიც კიდევ უფრო გვაფიქვებს ავთანდილს, გვაშორებს მას და გვიახლოვებს როსტევანთან წამავალ შერმადინს:

მოსთქვამს და იტყვის: „ვა, მზეო, შენი ადგილი ჩრდილდების;
შენ მოგვეშორვე, დაღამდა, ჩემთვის აროდეს დილდების;
შენ მანდით მესრვი ისარსა — ერთიცა არ ამცილდების,
გამყარე ლხინსა ყოველსა, აწ თვალთა ცრემლი მილდების“.

ამრიგად, რუსთველის დღემდე გაუჩინარებულ ამ სტროფში თხრობის აქცენტი მთლიანად გადმოვიდა შერმადინზე, ამბავი წავიდა შერმადინის გზით.

ამის შემდეგ სავსებით გასაგებია შინაარსი სტრიქონისა:

აწ ამბავი სხვა დავიწყო, — ყმასა წავაყვე წამავალსა.

რა სხვამ ამბავი უნდა დაიწყოს ავტორმა, რომელ ყმას უნდა წააყვეს? რა თქმა უნდა, სხვა ამბავი როსტევანის ამბავია, ყმა კი — შერმადინი, როსტევანთან წამავალი ყმა.

ამრიგად, სხვა ამბავს (როსტევანის მიერ ავთანდილის გაპარვის ცნობას) მოგვიყვება ავტორი და ყმას წააყვება წამავალსა (როსტევანთან მიმავალ შერმადინს გააყვება).

ამის გამო, საჭიროა პუნქტუაცია ასე გაფორმდეს:

აწ ამბავი სხვა დავიწყო, — ყმასა წავაყვე წამავალსა:

სიტყვა „წამავალსა“ დამთავრდება ორწერტილით, ვინაიდან შემდეგ „სხვა ამბავის“ (ესე იგი, არა ავთანდილის ამბავის) თხრობა უნდა გაიშალოს. მართლაც:

არ შეექმნა დარბაზობა მას დღეს როსტენს გულ-გამწყარალსა;

რა გათენდა; ქუში ადგა, ჰგავს, თუ ადგნს პირით ალსა,

ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა...

ბოლოს მეფეს შერმადინიც მიჰგვარეს და მანაც შიშ-კრთომით მიართვა ავთანდილის მიერ გამოტანებული ანდერძი.

ასე რომ, ჩემ მიერ მიგნებულმა სტროფმა აზრიც ნათელი გახადა, პუნქტუაცია: რაც მთავარია, დადასტურდა, რომ ამ ბოლო აკადემიურ გამოცემასაც კვლავ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი პოემის სხვა ამგვარი სტროფების მისაგნებად და აღსადგენად. რაც შეეხება იმას, თუ რომელ ხელნაწერებშია დაცული ზემონახსენები შესანიშნავი რუსთველური სტროფი, მივუთითებ: S-2829, გადაწერილია 1668 წელს; H-54, გადაწერილია 1680 წ. ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ; H-757, გადაწერილია 1671 წელს, არაქართველის მიერ და, ამდენად, ზუსტია; არის მეჩვიდმეტე საუკუნეში გადაწერილ სხვა ხელნაწერებშიც.

ახალი აკადემიური გამოცემის ტექსტი აღჩინდელ ამგვარსავე გამოცე-

მასთან შედარებით უფრო სრული და გამართულია. იგი შეიცავს 1573 სტროფს. ამჟამად პირველად მოხდა, რომ მთავარმა რედაქციამ პოემას დაურთო „ინდო-ხატაელთა ამბის“ ერთობ კომპაქტური ტექსტი. აქ პირველადია აგრეთვე შეტანილი რამდენიმე ისეთი სტროფი, რომლებიც ადრე რუსთველის კრებულეზად არ ითვლებოდა ან ქართველიშვილისეულ გამოცემაში კი იყო, მაგრამ 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან გააძევეს. ამ სტროფებმა ამბის მდინარება უფრო ლოგიკური და ნათელი გახადა.

პოემის ეს ვარიანტი ერთგვარი საეტაპო მნიშვნელობის ტექსტია, რომელიც იმის მაგალითს იძლევა, რომ ძველ აკადემიურ და სხვა ტექსტებს კრიტიკულად, შემოქმედებითად უნდა მივუღებოდეთ.

გამოცემაში, ვაპარულა უხეში შეცდომა — აშკარა ინტერპოლატორული დასათაურება. ავტორი ტარიელს შეფარვით აქებს — ესე იგი, მის სახელს საგანგებოდ მალავს, გარკვეულ დრომდე ნიღბავს. მისი სახელი ავთანდილმა მხოლოდ ქვაბში უნდა გაიგონოს, მანამდე არა. ახალ გამოცემაში კი გვაქვს ამგვარი სათაური — „ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასვლა“, რაც არაფრით არ შეიძლება. კი მაგრამ, რა ვიცით, რომ ვეფხის ტყაიანი მოყმე ტარიელია? ამრიგად, უნდა აღსდგეს ძველი სათაური — „ავთანდილისაგან მის ყმის ძებნად წასვლა“. სხვათა შორის, მსგავსი შეცდომა მოუვიდა პ. ბუდენიზისაც პოემის გერმანულ თარგმანში, რაზეც თავის რეცენზიაში სამართლიანად მიუთითა ლ. ბრეგაძემ.

ახალი გამოცემაც ვერ ასცდა ადრეული გამოცემებისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ ცალმხრივობას. ქართველიშვილისეულ გამოცემაში (1888) ვკითხულობთ: „ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს“. ახალ აკადემიურშია: „ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს“. მართალია, მე-12 საუკუნის მკაცრი გრამატიკული კანონებით მოსალოდნელი იყო ტირს (ზმნას ირიბი ობიექტი არ გააჩნია, ამიტომ „ს“ არ სჭირდება), მაგრამ რუსთველი პოეტიკა და სიტყვის ელერადობას უმეტეს ყურადღებას აქცევს. ამიტომაც უხმარია „სტირს“. გალაკტიონი წერს: „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“. ერთობრივან ზმნას არც ძველად, არც დღეს არ ესაჭიროება ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი „ჰ“, მაგრამ პოეტიკი გრამატიკის მოთხოვნებს კი არ უგდებს ყურს, არამედ პოეტიკის, მუსიკის, ელერადობის, ალიტერაციისა და შთამბეჭდავი სახის მოთხოვნას. მართლაც, იქვე, მომდევნო სტროფშივე, რუსთველი იყენებს „ს“ თანხმოვნთან ფორმას: „უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო“. აქ „ს“ მეორე სუბიექტური პირის ნიშანია, მაგრამ რუსთველისათვის უმთავრესია მისი ელერადობა, ტირილის ამსახველი „ენა-მუსიკობა“, რასაც აქ „ს“ ეფექტურად გამოხატავს. და თუ ეს ჩემი მსჯელობა მართებული არაა, მაშინ კომისიას ვეკითხები: რატომ შეაქვს ტექსტში ამგვარი ფორმა — „გასწირავს“ ანდა „გასტეხს“? „მაგრამ რა ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“. გაწირავს ორპირიანი ზმნაა, მასში ირიბი ობიექტი არ იხილვის, იგი არც ძველად საჭიროებდა და არც დღეს — „ს“ ნიშანს. ამ კითხვას მევე ვაცემ პასუხს: ამგვარი ფორმა „გემოანი“ (ვახტანგ მეექვსე) ფორმაა, უმადლეს ესთეტიზმს ავლენს და იმითომ უჭერენ მხარს პოეტები. მაშ, რა დააშავა ფორმამ „სტირს“?

ამავე რიგისაა მომდევნო შენიშვნაც. ქართველიშვილისეულ გამოცემაში, რომელსაც ი. ქავჭავაძე მეთვალყურეობდა, ვკითხულობთ საესებით სწორ ფორმას:

ესე საქმე ქარაგანსა გაეხარნეს მეტად ღია;
მოვიდეს და თაყვანის-სცეს, ჰკადრეს: „ჩვენნი იმეღია,
რაცა აჯა ჩვენ გემართებდა, იგი თქვენვე გაიჯღია;

მას ვსახუროთ, ვისი პირი მზისა ბარად გავგიცდია.“

სტროფში რუსთველს სარიტმო კლავზულად გამოაქვს „დ“ საყრდენ-თანხმოვნიანი ბგერათკომპლექსი — დია (ს. ულენტის ოსცილოგრაფული გამოკვლევით „დ“ ქართულში ერთ-ერთი ყველაზე ძველადი ბგერაა) ახალი აკადემიური გამოცემა კი მხარს უჭერს მცდარ ფორმას — გიაჯია (სტროფი 1055).

ესე იგი, რუსთველს დაუკარგეს მშვენიერი, ძველადი, საყრდენთანხმო-ვნიანი სარიტმო კლავზულა დია.

არ იქნება ურიგო, ამ შეცდომის წყაროსა და სათავის ჩვენებაც. რა ვუ-ყოთ, თუ რუსთველოლოგთა მცდარ გზაზე დამყენებელი ცნობილი აკადემი-კოსი აღმოჩნდება.

საესებით სწორი ფორმის (გიაჯდია) წინააღმდეგ გაილაშქრა აკად. აკ. შა-ნიძემ. მან იფიქრა, რომ გრამატიკულად სწორი ფორმაა გიაჯია (აქა, ეაქება, ეზვეწება), მაგრამ სტროფის საერთო რითმულ განჩინებას რომ ამღვრევს გია-ჯია, ეს არაფრად ჩაავლო. „გიაჯდია“ აკადემიკოსს უმართებულო გრამატიკულ-ი ფორმა ეგონა, როცა განაცხადა: „სჯობს რომ ნაკლები რითმა იყოს, მაგრამ ფორმა სწორი, ვიდრე კარგი რითმა და მიუღებელი ფორმა“. აქ სა-კითხავია: კი მაგრამ, ვისთვის სჯობს, რომ „ნაკლები რითმა იყოს, მაგრამ ფორმა სწორი“? რა თქმა უნდა — ენათმეცნიერისათვის, მაგრამ ახლა ესეც ვიკითხოთ: ლიტერატორისა და პოეზიის მოყვარულისათვის რა სჯობს? სჯობს, რითმა იყოს საკალმანე წყალივით წკრიალა და მდიდარი, ხოლო გრამატიკულ ფორმას აკლდეს ან ჰმეტობდეს ერთი ასო-ბგერა. ბატონი აკ. შანიძე რუსთ-ველს გრამატიკულად უხწორებს სიტყვას და უმხხვრევს პოეზიას, როცა „დ“ ასოს უძვევებს სარიტმო კლავზულიდან.

ქვემოთ გამოჩნდება, რომ, თურმე, პატივცემული აკადემიკოსი გრამატი-კულადაც საესებით სწორსა და მართებულ ფორმას ებრძვის, მაგრამ მანამდე ერთიც ითქვას: წუთით დავეშვათ, „გიაჯდია“ არ ყოფილიყო მართებული გრა-მატიკული ფორმა, განა რუსთველს არ ჰქონდა უფლება, პოეტური ლიცენციი-სათვის მიემართა და სიტყვაში ეფფონიის მიზნით ჩაემატებინა „დ“ ბგერა? განა არ შეეძლო გამოეყენებინა ქართულში ესოდენ გავრცელებული ენათეზისი (ჩასმა — სიტყვაში უფუნქციო თანხმოვნის ჩართვა, რომლის მაგალითებიცაა: საფრხე-საფრთხე, წმიდა-წმინდა...)?

მაგრამ განა თუნდაც გრამატიკული თვალთახედვით კი მსჯელობს აკადე-მიკოსი მართებულად, განა მართლა არ არსებობდა მე-13 საუკუნეში ფორმა გიაჯდია?

ეს საკითხი საგანგებოდ გამოვიკვლიე და დადგინდა: რუსთველს სხვა-განაც ჰქონია ნახშირი ფორმა გიაჯდია და არა მხოლოდ სარიტმო სიტყვაში კარში „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“ ვკითხუ-ლობთ:

წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა.

სწორედ ასეა ეს სიტყვა დასტამბული ყველა გამოცემაში და ახალ აკადე-მიურ გამოცემაშიც (იხ. სტროფი — 829, 3).

მაშასადამე, სარიტმო კლავზულაში კიდევ მეტი სითამამით იხმარდა ფორ-მას „გიაჯდია“.

შეიძლება მეტიც ითქვას. საქმეს ძირისძირობამდე ჩავსდიე და გაირკვა: ფორმა გიაჯდია, ეაქდა, უაქდია სრულიად ნორმალური და ჩვეულებრივი ყოფი-

ლა ძველი ქართულისათვის. ნოდარ ციციშვილი „შვიდ მთიებში“ არა რითმაში არამედ სტრიქონის შიგნით მოთავსებულ სიტყვადაც კი იყენებს ამ ფორმას: „ემა ეაჭდა წყლისა სმევას“ (სტროფი 1186).

ქართული
ენის
სწავლის
ინსტიტუტი

რა გქნათ ახლა, ყველაფერი დავუჯეროთ დიდ ენათმეცნიერს?

ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ აკად. აკ. შანიძის კონიექტურა, რაც გაზიარებულია 1966 წლის საიუბილეო, მის მიმდევარ და 1988 წლის აკადემიურ ტექსტებში, ბათილად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ზემოთ მითითებულ ხართმო ხიტყვაში აღსდგეს „დ“ თანხმოვანი! „რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?“

სხვათა შორის, აკ. შანიძის ეს მცდარი თვალსაზრისი გაზიარებულია ქართული მწერლობის მეოთხე ტომშიც (გვ. 216).

ახალ გამოცემაში აკ. შანიძის სხვა მცდარი კონიექტურები და დებულებებიცაა გათვალისწინებული, მაგრამ იმის გამო, რომ „კრიტიკის“ რედაქციაც ისევე, როგორც სხვა რედაქციები, აუცილებლად საჭირო ადგილის მინიმუმს მითმობს, როგორც არაოფიციალურ რუსთველოლოგს, იძულებული ვარ ამით დავამთავრო. აქ კი საგანგებო მტკიცების თვინიერ უნდა ვთქვა: ქართველი მკითხველი არასოდეს დაეთანხმება შესანიშნავი ფრაზის „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ (1888 წლის გამოცემა) ასე გადაკეთებაზე: „იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ (1988); ვერ გაიზიარებს ძველი და მართებული გამოთქმის — „ემასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დი-ცა იდოს“ ასე გადასხვაფერებას: „ემასა უთხრა: „ვინცა კაცმან იძმოს ანუ დი-ცა-იდოს“ (1988, სტროფი-303).

საქვეყნოდ ვაცხადებ: ამ უკანასკნელ სტრიქონში მე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, წლობით სტილის საკითხებზე მომუშავესა და ამჟამად რამდენიმე ყურნალ-გაზეთის სტილისტს, ვერაფერი გამიგია, ამ სტრიქონიდან ვერავითარი აზრი ვერ გამომიტანია.

ამგვარი სიახლეების წინააღმდეგ მრავალი უტყუარი საბუთი არსებობს, ოღონდ ამჯერად „ბირველსა სიტყვასა მოვიდეთ“:

ახალი აკადემიური გამოცემა ფრიად საყურადღებო ტექსტს გვთავაზობს. იგი მიმაჩნია არსებულ გამოცემებთან შედარებით ერთ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მომავალი ნამდვილად რუსთველისეული ტექსტის გამოცემებამდე მას კიდევ მრავალი დიდი და ღონიერი ნაბიჯის გადადგმა მოუწევს.

ავტორის თხოვნით, სტატიის ჰონორარი გადაირიცხება საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში.



„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

1. „როსტევან ჰადრა“, თუ „როსტევან ეთქვა“?

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი რედაქციის, მაგ. 1937 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით, ერთ-ერთ თავში, „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან“ ტარიელი უთვლის როსტევანს:

1562. „უცებნი მოსრნის მკოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან.
 ვაჟვ, მოგეცე თქვენცა დარჩევა ჩემმან რასაცა ვნებამან;
 წავიდე; ავი არ მიყოს მე აქა დაუოგნებამან,
 აღდე კვლა გნახნე შორჭულნი, ინებოს ღმრთისა ნებამან“.

ამაზე როსტევანი პასუხობს:

1563. „როსტევანს ჰადრა: „მეფეო, რად ხარ რასაცა რიდიოთ,
 რაცა გიჯობდეს, იქმოდით, განსჭვრეტდით, გიციდიდიოთ,
 ავთანდილ თანა წამოგყვეს წადით ლაშქრითა დიდიოთ,
 თქვენთა მტერთა და ორგულთა დაძვრეწდით, დაცასჭრიდიოთ“.

ცხადია, რომ მეორე ტაგების პირველ სტრიქონში მოცემული ფრაზა, მიცემით ბრუნვიანი „როსტევანს ჰადრა“, ტექნიკური შეცდომაა და უნდა იყოს „როსტევან ჰადრა“, ე. ი. მიცემით ბრუნვიანი მიმართების მაგიერ უნდა ყოფილიყო მოთხრობითი ბრუნვის მიმართება (როსტევანმა ჰადრა ტარიელს და არა პირიქით), რადგან აქ როსტევანია სუბიექტი და არა სხვა პირი.

აღნიშნული შეცდომა „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემებში („მერანის“ 1986, „ნაკადულის“ 1988 წ.) ყურადღებიდან არ გამოჩნენიათ და თითქოს გაუსწორებიათ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ჩამოეცილებინათ ვითომ მიცემითი ბრუნვის მაჩვენებელი ნართაული „ს“, ის უცვლელად დაუტოვებიათ, ხოლო სრულიად მართებული ზმნა, „ჰადრა“, შეუცვლიათ ახალი ფორმით „ეთქვა“. ე. ი. ნაცვლად „როსტევან ჰადრა“, მივიღეთ „როსტევანს ეთქვა“. განა რა დაშავდებოდა ნართაულ „ს“ ბგერის მოკვეციბით და „ჰადრა“ ზმნის დატოვებით?

აღბათ, „როსტევანს ეთქვა“, ეს თურმეობითი ფორმა, იმ აზრით შეარჩიეს, რომ როსტევანი ტარიელს პასუხს მოციქულის პირით უთვლისო, მაგრამ ჯერ ერთი, ეს არ ჩანს, რადგან იქვე უშუალოდ არის ნათქვამი „ავთანდილ თანა წამოგყვეს“, და მეორეც, მოციქულის პირითაც რომ ჰადრის კაცმა კაცს რაიმე, მაინც ვიტყვი „ჰადრა“. გრამატიკულად სწორი მიმართების ფორმა სრულიადაც არ ირღვევა.

ასე რომ, უმართებული მიმართების ფორმა „როსტევანს ჰადრა“ უნდა შეიეცვალოს ფორმით „როსტევან ჰადრა“ და არა „როსტევანს ეთქვა“. ეს უკანასკნელი მხოლოდ აუბრალოებს პოეტურ თქმას, იმდენად ათანამედროვეებს, რომ ყურსა სჭრის და პროზაულობის ელფერს აძლევს. ესეც არ იყოს, „როსტე-

ვან ჰკადრა“ სრულიად გასაგებია თუნდაც იმიტომ, რომ არაბეთის მეფე ინდო-
ციის ხელმწიფეს, საკუთარ სტატუსთან შედარებით, აღმატებულადაც მიიჩ-
ნევს; როდესაც როსტევეანი ტარიელს პირველად ხვდება პირისპირ, „გაშინდა“
და თაყვანი სცა“. მაშინაც კი, ტარიელმა პატივისცემის ნიშნად მუხლის მოყ-
რა რომ დააპირა, როსტევეანი „შორს უკუდგა, თაყვანი სცა, ქვე მიწამდის და-
უფარდა“.

ბოლოს კი, განშორების ეპოს, ასე მიმართავს: „შენგან მოგვეცა სიცოცხ-
ლე, შენგანვე დავიხოცებით“-ო. ასეთი რიდი და პატივი საფუძვლიანად ამაგ-
რებს აღმატებულისადმი მიმართებას — „როსტევენ ჰკადრა“.

2. ესე სიტყვები ორები?

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემაში, რომელიც კი ვნახეთ, იმ ადგილას,
სადაც როსტევეანის გადაწყვეტილებით ავთანდილი თან უნდა გაჰყვეს ტა-
რიელს ინდოეთში, ერთგან ვკითხულობთ:

„ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები“.

და ა. შ.

სარიტმოდ სიტყვა „ორები“ ერთობ ხელოვნურად ქლერს, რაღაც რუსთველურ
სილალეს მოკლებულია; უკმარისობის შთაბეჭდილებას ტოვებს და გადამწერთა
ნიზეზით უნდა აიხსნას. „ორების“ წინ, დედანში, რომელიღაც ბგერა ან ბგე-
რათა კომპლექსი უნდა ყოფილიყო. ასეთად კი შეიძლება ვივარაუდოთ „სწ“
კომპლექსი.

ამგვარი მოსაზრების საფუძველს გვიქმნის შემდეგი გარემოება: ბუნებ-
რივია, რომ ტარიელს უმიძის და ეუბნებულემა ავთანდილის კვლავ დაშორე-
ბა თინათინისაგან, — „ახლად შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშორები-ო“,
მაგრამ:

„ავთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მოვიდორები“.

ე. ი. ვერ მომატყუებ, როსტევეანის ბრძანება სამართლიანია, აუცილებელია,
სწორია და უნდა შევასრულო მისი მართებული გადაწყვეტილებაო. ეს ავთან-
დილის სურვილსაც საეხებით გამოხატავს, ეთანხმება.

ასე რომ, ტექსტის შინაარსიდან, გამომდინარე, უნდა იკითხებოდეს:
„...ესე სიტყვები სწორები“, ფონოლოგიური კეთილზომიერების თვალსაზრის-
სითაც სრულიად მისაღებია და გამართლებული. და თუ გავითვალისწინებთ
იმ ფაქტორსაც, რომ „უთხრა“ ზმნის მაგიერ უნდა ყოფილიყო „ჰკადრა“, მა-
შინ მივიღებთ რუსთველურად გამართულ ალიტერაციულ სტროფს: „ავთანდილ
ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვები სწორები“ (დ:ტ:ო, ს, სწ:ტ).

3. „უთხრა“ თუ „ჰკადრა“?

ზემოთ განხილული სტროფის შემცველ ტაქტში კიდევ ერთი უხერხულო-
ბა, რუსთველისათვის უჩვეულო ერთი და იმავე ზმნის რამოდენიმეჯერ გამოე-
რება მიგვაჩნია გადამწერთა შეცდომად.

„ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები.
მან უთხრა: „აგრე ნუ უბნობ, შეცევ ბრძოლისა ყორები,
ახლად შეყრილსა მთვარესა, მზეთ, ვით მოეშორები?“
ავთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მოვიდორები“.



ცხადია, „ავთანდილ უთხრა“, „მან უთხრა“ და კვლავ „ავთანდილ უთხრა“ ე. ი. „უთხრა“ ზმნის სამჭერ გამეორებას რუსთაველი არამც და არამც არ მიმართავდა. ყოველ შემთხვევისათვის, პირველ სტრიქონში მაინც იქნებოდა „ავთანდილ ჰყადრა ტარიელს“, რომ აღარაფერი ვთქვათ მეოთხე სტროფის „უთხრა“ ზმნის შესახებ. მეორე სტროფის „უთხრა“ ფორმის მაგიერ კი, რაკი ტარიელი მიმართავს, „ბრძანა“ უფრო მოსალოდნელია. ალიტერაციის თვალსაზრისითაც მისაღები და უეჭვო: დ:ტ, ბ:ბ, კ:გ.

ამავე სტროფში, 1957 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით ხმარებული ფორმა „აგრე“, დასახელებულ ბოლო გამოცემებში შეცვლილია „გაე“-თი: მან უთხრა: „გაე, ნუ უბნობ, შეცევ ბროლისა ყორები“. რატომ შეცვალეს ადვილად გასაგები „აგრე“ გაუგებარი „გაე“ ფორმით, ძნელი გასაგებია, რადგან ის არც დართულ ლექსიკონშია განმარტებული და ვერც საბას ლექსიკონში ვიპოვეთ. იქნებ კორექტორული შეცდომაა? ასეა თუ ისე, „გაეს-ხ“ „აგრე“ სჭობია და ვფიქრობ, ესეც გასათვალისწინებელია.



ლუარსაბ ვარდანაშვილი


ჩვენი მოსაზრება

ახლახან მკითხველმა მიიღო გამომცემლობა „მეცნიერების“ გამოცემული „გეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ ხანგრძლივი წლების მანძილზე (1968 წლიდან) ე. ი. ოცი წლის მანძილზე ნაშრომ-ნალექსი შოთა რუსთაველის „გეფხისტყაოსანი“.

ვიდრე წიგნის საფასურს გადავიხდიდი, თვალში მეცა რუსთაველის ზედდებული გვარის დამაბინჯებული წარწერა „რუსთველი“.

ცნობილია, რომ შოთა დაიბადა მესხეთის სოფელ რუსთავეში (რუს, ნაკადულის თავი, სათავე) და არა იმ „რუსთვეში“ რომელიც ისტორიულად არ არსებულა და არც ამჟამად არსებობს საქართველოში არც რუკაზე და არც ფიზიკურად. 1988 წლის 6-მარტის № 56 (2097) გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა პატ. ამირან ცამელიშვილის წერილი „რუსთველი სიბრძნის ტბა არის“,

რომელიც ენება თუ რომელი ვწეროთ და ვთქვათ, „რუსთველი“ თუ „რუსთაველი“.



ამ ფაქტის გამო გამოვთქვი ჩემი მოსაზრება და წერილი გაზეთ „რუსთაველი“ ნისტის“ რედაქციას მივაწოდე რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენციის მოწვევამდე. სამწუხაროდ, ვაზეთმა „კომუნისტმა“ ჩემი წერილი „ნუთუ ძნელი მისახვედრია“ არ დაბეჭდა.

ჩემს წერილში ვასკენი რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა იწერებოდეს და ითქმოდეს შ. რუსთაველის კანონიერი ზედდებული გვარი „რუსთაველი“.

რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელ კონფერენციაზე 1988 წ. 19 მარტს ამ საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა და რატომ? ისტორიული წყარო გვაუწყებს რომ იყო ნიკოლოზ რუსთველი. ამ გვარს არადფერი საერთო არა აქვს შ. რუსთაველის კანონიერ ზედდებულ გვართან და არც შოთა ყოფილა რუსთველის გვარისა. ამის ნათელსაყოფად გაიხსენოთ თვით წყარო: „მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა ნიკოლოზ რუსთველი.“

ნიკოლოზი ყოფილა სამეფო კართან დაახლოებული პირი და სიგელ-გუჯრების წერაში მეტად გაწაფული მწიგნობარი. მას განსაკუთრებული ავტორიტეტი მოუპოვებია ვითარც მკერმეტყველს... სხვა წყაროებიც არა ერთ გზის მიუთითებენ მის განსწავლულებაზე, პოეტურ და მკერმეტყველურ ნიჭზე...

ნ. რუსთველის პოეტური მემკვიდრეობიდან ჯერჯერობით გამოვლენილია სამიოდე პოეტური ნიმუში.“

(რევაზ ბარამიძე „ნიკოლოზ რუსთველის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ წიგნიდან „ლიტერატურული ძიებანი“ 2 ტომი XVII „მეცნიერება“ 1987 წელი. გვ. 250-251 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი).

„რუსთველი“ ნიკოლოზისთვის გვარი ვახლდათ, შოთასთვის კი „რუსთაველი“ ზედწოდებდა, მაშასადამე არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის რომ ვწერდეთ და ვამბობდეთ „რუსთველს“ და არა „რუსთაველს“.

რაც შეეხება ამ გამოცემის მე-35 სტროფში აკადემიური კომისიის მიერ უმართებულოდ შეცვლილ სიტყვა „წაეა-ს“ მაგიერ ჩაწერილ „წახდების“ ირგვლივ ჩემი მოსაზრება შემდეგში მდგომარეობს:

ამ სტროფის 2-3 ტაეპი ასე გამოიყურებოდა:

„რა ვარდმან მისი ყვაეილი გაახმოს, დაამქნაროსა,
ივი წ ა ვ ა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“

ახალი რედაქციით კი ასეა:

„რა ვარდმან მისი ყვაეილი გაახმოს, დაამქნაროსა,
ივი წ ა ხ დ ე ბ ი ს.სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“

სიტყვა „წახდების“ არ მიმაჩნია მართლებურად შემდეგი მოსაზრების გამო:

სიტყვა „წაეა“ რომ სიტყვა „წახდების“-აზე უკეთესად უღერს ეს უდავოა, რადგან „წაეა“ მესამე ტაეპის მუსიკალობას მთლიანობაში წარმოგვიდგენს ე. ი. მუსიკალობა ტაეპისა გამართული და ჰარმონიულია, ლალია და სისიამოვნოდ სათქმელი. მუსიკალური ხაზი არსად ოდნავ ჩაზნექილი ან ჩატეხილი არ არის. ამგვარად სიტყვა „წაეა“ სიტყვა „წახდებისაზე“ ბევრად უკეთესია.

რაც შეეხება წასვლის კონკრეტულ შედეგს, არც ერთი იძლევა და არც მეორე. ორივე მომავალში მიგვანიშნებს საქმის შედეგს. როცა ერთ რამდენადმე უკეთეს ფორმას სიტყვისას ვცვლით იმავე მნიშვნელობის მაგრამ უფრო მდარე ფორმით, ეს უფრო აუბრალოებს, ნაწარმოებს უკარგავს ხარისხოვნებას.



სოსო სიგუა

ანეკდოტან პოეზიისაკენ

70-იანი წლების ქართული პოეზიის დიდმა ნაწილმა ვერლიბრის ნიშნით ჩაიარა. ახალთაობის პოეტებმა გააფეთქეს თავისუფალი ლექსი, აქციეს გამოხატვის ლამის ერთადერთ საშუალებად (ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, მ. წიკლაური, ჯ. ფხოველი, რ. კალანდია, გ. აღზაზიშვილი, თ. ბეჭიშვილი, გ. პეტრიაშვილი), რასაც მოჰყვა მწვავე დისკუსიები, აზრთა სხვადასხვაობა, ერთი მხრივ — უნებური ნიჰილიზმი კლასიკისადმი, მეორეს მხრივ — კონსერვატიული ტრადიციონალიზმი. თითქოს ყველა აღიარებდა, რომ იდეალური იყო ამ ორ დაპირისპირებას შორის საშუალო ხაზი, მაგრამ პრაქტიკულად ასე როდის მოხდა. ვერლიბრისტებმა საგრძნობი ზეგავლენა იქონიეს იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც პირველ სტრიქონებს წერდნენ. მათ კლასიკურ სალექსო ფორმასთან ერთად უკუაგდეს რომანტიკული შგრძნობელობა, პათეტიკა, ჭარბი ემოციები, სამაგიეროდ შემოგვთავაზეს მეტი რაციონალიზმი. მაგრამ ყოველ სიახლეს ახლავს უკიდურესობაც — და გაჩნდა ვერლიბრის

„რობოტიზაციის“, „ფაბრიკული წარმოების“ საფრთხეც. მიუხედავად ამისა, აზრისა და განწყობილების თვალსაზრისით ახალთაობის პოეტებს გაცილებით მეტი ჰქონდათ საერთო ტრადიციებთან, ვიდრე თუნდაც ოციანი წლების ქართველ ავანგარდისტებს.

80-იან წლებში ვითარება შეიცვალა. ახალთაობა, რომელიც თავდაპირველად ვერლიბრის მიმდევარი იყო და მისი სულისკვეთებით აღიზარდა, თანდათან გახდა უარმყოფელი უახლესი ტრადიციისა. ო. ჭილაძის ინტელექტუალიზმი, ტ. ჭანტურიას ირონიულ-პაროდიული ლირიკა, ბ. ხარანაულის ვერლიბრი მათი შემოქმედებისათვის უცხო აღმოჩნდა, თუმცა თავდაპირველად ისინი სწორედ ვერლიბრმა და რთულმა ასოციაციებმა გაიტაცა (დ. მჭედლოური, დ. ბედიანიძე, ბ. დანელია...). სამაგიეროდ არსებითი, მთავარი განდა დრამატული სიტყვა, სიცოცხლის უშუალო განცდა, მღელვარე სულიერი ცხოვრება. ხოლო შთამავონებელი აღმოჩნდნენ პოეტები, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინათ შემოქმედებით პროცესზე ნაკლები ზეგავლენა ჰქონდათ (ტ. ტაბიძე, ტ. გრანელი, გ. ლეონიძე), თუმცა ისევ დარჩა გ. ტაბიძის და ს. ჩიქოვანის ტრადიციები.

¹ სომხურ ენაზე გამოცემული ქართული ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვა (ერევანი, 1988, მთარგმნელი გავაკ დავთიანი).

ახლთაობის პოეტებს უფრო შინაგანი, სულიერი სინამდვილე აღლვებდათ. მაგრამ ჭკრეტა, ანალიზი, განსჯა შეცვალა აღსარებამ, მოვლენათა რომანტიკულმა და დრამატულმა აღქმამ. თავად პიროვნება, მისი დღევანდელი სული და ვნებები კვლავ დარჩა ყურადღების ცენტრში. ეს არსის თვალსაზრისით. ხოლო ფორმის მიხედვით ისევ აღორძინდა ტრადიციული ლექსი, რომელსაც აკლდა რაფინირება, სიმბოლისტთათვის ნიშნული სიზუსტე. ერთი სიტყვით, ფორმალიზმად ქცეული ფორმის კულტი შეცვალა შინაგანი განწყობილების მდინარებამ, რომელიც თითქოს სტიქიურად, ბუნებრივი გრძნობებისა და ალღოს მიდევნებით თხზავს ლექსს.

ამ ორიენტაციის ყველაზე მკვეთრი მესიტყვენი არიან ვახტანგ ხარჩილავა, დავით მჭედლური, მანანა ჩიტიშვილი და ვაჟა ხორნაული. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სულის ბიოგრაფიას, წარმომავლობას, მშობლიური კუთხის სურათებს. მაგრამ არა იმპრესიონისტული თვალთახედვით, არამედ — სიღრმისეული საწყისით. ისინი თითქოს არტისტიზმსაც უარყოფენ და ცდილობდნენ პიროვნული ტანჯვა, სევდა და სიხარული ამოთქვან ისე, რომ არ იფიქრონ ფორმაზე. ეს ერთი ყველაზე ძლიერი ნაკადია ახლთაობის პოეზიაში, ამავე დროს — გარკვეული სიახლით აღბეჭდილი. თუ ვ. ხარჩილავა და დ. მჭედლური დრამატული ტონალობის პოეტები არიან, ბ. ჩიტიშვილი და ვ. ხორნაული უფრო მზესა და სინათლეს, ნათელ და წყნარ განწყობილებებს ელტვიან.

ვახტანგ ხარჩილავა ტრადიციონალისტი პოეტია. იგი არ ცდილობს სალექსო სტრუქტურის გადახალისებას — ექსპერიმენტს მხატვრული აზროვნების სფეროში, რადგან მისი სტრიქონები აღიარებენ გრძნობად აზრს, დრამატულ სულისკვეთებას. მან შეამცირა არა მხოლოდ ლექსის ფორმალური ატრიბუტების მნიშვნელობა,

არამედ თვით გარემომცველი სინამდვილისაც. სამაგიეროდ გაგვაცნო თანამედროვე მოქალაქის შინაგანი დღევანდელი წუხილი და ოცნება. იგი თამაშობდა გართობის უარყოფელი პოეზიაში, რადგან მას, რაზეც წერს, თითქოს საბედისწერო მნიშვნელობაც ენიჭება. მისი ლექსის სიმი დაკვირვლია და გვეჩვენება, რომ ეს-ესაა უნდა გაწყდეს. ვახტანგ ხარჩილავა ის პოეტია, რომელიც ავლენს საკუთარ შესაძლებლობათა მიქსიმუმს. მისმა ლექსებმა მძლავრი სტიმული მისცა ახლთაობას, რათა ე. წ. ცნობიერების პოეზია შეცვლილიყო ე. წ. ყოფიერების პოეზიით. შეიძლება ეს თავად დროის მოთხოვნაც იყოს, რადგან ცხოვრების დარად ხელოვნებაშიც სტიქიურად იშლება ძველი წესრიგი. სული მუდამ ელტვის თავისუფლებას, გადავიწყებულ საგნებსა და სახეებს, რაც მოულოდნელ სიახლედ აღიქმება ხოლმე. ვ. ხარჩილავის პოეზიის ღირსებაც არის არა ავანგარდული გატაცება, არამედ ღრმა ტრადიციონალიზმი, იმისი უბრალოდ, სადად და გულით გამოთქმა, რაც ყველა დროის ადამიანს აწუხებს, რითაც ირღვევა გონების პრიმატი, პოეზიის კასტური გაგება.

დავით მჭედლურმა ვერლობრივად დაწერილი ლექსების მთელი წიგნი გამოსცა. მაგრამ ოთხმოციან წლებში ისევე მიუბრუნდა ტრადიციებს, „სავგარეულო საზღს“, რომელსაც ერთ დროს დაემშვიდობა. თანდათან იგი გაწერიდა როგორც ექსპერიმენტს, ისე აკადემიურ სიტყვას, ამტყველდა ცხოვრების უსასრულობაზე, საკუთარ მარტოობაზე, ადამიანის ბედსა და დანიშნულებაზე. მისი სტრიქონები იმ სევდასა და წუხილსაც საკმაოდ ატარებენ, რაც ყოველი ადამიანის თანამდევია. შეიძლება ითქვას, მარტოობის დრამატიზება მისი მთავარი თემაა. მაგრამ მისგან თავის დაღწევასაც ცდილობს — ხან პათეტიკური, ხანაც ლირიკული ლექსებით. მარტოობა ერთის მხრივ პოეტიზებულია, მეორეს მხრივ —

უარყოფილი, მაგრამ არა დეკლამატურად, არამედ — შინაგანი ტკივილებით, ხან სახედრის სიმბოლიკით, ხანაც — „უკანასკნელობის“ მოტივით. არსებითად მთელი მისი ლირიკა ფიქრების დღიურია, ოღონდ ანალიზისა და რეფლექსიის გარეშე. იგი არის არა ფაქტების რეგისტრატორი, არამედ — მათ მიერ მოგვრილი განცდების მხატვარი. ამიტომ ტკივილის თუ ოცნების მიზეზი ნაკლებად ჩანს. ჩვენ შედეგი გვეძლევა, რომელიც პიროვნული სამოსელით შემოსა.

მანანა ჩიტიშვილი, ისევე როგორც ვ. ხარჩილაძე და დ. მკედლური რომანტიკული განწყობილების პოეტიკა. მაგრამ სათქმელს მაინც კონკრეტული დეტალებით წარმოგვიდგენს. ამიტომ რჩება მესხიერებაში ლექსად ქცეული ხმელი ბალახი და მოფათურე წვიმა, იფანზე აკრული სურო და ქვიშისფერი კლდე, ქართლის სერები და ქსნის ციხე. მ. ჩიტიშვილი უფრო გვთავაზობს განწყობილებათა ჩანახატებს, შთაბეჭდილებებს, ვიდრე განცდის ან საგნის ძალასა და ღირსებას. ამდენად — პოეტის ხედვა ჩვირად იმპრესიონისტულია, ხოლო აღქმა — მუსიკალური.

მათგან საგრძნობლად განსხვავდება ვაჟა ხორნაული, რომელიც მკითხველს სთავაზობს ლირიკულ დაკვირვებებს, სინამდვილის ფრაგმენტულ სურათებს, ენდობა მინიშნებათა ენას, აჩვენებს მთელის დეტალს, რათა დანარჩენი მკითხველმა წარმოისახოს. იგი წყნარი, მშვიდი, უხმაურო განწყობილების პოეტიკა და ამ მხრივაც ნაკლებად ჰგავს თანატოლებს, რომლებმაც მძაფრი სიტყვა წინ წამოსწიეს. ვაჟა ხორნაული უფრო წერს ჩუმ ადამიანურ სიკეთეზე, გულის დაწყვეტასა და სინანულზე, მსუბუქ სევდასა და სიხარულზე, გაურბის ტრაგიზმსა და მწვავე განცდებს. შეიძლება ითქვას, ისინი იგულისხმება ლექსის ქვეტექსტში, როგორც შთაგონების საწყისი, ან იქნებ თხზვის, დახვეწის ეამს თანდათან შერბილდა პირველადი სიმძაფრე.

ახალმა ორიენტაციამ ფართო გავრცელება პპოვა (ბ. არაბული, დ. თედორაძე, ლ. თოთაძე, ლ. გულთხაშვილი, მ. გონაშვილი, შ. შამანაძე, დ. მამარაძე, ლ. ნადარეშიშვილი). ლექსის სიღრმისეული საწყისი ნიშნავს მთლიანი პიროვნების გარდასახვას, მისი მთავარი მიდრეკილების ჩვენებას — აი ოთხმოციანი წლების ახალგაზრდული ქართული პოეზიის მთავარი ლაიტმოტივი, ხოლო პერსონაჟი — მოქალაქე, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს, განსჯის, წუხს, ოცნებობს ყოველდღიური, ჩვეულებრივი გრძნობებით, იმპერატივებისა და განსაკუთრებული იდეების გარეშე. ამ მხრივ მათთვის მახლობელი აღმოჩნდა უბრალო ადამიანის კონცეფცია, რაც ზოგიერთმა ვერლიბრისტიმადრევე გაიაზრა. მაგრამ თუ ის ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ახლა დაერთო სიმწვავე, დროის უღმობლობის შეგრძნება, ტრაგიზმამდე მისული განცდა, რომელიც გვაფიქრებს ადამიანის ბედზე. ესეც იმისი ნიშანია, რომ დგება ახალი ფერისცვალების ეამი, ანუ გრძელდება ღირებულებათა მარადიული შექმნა და გადაფასება.

ახალთაობის პოეზიაში არსებობს სხვა ნაკადიც. იგი აგრძელებს წინა ათასწლეულის ტრადიციას, მიმართავს თავისუფალ ლექსს (გ. სულაიაური, თ. ბაძალუა, რ. დანელია). მაგრამ არა ინტელექტუალური განსჯისა და შეცნობისათვის. თითქოს იშლება ზღვარი რითმიან და ურითმო სტრიქონებს შორის, ისეთი მოქნილობა ენიჭება რიტმს, რიტმულ მეტყველებას, რომელიც იქცევა ლექსის მთავარ ნერვად. ზოგჯერ ისევ გრძელდება ექსპერიმენტი ფორმის სფეროში, რაც წარიმართა როგორც ვერლიბრის დამუშავების (გ. ოდიშარია), ისევე ე. წ. ორკესტრული ლექსალობის, ცალკეული ფუტურისტულ-დადაისტური იდეის რესტავრაციის ხაზით (მ. ქურდიანი).

ერთი გარემოებაც იქცევა ყურადღებას. ვინც წლების მანძილზე თხზავ-

და ე. წ. რთულ, ძნელად აღსაქმელ
ლექსებს, მისდევდა ვერლიბრს, ისევ
მიუბრუნდა ნათელ, ლირიკულ სახეებს
(დ. ბედლიანიძე, რ. ამონაშვილი, ბ. დი-
ნელია). ეტყობა, სერთო ატმოსფე-
რის გავლენა მათზეც გავრცელდა, ის
რაც სხვებმა ადრევე იგრძნეს, მათაც
გაიაზრეს. მრავალფეროვნებას თავად
ბუნება, მისი უხილავი, მაგრამ ყოვე-
ლისწამლევადი ნება გვკარნახობს. იგი
უჩინრად მბრძანებლობს თითოეულ
ჩვენთაგანზე და მას ყველაზე ადრე და
უკეთ აღბეჭდავს იგი, ვინც ყველაზე
ნიჭიერია.

სრულყოფისა და მრავალფეროვნე-
ბისკენ სტიქიურმა სწრაფვამ წარმოშე-
ვა ვერლიბრი, მაგრამ შემდეგ ამავე
ძალამ უარყო იგი, შეცვალა ერთი
ტრადიციის მეორეთი, უფრო სწო-
რად — სცადა სტილური პოლიფონიის
შენარჩუნება. მაგრამ ეს ყოველივე
ენება სტრუქტურას. მთავარი გახ-
ლავთ ხარისხი, რადგან ყოველი მეტა-
ფორა, შედარება, მეთოდი თუ აფორი-
ზმი ემსახურება ერთადერთ მიზანს —
აღიწეროს სრულყოფილი ქმნილება,
რაც იქნება სულის დოკუმენტი. ხოლო
ის, რაც ღრმად პიროვნულია, ღრმად
პუმანურია, თავისთავად იქნება ეპოქის
სარკვე, რადგან ყველა ღირებულება
განიზომება ადამიანობის ცნებით.

იქნებ მიღწეულზე მსჯელობა ნაად-
რევიც იყოს, მაგრამ მკითხველს სტრუ-
ქტურა, ფორმა და ექსპერიმენტი არ
აინტერესებს, არც სჭირდება. მას უნდა
გრძნობადი აზრი, რომელიც მის გულ-
სა და ფიქრებს შეეხება, რაც შეუცვ-
ლის განწყობილებას, გაამხნევებს,
ააღლევებს, შეაყვარებს. დანარჩენი
ყოველივე შინაღობორატორიაა. ამ
თვალსაზრისით ახალთაობის პოეზიას
აკლია პრობაგანდა, რათა რჩეული ნი-
მუშები მივირდეს ფართო მასებთან.
მოხდა ისე, რომ მას ტვირთად დააწვა
უახლოეს წინამორბედთა სახელები.
ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსი თით-
ქის აღარც შეესაბამება დღევანდელი
მოქალაქის სულიერ მოთხოვნილებას.

ცხოვრების რიტმი და სტილი, მასშტა-
ბი, ნაირგვარი გასართობი მკითხველს
აცილებს წიგნისა და მითუმეტეს
ლექსისაგან. ამიტომ იყო, რომ
ნმ-იან წლებში ტრიაზუნდიან ჩამოვიდა
და ფიქრთა გაგრძელებად იქცა, თუ-
ლით საკითხავი გახდა. მაგრამ შემდეგ
მან მოინდომა თავად ყოფილიყო გა-
სართობი, ოღონდ ინტელექტუალური
(ირონიულ-პაროდული პოეზია). ან
ცხოვრებისეული სატკივარის ჩვენე-
ბით ისევ მივიზიდა აუდიტორია (მ. მა-
ქავარიანი, მ. ლებანიძე), პათეტიკით,
ჰეროიზმით გამოეფხიზლებინა ობიექ-
ტელური საზოგადოება (შ. ნიშნიანი-
ძე), შეენარჩუნებინა ადამიანური სი-
თბო და სინაზე (გ. გეგეჭკორი, ა. კა-
ლანდაძე, ჯ. ჩარკვიანი, ტ. ქანტურია).

პარალელურად ვერლიბრისტების უმ-
რავლესობამ თავადვე უარყო კომუნი-
კაბელობა, უარყო პრინციპი იმის შე-
სახებ, რომ ხელოვანი იოლი ვასაგები
იყოს. მან თვითდაცვის სტიქიის კარნა-
ხით მოინდომა არა ობიექტელთა, პრაქ-
ტიკოსთა, მომხმარებელთა გარდაქმნა,
არამედ — მათგან განდგომა თუ ამა-
ღლება. ახალთაობის პოეტებმა იგრძ-
ნეს, რომ ასეთმა პოზიციამ შედეგი
ვერ გამოიღო და მკითხველი კიდევ
უფრო დააკლდა პოეზიას. ამიტომ მათ
ორიენტირი აიღეს ბუნებრივი გრძნო-
ბებისა და ნათელი სტილისაკენ. მთა-
ვარი, როგორც ითქვა, მაინც ხარის-
ხია, ღირებულება იმისა, რაც შეიქმნა.
პოეზიას არ სჭირდება ათწლიდები, რა-
თა თანდათან გამოიკვეთოს. იგი სტი-
ქიურად პოულობს ახალ სახესა და ყა-
ლიბს, რომელსაც, ცხადია, უძღვის
რთული, მძიმე და მტანჯველი სულიე-
რი მიმოქცევა, მაგრამ ეს ყოველივე
მკითხველისათვის უცნობია. ის ელო-
დება და ღებულობს შედეგს. შეიძლე-
ბა პოეტი საინტერესო იყოს მთლიანი
შემოქმედებით, მაგრამ ცალკეული გა-
მოკვეთილი ქმნილებანი ნაკლებად
ჰქონდეს და პირიქით — ზოგჯერ სწო-
რედ ცალკეულ ნაწარმოებებშია კონ-
დენსირებული ენერჯია, ხოლო როცა

ამავე ავტორის წიგნებს ვკითხულობთ, უკმარობის გრძნობა გვიპყრობს. ახალგაზრდა პოეტი გვანსომდება ცალკეული ლექსებით, რადგან მისი მხატვრული თვალთახედვა ეს-ესაა იქმნება. მაგრამ, როგორც ითქვა, ორიენტირი, საგნებთან მიმართება, გამოხატვის ძალა უკვე საგრძნობია, ისევე როგორც ცალკეული ფასეული ლირიკული ქმნილებანი.

კრებული, რომელსაც სომეხი მკითხველი გაეცნობა, მოიცავს იმ პოეტთა ლექსებსაც, რომლებმაც კარგა ხანია მკითხველთა ყურადღება მიიქციეს და მხოლოდ პირობითად თუ გუწოდებთ ახალგაზრდებს, ერთგვარი ინერციით (რ. კალანდია, მ. ხეთაგური, ვ. ნიჟარაძე, ნ. ნეკერიშვილი, დ. ჭუმბურიძე, ვ. ჩხიკვაძე, ე. დავითაძე). მათი პირველი წიგნები ხომ 10-15 წლის წინათ

დაიბეჭდა. მათ მიერ პოეზიაში გახდელი გზა საინტერესოა და რთული. ხოლო ინტერესები მხოლოდ რეალურად არ შემოფარგლულა. ერთმანეთს გამოაქვეყნა (ვ. ჩხიკვაძე), მეორემ — სამეცნიერო მუშაობა შეუთავსა პოეზიას (დ. ჭუმბურიძე), მესამე და მეოთხემ — საეურნალო-საგამომცემლო მუშაობა (ე. ნიჟარაძე, ე. დავითაძე).

როგორც ვხედავთ, ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში გამოიყოფა არერთი განსხვავებული თვალსაზრისი, სტილური ხაზი, რომელთა შეჭახება თავისთავადაც იძლევა წინსვლის სტიმულს. ლიტერატურას სჭირდება ყოველგვარი ფასეული უკადურესობა, რათა ასეთი მრავალბიძანობით, ძალთა წინააღმდეგობით იყოს აწმყოდან მომავლისკენ მიმართული.




თენგიზ ჩხაიძე

პირველად იყო საქმე

ათეული წლების მანძილზე ჩვენს მწერლობაში უმთავრესად ზნეობის დაქვეითებისა და „სოციალური კოროზიის“ პროცესის გაცნობიერება ხდებოდა, მწერლობის მათოსი აქეთ იყო მიმართული. მას შემდეგ, რაც სიმართლე მაღალი ტრიბუნიდანაც ითქვა და იგი, ასე ვთქვათ, „სანქცირებულ იქნა“, მთავარი სხვა რამ გახდა. ახლა აღარ მოითხოვს მოქალაქეობრივ

გამბედაობას საზოგადოებრივ მანკირებათა მხილება. მართალია, სიმართლის ბოლომდე და ობიექტური თქმა ჯერაც ვერ გვისწავლია, ჯერაც არ გადაგვიღახავს ყველა „აკრძალული ზონა“, ზოგი ცრუბენტელა კალმოსანიც აფრიალებს სიმართლისა და მიუდგომლობის დროშას დიდი პრესის ფურცლებზე, ოღონდ, ერთი რამ უდავოა: ყველამ, დიდმაც და პატარამაც, ვალი-



რეთ, რომ ასე უკან უკან სვლა აღარ შეიძლება.

როცა ცალკეული პიროვნება ან მთელი საზოგადოება გზაჯვარედინზე აღმოჩნდება, უმაღლესი კითხვა აღიძვრის: საით? ოპტიმალური გზის არჩევა ბევრად არის დამოკიდებული განვლილი გზის სწორ შეფასებაზე. თუ გინდა, წინ გაიხედო, ჯერ უკან უნდა მიმართო მხერა. ერთი პირობის დაცვა ამ დროს საჭიროა: არც მხოლოდ კარგი უნდა ეძიო წარსულში და არც მხოლოდ ცუდი დღინახო. ეს ან წარსულის გაიდევალურებამდე მიგიყვანს, ან მის სრულ უარყოფამდე. არადა, ჩვენი მიდგომა წარსულისადმი, ასევე აწმყოსადმი, ამ ფრიად გამძაფრებული საზოგადო კამათის უამს, ხშირად სწორედ ცალმხრიობით სცოდავს.

კრიტიკული აზროვნება და საზოგადოებრივი თვითშემეცნება მოითხოვს ჩვენი თავის მიმართაც იგივე საზომი მოვიმარჯვოთ, რასაც სხვათა მიმართ ვიყენებთ. ახალა ვიწყებთ ნელ-ნელა თავის დაღწევას იმ ჩვეულებისაგან, როცა ერთსა და იმავე მოვლენას, ვთქვათ, დამახასიათებელს სოციალური ფსიქიკისათვის, სხვადასხვაგვარი შიზენებით ვხსნით ხოლმე იმისდა მიხედვით, „ჩვენზეა“ ლაბარაკი თუ „იმათზე“. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფსიქოლოგიური მოვლენა, როგორცაა გაუცხოება. ლიტერატორთა დიდი უმრავლესობა ამის მიზეზს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასა და ურბანიზაციის პროცესში ხედავს. ეს ლამის მოდურად ქცეული თვალსაზრისი, ეტყობა, დასაყვების მოაზროვნეთა ერთი ნაწილის შეხედულების მექანიკური გამოძახილია. არადა, თვალში გვევმით ერთი შეუსაბამობა. როცა ჩვენი ფილოსოფოსები წერენ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხებზე და ანალიზებენ გაუცხოების პრობლემას, როგორც დასაყვების სულიერი ცხოვრების კრიზისის ერთ-ერთ არსებით გამოვლინებას, იმ ცნობილ თვალსაზრისს იზიარებენ, რომლის მიხედვითაც გაუ-

ცხოვრების მთავარი მიზეზია დასაყვარი წარმოების წესი, ამ წესით რეალური ცხოვრების ყაიდა და სისილირი ღირებულებითი ორიენტაცია. რაკი ასეა, რატომ იმავე დეალთახედვით არ უნდა შევხედოთ ჩვენში წარმოშობილ ანალოგიურ მოვლენას? რატომ გვევონია, თითქოს ჩვენებური წარმოების წესი უცვლელი კატეგორია იყოს? შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ამ კატეგორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, როგორც მისი მიზანია, ცვლილება და დეფორმაცია არ განეცადოს? შემთხვევითია თუ არა ამ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთი ეკონომისტი ცდილობს გადასინჯოს დღემდე კანონიკურად მიჩნეული სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ფორმულირება? ერთს პირდაპირი იერში მიაქვს სოციალისტური წარმოების მიზანზე (ბოგომოლოვი). მეორე შემოვლითი გზით მოქმედებს: ძირითადი ეკონომიკური ამოცანის გაუფასურებას ცდილობს. რა საჭიროა იმ მიზანს ვისახავდეთ, რაც შეიძლება მეტი დოვლათი ვაწარმოოთ ერთ სულ მოსახლეზე? ვის ვეჯობრებით ან რას ვეჯობრებით? მცდარ თვალსაზრისს ავყოლივართ და ის არის (ლისაჩენი). ამგვარ მსჯელობას რომ წააწყდები კაცი, უნებურად კატისა და ძეხვის ცნობილი ანდაზა გაგახსენდება. ჯერ კიდევ ამ სამი ათეული წლის წინათ აღიარებით მაინც ვალიარებდით, კატა ძეხვს უსათუოდ უნდა შესწვდესო. რაკი მის აქეთ რამდენჯერმე ნახტომი შეგვეშალა, ახლა ზოგი სერიოზულად გვარწმუნებს, კატას ძეხვი ნეტა რად უნდა, ბოსტნეული უფრო შეერგებაო. ანდაზა იქით იყოს და, ზემოთ განხილული მაგალითის მიხედვით ერთი რამ ნათელია: ზედნაშენური კატეგორიის დეფორმირების კვლევისას ბაზისს თუ არ ჩავუღრმავდით, ისე კვლევა ზერულე გამოგვივა.

განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღესდღეობით იმ საკითხის გარკვევა, აზროვნების რა წესს ვემყარებით ხოლ-

მე ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის შეცნობისას. ფორმალური წარმოდგენის თანახმად, წესი ერთიანი გვაქვს. სინამდვილეში კი ასე არ არის. თუ თვალს გადავაგვლებთ ჩვენს მწერლობას დაახლოებით ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე, შევამჩნევთ, რომ ორი სხვადასხვა წესი გამომქვანდა და განვითარდა. ერთია წესი, დამახასიათებელი უპირატესად იმ ლიტერატურული ფრთისათვის, რომელიც მითოლოგიებისა და იგავურ-პარაბოლური აზროვნების ტენდენციას ავლენს. ამ ფრთის უპირველესი და უდავო დამსახურება ისაა, რომ იმთავითვე გაბედულად დასვა და მხატვრული კვლევის საგნად აქცია ისტორიული პროგრესის, კარდინალური საკითხი. დასმულ კითხვას მან უარყოფითად უპასუხა და ამით ერთბაშადვე გააცხადა სიმართლე, გააცნობიერა კრიზისი (პარაბოლული ენით). ეს კია, კრიზისის მიზეზები დამაკმაყოფილებლად ვერ ახსნა. უმთავრესი მიზეზი ადამიანის ბიოლოგიურ თვისებებში, ადამიანის ბუნებასა და ამ ბუნების უცვლელობაში დინახა. ამგვარ ქმნილებათაგან ქრონოლოგიურადაც და მხატვრული მნიშვნელობითაც, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „დათა თუთაშხია.“ ხსენებული ლიტერატურული ფრთის კრედოს მიესადაგება ცნობილი ბიბლიური დებულება: „პირველად იყო სიტყვა“ (ითანეს სახარება).

მეორეა აზროვნების ის წესი, რომელიც უმთავრესად ნიშანდობლივია ე.წ. „მახილებელ ლიტერატურად“ წოდებული ნაკადისათვის და რომლის ასახვის თემა უშუალოდ თანამედროვე ჩვენი ცხოვრება, საზოგადოებრივი ზნეობა და მეტადრე მისი მანკიერი მხარეებია. ამ ნაკადის საუკეთესო წარმომადგენელნი მორალური დეგრადაციის ძირითად მიზეზს ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში ხედავენ. მათს თვალსაზრისს შეეფერება ასევე ცნობილი დებულება:

„პირველად იყო საქმე“ (გოგთეს „ფაუსტი“).

თანამედროვე რუსული ლიტერატურის განვითარების პროცესში უფრო რე ემპირიული სინამდვილის მხატვრული ანალიზის გზით წარიმართა. ამ პროცესმა მოიცილა განვლილი სამოცდაათი წლის თითქმის ყველა ცალკეული პერიოდი. შემაჯამებელი ზოგადი დასკვნისკენ ეს მწერლობა ჩვენზე უფრო ნელ-ნელა მიიწევდა. უფრო ნელ-ნელა, მაგრამ უფრო საფუძვლიანად. უთუოდ ღირს დაუფიქრდეთ იმას, რატომ გამოდგა იქ კრიზისის აღიარებისაკენ მიმავალი გზა უფრო გრძელი. მითოსური ტრადიციის სიღარიბეზე მითითება აქ საბუთად ვერ გამოდგება. თანამედროვე რუსულ მწერლობას რომ დროულად ეგრძნო და ეცნო საჭიროება ხელოვნების პირობით-სიმბოლური ფორმის გამოყენებისა, იგავურ-პარაბოლური თქმისა ან ფანტასმაგორიის ფორმისაკენ მისწრაფებისა, მას რომ ამგვარი მხატვრული მიზანი დაესახა, მოახერხებდა კიდევ ამას (მაგალითი: ბულგაკოვი. მისი რომანი „ოსტატი და მარგარიტა.“) მაშ, რა უნდა ვიგულოთ მიზეზად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში გვეხმარება დღევანდელი რუსული ბელეტრისტიკა და განსაკუთრებით პუბლიცისტიკა. რისი ბრაღია ეს მეტამორფოზა? არა გვეგონია, შევცდეთ, თუ ვიტყვით: უმთავრესად იმ მორალური პასუხისმგებლობის ბრაღია, რასაც რუსული მწერლობა გრძნობს (დრო-ყამამდე კი ქვეშეცნეულად გრძნობდა) ისტორიული პროგრესის ბედისათვის, როგორც იმ ერის თვით-ცნობიერების გამომხატველი, რომელსაც ამ პროგრესის მეზაირახტრედ მიანიჭა თავი არცთუ უსაფუძვლოდ და უსამართლოდ. რასაკვირველია, არც ის არის ადვილი საქმე, შენს თავს გამოუტყდე, რაოდენ გამართლებული იყო მსხვერპლი.

მაგრამ მივუბრუნდეთ ქართულ მწერლობას. ერთი ნაწილი სიტყვაჯამებული ნაწარმოებებისა და ლიტერატურულ-

კრიტიკული წერილებსა, ამ ბოლო დროს კი ზოგიერთი პუბლიცისტური გამოსვლაც მოწმობს, რომ სულ უფრო მეტად იკრებს ძალას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც „პირველად იყო სიტყვა.“ არადა, როცა გოეთემ თავის ფაუსტს ეს დებულება გადაასინჯინა და ათქმევინა, პირველად იყო საქმეო; ეს არ გაუქმებია შემთხვევით. ამით მან გარკვეულწილად შეაჯამა საიმდროო კაცობრიული ცოდნა და აღიარა მატერიალისტური თვალსაზრისის უპირატესობა. ეს ძველი დავა ფილოსოფიის ორ ძირითად მიმართულებას შორის, ჩვენში თითქოსდა უკვე გადაწყვეტილი, კვლავ ახლდება და რადგან სწორ, ანუ მეცნიერულ მსოფლმხედველობას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი შემდგომი განვითარებისათვის, ამ საკითხს ამთავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

აქ საჭიროა შევნიშნოთ ერთი რამ. ჩვენში იდეალიზმი დიდხანს საღანძღავ, ლამის საშიშ სიტყვად იყო ქვეყნული, იდეალისტი ლამის პოლიტიკური მტრის ტოლფარდ ცნებად მიგვაჩნდა. არადა, ფილოსოფიის ისტორიაში იდეალიზმის დამსახურებათა უარყოფა არავის შეუძლია. მართო ის რად ღირს, რომ ანალიტიკური აზროვნებისათვის ესოდენ საჭირო იარაღი — დიალექტიკური მეთოდი — დასრულებულმა იდეალისტმა ჰეგელმა ჩამოაყალიბა და გამოსჭედა თავისი საბოლოო სახით. ჩვენს დროში იდეალიზმი მატერიალიზმზე გაცილებით უფრო მეტად დაინტერესდა საკუთრივ ინდივიდუულობით, მისი შინაგანი რაობით, გაცილებით უფრო მეტი ყურადღება მიაპყრო ადამიანს, როგორც ფილოსოფიურ პრობლემას. აშკარად დაწინაურდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხთა კვლევისას (საკმარისია თუნდაც ეგზისტენციალიზმი დავასახელოთ). იდეალიზმი საოცრად მგრძნობიარე ადამიანის სულიერი სატიკერის მიმართ,

ხელაღვე შენიშნავს ხოლმე ამ სატიკერის სიმბტომებს, ესწრაფვის მის განხილვას (სხვა საქმეა, რამდენად სწორად სწვდება ამა თუ იმ პრობლემის მიზეზს და რამდენად რეალურია მის მიერ დასახული გამოსავალი გზა).

კიდევ ერთი შენიშვნა. აქამდე კაცს გარკვეული სიფრთხილე გამართებდა ფილოსოფიური ტერმინების გამოყენებისას. ვინმეზე რომ გეტქვა, იდეალისტურ თვალსაზრისზე დგასო, ეს შესაძლოა, ბრალდებად, ლამის პოლიტიკურ ინსინუაციად მიეჩნიათ. ამჟამად, დემოკრატიულობისა და საჯაროობის ვითარებაში, როცა ვაღიარებთ, საჭიროა პატივს ვცემდეთ ერთიმეორის განსხვავებულ შეხედულებასა თუ თვალსაზრისსო, შეგვიძლია საგნები თავ-თავიანთი სახელებით მოვიხსენიოთ. რაკი ამაზე შეგთანხმდით, მოდით, მსჯელობაც პირდაპირ, უნართაულებოდ წარგმართოთ.

ამ ბოლო დროს, წერილობით თუ ზეპირ გამოსვლებში ხშირად გამოტყვამენ იდეალისტურ თვალსაზრისს ადამიანსა და საზოგადოებაზე.

ქვეიანი და ღირსეული ლიტერატორი იმითაც არის კარგი, რომ გულახდილად, პირდაპირ და მიუკბიბავ-მოუკბიბავად გამოთქვამს თავის თვალსაზრისს: უარყოფს მატერიალიზმის ძირეულ დებულებას საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობის თაობაზე, ყოველ პიროვნებას უფლება უნდა ჰქონდეს, ის თვალსაზრისი გაიზიაროს, რაც პირადად მას სარწმუნოდ მიაჩნია. ოღონდ აზრის თავისუფლება, უფლება იმისა, განსხვავებული თვალსაზრისი გვექონდეს ერთსა და იმავე საკითხზე, სულაც არ ნიშნავს ხელის აღებას ქვეშაირიტების გარკვევის მოთხოვნაზე. არის თუ არა გასაზიარებელი ისტორიული მატერიალიზმი, მისი ძირითადი დებულება? ზოგს შეიძლება რაღაც სქოლასტიკური დავის საგნად მოეჩვენოს ეს ამბავი. სინამდვილეში კი უადრესად პრინციპული მნიშვნე-

ლობა აქვს, მეტადრე ამჟამად, როცა ვესწრათით წარსულისა და აწმყო ვითარების გაგებასა და შეფასებას.

კარგა ხანია ისტორიულ მატერიალიზმს დამტყვერებელ კარდაღში მიუღწიანთ ადგილი სამუზეუმო რელიქვიასავით; გამოყენებით თითქმის აღარ ვიყენებთ. ცნობილია: მთელ პერიოდს ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისას პარტიამ კვალთფიქაცია მისცა, როგორც „სუბიექტივიზმისა“ და „ვოლუნტარიზმის“ პერიოდს. სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი ნაირსახეობაა სუბიექტური იდეალიზმისა და ისევე შორს არის ისტორიული მატერიალიზმისგან, როგორც ცა დედამიწისაგან. აქ არ შეგვხვებით მისი წარმოშობის საკითხს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თავად მოვლენა დავგმობთ კი დავგმეთ, ოღონდ ამოძირკვით ვერ ამოვიძირკვეთ ჩვენი აზროვნებიდან და პრაქტიკული საქმიანობიდან. სახელმწიფოებრივი და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისას; საზოგადოებრივი პროცესების მართვისას, მეცნიერულ მიდგომას კი არ ვანიჭებდით უპირატესობას, საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს კი არ ვემყარებოდით, უფრო მეტად სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის კარნახით ვმოქმედებდით. ისტორიულმა მატერიალიზმმა კი არ მოიტანა გარდაქმნის საჭიროება, გადაწყვეტი როლი ამ მხრივ სუბიექტურმა იდეალიზმმა ითამაშა, ასე რომ, გარდაქმნის შედეგებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომელი თვალსაზრისი მოიპოვებს პრიორიტეტს.

ისტორიული მატერიალიზმის ოპონენტი, ა.ე. ბაქრაძე არ იზიარებს ისტორიული მატერიალიზმის ქვაკუთხედ დებულებას, რადგან, მისი აზრით, ეს დებულება ყოფიერების მონა-მორჩილად აცხადებს ცნობიერებას. ყოფიერება მასის ცნობიერებას განსაზღვრავს და არა პიროვნებისას, ამბობს: იგი. ამრიგად, მასაზე ერთი კანონი მოქმედებს, პიროვნებაზე კი — სხვა. მაგრამ კანონი,

რომელიც ერთ შემთხვევაში მარტოდება, მეორეში კი — არა, აღარ არის კანონი. ძნელი შესამჩნევია რადიკალიზმი პიროვნებისა და მასის ეს სრული ურთიერთგამიჯენა არსებითად იგივეა, რაც გმირისა და ბრბოს ტრადიციული ურთიერთდაპირისპირება, ანუ თვალსაზრისი, აწ უკვე ისტორიული მეცნიერების განვლილ ეტაპად რომ ითვლება. ადამიანები რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფსიქო-ბიოლოგიური თვისებებით, ნებელობით, გამბედაობით, გონებრივი მონაცემებით და ა. შ., ეს საცხებით ცხადია, არც იმას უარყოფს ისტორიული მატერიალიზმი, პიროვნება: რომ დიდ როლს ასრულებს ისტორიაში. ოღონდ გაუვად უფსკრულს არ ქმნის პიროვნებასა და მასას შორის. განვიხილოთ ეს საკითხი აკაკი ბაქრაძის მიერვე მოზამბილ ისტორიულ მაგალითზე. ბიბლიურ მოსეს განუზრახავს, ეგვიპტეში ტყვედმყოფი თვისტომნი ქანაანისკენ, წინაპართა მხარისკენ წაიყვანოს. მოსე, მართალია, პირადად განცხრომით ცხოვრობს, მაინც თვისტომთათვის შესტიკვა გული, სურს, მძიმე ზვედრი ააცილოს მათ. თანამემამულენი კი მონურ შრომასა და ყოფას შერიგებიან. ამრიგად, ერთ მხარეზეა ბედის ურჩი გმირი, თვისტომთა ხსნის იდეით შთაგონებული, მეორე მხარეს კი — ბედის მონა-მორჩილი მასა. მართალია, მესიანისტური იდეა მოსეს ღმერთმა იაჰვემ ჩააგონა ბიბლიური თქმულების მიხედვით, მაგრამ თავისთავად ამ ფრიად საგულისხმო გარემოებას ამჯერად ნუ მივაქცევთ ყურადღებას, ნუ ვისარგებლებთ ამით ჩვენი პოზიციის გასაძლიერებლად. ვთქვათ, მოსე ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ყველაფერი თავისით, ზეშთაგონების გარეშე გადაწყვიტა. ოღონდ საინტერესო აქ ისაა, როგორღა მოხდა, აქტიურ გმირს პასიურმა ბრბომ რომ მხარი აუბა, როგორ მოაწებდა უფსკრულით გათიშულ ამ ორ მხარეს შორის დამაკავშირებელი ხიდის გაღება? როგორ გასწია

ამოდენა რისკი ხვედრს შერიგებულმა მასამ, როგორ არ შეუშინდა ესოდენ ძნელსა და ხიფათიან გზას? ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ იმის წყალობით, რომ გარეგნულად ბედს შერიგებული მასის გულში ღვიოდა უკმაყოფილების გრძნობა, ღვიოდა ბუნდოვანი სურვილი თუ მისწრაფება, თავი დაეღწიათ მძიმე ყოფისათვის. მძიმე ყოფამ არამარტო შეგუების გრძნობა წარმოშვა, მისი უარყოფელი, საპირისპირო გრძნობაც დაბადა, წარმოქმნა შინაგანი წინააღმდეგობა, ლტოლვა თავისუფლებისაკენ. ამიტომაც მოიპოვა გმირმა მასის მხარდაჭერა, ამიტომ მოხერხდა მათ შორის ერთსულოვნების მიღწევა. ამ ნიადაგზე გასჭრა მოსეს სიტყვამ, აგიტაცამ, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ. აქედან ცხადია: ცნობიერება, გინდაც მასის ცნობიერება იყოს, არა მხოლოდ შემგუებლური თვისების მქონეა, არა მხოლოდ მორჩილია ყოფიერებისა, იმავე დროს ურჩიცაა, მემბოხეცაა. სწორედ ეს ორმაგობა, ეს ამბივალენტურობა არ ესმის მეტაფიზიკური აზროვნების წესის მიმდევარს. როგორც ცნობილია, მეტაფიზიკოსი ასე მსჯელობს: ჰო — ჰო, არა — არა, რაც ამაზე მეტია, ის ეშმაკისაგანაა. მისთვის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს, ან კარგია იგი, ან — ცუდი. მეტაფიზიკოსს არ ესმის ან არ სურს გაიგოს, რომ საგანსა თუ მოვლენას ერთსა და იმავე დროს შეიძლება ორი სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო მხარე ჰქონდეს — კარგიც და ცუდიც. აქამდე ჩვენ იდეალისტური თვალსაზრისის ერთ ნიშან-თვისებაზე ვლაპარაკობდით — სახელდობრ, ცნობიერების პირველად ფაქტორად მიჩნევაზე. ახლა ამას მეორე ნიშანიც უნდა დავმატოს — სინამდვილის შეცნობისადმი მიდგომის თავისებური მეთოდი, კერძოდ, მეტაფიზიკური მეთოდი.

რომელი მსოფლხედვა უფრო სწორად ხსნის საზოგადოებრივ მოვლენებს, იდეალიზმი თუ მატერიალიზმი?

მიემართოთ შეპირისპირებას. შორს წავალთ, აგერ გარდაქმნის ფაქტი ლოთ, როგორც ფრიად თვალჩინება მავალითი. რამ გამოიწვია ვარდსა იდეალისტი გიბასუხებთ: ახალმა აზროვნებამ. მართალია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საბოლოო პასუხი, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: საიდანაა გაჩნდა ეს ახალი აზროვნება და რატომ სწორედ ამჟამად გაჩნდა? საქმარისია დასვა ეს კითხვა და პასუხიც არ გავიკირდებ. დიან, ეკონომიკის რეგრესმა და სოციალურ ურთიერთობათა რღვევამ გვაძულა, გავგეცნობიერებინა კრიზისი. კრიზისის გაცნობიერებას კი მოჰყვა გამოსავალი გზის ძიება, ახალი აზროვნება, შეგნება გარდაქმნის საქიროებისა. ასე რომ, ახალ აზროვნებას, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ყოფიერებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი განვითარების თავისებურებაში უდევს სათავე.

იმ კარდინალურ კითხვაზე, თუ რა რას უნდა უსწრებდესო წინ, ეკონომიკური რეფორმები საზოგადოებრივი შეგნების გარდაქმნას, თუ პირუტყუ, მატერიალისტურად მოაზროვნე სრულიად გარკვევით უპასუხებს: ჯერ ეკონომიკური რეფორმები უნდა განხორციელდეს, ამის საფუძველზეა განხორცება შესაძლებელი საზოგადოების ფსიქიკის, მისი ზნეობის გარდაქმნა. რა არის დღევანდელი ჩვენს საზოგადოებრივი ფსიქიკის დეფორმაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი? საზოგადოებრივი შრომის გაუფასურება. მადლობა ღმერთს, დღეს ამას უკვე საჭაროდ ვაღიარებთ. ფართოდ ფეხმოკიდებული მრავალგვარი ბოროტების მთავარი წყარო სწორედ ის არის, რომ ჩვენში შრომას აღარ აქვს ღირსეული დაფასება. აქ ერთი პარადოქსი შეინიშნება. ოფიციალური იდეოლოგია გვაჯალღებულებს, შრომის ძირითად სტიმულად მატერიალური მხარე, საარსებო საშუალებათა მოპოვება მიგვაჩნდეს. სინამდვილეში კი როგორ წარგმართეთ საქმე? უმთავრესად შიშველ ენთუზიაზმზე

დედამყარეთ იმედი. იმგვარი პირობები შევქმენით, პატიოსანი შრომა პირადი მოწამეობის, ლამის ზნეობრივი გმირობის ფასად უჯდება ადამიანს. და სანამ ღრმავროვნად ვმარჩიელობდით, რა არის ჩვენში შრომის უპირატესი სტიმულატორი, მატერიალური დაინტერესება თუ მორალური მხარე, სანამ ლექცია-პროპაგანდა გვექონდა გაჩაღებული, ამასობაში მუშის „მატრველ-მყვლეფავ“ კაპიტალისტს არ ეძინა. იდეალისტურ მსოფლმხედველობას მისთვის ხელი არ შეუშლია, წარმოების მართვის საკითხებში კარგად გაეგო მატერიალისტური აზროვნების ფასი, გაეგო „ადამიანის ფაქტორის“ როლი. იმ კაპიტალისტმა შრომის ისეთი პირობები და ანაზღაურება უზრუნველყრო, საყოფაცხოვრებო მომსახურებაც ისეთ დონეზე დააყენა, საქმის კეთებისას მუშაკს სხვაგან არ მიუბრუნდეს ფიქრი, საქმეს ვულს უდებდეს, ოჯახური საზრუნავის მოსაგვარებლადც მინიმალური დროისა და ენერჯის დანაჯვია სჭირდებოდა. კაპიტალისტი ყველაფერს აკეთებს შრომის მაქსიმალური ეფექტურობისათვის, სიტყვაზე წინ საქმეს აყენებს. ამიტომ შრომის ნაყოფიერებითაც გვისწრებს და ცხოვრების დონითაც.

მეტაფიზიკურ იდეალიზმზე მსჯელობა დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, თუ ერთ გარემოებასაც არ გავუსვამთ ხაზს. ეს არის საკითხი ადამიანის პირადი მორალური პასუხისმგებლობისა, ზნეობრივი მაქსიმალიზმისა. ძნელია, მორალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა გადაჭარბებით შეაფასო კაცმა, ოღონდ ამან იქამდე არ უნდა მიგვიყვანოს, ადამიანს გაუმართლებელი, ლამის აბსურდული მოთხოვნა წაუყენოთ. არადა, არცთუ იშვიათად სწორედ ამგვარ მოთხოვნამდე მიდის მეტაფიზიკური იდეალიზმის მიმდევარი, რასაც მოსდევს ზნეობრივი კრიტიკიუმის გააბსოლუტურება. თუ ადამიანის საქციელი ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში „ზნეობრივი“ კრიტიკიუ-

მით უნდა განესაჯოთ, მაშინ ხელოვნებით უარყოფთ უსამართლო პირობებს, დანაშაულებრივ გარემოებებს ^{სადაც არაა} ^{სადაც არაა} ერთიმეორეს ვუთანაბრებთ, ვაიგოვებთ სამართლიანობასა და უსამართლობას, თუ საზოგადოებაში შექმნილია დანაშაულის ჩადენის მაიძულებელი პირობები, იმის უაპელაციო მოთხოვნა, საკუთარი თავი მსხვერპლად უნდა ვაილოთ, ნიშნავს, უდანაშაულო ადამიანის თვითდასჯის გზით ცდილობდე უსამართლობის მოსპობას, ზნეობის მეშვეობით ლაშობდე სოციალური პრობლემების გადაჭრას. ნუთუ ამით თვითგვემის კულტივირებას არ ეახდენთ? თვითგვემ, თვითტანჯვა, ხორციელ მოთხოვნილებათა დათრგუნვა ქრისტიანული ასკეზის ერთი უმთავრესი პირობა გახლდათ და თავის დროზე, თავის ადგილას გარკვეული გამართლებაც ჰქონდა, თანაც ქრისტიანული მოძღვრების მთლიან კონტექსტში მოკცეულს. მაგრამ სწორედ ქრისტიანობის ისტორია ააშკარავებს მეტაფიზიკური იდეალიზმის ამ სუსტ, ნაკლოვან მხარეს. აბა, განესაჯოთ.

ისეთ ჰუმანურ ეთიკურ პრინციპებზე დამყარებულმა იდეოლოგიურმა მოძრაობამაც კი, როგორც ქრისტიანობა გახლდათ, თავიდან ვერ აიცილა კრიზისი. ეს კრიზისი შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა, არც მისი გაცნობიერება მომხდარა ერთ მშვენიერ დღეს, ისიც ვისიმე ახირებით. ვიდრე ნიციშე განაცხადებდა, ღმერთი მოკვდაო, ფორებანამა თქვა, ღმერთი ადამიანის მიერვე შექმნილი ფიქცია არისო. ხოლო უფრო ადრე, უკვე მე-18 საუკუნეში, ფრანგ განმანათლებელთა ერთი ნაწილი მივიდა ათეისტურ რწმენამდე. სამტოტა გზა მიემართებოდა თეიზმიდან ათეიზმისაკენ. ერთი ნაკადი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება იყო. ამ მეცნიერებათა განვითარების კვალობაზე თანდათან ნათელი ხდება, რომ „სადმართო წერილში“ გამოთქმული შეხედულებანი სამყაროს შექმნაზე, ცხოველებისა და ადამიანის

წარმოშობაზე; ასევე საეკლესიო სწავ-
ლება გეოცენტრულ სისტემაზე და
სხვა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.
რაკი „სამართო წერილი“ თვით ღმერ-
თის ჩავიხივებით შექმნილ წმინდა წიგ-
ნად ითვლებოდა, ბუნებრივია, ღმერ-
თის ავტორიტეტიც ილახებოდა. უზე-
ნაესი აღარ გვევლინებოდა ყოვლის-
მკოდნედ. მეორე ნაკადი მატერიალის-
ტური თვალსაზრისის განვითარება
გახლდათ. თეიზმის ბატონობის ვითა-
რებაში მატერიალიზმი ნელ-ნელა, მაგ-
რამ მაინც იკაფავდა გზას, რადგან ბუ-
ნების მოვლენების სწორი, მეცნიერუ-
ლი ახსნა სულ უფრო მეტად მოითხოვ-
და მატერიალისტურ თვალსაზრისზე
დადგომას. მატერიალისტური თვალ-
საზრისის განვითარება კი თვით ღმერ-
თის არსებობის რწმენას უთხრიდა
ძირს; ყოველი რელიგიის საფუძველთა
საფუძველი ხომ სულის სხეულისაგან
დამოუკიდებლად არსებობის რწმენაა,
მესამე ნაკადი სოციალური კონცეფ-
ციის, სოციალურ შეხედულებათა ევო-
ლუციით გამოიხატა. მეცნიერებისა და
ტექნიკის პროგრესმა, წარმოების
სწრაფი ტემპით წინსვლამ ახალ დრო-
ში ჩასახა იმედი და თანდათან განამ-
ტკიცა რწმენა, შესაძლებელია „ზე-
ციური სამოთხის“ დედამიწაზე დამკვი-
დრებაო. რაც უფრო ფეხს იკიდებდა
სოციალური სამართლიანობის პრინ-
ციპებზე დამყარებული საზოგადოების
აშენების თეორიული აზრი, მით უფრო
მეტად ეხსენებოდა გზა სოციალურ
უსამართლობათა მხილებას, საზოგა-
დობრივ მანკიერებათა საჯაროდ დაგ-
მობას. სოციალური უსამართლობის
კრიტიკა კი ისევ ღმერთის ავტორი-
ტეტს არყვედა ნებსით თუ უნებლიედ.
იმიტომ რომ, მამაზეციერი აღარ გა-
მოდოდა ყოვლადკეთილი და ყოვლად-
სამართლიანი. ქრისტიანული მოძღვრე-
ბის კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი
მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ზნეობ-
რივი მაქსიმალიზმის მეშვეობით ცდი-
ლობდა სოციალურ უსამართლობათა
დაძლევას. სწორედ ამ გზით ესწრა-

ფოდა იგი, მამლარსა და მშვიერს შორის
მშვიდობა და სათნოება დაემყარებინა.
შეიძლება გვითხრან: მაქსივარტული
გორც ახალი მცნების დამამკვიდრებე-
ლი, შეგონებაზე ამყარებდა იმედს,
მხოლოდ დარწმუნების მეთოდს იყე-
ნებდა და იმიტომაც აღმოჩნდა უძლუ-
რი, მისმა სიტყვამ ხორცი იმიტომაც
ვერ შეისხაო. ამგვარი მოსაზრება
უმართებულო იქნებოდა, იგი ეწინააღ-
მდეგება სინამდვილეს. თავი რომ გავა-
ნებოთ კათოლიკური ეკლესიის მიერ
შექმნილ ისეთ მრისხანე სასამართლო-
სადაამსჯელო ორგანიზაციას, როგო-
რიც იყო შუა საუკუნეებისა მოქმედი
ინკვიზიცია, რომელიც სასტიკად სჯი-
და ქრისტიანული დოქტრინისაგან გან-
დგომილს, თავად ჯგარცმულიც პრინ-
ციპულად როდი გამორიცხავდა თავისი
მცნების დამამკვიდრებელ საშუალება-
თაგან ძალდატანების მეთოდს. გაეჩხე-
ნოთ: იგი ქადაგებდა, მშვიდობის მო-
სატანად კი არ მოვედი, არამედ მახვი-
ლის მოსატანადო. ან კიდევ: ვინც ჩემ-
თან არ არის, ის ჩემი წინააღმდეგია.
ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის აბნევსო.
მართალია, მაქსივარს იგავური მეტ-
ყველება სჩვეოდა, მაგრამ იგავური
თქმა როდი ეწინააღმდეგება ნათქვამის
პირდაპირი მნიშვნელობით გაგებასაც.
ხოლო რას ნიშნავდა, ყოფილიყავ მაქ-
ხოვრის წინააღმდეგი, მისი მორალუ-
რი კოდექსის უარყოფელი? ეს იმას
ნიშნავდა, რომ საუკუნო სასჯელი,
საუკუნო წამება გელოდა იქ, სამუდამო
სამყოფელში. სამაგიეროდ, მაქსო-
ვრის მცნებათა მიმდევარს მარადიული
ნეტარება, სასუფეველი ჰქონდა განაღ-
დებულნი. როგორც ვხედავთ, აქაც გა-
მოყენებულია ორი ჩვეული მძლავრი
ბერკეტი: ჯილდო და სასჯელი. თვი-
ნიერს — ჯილდო; ურჩს, უკეთურს —
სასჯელი. მშვიერს, მაქხოვრის მცნება-
თა მიმდევარს; გზა სამოთხისკენ აქვს
ხსნილი. მამლარს, ქრისტეს მცნებათა
უარყოფელს, ჯოჯოხეთის ცეცხლი
მოელის. მაგრამ ვერც წახალისების,
ვერც დაშინების ამ მეთოდმა უკეთური

საწაღმართო გზაზე ვერ შეიყენა, თვინიერს კი საბოლოოდ შეღავათი ვერ მისცა. ქრისტიანობის ისტორიული განვითარების გზა თუ ჩიხში მოექცა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ მოძღვრებამ ზნეობა სუვერენულ სფეროდ დასაბა და მოიწადინა, რეალურ სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობანი ადამიანის თავში, ცნობიერებაში გადაეწყვიტა. სწორედ ამდაგვარ შეცდომას იმეორებს ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ზომით ახლანდელი იდეალიზმი საერთოდ, განსაკუთრებით კი მეტაფიზიკური იდეალიზმი, როცა მორალური პრობლემების გადაჭრას ლაშობს. მისი ძირითადი იარაღია კატეგორიული იმპერატივი. ცნობიერებას ის უნდა მოვთხოვოთ, რისი ძალაც შესწევს. ცნობიერებას ძალუძს, თვალსაჩინო გახადოს ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობანი, დასახოს ესა თუ ის გამოსავალი გზა, კოლექტიური ნება გასაზიარებელ გზას გაიზიარებს და შეეცდება, შესაძლებლობა სინამდვილედ აქციოს.

* * *

ამჟამად, გარდატეხის პერიოდში, როცა კრიტიკული თვალთ ვინილავთ და ვაფასებთ წარსულს, ესაზავთ მომავლის გზას, თავს იჩენს აშკარა ტენდენცია საგნებისა და მოვლენებისადმი მეტაფიზიკური მიდგომისა. ყოველ შემთხვევაში, ეს ტენდენცია ახასიათებს საკავშირო პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების ერთ დიდ ნაწილს. მათი ავტორები წარსულში მხოლოდ ცუდს ან თითქმის მხოლოდ ცუდს ხედავენ (თუკი იძულებულნი არიან, კარგიც აღიარონ, ამასაც ისე, ფორმალურად აკეთებენ), ხოლო ახლანდელ ცვლილებებში, კერძოდ, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესებში, მხოლოდ კარგის დანახვა სურთ. წარსულის განუკითხავი კრიტიკა, აწყაოში მიმდინარე მოვლენების უკრიტიკოდ მიღება, ასეთია მათი ტაქტიკა, ამგვარ-

მა ცალმხრივმა მიდგომამ ყოველგვარი სიახლისადმი უკვე არაერთგზის შეგუძინა მწარე გამოცდილება. წარსულის ინერცია ჯერაც ვერ დაგვიძლია, თუ ამთავითვე არ გამოვიმუშავებთ ჯანსაღ კრიტიკული მიდგომა მოვლენებისადმი, მერმე გვიანდა იქნება სინანული. როგორც ცნობილია, დიალექტიკა მოვლენას განიხილავს შინაგან წინააღმდეგობაში, მისთვის კარგი და ცუდი სადემარკაციო ხაზით მკვეთრად გამოჩნული კი არ არის, მეტწილად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ერთიმეორეს გადაჯაჭვულია.

აგილოთ, მაგალითად, ახლანდელი საკოოპერაციო მოძრაობა. კარგია იგი თუ ცუდი? ბევრი დადებითად უყურებს მას, ბევრი უარყოფითად. და ცოტა ვინმე თუ იტყვის, ერთსა და იმავე დროს კარგიც არისო და ცუდიცო. თუ საქმეს შევხედავთ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, იმ მიჯნასთან შედარებით, რასაც ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში მივალწიეთ სოციალიზმის წინსვლის მხრივ, მაშინ იგი, ეს მოძრაობა, ცხადია, უკან გადადგმული ნაბიჯია. ამ ოცდაათი წლის წინათ დღის წესრიგში იდგა საკოლმეურნეო საკუთრების თანდათანობით ამაღლება სახელმწიფოებრივი საკუთრების დონემდე. ახლა კოლმეურნეობათა გვერდით (კოლმეურნეობა ხომ კოოპერაციის, კერძოდ, საწარმოო კოოპერაციის ერთერთი გარკვეული ფორმაა) ვქმნით და ვაფართოებთ საწარმოო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სავაჭრო კოოპერატივებს. მაგრამ ყოველი მოვლენა კონკრეტულ დროსთან, ადგილთან და გარემოებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ. როგორც გიჭირდეს, ისე გიღიზნდესო, ნათქვამია. რაკი დღესდღეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა და სახალხო მოხმარების ხარისხიანი საქონლის წარმოება ასე ჩამორჩება, რაკი საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების დონე ესო-

დენ დაბალია, კოოპერაციულმა მოძრაობამ ხელი უნდა შეუწყოს შექმნილი მდგომარეობის ნაწილობრივ მიანც გამოსწორებას. ამდენად იგი გამართლებულ და მიზანშეწონილ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ ამჟამად. ამასთან ერთად, ის უარყოფითი ტენდენციაც უნდა შევნიშნოთ, რაც ამ მოძრაობას თანსდევს ჩვენს ახლანდელ პირობებში. უპირატესი მისწრაფება ჩვენში ჭერჭერობით სავაჭრო კოოპერატივის გახსნისადმი შედგენდება. სავაჭრო კოოპერატივი რომ საკუთარ მეურნეობას, საკუთარ წარმოებას ემყარებოდეს, ე. ი. ერთდროულად საწარმოო-სავაჭრო კოოპერატივი იყოს, სათქმელი არაფერი გვეჩვენებოდა. მაგრამ უმრავლესი მათგანი უკვე წარმოებულ პროდუქტს მოიხმარს, საკომერუნეო ბაზრისა იქნება თუ სახელმწიფო ვაჭრობისა. ეს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ვაჭრობაში გარკვეული სახის პროდუქტის დეფიციტსა ქმნის, ან ზრდის ამ დეფიციტს, მეორე მხრივ კი აძვირებს საკომერუნეო ბაზარს, რომელიც ისედაც ძვირია. ჩვენში რომ მამულიშვილობა ბევრისათვის უკვე სიტყვა არ იყოს და ეს გრძნობა გულში გვიღვივდეს, ამ გრძნობის კარნახით რომ ვმოქმედებდეთ და ვცდილობდეთ, სავაჭრო კოოპერატივის გახსნაში უწინარესად და უმთავრესად დავხმაროთ ხელმოკლე, გაჭირვებული თანამემამულის ოჯახს, ისიც მრავალშვილიანსა და თანაც დედის ამარა დარჩენილს, ამგვარი კოოპერატივი ალალი იქნებოდა იმ ოჯახისთვის, ამით სასიკეთო საქმეს გადაკეთებდით. მაგრამ, რა დასაძალავია, რომ სავაჭრო კოოპერატივი, მიუხედავად სახელმწიფოს მხრივ გარკვეული კრედიტის მოცემისა, უმთავრესად გზას უხსნის და სამოქმედო ასპარეზს უფართოებს ისევე და ისევე შეძლებულ, ფულიან ოჯახს, მდიდარს მიემატოსო, იმისი არ იყოს. არადა, ამ დროს ზოგი ჩვენი ქალმოსახნი ისეთი რიხით მოგვიწოდებს, ფული ვაკეთოთო, გვეზონება, ამერიკა აღმოუ-

ჩენია და ის არისო. თუ კაცი მგავარიდან ჩამოსული არ არის, კარგად უნდა მოეხსენებოდეს: აგერ ოცი-მესამეტი წელია, ათასგვარი ჭურის საქმისა და კომბინატორი სწორედ ფულის კეთებას არის გადაყოლილი. აქი ჭერ კიდევ გუშინ იყო, გავყვიროდით, კერძომესაკუთრულმა ტენდენციამ სახიფათოდ გაიღვა ჩვენში ფეხი, უნდა გებრძოლოთ ამ სენსო; ასე გასინჯეთ, ამ პრობლემისადმი მიძღვნილ თათბირებსა და სიმპოზიუმებსაც ვმართავდით. მართალია, სიმპოზიუმები და კრებები საქმეს ვერ შევლის, ოღონდ ეს არც იმას ნიშნავს, თითქოს ამ სენის საწინააღმდეგობისა და მისი მავნე შედეგების უგულვებელყოფა გვმართებდეს. არადა, სავაჭრო კოოპერატივი დღესდღეობით უმთავრესად ხელს უწყობს ფულიანი ხალხის საქმიანობის ლეგალიზაციას, იმათი სიმდიდრის კანონიერ სიმდიდრედ მიჩნევას, ვინც „უშრომელი შემოსავლით“, ხალხისა და სახელმწიფოს ძარცვა-გლეჯით გაისქელა ჭიბე. ნურც წარსულის გაკვეთილებს დავივიწყებთ. ჭერ კიდევ ნიკოლოზ ბუხარინი თავის დროზე, ნების პერიოდში, გულაღალად მოუწოდებდა — გამდიდრდითო. სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ უბასუბა მაშინ ტროცკიმ: დღეს, გავმდიდრდეთო, გავიძახით, ხვალ კი დავიძახებთ, ძირს კულაკო. თუ საკუთარ მეურნეობას მოკლებული სავაჭრო კოოპერატივი მაინცდამაინც სასურველი ვერ არის, სამაგიეროდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი ამხანაგობა ყოველმხრივ მხარდასაჭერი და წახალისების ღირსია. ჩვენში ჭერ კიდევ ნელა იკიდებს ფეხს მიწათსარგებლობისა და შრომის ანაზღაურების ტექტიური ფორმები, ჭერ კიდევ მკვეთრად იგრძნობა აგრარული პოლიტიკის რადიკალური ცვლილებების საჭიროება. ეს ცვლილება უნდა შეეხოს სავადსახაზოდ პოლიტიკასაც და დაგეგმვის სისტემასაც, რა დიდი მტკიცება უნდა: თუ, პირველ ყოვლისა, ვერ გადაფყვიტეთ საქმლის პრობლემა, ან,

როგორც უფრო დელიკატურად ვამბობთ ხოლმე, ვერ განვხორციელებთ სახურსათო პროგრამა, ისე თავის მოტყუება იქნება, ვიქონიოთ საზოგადოებრივი ზნეობის გაუქეთესებისა და საერთოდ გარდაქმნის წარმატების იმედო.

ახლა განვიხილოთ უფრო საგულისხმო მაგალითი — საკითხი მეურნეობრიობის ახალი პრინციპების დანერგვისა, ე. წ. „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური“ სისტემის შეცვლისა მართვის ეკონომიკური მეთოდებით. მართვის ახალ, ეკონომიკურ მეთოდს აშკარად დადებითი მხარეები აქვს: საწარმოს, ძირეული შრომითი კოლექტივის უფლებების გაფართოება, მისთვის მეტო დამოუკიდებლობის მინიჭება, საიმისო საფუძვლისა და გარანტიის შექმნა, ცოცხალი საქმე გავათავისუფლოთ ბიუროკრატულობის, ქაღალდობანასა და ფორმალიზმის მძიმე და მავნე ტვირთისაგან. უმთავრესი კი ესაა: მართვის ახალი სისტემის წყალობით ბოლო უნდა მოეღოს წარმოებისა და გასაღების სფეროში შექმნილ იმ არანორმალურ ვითარებას, როცა მწარმოებელი უშვებს და უშვებს ისეთ საქონელს, რომელიც ვერ პოულობს მუშტარს და მაინც არხეინად გრძნობს თავს, რადგან სავაჭრო ორგანიზაცია საქონლის ჩაბარებისთანავე უსწორებს ანგარიშს, მიუხედავად იმისა, გასაღდება ეს საქონელი თუ არა. სავაჭრო ორგანიზაციებს უგროვდება უხარისხო, „ჩაწოლილი“ საქონელი, მატულობს ზენორმატიული ნაშთი, ამის გამო საბოლოოდ ზარალობს ხალხი და სახელმწიფო. ერთი მხრივ, „საქონელი“ ჭარბადაა სავაჭრო ქსელში, იმავე დროს საქონელი არ იშოვება, ან მისი მწვავე ნაკლებობაა. ახლებური წესი იურიდიული და ფინანსური ურთიერთობისა მწარმოებელ-გამსაღებელს შორის, როცა რეალური მოთხოვნილება, ბაზარი განსაზღვრავს ნაწარმის ოდენობასა და ხარისხს, საშუალებას უსძობს საწარმოს, ძველებურად შეინახოს თავი

მღარე პროდუქციის დამზადებით თუ მის ნაწარმს მომხმარებელი არ ეყრდნობა, არც შემოსავალი ექნება, ექნება კრიზისი შეექმნება, გაკოტრდება და ხურება ან, უკეთეს შემთხვევაში, სხვა საწარმოს (რენტაბელურს) შეუერთდება (ისიც საკითხავია, ინდომებს თუ არა ის სხვა ზარალიანი საწარმოს შემოერთებას და ამით თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას). ასე რომ, იძულებული იქნება, გამუდმებით აუმიჯობესდეს ნაწარმის ხარისხს, უბასუხებდეს ბაზრის მოთხოვნილებას. როგორც ვხედავთ, მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის დამკვიდრება შექმნილი ვითარებით, აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ამავე დროს, მეურნეობრიობის ახალ მექანიზმს აქვს ზოგიერთი უარყოფითი მხარეც, რასაც ამთავითვე უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს უარყოფითი მხარეები რომ უფრო გასაგები იყოს, საჭიროა მოკლედ მიინც მიეუთითოთ, რამ გამოწვია აქამდე მოქმედი ადმინისტრაციული სისტემის შინაგანი კრიზისი. სამი რამ იყო ძირითადად ამის მიზეზი. არ არის მართალი, თითქოს ოცდაათიან-ორმოციან და ნაწილობრივ ორმოცდაათიან წლებში მოქმედი მართვის სისტემა, ანუ „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური“ მეთოდი, როგორც ამჟამად უწოდებენ, მხოლოდ ბრძანებასა და ადმინისტრირებაზე, ან თუნდაც უბრაატესად მათზე იყო დამყარებული და უგულებელყოფდა, სათანადოდ ვერ აფასებდა ეკონომიკური ფაქტორის, ეკონომიკური ბერკეტის მნიშვნელობას. სწორია: მართვის ადმინისტრაციულ სისტემას ახასიათებდა ძალაუფლებისა და დაგვემვის მეტისმეტი ცენტრალიზაცია. ყოველი მითითება, მსხვილმანი თუ წვრილმანი, „ზემოდან“ მოდიოდა და დაიყვანებოდა პირველად რგოლამდე. ისიც სწორია: ზემდგომის სიტყვა, განკარგულება კანონი იყო ქვემდგომისათვის, ბატონობდა „რკინისებური დისციპლინა.“ უდავოა, ამგვარ ვითარებაში არცთუ უმნიშვნელო როლს

სარულებდა იძულებიან და შიშის ფაქტორი. ოღონდ ისიც ფაქტია: მართვის ეს სისტემა უზრუნველყოფდა წარმოების ეფექტიანობას, ეროვნული შემოსავლის განუზრეველ ზრდას, ხოლო ეროვნული შემოსავლის გონივრული განაწილების წყალობით ყველა თანასწორად იმკიდა თავისი შრომის საერთო ნაყოფს: მატულობდა მანეთის მსყიდველობითი უნარი, ზორციელდებოდა სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების თანდათანობითი შემცირების კურსი, იზრდებოდა ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი. ეს იყო ის მთავარი ეკონომიკური ბერკეტი, მართვის ე. წ. „ადმინისტრაციულ“ სისტემას ცხოველუნარიანობას რომ ანიჭებდა და ფართო მასების შრომით აქტიურობას უწყობდა ხელს. მეორე ბერკეტი ეს იყო მკაცრი დაცვა განაწილების სოციალისტური პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით.“ ძალა ჰქონდა დევიზს: „ვიც არ მუშაობს, ის არც ჭამს“. უღობვლად ითრუნებოდა პირადი გამდიდრების, „უშრომელი შემოსავლით“ ჯიბის გასქელების, ყოველგვარი გამოვლინება. ეს ხალხში განამტკიცებდა სოციალური სამართლიანობის გრძნობას, აღვივებდა შრომით ენთუზიაზმს. მესამე პირობა გახლდათ სახელმწიფოებრივი და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისას იმ ფუძემდებლური დებულების გათვალისწინება, რომ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები სოციალიზმის დროსაც ინარჩუნებს თავის ძალას, რომ შეუძლებელია ზემოდან დეკრეტირების გზით ამ კანონების გაუქმება ან შეცვლა. მართვის ადმინისტრაციული სისტემა ეფექტურია, როცა „ზემოთ“ მიღებული გადაწყვეტილებანი სწორია, როცა საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების ცოდნას ემყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოქმედება დამღუპველი ხდება სწორედ თავისი არსებითი თვისების გამო — ქვემდგომთა უსიტყ-

ვო მორჩილებიან და რკინიგზებური შემსრულებლო დისციპლინის შედეგად. „სუბიექტივიზმის“ და „კოლუბტარიზმის“ პერიოდში სწორედ ამის იჩინა მკვეთრად თავი. აღარც შემომითითებული ორი პირობა იქნა დაცული: „სუბიექტივიზმის“ და „უძრაობის“ პერიოდში შეიცვალა ფასწარმოქმნის პოლიტიკა, ამასთან ერთად, ფართო გასაქანი მიეცა უშრომელი შემოსავლით პირად გამდიდრებას, მრავალგვარ საზოგადოებრივ მანკიერებას. სწორედ ამ სამი ძირითადი პირობის მოშლამ გამოიწვია უმთავრესად ადმინისტრაციული სისტემის შინაგანი კრიზისი და არა იმ მიზეზებმა, რომლებზედაც ზოგიერთი ეკონომისტი თუ პუბლიცისტი მიუთითებს ამჟამად საკავშირო პრესის ფურცლებზე. მაგრამ როგორც უნდა იყოს საკითხის ისტორია, ფაქტი ერთია: მართვის ძველებური ადმინისტრაციული სისტემა უეარვისი შეიქნა, მას შინაარსი გამოვაცალეთ და ცარიელა გარსილა შემოგვრჩა ხელთ. მისი შეცვლა აუცილებელი გახდა. სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება და თვითანაზღაურება შეიცავს ზოგიერთ თავისებურებას, რომელთა მიხედვითაც მართვის ახალი სისტემა ძველისაგან განსხვავდებოდა. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ფასწარმოქმნის საკითხს. მწარმოებელსა და გამსაღებელს უფლება ეძლევათ, ურთიერთშეთანხმებისამებრ განსაზღვრონ ნაწარმის გასაყიდი ფასი (ე. წ. „სახელშეკრულებო ფასი“). ეს გულისხმობს ფასების არასტაბილურობას, მათს აწვევდაწვევას, ე. წ. „ფასების თამაშს.“ ბუნებრივია, ყოველი საწარმო, ასევე სავაჭრო ორგანიზაცია, ეცდებოდა ყოველნაირად ასწიოს ფასი, რაკი მათი კეთილდღეობა რაც შეიძლება მეტი შემოსავლის, მეტი მოგების მიღებაზე იქნება დამოკიდებული (თუმცა კანონი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ გარკვეული კონტროლის დაწესებას ამ მხრივ). რაც უფრო მეტ გასაქანს მიიღებს სახელშეკრულებო ფასები,

რაც უფრო ნაკლები გაზდება სახელ-
მწიფოს მარეგულირებელი როლი ფას-
წარმოქმნის საკითხებში, მით უფრო
მეტად იქნება ფასის განმსაზღვრელი
ბაზრის მოთხოვნილება და არა ნა-
წარმის თვითღირებულება. საწარმო
ეცდება, მაქსიმალური შემოსავალი
მიიღოს არა იმდენად შრომის ნაყოფი-
ერების ამაღლებით, თვითღირებულე-
ბის შემცირებით, რამდენადაც კონიუნ-
ქტურის კვალობაზე ფასების გადიდე-
ბის გზით, საქონლის ხელოვნური გა-
ძვირებით, რადგან ეს უფრო იოლი
გზაა. აქ, ალბათ იტყვიან: კაპიტალის-
ტური წარმოებაც ფასების თამაშს ემ-
ყარება, მაგრამ ნაწარმის სიიაფეს (უმ-
თავრესად მხედველობაში მაქვს ფარ-
თო მოხმარების საქონელი) მაინც აღ-
წევსო. ეს შედარება ამ შემთხვევაში
უადგილოა. მაღალგანვითარებულ კა-
პიტალისტურ ქვეყნებში ფასწარმოქმ-
ნის პოლიტიკა მოქმედებს ისეთ პირო-
ბებში, როცა იქაური ბაზარი გაჯერე-
ბულია საქონლით, როცა იქ მთავარი
პრობლემა საქონლის წარმოება კი არა,
მისი გასაღებაა. კონიუნქტურა და კონ-
კურენცია კაპიტალისტს აიძულებს,
ახალ-ახალი გზა ეძიოს საქონლის ხა-
რისხის გასაუმჯობესებლად და თვით-
ღირებულებების შესამცირებლად ტექ-
ნიკური პროგრესისა და წარმოების
სრულყოფის მეშვეობით. მაქსიმალური
მოგებისაკენ და, ამრიგად, საცალო ფა-
სების მომატებისაკენ ბუნებრივ ლტოლ-
ვას ანეიტრალებს და არეგულირებს
საქონლის რაც შეიძლება მეტი ოდენ-
ობით გასაღების, ბაზრის ყოველნაი-
რად გაფართოების ინტერესი. ამისთვის
კი საჭიროა, სხვებზე უფრო იაფი და
უკეთესი ხარისხის საქონელი დაამზა-
დო, ჩვენში ამ მხრივ სრულიად განსხ-
ვავებული ვითარებაა. ჩვენში ნომერ
პირველი პრობლემა ჯერჯერობით ხა-
რისხიანი საქონლის წარმოებაა და არა
მისი გასაღება. ჩვენში ფასწარმოქმნის
ახალმა წესმა მოქმედება უნდა დაი-
წყოს ისეთ პირობებში, როცა ბაზარი
ხარისხიანი საქონლის ნაკლებობას გა-

ნიცდის და არა სიჭარბეს. ამგვარ გი-
თარებაში ფასის ძირითად რეგულატო-
რად აღვილად შეიძლება განვიხილო-
სებული დისპროპორცია მოთხოვნილე-
ბისა და მიწოდების შორის. ეს კი სა-
ცალო ფასების ზრდას უფრო შეუწყ-
ობს ხელს (ყოველ შემთხვევაში, თა-
ნამედროვე ეტაპზე, სანამ წარმოებ
წელში გაიმართებოდეს), ვიდრე ფასე-
ბის შემცირებას, მეორე უარყოფით
მხარედ თავად შრომითი კოლექტივის
ერთი ნაწილის არასტაბილური მდგო-
მარეობა უნდა ვიგულებოთ. ახალი ეკო-
ნომიკური სისტემა უფლებას აძლევს
საწარმოს ხელმძღვანელს, მოცემული
ხელფასის ფონდის ფარგლებში თავად
განსაზღვროს მუშაკთა რაოდენობა, გა-
მოთავისუფლებული მუშახელის ხელ-
ფასი დარჩენილებს გადაუნაწილოს,
ყოველი შრომითი კოლექტივი ძალაუ-
ნებურად ეცდება თავისი რიგების
„შემჭიდროებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ
ფასების თამაშის მოსალოდნელ შე-
დგეს შრომითმა კოლექტივმა უნდა
უპასუხოს თავისი რიგების ხელახალი
შემჭიდროებით, რათა საწარმოში დარ-
ჩენილებმა რეალური შემოსავლის მიღ-
წეული დონე როგორმე შეინარჩუ-
ნონ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ
საწარმოში დარჩენილს შრომის შემ-
სუბუქების პერსპექტივა კი არ ელის,
არამედ მეტი და მეტი შრომითი და-
ტვირთვა. არც იმაზე, რომ ზემომითი-
თებული ტენდენცია მუშაკთა რიგების
იძულებითი შემჭიდროებისა ხელს ვერ
შეუწყობს მაინცდამაინც ჯანსაღი მო-
რალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს
არსებობას შრომითი კოლექტივის შიგ-
ნით, უარყოფითი მხარეები, რაც ახა-
ლი ეკონომიკური პოლიტიკის საერთო
დადებით ტენდენციას ახლავს, ამით არ
ამოიწურება, მაგრამ ამჯერად ეს ვიკ-
მაროთ.

მართვის ეკონომიკურმა მეთოდმა
მარტოოდენ სახალხო მეურნეობის
სფერო კი არა, მთლიანად საზოგადოე-
ბა უნდა მოიცვას. მართვისადმი სუ-
ბიექტივისტურ-ვოლუნტარისტული მი-

დგომის ძლიერი მიდრეკილების შედეგად ამ ბოლო ხაზში ათეული წლის განმავლობაში საზოგადოებრივი პროცესები არცთუ მშვიდად მიმდინებებს მიენდო. სტიქიურად ვითარდებოდა ამის ნაყოფს ახლა ვიმეით. შტრასში გამოქვეყნებულ ცნობის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის მუშაკთა რაოდენობას 1953 წლიდან დღემდე ერთსამად მოუმატებია, იმის გამო, რომ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევდით ეკონომიკური პრობლემების დანხედად გადაკრას, არსებითი განსხვავების მოსპობას ფიზიკურსა და გონებრივ შრომის შორის; იმის გამო, რომ ნაგვიანვე აღიღეთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი, ნაგვიანვედ შევიგნეთ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უახლეს მიღწევათა სახალხო მეურნეობაში დროულად დაწერვის აუცილებლობა, იმაღლა სტიქიურმა ლტოლვამ „გონებრივი“ სფეროს შრომისაკენ; სამმართველო აპარატის შტატები გაიბერა, წარმოებაში მუშაბელის მწვავე ნაკლებობა შეიქმნა, საქმე რომ 18 მილიონი კაცის შემტირების საპრობებამდე მივბ, ეს იმას ნიშნავს, არ ხდება საზოგადოებრივი პროცესების ჯეროვანი მართვა და რეგულირება, უფრო სწორად, უკულებელყოფილია მართვისა და რეგულირების ეკონომიკური მეთოდები. იმ 18 მილიონიდან ზომ ნაწილი რაიონებიდან ცენტრალურ ქალაქებში ჩამოსული და იქ დამკვიდრებული ხალხია. ეს ამბავიც, სოფლიდან მოსახლეობის გაქრება, უწინარესად ახალგაზრდობის დენა ქალაქისაკენ, ძირითადად იმის ბრალია, რომ არ ხორციელდება სათანადო ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული პოლიტიკა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დასაძლევად. ვაქებთ ხრუშჩოვს, 1956 წელს გლვობას მასპორტები მისცათ, ერთი შეხედვით, ეს მართლაც კარგია. აბა, ვის რა უნდა ჰქონდეს ამ თავისთავად ჰუმანური აქტის საწინააღმდეგო?

ავარამ რა შედეგი მოპყვა ამის? პასპორტები კი დავარიგეთ, ოღონდ იმავე დროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები გაავაუქმეთ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა კოლმეურნეობებს მიგყიდეთ, კოლმეურნეობა სახელმწიფოს ვალში ჩავადგეთ, ზარალიანობა ვავუდიდეთ, ესეც არ ვიკმარეთ, გლვხს საკარმიდამო მეურნეობა და მეცხოველეობა შეგუზლუდეთ, შეგუმცირეთ, აქაოდა, კოლმეურნეობაში მუშაობას მეტ დროსა და ენერგიას მოახმარს, იქ დოვლათის სიუხვეს შექმნისო. მერე, როცა ამ შიშველი ადმინისტრირების მეთოდისაგან სასიკეთო არა გამოვიდა რა, როცა გლვხი სამკვიდროდან აიყარა და სხვაგან წავიდა, ბევრმა კი ქალაქს მიაშურა და იქ შეაფარა თავი, უპერსპექტივოდ გამოაცხადეთ მთელი რეგიონი, კერძოდ, რუსეთის არაშავმწვანიადაგვიანი ზოლი. ახლა კი შესამტირებელ კონტინგენტს ვეუბნებით, ნუ გეშინიათ, სამუშაო ყველას ეყოფა, აგერ არაშავმწვანიადაგვიანი ზოლი და ციმბირის მხარე დაგვიცარიელდა, შეგიძლიათ იქ წახვიდეთ და დასახლდეთო. აქ ერთი პარადოქსი კიდევ, მოვთქვამთ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ განკულაკებული სოფლის ბობოლვებას ბედზე, ის ხალხი კი, ვინც ხელფასით ბოგინობს და იმ ხელფასსაც უნდა გამოეთხოვოს, არ გვებრალებს. ბიუროკრატო, კონსერვატორიო, საქმის ხელის შემშლელიო, გარდაქმნის მოწინააღმდეგეო, რას არ უწოდებენ მათ კალმოსნებო. ერთი ეგ არის, ხალხის მტრებად არ მოუხათლავთ ჯერჯერობით. ზოგი ხელოვანი, ასე გასინჯეთ, კომედის მასალას ხედავს ამ ამბავში, სამასხრო სავნად მიაჩნია მილიონობით აღამიანის გასაქირი. ნუთუ მხოლოდ მკვდრების გულშემატკივრობაში ვართ მარჯვენი?!

სამწუხაროდ, ადმინისტრაციული მეთოდის რეციდივისაგან ვერც მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლა აღმოჩნდა დაზღვეული. ამჯერადაც ყველაფერი გადაწყვიტა ერთ მშვე-

ნიერ დღეს ზემოდან დაშვებულმა ბრძანებამ. არადა, უპირიანი იქნებოდა, რაკი ამოდენა მნიშვნელობის მქონე საკითხი წყდებოდა, საკითხი, რომელზედაც მთელი ხალხის მომავალი ბედი თუ უბედობაა დამოკიდებული, ჯერ ძირეულ შრომით კოლექტივებს განეხილათ, აეწონ-დაეწონათ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ. სამართლიანად აყენებს ზოგი საბჭოთა მოქალაქე დღეს საკითხს ცენტრალური პრესის ფურცლებზე: როცა რაიმე საერთო-სახალხო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტას ვაპირებთ, ჯერ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში განვიხილოთ თეზისები, მერმელა გავიტანოთ ის პრობლემა უმაღლეს პარტიულ ფორუმზე სამსჯელოდ და გადასატრელოდ. რაიმე სიახლის დანერგვისას ერთი ცული ჩვეულება მოგვდგამს ტრადიციულად: უნივერსალიზაციასა და აბსოლუტიზაციას ვესწრაფით, უკიდურესობამდე მივდივართ, გვინდა უთუოდ ყველგან და ყველადღერში დაენერგოთ ეს სიახლე, სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება და თვითანაზღაურება, ალბათ, გამართლებული იქნება მრეწველობის დარგში, უწინარეს ყოვლისა, მსუბუქ მრეწველობაში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საწარმონი უკვე მზად არიან საამისოდ, თუკი უკვე უზრუნველყოფილი არიან იმგვარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თანამედროვე მოთხოვნას რომ აკმაყოფილებს. თლონდ მიზანშეწონილი არ იქნება ახალი ეკონომიკური წესის ხელაღებით დანერგვა კულტურის სფეროში. თუ, ვთქვათ, თეატრს, გამოძველობას ან სხვა რომელსამე კულტურულ დაწესებულებას არ შეუძლია რენტაბელური იყოს, ამგვარ შემთხვევაში ეროვნული კულტურის ინტერესები არ უნდა ვანაცვალოთ წმინდა კომერციულ ინტერესებს. აქ ურიგო არ იქნებოდა, ერთი მაგალითი გავვესხენებინა პარტიის ისტორიიდან. ცნობილია, რომ ოციანი წლების დამდეგს, სამოქალაქო ომის დამთავრებისას და სახალხო მეურნეობის აღდგე-

ნითი პერიოდის დაწყებისას ტრადიციულ წინადადება წამოაყენა, არსებობის უტყუარება რენტაბელური საწარმეებისადმი მიგვეცა, ყველა ზარალიანი საწარმო კი დაგვეხურა, თუნდაც ეს ზარალიანი საწარმო პუტილოვის ქარხანა ყოფილიყო. პარტიის გენერალური ხაზი არ გაპყვა ამ წინადადებას, მიუღებლად მიიჩნია იგი. სრული სამეურნეო ანგარიშის კულტურის დარგში დანერგვისას მეტი წინდახედულების გამოჩენა გვმართებს. ყოველ შემთხვევაში, რესპუბლიკას უფლება უნდა მიენიჭოს, თავისი ეროვნული შემოსავლის ნაწილი საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს იმ კულტურულ დაწესებულებათათვის, რომელთაც საარსებოდ სახელმწიფო დოტაცია სჭირდებათ. ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი რესპუბლიკათა სუვერენიტეტის განმტკიცების, მათი დამოუკიდებლობის გაფართოების საჭიროებისა. ამავე დროს მეტ საჯაროობას მოითხოვს ეროვნული შემოსავლის განაწილება, ყოველ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს უტყუარი ცნობები, როგორია რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი და რა წილი შედის აქედან საკავშირო ბიუჯეტში. რა ნორმატივებია ამ მხრივ დაწესებული რესპუბლიკათათვის და როგორია ეს ნორმატივი, კერძოდ, საქართველოსთვის. ამასთანავე, რეალურ შემოსავლად უნდა იანგარიშებოდეს ის ახალი ღირებულება, რაც წლის განმავლობაში იქმნება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სულ ერთია, საკავშირო დაქვემდებარებისანი არიან ამ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები, თუ რესპუბლიკური დაქვემდებარებისა. ბოლოს და ბოლოს, ყოველი მოქალაქის ეროვნული თავმოყვარეობის საქმეა, უტყუარად იცოდეს, ღირსეულად უდგას მისი ერა სხვებს მხარში თუ სხვისი სამოწყალოა. ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის ფორმალურმა აღიარებამ, სინამდვილეში კი მისმა უგულვებლყოფამ ჩვენს აზროვნებასა და პრა-

ქტიკაში. ეს დღევანდელი შედეგი გამოიღო. სულიერ-ზნეობრივი კრიზისის გაცნობიერების ფაქტი სულ უფრო მწვავედ აყენებს კითხვას, რომელ მსოფლხედვასა და აზროვნების რა წესს მივანიჭოთ უპირატესობა. ვერცერთი კეთილსინდისიერი მწერალი, პუბლიცისტი თუ ხელოვანი ამ კითხვას გვერდს ვერ აუვლის. აქამდე, სანამ კრიზისის გაცნობიერების პროცესი მიმდინარეობდა, გარკვეული გამართლება ჰქონდა ზნეობრივი პრობლემატიკის აბსტრაქტულ დასმასა და თავისებურ სიმბოლურ გადაწყვეტას მხატვრულ ნაწარმოებში. ამიერიდან განყენებული მხატვრული კვლევა ეთიკური პრობლემებისა, გმირის მოქცევა უპირატესად ფორმალური დროისა და ადგილის ნიშნებით აღბეჭდილ გარემოში და ამ გზით ექსპერიმენტირება აღამიანისა, მისი ბუნებისა, სულ უფრო მეტად არადამაკმაყოფილებელი შეიქნება. იდეალისტური თვალსაზრისი, ავტორის პოზიციაში გამქდვანებუ-

ლი. უთუოდ გააღარიბებს ნაწარმოებში შემეცნებით ღირებულებას. ნუნებუ-ლი მსოფლმხედვა საბოლოოდ აღდგენის ხვედრის ან ირაციონალიზმის გაგებად მიგვიყვანს, ანდა ანტიჰუმანურ, არსებითად აბსურდულ მოთხოვნამდე დაიყვანს ადამიანის პირად მორალურ პასუხისმგებლობას, ან არადა უნიათო დიდაქტიკურობის, ტრივიალური მორალური შეგონებების ფარგლებში მოგვამწყვდევს. ვისაც სურს ადამიანის, მისი ზნეობის ილუზიური კი არა, ნამდვილი გარდაქმნა, საზოგადოებრივ მანკიერებათა მიზეზები და რეალური გამოსავალი გზა მატერიალისტურ აზროვნებაზე დამყარებით უნდა ეძიოს. მაშინ იმასაც შეძლებს, სწორად დასვას საკითხი ინდივიდუუმის პასუხისმგებლობისა და მისი ზნეობრივი თვითსრულყოფისა. მწერალი თუ ხელოვანი ალტერნატივის წინაშე დგას: მოახდინოს შეგნებული არჩევანი ან ორ მსოფლხედვას შორის.

1988 წ. ივნისი



თეიმურაზ ღოიაშვილი
ლევან ბრეხაკაე

პოდი პნახოთ პენახო

„კრიტიკა და თვითკრიტიკა ყველასათვის ერთნაირად აუცილებელი წამალი... საბჭოთა საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს ორი ეთიკური ნორმა, ორნაირი დისციპლინა — ერთი რიგითი მოქალაქისათვის და მეორე პასუხისმგებელი მუშაკებისათვის... საბჭოთა საზოგადოებაში ყველა მოქალაქე, განურჩევლად პიროვნებისა... უნდა პატივსა სცემდეს, ანგარიშს უწყევდეს კრიტიკას „ქმე-მოღან“.“

ბ. ციციშვილი, ქართული საბჭოთა დრამატურგია, გვ. 577.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ციციშვილი ავტორია მრავალი

ნაწრომისა, რომლებშიც ქართველ დრამატურგთა და პროზაიკოსთა შემოქმედებაა განხილული. ამ სექტანიაში წიგნების გადათვალისწინებისას უმაღლეს თვალში გვევლინება ერთი თავისებურება: აქ ქარბადაა წარმოდგენილი ქართველ მწერალთა კარგად ცნობილი ნაწარმოებების შინაარსები. ანოტაცია, რომელიც ახლავს გ. ციციშვილის თითქმის ექვსასვევრდიან წიგნს „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ (1962), გვაუწყებს, ამ ნაწროში „მოცემულია ეროვნული დრამატული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედების იდეურ-მხატვრული ანალიზი“-ო, რა ხასიათისაა ეს იდეურ-მხატვრული ანალიზი და რა ადგილი უჭირავს მას მეცნიერის შრომებში, ამას ქვემოთ ვნახავთ. ჯერ კი იმას ვავეცნოთ, როგორ ამართლებს ავტორი შინაარსების გადმოცემის თავის მეთოდს ს. შანშიაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას:

„...სიმბოლისტურ და სიმბოლური ხასიათის დრამაში ავტორისეული იდეა, მისი ტენდენცია, პიესის შინაარსობრივი მხარის გამოვლინება, ძირითადად და უმთავრესად, სიუჟეტური ქარგის საშუალებით ხდება და სიტუაციებით გადმოიცემა. ამიტომაც, რომ სიმბოლური ხასიათის დრამატურგიული ნაწარმოების გარჩევა, მისი დედაზრის გამოწვლილვა, იდეის გარკვევა, და საერთოდ, მთელი მისი შინაარსის დადგენა, უმთავრესად, სიუჟეტის გარკვევითა და ანალიზით წარმოებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება ერთგვარი მეთოდოლოგიური პრინციპია, რომლითაც მივუდგებით არა მარტო ს. შანშიაშვილის „შეგების თავადს“, არამედ ამგვარი ხასიათის მის სხვა დრამატულ ნაწარმოებებსაც, კერძოდ, „ბერდო ზმანას“ და ნაწილობრივ „ლატავრას“ (გვ. 114-5).

დავუშვათ, რაც აქ სიმბოლისტური დრამის თავისებურებაზე ითქვამს, მართალია და სწორედ ამიტომ დაუთმო მეცნიერმა ამ პიესათა სიუჟეტური ქარგის გადმოცემას ადენი ადგილი. მაგრამ განა ასევე არ იქცევა იგი არასიმბოლისტური და არასიმბოლური დრამების განხილვის დროსაც? განა „სიუჟეტური ქარგის“ დაწვრილებით გადმოცემას არ უძღვნის იგი ათეულობით გვერდს ისეთ აშკარად არასიმბოლისტურ ნაწარმოებებზე საუბრისას, როგორცაა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“, ს. შანშიაშვილის „ანზორ“, „არსენა“, ა. მირცხულავას „განგაში“, ი. ვაკელის „აპრაქსე კიმიშელი“ და სხვა მრავალი.

რისთვის არის საჭირო ამ კარგად ცნობილი პიესების „სიუჟეტურ ქარგათა“ დაწვრილებითი მოყოლა, თითქმის ყველა სცენისა თუ სურათის გახსენება? განა ამ ნაწარმოებთა „იდეურ-მხატვრული“ ანალიზისას ეს ყველაფერი ერთნაირად საჭირო და აუცილებელია? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მეცნიერული იდეურ-მხატვრული ანალიზი ძნელია, „სიუჟეტური ქარგის“ გადმოცემა კი შედარებით ადვილი.

„შედარებით“-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ უზუსტობებისაგან არც შინაარსების მოყოლისას ვართ დაზღვეული.

პ. კაკაბაძის საზღვრგანთქმული „კოლმეურნის ქორწინების“ ბირველი მოქმედების „სიუჟეტური ქარგის“ გადმოცემისას მკვლევარი წერს:

„აქვე ხდება კვანძის განასკვა: ბებერ ხახულის ჰგონია, რომ ჭიბილო მისი ქალის დასანიშნავად მივიდა. ამ ამბავს იგი გააგებინებს კაკალას, ხოლო ეს უორიკანა ქალიშვილი თავის ბიძაშვილს მირიანს“ (გვ. 262).

ეს არის როგორც ხახულის ხასიათის, ისე კონკრეტული სიტუაციის და, აქედან გამომდინარე, პიესის უმთავრესი „კომიკური შეცდომის“ აბსოლუ-

ტური ვერგავება. როგორ გაბედავდა ხახული პეისის დასაწყისში (ვიდრე მის გვირისტინე ორდენოსანი არ გამხდარა) იმის გაფიქრებასაც კი, რომ მას, ყოფილ მოჯამავირეს, მისი ნაბატონარი მანუჩარი რძლად ქალიშვილს თხოვდნენ „ბებერ ხახულის“ არაფერიც არ „ჰგონია“, მას გარკვევით უთხრეს, რამდენიმე წელიწადი მისი ნაბატონარი ირინე დაუნიშნავს. ასე რომ, ხახულის ჯიბილოს დასიძებასთან დაკავშირებით არაფერთარი ილუზიები არ გააჩნია; ეს თვითონ მკვლევარს „ჰგონია“, თითქოს „ბებერ ხახულის“ ჰგონია, რომ ჯიბილო მისი ქალიშვილის დასანიშნავად მივიდა. გ. ციციშვილი ვერ გაერკვა მარტივ ვითარებაში: ხახულის ვერ წარმოუდგენია, რომ ვინმე შეირთავს მის ასულს, დატაკი ნამოჯამავირალის ქალს: — „ამისთანა ქვამ-ქოთანას ვინ ითხოვსო“, წამოიძახებს იგი, რაზეც კაკალა მიუგებს „ძალიან კარგი ბიჭიც არის მაგის მთხოვნელი“-ო (თავის ნათესავს მირიანს გულისხმობს), ხახულიმ არ იცის გვირისტინესა და მირიანის სიყვარულის ამბავი და კაკალას ნათქვამს ირონიულად გაეპასუხება: „ჰო, როგორ არა, მანუჩარის ვაჟმა აიჩემა“-ო (მანუჩარი, როგორც მისი ნაბატონარი, ხახულისთვის ჯერ კიდევ იდეალს წარმოადგენს); „მხესავით ბიჭი ჩამოახმო“-ო, — განაგრძობს ხახული თავისი ქალიშვილის დაცინვას; „ხვალ სწორედ ჯვარს დაგწერთ“-ო, კიდევ უფრო ძლიერდება ხახულის ირონია. ამ ირონიას ვერ ჩახვდა ცერცეტა და ჭორიკანა კაკალა და, სამწუხაროდ, ვერც პროფ. გ. ციციშვილი!

ახლა ვნახოთ როგორ გადმოგვცემს მკვლევარი ცეკვის ცნობილ სცენას ს. შანშიაშვილის „ანზორიდან“:

„ცეკვავს თვალახვეული მთიელი ქალიშვილი ზაირა. ვისაც იგი საცეკვაოდ გამოიწვევს, იგი უნდა დაწვეს ლიანდაგზე. ზაირამ არაფერი იცის ამ გეგმის შესახებ და მოსიყვარულე გული თავის შეყვარებულ ახმასთან შეაჩერებს. მან არ იცის, რომ ამ არჩევანით ახმას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა“ (გვ. 176).

თვალახვეულმა ზაირამ ან როგორ უნდა იცეკვოს, ან როგორ უნდა გამოიწვიოს ვინმე? რაკი ზაირამ არ იცის, რომ ვისაც გამოიწვევს, ის სასიკვდილოდ არის განწირული, თვალების ახვევა რაღა საჭიროა? პიესაში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ზაირა თვალახვეული ცეკვავს (ანკი თვალახვეულს როგორ უნდა ეცეკვა?!). რემარკაში ვკითხულობთ:

„ზაირა ცეკვავს. საითაც ზაირა გასრიალდება, ის მხარე თითქოს კვდება. ჩინელი თითებს იკვნეტს იმის შიშით, რომ ანზორი არ გაიწვიოს. ბოლოს ზაირა ახმას წინ შეჩერდება. ახმა შეკრთება, უმზერს, შემდეგ ანზორთან მივა, თოფი ხელიდან გაგარდება. ანზორიც ჩამყვდარია...“

არსად თვალების ახვევისა და შემდეგ სახვევის მოხსნაზე ლაპარაკი არ არის. მაშ, რატომ ჰგონია მკვლევარს, რომ ზაირა თვალახვეული ცეკვავს? საქმე ის არის, რომ როცა პარტიზანებმა გადაწყვიტეს წილისყრით გაერკვიათ, ვინ დაწოლილიყო ლიანდაგზე, ერთმა მათგანმა, ჭალარა პარტიზანმა წამოიძახა: „წილი ყველაზე უმანკომ უნდა ყაროს... იმან არც კი უნდა იცოდეს, რისთვის ირჩევს... ძველად თვალებსაც ავუბამდით...“. წაგლენ ზაირას დასაძახებლად. ერთ-ერთი მებრძოლი გაიმეორებს მოხუცი პარტიზანის მოთხოვნას — „თვალეები ავუბათი!“. მაგრამ ზაირას მოყვანამდე შეცვლიან ამ გადაწყვეტილებას: ვაცეკვოთ და ვისაც გამოიწვევს, ის დაუწვევს მატარებელსო. ამ წინადადებას ყველა ერთხმად დაუჭერს მხარს. ასეთი ხერხით არჩევანის მოხდენისას თვალების ახვევა უკვე საჭირო აღარ არის და ამის შესახებ პიესაში, ბუნებრივია, არც არაფერია ნათქვამი.

ეტყობა, მკვლევარი დააფიქრა იმ ამბავმა, თუ როგორ მოახერხა თვალ-

ახვეულმა ზაირამ თავისი შეყვარებულის საცეკვაოდ გამოხმობა და აქ ასე თი „მისტიკური“ მომენტი შემოიტანა სავსებით რეალისტურ პიესაში: თვალს-ვეულ ზაირას, მისი სიტყვით, „მოსიყვარულე გული თავის შეყვარებულს მასთან შეაჩერებს“. მოსიყვარულე გულს თუ ამდენი შეეძლო, მაშინ, პირიქით, თავიდან უნდა აეცილებინა ქალიშვილისთვის ეს სარჩევანი!

იმავე „ანზორის“ სიუჟეტური ქარგის გადმოცემისას გ. ციციშვილი წერს: „...გამოირკვა, რომ ხიდი არ არის აფეთქებული. ანზორი მოჰკლავს ამბის მომტან პარტიზანს (იგი გამცემია) და მის ნაცვლად ასეულის მეთაურად ლარბის დანიშნავს“ (გვ. 175).

ამბის მომტან პარტიზანს ანზორი გამცემლობისათვის არა კლავს. იგი არც არის გამცემი. აქ ბევრად უფრო საინტერესო ვითარებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე გამცემის სიკვდილით დასჯაა. ამბის მომტანი პარტიზანი ყვება: „დინამიტი უკან მოგვქონდა! ამხანაგებში გამოუცდელეები იყვნენ. შინჯავდნენ... მე წინ მოვდიოდი. ხელში აუფეთქდათ. თავიანთი თავი ააფეთქეს! მე გამოვიქეც და გადავრჩი. (სიხარულით). მარტო მე გადავრჩი!“

როგორც ვხედავთ, ამბის მომტან პარტიზანში ადამიანურმა სისუსტემ იძალა: მან ვერ დამალა თავისი გადარჩენით გამოწვეული სიხარული, როცა სხვები დაიღუპნენ. ეს სიხარული ვერ ამატია მას ანზორმა და ტყვია დაახალა ამ სიტყვებით: „ვერ გადავრჩი!“ ასე რომ, გამცემლობისათვის ეს კაცი არ დაუსჯიათ. ამ ეპიზოდში კარგად ჩანს ეპოქის ხასიათიც, კლასობრივი ბრძოლის მთელი სერიოზულობა და სიმკაცრეც, ანზორის უშეღავათო ბუნებაც... აქ არის ეპოქისმიერი ახალი შტრიხი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში. სწორედ ამის შექმნევა და აღნიშვნა მართებდა მკვლევარს, მან კი ყველაფერი გააუბრალოვა (და, რაც მთავარია, გააყალბა) დასჯილი მეომრის გამცემად გამოცხადებით.

ს. შანშიაშვილის პიესის „კრწანისის გმირების“ ერთ ეპიზოდს გ. ციციშვილი ასე გადმოგვცემს:

„თავადებმა და ბატონიშვილებმა ერეკლეს დაპირებული ჯარი არ გამოუგზავნეს, მეფე მეომართა დიდ ნაკლებობას განიცდის. იგი იძულებულია შიკრიკად თავისი ქალიშვილი თეკლა გაგზავნოს. მამაცი თეკლა ახერხებს მტრის რკალიდან გაქრას და დავალების შესრულებას“ (სანდრო შანშიაშვილი, თბ., 1962, გვ. 233).

პიესაში ერეკლემ არ იცის, რომ ვისაც შიკრიკად აგზავნის, ის მისი ქალიშვილია: თეკლა ვაჟად არის გადაცმული. სხვაგვარად ყოვლად წარმოუდგენელია მეფეს თავისი ქალიშვილი შიკრიკად გაეგზავნა, ისიც გახურებული ბრძოლის ველზე. ამას ვერ ხვდება მკვლევარი. მას ჰგონია, ერეკლეს ისე გაუჭირდა, „იძულებული“ გახდა შიკრიკად თავისი ქალიშვილი გაეგზავნა!

თანაც, გ. ციციშვილის სიტყვით, თეკლას დავალება შეუსრულებია. პიესაში კი გარკვევით არის ნათქვამი, რომ თეკლამ ერეკლეს დავალება ვერ შეასრულა. ერეკლემ „შიკრიკი“ დავით ბატონიშვილთან გაგზავნა და დააბარა: „უთხარ, რომ მტერი განგებ იხვეს და არ მოტყუვდეს... აგრეთვე უთხარ — მოგივა-თქო დამხმარე ჯარი!“

ცოტა ხნის შემდეგ დავით ბატონიშვილი თვითონ მოდის ერეკლესთან. მეფე ეუბნება: „შენთან ყმაწვილი (ანუ ბიჭურად გადაცმული თეკლა — ავტ.) გამოვგზავნე, გატყობინებდი...“. დავითი მიუგებს: „არ მინახავს, არტილერია უკან დაეწიე, იქ, სადაც ვიდექ, ახლა ბრძოლაა და თუ შიკრიკი იქ მოეტანა, ან ტყვედ იქნება, ანდა მკვდარია“. აქი თეკლამ ერეკლეს დავალება შეასრულა!



„ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი სურათის შინაარსის თხრობისას გ. ციციშვილი ეპოქას ახასიათებს და წერს:

„პიესის მოქმედება იწყება სამხრეთ საქართველოში, რუსეთ-თურქეთის ფრონტთან ახლოს. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის უკანასკნელი დღეებია. ომით დაქანცული რუსეთის იმპერია უკანასკნელ აგონიას განიცდის. ფრონტი ირღვევა. ქვეყანა თებერვლის რევოლუციის მიჯნაზე იმყოფება. ბოლშევიკი ავიატორები ჯარში დიდ მუშაობას ეწევიან და აქტიურად იღვწიან მეფის თვითმპყრობელობის ომში დამარცხებისათვის“ (გვ. 231).

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი პიესის მოქმედების დაწყების დროიდან (1917 წ. თებერვლი) კიდევ თითქმის ორ წელი გრძელდებოდა, ასე რომ, როცა ყვარყვარე მეწიისქვილის ბუხარს უჯდა, „პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის უკანასკნელი დღეები“ ჯერ კიდევ შორს იყო.

გ. ციციშვილის სიტყვით, „ბოლშევიკი ავიატორები ჯარში დიდ მუშაობას ეწევიან და აქტიურად იღვწიან მეფის თვითმპყრობელობის ომში დამარცხებისათვის“.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოჰყვებოდა მეფის თვითმპყრობელობის ომში დამარცხებას: რუსეთის დაპყრობა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ! მერედა, განა ეს უნდოდათ ბოლშევიკებს?! განა ეს სიკეთეს მოუტანდა რევოლუციურ მოძრაობას? ბოლშევიკებს ასეთი მიზანი არა ჰქონიათ, ბოლშევიკებს საყოველთაო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის ეწეოდნენ ავიაციას, უკიდურეს შემთხვევაში სეპარატულ ზავზეც თანაზმა იყვნენ, რასაც დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ მიაღწიეს კიდევაც პიესის მოქმედების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ.

გ. ციციშვილს მოაქვს ციტატა „ყვარყვარედან“: „პეტროგრადი ბოლშევიკებს აუღიათ და ჩემი მოვალეობა მოხსნილია“, მაგრამ თვითონ თავის კომენტარებში ამ ქალაქს სულ „პეტერბურგად“ იხსენიებს. (გვ. 239, 253).

როცა 1914 წლის აგვისტოში პეტერბურგს პეტროგრადი დაარქვეს, ეს პრინციპული პოლიტიკური და პატრიოტული აქტი იყო; გერმანიისთან ომი დაიწყო და ამიტომ დედაქალაქის გერმანული სახელწოდება რუსულით შეცვალეს.

მონოგრაფიაში „პოლა ლომთათიძე“ (თბ., 1966), არჩევს რა მოთხრობას „ცხოვრების გულიდან“, გ. ციციშვილს მოჰყავს მეძავის მონოლოგი:

„შენ მეუბნები, — მიმართავს მეძავი მთხრობელს, — (ეს ჩართული სიტყვები მკვლევარს ეკუთვნის — ავტ.) — რად არ გრცხვენია ან ღმერთის ან კაცისათ (...). შენ, პატიოსანო ქალბატონო, როდის იყო, რომ შვილების საზრდო გამომიგზავნე...“ (გვ. 188).

მკვლევარს ისე აქვს საქმე წარმოდგენილი, თითქოს მოთხრობაში მეძავი მთხრობელს მიმართავდეს, სინამდვილეში მეძავი მთხრობელის თანამგზავრს, ონოფრეს, მიმართავს, მაგრამ ეს მცირე ლაფსუსია. მთავარი სხვაა. მეძავი ონოფრეს რატომღაც „პატიოსან ქალბატონს“ უწოდებს. ეს ფრაზა არც მთხრობელის მიმართაა გამართლებული, რადგან ისიც მამაკაცია. ასე გარდაისახა გ. ციციშვილის გამოკვლევაში მოთხრობის ერთი პერსონაჟი მეორედ, ხოლო მამაკაცი ქალად!

წიგნში „სანდრო შანშიაშვილი“, ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაზე“ საუბრისას, გ. ციციშვილი კვლავაც თავისებურად მოგვითხრობს ამ ქრესტომათიული ნაწარმოების პასაჟებს. ნაღველის გასაქარვებლად ფშავს გადასულ ონისეს „გი თუ შე ეთ ში აგზავნის“ (გვ. 239), ხოლო ნაწარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს ასე გადმოგვცემს: ონისეს „მოხვევთა მეწინავე

რაზმის ხელმძღვანელობას მიანდობენ. ძიძისთან ერთ-ერთი პაემანის დროს, როცა ონისე სასიყვარულო თავდაფიწყებაში იმყოფებოდა, მტერი უნაზღაურებლად დაესმება მისი რაზმის სანგრებს და უმეთაუროდ დარჩენილ ვაჭრებს განადგურებს" (გვ. 240).

მკვლევარი ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოს რაზმის მეთაურმა ონისემ შეგნებულად მიატოვა თანამებრძოლნი („ერთ-ერთ პაემანზე“ წავიდა), უმეთაუროდ დარჩენილი რაზმელები კი მტერმა ამოხოცა.

ონისე რაზმის მეთაური არ ყოფილა. ყაზბეგი წერს: „ონისე გასვლის უმაღლესი გემართა ნაროვანისაკენ, სადაც მთის ბილიკებზედ უნდა გასულიყო და თავისი გუნდის უფროსის ბრძანებით მტერზედ თვალი დაექირა და მათი მოხლოება დროზედ შეეტყობინებინა“. მაშასადამე, ონისე მხოლოდ გუშაგი იყო, რომელსაც გუნდის უფროსისაგან „ჯარის მშვიდობიანობა“ ჰქონდა მიმდობილი. ისიც სათქმელია, რომ რაზმის გაქლეტის მიზეზი უმეთაურობა კი არ იყო, არამედ მტრის მოულოდნელი თავდასხმა.

შემდეგ: ონისეს ძიძისთან პაემანი კი არ ჰქონდა დათქმული (თანაც „ერთ-ერთი“), არამედ მათი შეხვედრა შემთხვევითი, საბედისწერო იყო. მოგუსმინოთ მწერალს: ძიძია „ის-იყო მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირებდა. როდესაც ვილაცამ ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა, ქალმა მოიხედა და ღონემინდილმა ძლივს-ღა წარმოთქვა: — ონისე! — და კაცის ხელებზედ მიელეშა“.

ნუთუ ეს „ერთ-ერთი პაემანია“?

მაინც საიდან გაჩნდა გ. ციციშვილთან ონისეს რაზმის მეთაურად დანიშვნა? საქმე ის გახლავთ, რომ ვადამწყვეტი ბრძოლის წინ ონისეს ჩააბარეს „რამდენიმე კაცი, რომელიც მოხევეთა ერთის გუნდის მოწინავე ჯარს შეადგენდა“. მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, ძიძისთან შეხვედრისა და მოხევეთა გაქლეტის შემდეგ. ზემოთ მოთხრობილ ეპიზოდში კი ონისე არც მეთაურია და არც „ერთ-ერთ პაემანზე“ წისვლის გამო მიუტოვებია რაზმი.

„სიუჟეტური ქარგის“ თხრობისას პატივცემული ავტორი ზოგჯერ ნაწარმოების მხატვრული ღირსებების გარკვევისაც ცდილობს. მაგალითად, ს. შანშიაშვილის „ლატავრას“ შესახებ წერს:

„პიესის ამ მეორე მოქმედებაში კონფლიქტი აჩანჩქერებულ მოქმედებაში გადადის“ (გვ. 158).

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვა არაერთხელ გვხვდება სხვადასხვა პიესებზე საუბრისას:

„ამრიგად, პირველი მოქმედების აჩანჩქერებულ დინება ორი კლასის შეტაკებისაკენ მიგვაქანებს“ (გვ. 187), ეს ს. შანშიაშვილის „არსენაზე“ ნათქვამი.

ამ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლზეც ამბობს, რომ იგი „გამოირჩეოდა... ფერადოვანი სანახაობებით და აჩანჩქერებულ რიტმით“ („სანდრო შანშიაშვილი“, გვ. 210).

ამავე ავტორის „იმერეთის ღამეებზე“ წერს: „...მისი დაძაბული რიტმი, აჩანჩქერებულ სიუჟეტური განვითარება... მიმზიდველობას უძლიერებენ მას“ („სანდრო შანშიაშვილი“, გვ. 236).

„სცენიური მოქმედების აჩანჩქერებულ დინების მაგალითად გამოდგება თუნდაც „კოლმეურნის ქორწინების“ მესამე მოქმედება“ (ქსდ, გვ. 285).

„...მოქმედების აჩანჩქერებულობა, დრამატულ ინტრიგის ძაფთა

მონერხებული გაბმის უნარი — პ. კაკაბაძის შემოქმედების თავისებურებებს წარმოადგენს“ (ქსდ, გვ. 263).

მარტო პ. კაკაბაძის? როგორც ვნახეთ, ს. შანშიაშვილის შემოქმედების თავისებურებასაც „მოქმედების აჩანჩქერებულობა“ წარმოადგენს, მხოლოდ ამ ორი დრამატურგის თავისებურება ყოფილა ეს; ი. ვაკელის „შამილის“ გამოც ამასვე გვაუწყებს მკვლევარი:

„პიესის ისედაც საინტერესო, კარგად აგებული სიუჟეტი მესამე მოქმედებიდან კიდევ უფრო საინტერესო დატოტიანებას იღებს და მიმზიდველი სცენიურობითა და აჩანჩქერებულო დინამიურობით ვითარდება“ (ქსდ, გვ. 336).

ან კიდევ: „პ. კალაძის მჩქეფარე, პოეტურმა ბუნებამ პიესას („როგორ“) მისცა დინამიურობა, აჩანჩქერებულო ტემპი...“ (ქსდ, გვ. 415).

„პირველ სურათიდანვე მოქმედება ჩანჩქერად გადმოქუხს...“ (ესეც პ. კალაძის იმავე პიესაზეა ნათქვამი. გვ. 416).

„...კვლავ ჩვეული ენერგიითა და თავგანწირვით გადაეშევა რეგოლუციის აჩანჩქერებულ დინებაში“ (ეს გ. ბააზოვის „იუკა რიჟინაშვილის“ მთავარ გმირს ეხება. გვ. 587-8).

როგორც ცნობილია, ს. შანშიაშვილის „ანზორ“ ეს. ივანოვის პიესის გადმოკეთებით შეიქმნა. ამასთან დაკავშირებით გ. ციციშვილი წერს:

„...ს. შანშიაშვილმა შესძლო პიესის უფრო მეტად დაწინება-კონდენსირება და იდეურ-მხატვრულად უფრო შეკრული, უფრო კონცენტრირებული ვარიანტის შექმნა, ქართულ სინამდვილესთან დაახლოებასთან ერთად მან იგი უფრო გაარომანტიულა, რიტმი გაუზარდა, ტემპი აუჩანჩქერა...“ (ქსდ, გვ. 172).

რამდენიმე გვერდის შემდეგ ისევ ამ პიესაზე ამბობს:
„ს. შანშიაშვილი... გაზარდა პიესის შინაგანი რიტმი, ააჩანჩქერა მისი მოქმედება“ (გვ. 176).

მოკლედ, როგორც ვხედავთ, მთელი ქართული დრამატურგია ჩანჩქარებს! პროზაული მხატვრული ნაწარმოებების დასახასიათებლადაც ერთი არანაკლებ კოლორიტული სიტყვა აქვს შერჩეული მკვლევარს, ეს არის — „ჩაწინწყლული“. შ. დადიანის „ურდუმის“ შესახებ აღნიშნავს:

„შიგა და შიგ რომანში შესანიშნავადაა ჩაწინწყლული მეტყველი და ფერადოვანი ყოფითი დეტალები: ნადიმების სცენები მთავრის ოჯახში, სასამართლოს მოლოდინში ყმა გლეხთა მასლაათი, მეგრელი ახალგაზრდობის თავშექცევა, დავით დადიანის სიმკაცრე, მის მიერ სალხინოს სასახლის შენების ეპიზოდები და სხვა“ (შალვა დადიანი, თბ., 1974, გვ. 244).

„ტყვეში“ გამოვლინდა კიდევ ერთი მომენტი, რომელიც მეტად დამახასიათებელია შ. დადიანის მთელი შემოქმედებისათვის; ეს არის ამ ნაწარმოებში ჩაწინწყლული ავტორისეული აზრები ზელოვნებაზე, ლიტერატურაზე...“ (იქვე, გვ. 166).

„წიგნში (შ. დადიანის „რაც გამახსენდა“) უხვად და მდიდრულადაა ჩაწინწყლული ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები, მიმზიდველი ისტორიული რეალიები, მასალები ხალხის ზნე-ჩვეულებებისა...“ (გვ. 278).

ჭოლა ლომთათიძის მოთხრობაც „სახრჩობელას წინაშე“ ასევე აქვს დახასიათებული:

„ყოფითი ხასიათის ბიოგრაფიული დეტალების გვერდით მოთხრობაში მრავლადაა ჩაწინწყლული რეგოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები“ (ჭოლა ლომთათიძე, გვ. 227).

ან კიდევ: „ასეთსავე ხასიათს ატარებს ვითომდაც „ანონიმი ავტორის“ მიერ გამოგზავნილი ეს წერილიც, რომელშიც კოლასავე თავგადასავლის ეპიზოდებია ჩაწინწყლული“ (გვ. 331).

„ნაწარმოებში („ჰონორარი“) შიგადაშიგ „ჩაწინწყლული“ ავტობიოგრაფიული დეტალები, რომლებიც არა ერთხელ გვხვდება ჭოლას პირად წერილებსა და ნაწარმოებებში“ (გვ. 333).

თურმე რა ხშირად მიმართავენ ჩვენი პროზაიკოსები „ჩაწინწყლის“ ხერხს!

ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს მკვლევარი ი. ვაკელის დრამის „შოთა რუსთაველის“ ვერსიფიკაციულ მხარეს:

„პიესა დაწერილია თეთრ ლექსად, რომელსაც შიგა და შიგ ჩართული აქვს ღრმა აზრისა და კოხტა ფორმის პოეტური ნიმუშები. დიალოგის გაღვიქსილი ადგილები არ ამრუდებენ დიალოგის საერთო მიმართულებას“ (ქსდ, 391).

როგორც ჩანს, გ. ციციშვილი თეთრ ლექსს „პოეტურ ნიმუშად“ არ მიიჩნევს, ხოლო „კოხტა ფორმის“ პოეტურ ნიმუშებში ალბათ პიესის გართმული ადგილები იგულისხმება (მაგალითად, ჭუჭას ზოგიერთი პასაჟი), მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუკი „პიესა დაწერილია თეთრ ლექსად“, მაშინ რაღას ნიშნავს „დიალოგის გაღვიქსილი ადგილები“?

რეალური სურათი ასეთია: ი. ვაკელის „შოთა რუსთაველი“ დაწერილია ნაწილობრივ პროზად, ნაწილობრივ თეთრ ლექსად, არის გართმული პასაჟებიც.

ს. შანშიაშვილის „ლატავრას“ გამო წერს:

„მართალია, ამ თეთრ ლექსად დაწერილ პიესაში სიმბოლისტური დრამისათვის დამახასიათებელი ორიოდუე ზერხიცაა გამოყენებული...“ (ქსდ, 150).

„ლატავრას“ უამრავი პასაჟი გართმულია. მეცნიერს თვითონ მოაქვს გართმული სტრიქონები (გვ. 160-1). მაგრამ ვერ ატყობს, რომ რითმთან ლექსთან აქვს საქმე.

ამავე ავტორის „კრწანისის გმირების“ შესახებ ამბობს:

„მიუხედავად იმისა, რომ პიესა არაა ლექსად დაწერილი, იგი თავისი პოეტურობით არ ჩამოუვარდება ს. შანშიაშვილის სხვა პიესებს, რომელთაც ლექსალური ფორმა აქვთ“ (ქსდ, გვ. 200).

„კრწანისის გმირებიც“ ს. შანშიაშვილისთვის დამახასიათებელი შერეული ფორმითაა დაწერილი: არის პროზაც, თეთრი ლექსიც, თავისუფალი ლექსიც, რითმიანი ლექსიც (შესაძებ მოქმედების ბოლოს, მოქალაქეთა და მებრძოლთა საუბარი).

პროფ. გ. ციციშვილის სიტყვით, შალვა დადიანმა „პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში მცირე ფორმის სახეობა — მინიატურული ჯანრი და ამით ქართული პროზის ვერსიფიკაციის საქმეში საკუთარი წვლილიც შეიტანა“ (შალვა დადიანი, გვ. 195).

გერ ერთი, შ. დადიანს პირველს არ შემოუტანია ქართულ ლიტერატურაში მცირე ფორმის სახეობა (გავიხსენოთ, თუნდაც, ვაჟა-ფშაველას მინიატურები), მაგრამ აქ სხვა რამეა უფრო საინტერესო — „პროზის ვერსიფიკაცია“!

ვერსიფიკაცია, მოგეხსენებათ, ლათინური სიტყვაა და ქართულად ლექსწყობას ნიშნავს, ხოლო რას ნიშნავს პროზის ლექსწყობის საქმეში წვლილის შეტანა, გაუგებარია.

გ. ციციშვილი-თეორეტიკოსი არაერთგზის საუბრობს ნაწარმოების მხატვრული ანალიზის, ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში განხილვის

აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მის წიგნებში ვერ ვპოულობთ ნამდვილი მხატვრული ანალიზის ნიმუშებს. ის რამდენიმე ფრაზა, სადაც შეიმჩნევა ცდა მხატვრული ანალიზისა, ამგვარი ხასიათისაა:

ქართული
ლიტერატურის
ისტორია

„საუკეთესო ქართული სურათების მოზაიკურ მოჭედულობით გამოირჩევა სომეხ-თათართა ულტის დროს განჯაში ნახული თათრის სახე...“ (ქოლა ლომთათიძე, გვ. 236).

„მოზაიკური მოჭედულობით“ გამორჩეული თათრის სახე მეტად ბუნდოვანი რამ არის.

„გიორგი რუსის“ შესახებ წერს: „ეს მწყაზარი და მდიდრულად მოჩუქრთმებული ნაწარმოები გამოირჩევა კლასიკური სისადავით“ (შალვა დიდიანი, გვ. 212).

თუკი ნაწარმოები მდიდრულად არის მოჩუქრთმებული, კლასიკური სისადავით როგორღა გამოირჩევა?!

„...ქოლას ნაწერებში სიუჟეტის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო სუსტდება და იგი ნაწარმოების მხატვრულად მარგანიზებული ფაქტორიდან, ერთი მთლიანი ხერხემალიდან, იდეურ-თემატური მხარის მთავარი ძარღვიდან — რაღაც მეორე ხარისხოვან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმაღ იტყევა“ (ქოლა ლომთათიძე, გვ. 310).

მაშასადამე, სიუჟეტი ხერხემალიცაა, მთავარი ძარღვიც და თქვენ წარმოიდგინეთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმადაც (?) შეიძლება იტყოს!

გ. ციციშვილის „მხატვრული ანალიზი“ სამ მაგიურ სიტყვას უკავშირდება — სიმბოლოს, ალეგორიას და ქვეტექსტს. თუ მას სურს შეაქოს რომელიმე ნაწარმოები, იგი აუცილებლად მიმართავს ამ ტერმინებს, ოღონდ თითქმის ყოველთვის უმართებულოდ იყენებს მათ. მრავალთაგან ამ ცნებების არასწორი ხმარების მხოლოდ თითო ნიმუშს მოვიტანთ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე:

„ოსტატურად ჩამოქნაილი, კარგად ინდივიდუალიზირებული და მართებულიად ტიპიზირებული სახე მორდენასი, ესაა ს ი მ ბ ო ლ უ რ ი სურათი იმი-სა. თუ როგორ ზრდოდა, როგორ აბამდა შრომაში და როგორ აყალიბებდა ახალადამიანს კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკა“ (ქსდ, გვ. 497).

შ. დადიანის პიესაში „ბატონის ურთიერთობაში თავის მსახურებთან ალეგორიულად გამოხატულია მემამულე თავდაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულება“ (იქვე, გვ. 30).

„...გულთამზე თავის სასარგებლოდ იყენებს ყვარყვარეს. ამრიგად. აქაც გონებამანვილური ქვეტექსტია: მონადირე თვით იქცა ნანადირევად“ (იქვე, გვ. 255).

ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის კვლევა ადვილი არ არის, ამიტომ მეცნიერის მოკრძალებული შედეგები ამ სფეროში შეიძლება ობიექტის სირთულეს „დავაბრალოთ“, მაგრამ როგორღა ავხსნათ ავტორის სქელტანიან წიგნებში გაბნეული უცნაური შეუსაბამობანი?

ნაშრომში „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ გ. ციციშვილი წერს:

„1892 წელს შ. დადიანი ცალკე წიგნად აქვეყნებს თავისი ლექსების პირველ კრებულს „ნაპერწყალს“. აქედან იწყება მისი დიდად ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა“ (გვ. 7).

ჩაუხედოთ ახლა ამავე ნაშრომის მე-13 გვერდს: „როგორც აღვნიშნეთ, სალიტერატურო მოღვაწეობა შ. დადიანმა მკირე ფორმის პროზაული ნაწარმოებებით, მინიატურებითა და ეტიუდებით დაიწყო. მისი პირველი მინიატურა 1896 წელს დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“.

თუ შ. დადიანმა „დიად ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა“ 1892 წელს დაიწყო, 1896 წელს ილიასეულ „ივერიაში“ როგორღა მოხდა „სალიტერატურო მოღვაწეობის“ დაწყება? 1896 წელს
გადაეშალათ მონოგრაფია „ქოლა ლომთათიძე“, 28-ე გვერდშია მოხსენიებული
ობთ: „1903 წელი უმნიშვნელოვანესი თარიღის კოლას ცხოვრებაში: ამ წელს იგი შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში და ამ წინიდან მოყოლებული მთელ თავის ცხოვრებას ამ პარტიის პროლასა და საქმიანობას სწირავს. რევოლუციური მოღვაწეობისათვის მან თავი უსაყვარლესი საწმენი თავისი შინაგანი მოწოდება — ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა კი დათმო“.

გამოვტოვოთ რაღაც სამიოდე სტრიქონი და განვავაძოთ კითხვა: „1903 წლიდან ქოლა პარტიის გურიის კომიტეტის მიერ დაკისრებულ პრობანდისტულ მუშაობას ეწევა და პარალელურად დიდინსუოფიერებათ წერს პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ თხზულებებს“ (ნაწი ჩვენია — ავტ.)

ამჯერად არ გვაინტერესებს გამოთქმული ორი დებულებიდან რომელია უეშმარტი. ეს ადვილი გასარკვევია. უცნაური სხვა რამაა: როგორ ახერხებს მეცნიერი ასე გვერდიგვერდ, ერთ აბზაცში ამტკიცოს რომ ერთმანეთს გამომორიცხავი ახრი!

181-ე გვერდზე ვკითხულობთ: კოლას „არ ეხერხება ბუნების სურათის შთამაგონებლად, მაღალმხატვრულად გადმოცემა; რის გამოც მის შემოქმედებაში პეიზაჟი მეტად იშვიათად გვხვდება“.


ახლა მოვძებნოთ მონოგრაფიის 295-ე გვერდი: „ქოლას ამ ოსტატურ ჩანახატებში გამოუმჯავნდა პორტრეტისა და პეიზაჟის ჩინებული ოსტატი; რომელსაც ორიოდე გვერდითი შტრიხითაც კი, ჩინებულად ძალუძს აღამიანისა და ბუნების საუცხოოდ მართალი, ღრმად განცდილი, მხატვრულად შთამბეჭდავი და ლირიკულად თბილი სურათის შექმნა“ (ნაზგასმა ორგანვე ჩვენია — ავტ.).

რომელ დებულებას ეენდით? „არ ეხერხებოდა“ თუ „ჩინებულად ძალუძდა“? ჭ. ლომთათიძეს ბუნების სურათების ხატვა?

მეცნიერის რამდენიმე თეორიულ მოსაზრებასაც გავგეცნოთ. წიგნში „ქართული საბჭოთა დრამატურგია“ იგი წერს:

„საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება; საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ადრეულ ეტაპზე (ოციანი წლები), ამ პიესაში („ყვარყვარეში“) დრამატურგმა გააკეთა თამაში ცდა კომედიაში დადებითი გმირის შემოყვანისა. ეს დადებითი გმირი ბოლშევიცი ქალი და მამაცი რევოლუციონერი გულთამიზა. მართალია, ვერ გიტყვით, რომ ეს სახე ნამდვილად მაღალმხატვრულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უანრის ფარგლებს (კომედიაში საერთოდ ჭირს სრულქმნილი დადებითი ხასიათის გამოყენება) და დროს, როცა ეს პიესა დაიწერა, ცხადი გახდება, რომ გულთამიზეს სახეს დიდი პრინციპული მნიშვნელობა ეძლევა და იგი თეორიული მნიშვნელობის საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ დეტალს წარმოადგენს“ (გვ. 254).

კი მაგრამ, რატომ არის ამ კომედიაში დადებითი გმირის შემოყვანა „თამაში ცდა“? მანამდე კომედიაში დადებითი გმირები თამამად ვერ შემოჰყავდათ? ალ. ცაგარლის „ხანუმაში“ დადებითი გმირები არიან სონა და კოტე; დადებითი გმირია, მაგალითად, მასკარული მოლიერის კომედიებში: საერთოდ, იშვიათია კომედია, რომელშიც დადებითი გმირი არ იყოს და რატომ უნდა



გაძნელებულიყო დადებითი გმირის გამოყვანა მაინცდამაინც საბჭოთა კომედიის, თუნდაც მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე?

რამდენიმე გვერდის შემდეგ ვკითხვლობთ: „კოლმეურნის ქორწინებაში“ ლირსესანიშნავი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი პირველი ნამდვილად მაღალმხატვრული და მაღალიღიესური ქართული საბჭოთა კომედია, რომელშიც მთავარ, წამყვან პერსონაჟებად დადებითი გმირები გვევლინებიან. კომედიის ცენტრალურ მოქმედ პირად დადებითი გმირის ქცევა, საბჭოთა კომედიის პრობლემის ახლებური გადაწყვეტის შედეგი იყო. პ. კაკაბაძე, მოწინავე საბჭოთა დრამატურგებთან ერთად, ნოვატორულად წყვეტდა ახალი კომედიის ბუნებისა და სპეციფიკის, მისი ფორმისა და შინაარსის საკითხებს. მკაფიოდ გამოკვეთილ სიახლესთან ერთად (დადებით გმირების წამყვანობა და სიუჟეტური ინციფტივა, კომიზმის ახალი საფუძველი, კონფლიქტის ახალი ხასიათი) დრამატურგი შემოქმედებითად იყენებდა კლასიკური დრამატურგიის ტრადიციულ ხერხებსაც...“ (გვ. 259).

„დადებითი გმირების წამყვანობა“ საბჭოთა კომედიის „მკაფიოდ გამოკვეთილი სიახლე“ ყოფილა!

„წამყვანი დადებითი გმირები“ მრავლადაა კლასიკურ კომედიებში. გავიხსენოთ, თუნდაც, ბომარშეს ფიგარო, ავტორისავე დახასიათებით „თავისი ერის ყველაზე საზრიანი ადამიანი“. სწორედ ამ პერსონაჟის გამო უწოდა „ფიგაროს ქორწინებას“ ნაპოლეონმა „რევოლუცია მოქმედებაში“. ფიგაროს სახელგანთქმულ მონოლოგში, სხვათა შორის, ასეთი სიტყვებიც არის: „სადაც არ არსებობს კრიტიკის თავისუფლება, იქ ქებას არავითარი ფასი არა აქვს“; გავიხსენოთ ა. გრიბოედოვის ჩაკი კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“, შექსპირის პეტრუჩო „ჭირვეულის მორჯულებიდან“ და სხვა მრავალი.

იგივე აზრი საბჭოთა კომედიის თავისებურების შესახებ გ. ციციშვილს გამოთქმული აქვს თეორიული ხასიათის ნაშრომშიც „ქართული კომედიის ტრადიციებისა და საბჭოთა კომედიის ბუნების შესახებ“:

„კომედიის დადებითი ხასიათები, საბჭოთა კომედიის შენაძენია, მისი თვისობრივად ახალი ელემენტია, რომელიც ჩვენი კომედიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სპეციფიკურ ნიშნად გვევლინება“ (წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე, თბ., 1959, გვ. 119).

საბჭოთა კომედიის სპეციფიკურ ნიშნად არის გამოცხადებული ის, რაც ოდითგანვე კომედიის დამახასიათებელი თვისებაა!

ახლა ასეთი დასკვნა მოვისმინოთ:

„ამრიგად, „ყვარვარე თუთაბერში“ სრულად გამოვლინდა (ხოლო შემდეგ, „კოლმეურნის ქორწინებაში“ კიდევ უფრო გაძლიერდა) ის თვისება, რომელიც საბჭოთა კომედიის უმნიშვნელოვანეს სპეციფიკურ ნიშნად გვევლინება: კომედიის ახალი ხასიათი. იგი იმაში მდგომარეობს, რომ სიცილი, როგორც საბჭოთა კომედიის ძირითადი იარაღი, აქ თვითმიზნურ ხასიათს კი არ ატარებს, გარეგანი კომიკური სიტუაციების შედეგი კი არ არის, არამედ შინაარსისაგან გამომდინარეობს; იგი სიუჟეტური ტრიუკებით, ენის განზრახვი დამახინჯებით კი არ იქმნება, არამედ ხასიათების თვისებითაა გაპირობებული. პ. კაკაბაძის პიესაში სიცილი იღიესურ ამოცანებს ემსახურება და სრულიად ახალი შინაარსის მატარებელია“ (ქსდ, გვ. 257-8).

აქედან ლოგიკურად გამოდის, რომ შექსპირის, მოლიერის, გოგოლის, გრიბოედოვის, ბერნარდ შოუს და სხვა დრამატურგთა კომედიებში სიცილი თურმე თვითმიზნურ ხასიათს ატარებს და შინაარსიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ გარეგანი კომიკური სიტუაციების შედეგია, თანაც ხასიათების

თვისებებით კი არ არის გაპირობებული, არამედ სიუჟეტური ტრიუკებით და
ენის განზრახ დამახინჯებით მიიღწევა. რაც მთავარია, მათთან თურმე სიცილი
იდუქურ ამოცანებს არ ემსახურება!

წიგნში „წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე“ გ. ციციშვილი თორმეტ
პუნქტად აყალიბებს „რასი მდგომარეობს დრამატურგიის, როგორც მხატვ-
რული ლიტერატურის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, სპეციფიკური სიძნე-
ლე“ და რით განსხვავდება დრამა ეპოსისა და ლირიკისაგან (გვ. 10). მეცხ-
რე პუნქტი ასეთია:

„დრამატურგი არ იძლევა გმირის აღწერას — იქნება ცოცხალი არტისტი,
იგი არ გვიხატავს ბუნებას — იქნება დეკორაცია, დრამატურგი არ აგვიწერს
ფიზიკურ მოძრაობას — იქნება დამდგმელი რეჟისორი, რომელიც გაიანზრებს
ყოველგვარ ფიზიკურ გადაადგილებას და მსახიობი, რომელიც უშუალოდ
განახორციელებს მას“ (გვ. 13).

თურმე „დრამატურგი არ იძლევა გმირის აღწერას“ შ. დადიანი ასე აღ-
წერს კოჭიას კნინას პიესიდან „გუშინდელნი“: „გამხდარ-გამხდარი. აწოწილი,
ღარბულად აცვია, თაღნებში გამოწყობილი, ნელი. მორიდებული ხმა აქვს,
ხსიათი კი მტკიცე“.

დრამატურგმა თუ პერსონაჟი არ აღწერა, როგორ უნდა შეიძინოს მისი
შემსრულებელი მსახიობი, როგორ უნდა შეიქმნას მისი გარეგნული პორტ-
რეტი?!

გ. ციციშვილის მიხედვით, თურმე დრამატურგი „არ გვიხატავს ბუნებას —
იქნება დეკორაცია“. დეკორაცია რანაირად „იქნება“, თუ დრამატურგმა ბუ-
ნება არ დაგვიხატა? როცა მოქმედება ბუნების წიაღში ხდება, დრამატურგი,
როგორც წესი, გვიხატავს ბუნებას, თუ მოქმედება ოთახში მიმდინარეობს —
მაშინ ინტერიერს. აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილ ალ. სუმბათაშვილის „და-
ლატის“ მეორე მოქმედებაში ბუნების ასეთი სურათია დახატული: „...ივანზე
სულ იასამნისა და ვარდის ბუჩქებია. შორით, წყალგადმა მოსჩანს ახალციხის
ტყიანი მთები. მარჯვნივ ხეივანია. ვახუშტის ტალანი, შორს მდის და მერე მარ-
ჯვნივ უხვევს. შემოსავალთან დიდი ფულურო კაკლის ხეა“ და ა. შ.

ყველაზე საოცარი მაინც ეს დებულებაა: „დრამატურგი არ აგვიწერს
ფიზიკურ მოძრაობას“. მაშ, რემარკები რისთვის არის პიესაში? თუ დრამა-
ტურგმა ფიზიკური მოძრაობები არ აგვიწერა, როგორ უნდა მიხვდეს მსა-
ხიობი, რა გააკეთოს სცენაზე? აი, რამდენიმე რემარკა შ. დადიანის „გუშინ-
დელნიდან“: „ივნის ხარხის დაეყრდნობა“, „ხელს ჩაიქნევს. კიბეზე ჩადის“,
„ამოიღებს რედიკულიდან პუდრს, სარკეს და ირთვება“, „ნუთუ ესენი ფიზი-
კური მოძრაობები არ არის?!

ენახოთ კიდევ რამდენიმე ფაქტობრივი შეცდომა:

ი. ვაკელის პიესა „რუსთაველზე“ საუბრისას მეცნიერი წერს:

„შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე ჯერ კიდევ
XVIII საუკუნეში იქმნებოდა დრამატული ნაწარმოებები, მაგრამ ასეთ შემ-
თხვევათა დიდი უმრავლესობა პოემის სიუჟეტურ ქარგაზე შექმნილი ნაწარ-
მოებები იყო და მათში მოქმედ პირობად პოემის პერსონაჟები გვევლინებოდ-
ნენ“ (ქსლ. გვ. 390).

მაინც რამდენი იყო XVIII საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ
ქარგაზე შექმნილი დრამა? ცნობილია ასეთი ერთადერთი ნაწარმოები — გო-
დერძი ფირალიშვილის „ვეფხისტყაოსანი ტრაგედიად“ ან „ინდოეთის ტახტის
მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“, ისიც 1805 წელს, ე. ი. XIX
საუკუნის დამდეგს არის დაწერილი.

241-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ძველი ქართული ანდაზისა არ იყოს უკანანი წინ მოექცნენ, წინანი კი უკან“. თუ ეს ძველი ქართული ანდაზისა მაშინ სახარება, სადაც ეს გამოთქმა (და არა ანდაზა!) გვხვდება. ძველი ქართული ლიტერატურის ძველი ყოფილა.

გ. ციციშვილი წერს: „გაიხსენით რამდენად შთაბეჭდილია... კრივის სცენა დ. შენგელაის „ისნის ცისკარში“ (წერილები... გვ. 46).

„ისნის ცისკარი“ გ. ბარნოვის ნაწარმოებია, და, რაც მთავარია, მასში არავითარი კრივის სცენა არ არის.

მეცნიერის სიტყვით, ჰ. ლომთათიძემ მოთხრობა „სნეულის ფიქრები“ გამოაქვეყნა ილიას „ივერიაში“, 1904 წ.“ (ჟოლა ლომთათიძე, გვ. 213).

ცნობილია, რომ 1902 წლიდან ილია აღარ არის „ივერიის“ რედაქტორი.

გ. ციციშვილი ზშირად არასწორად იყენებს უცხო სიტყვებსა და ტერმინებს. წიგნში „წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე“, 36-ე გვერდზე, სადაც მხატვრული ნაწარმოების ენაზეა საუბარი, ვხვდებით გამოთქმას „არქაული კონსტრუქტივიზმი“. „კონსტრუქტივიზმი“ მიმდინარეობაა მეოცე საუკუნის ხელოვნებაში, ხოლო იმ ტერმინს, რომლის გამოყენებაც სურს მეცნიერს, „კონსტრუქცია“ ჰქვია.

გ. ციციშვილი საუბრობს ჰ. ლომთათიძის დაინტერესებაზე პერსონაჟის ფსიქოლოგიური დახასიათებით და სხვათა შორის აღნიშნავს: „ასეთი რთული მიზანდასახულობა... ფსიქოანალიზის მეტ შესაძლებლობას აძლევდა მწერალს“ (გვ. 225).

„ფსიქოანალიზი“ ცნობილი მიმართულებაა ფსიქოლოგიაში, თავისი სპეციფიკური შინაარსით, ამიტომ დამოწმებულ კონტექსტში მისი გამოყენება დაუშვებელია — გამოდის, თითქოს ჰ. ლომთათიძე ფსიქოანალიზის მიმდევარი იყო. ის, რისი თქმაც სურს მეცნიერს, ორი სიტყვით გადმოიკვება — „ფსიქოლოგიური ანალიზი“.

ჰ. ლომთათიძის „უსათატროს“ განხილვისას მკვლევარი აღნიშნავს:

„...ქალ-ვაჟის სიყვარულის რეალისტურად გადმოცემულ ამბავს ალაგ-ალაგ ენაცვლება რაღაც უცნაური მსჯელობა სულთა კავშირის შესახებ, რომელიც ერთგვარი მისტიფიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს“ (გვ. 246). ამავე მწერლის მოთხრობის „დრჩევა სულისა“-ს გამო ნათქვამია: აქ თავი იჩინა „მარტოობის მქენჯნავმა გრძობამ, რომლისთვისაც რეაქციის ბნელ დამეს მისტიფიკაციები და კომმარული ხილვები ჩაუქსოვია“ (გვ. 286).

„მისტიფიკაცია“ არის წინასწარი განზრახვით ვინმეს შეცდენა, მოტყუება. ის სიტყვა კი, რომელსაც გ. ციციშვილის კონტექსტები მოითხოვს, გახლავთ „მისტიკა“.

„კოლმეურნის ქორწინების“ განხილვისას წერს: „ასეთები მოსავლის რეკორდსმენებზე ნადირობენ და სტანანოველების გამოზრდაზე უფრო მეტად მათ გადმობირებასა და „ექსპორტირებაზე“ ზრუნავენ“ (ქსდ, გვ. 285).

„გადმობირებასთან“ „იმპორტირება“ უნდა იყოს და არა „ექსპორტირება“.

შ. დადიანის შესახებ ამბობს, რომ იგი იყო „სახელმწიფოებრივი თეატრალური მოღვაწე, რომელმაც ქართული სცენის მოპიკანებთან ერთად ახალი სიცოცხლე მისცა ქართულ თეატრს“ (შალვა დადიანი, გვ. 5).

მოპიკანი ფიგურალურად რაიმე გამჭრალი ჯგუფის უკანასკნელ წარმომადგენელს ნიშნავს და ფ. კუპერის რომანს — „უკანასკნელ მოპიკანს“ უკავშირდება. ახლა მივუბრუნდეთ ციტატას, სადაც გამჭრალთა შორის უკანასკნელი ახალ სიცოცხლეს ბადებენ! მაშინ რატომ არიან ისინი „მოპიკანები“?

ჭოლის ნაწარმოების გმირი გამოთქვამს აზრს, რომ აღამიანი სტიქის უბრალო სათამაშოა. გ. ციციშვილის კომენტარი: „ასეთი დემორალიზებული ექვი მხოლოდ წამიერი, სწრაფ წარმავალი გრძნობაა...“ (გვ. 269).
რას ნიშნავს ეს უცნაური „დემორალიზებული“? თუ ამას რაიმე სიკეთის აქვს „დემორალიზაციასთან“ ანუ მორალის, ზნეობრივი საწყისების რღვევასთან, მაშინ რა არის ჭ. ლომთათიძის პერსონაჟის მიერ გამოთქმულ აზრში ისეთი, რაც მორალის რღვევას უკავშირდება?

სამართლიანად წერს გ. ციციშვილი-თეორეტიკოსი:

„უბასუხისმგებლო მოპყრობა ენასთან ამუღავნებს უბასუხისმგებლობას აზროვნებისადმიც. შეცდომა ენაში უმთავრესად აზრობრივ შეცდომასთან არის დაკავშირებული“, — და იქვე განაგრძობს: „მაგრამ არიან შეცდომები, გამოწვეული ენის კანონების უცოდინარობით და არასაკმარისი მხატვრული ოსტატობით“ (წერილები... გვ. 37).

ღიან „არიან“, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ისინი ასე უზავდ ჩაბუღებულან აღიარებული მეცნიერის წიგნებში. აი ზოგიერთი ნიმუში:

„არასაკმარო კი არა, ზედმეტად საკმარო ყურადღება მიაქცია“ (ქსდ, გვ. 48), „მასში შეყვარებული“ (ქსდ, გვ. 432), „წიგნებში შეყვარებული“ (ქსდ, გვ. 584), „სტამბაში შეყვარებული“ (ქსდ, გვ. 570), „უმართებულო იქნებოდა არ ა გ ვ ე ლ ნ ი შ ნ ა“ (ჭოლა, გვ. 125), მაგრამ როგორც ა ვ ე ლ ნ ი შ ნ ე თ“ (ქსდ, გვ. 498), „აქტუალურ საკითხებს დ ძ რ ა ვ დ ა“ (ქსდ, გვ. 460), „სრულიად ვერა დ ძ რ ა ვ ს ჩვენში ზღვის გარემოს ილუზიას“ (წერილები..., გვ. 211), „ჩვენი ხალხის ა ს ა ღ ფ რ თ ო ვ ა ნ ე ბ ლ ა დ“ (ქსდ, გვ. 374), „თავდადებულ მოქალაქეებად ღ ზ რ დ ი ს“ (ქსდ, გვ. 508), „თავის მოთხოვნებს უ რ დ გ ე ნ ს პიესის ენას“ (წერილები..., გვ. 14), „სიმართლეს თ უ რ გ ნ ი ა ნ“ (იქვე, გვ. 139) და ასე დაუსრულებლად...

თეორეტიკოსი გ. ციციშვილი წინააღმდეგია „ენის გაუფერულების, მისი დისტილირების, გასალაშინებისა“ (წერილები..., გვ. 35). ალბათ ამიტომაც, რომ თავის გამოკვლევებს ზოგჯერ ასეთი „მხატვრული“ ორნამენტით ამკობს: „მჩქეფარე და დაუდგრომელი ჭოლა ქართულ ლიტერატურაშიც ასწრაფებული ნაბიჯებით შემოიჭრა“ (გვ. 198); „ჭოლა თითქმის ყოველთვის გვესვრის ბლუჯა სხივსაც — მომავალი გარდაქმნებისა და ნათელი იდეალების სიმბოლოს“ (გვ. 181); „ეს განცდები ლირიკული პროზის ფურცლებად ანვევია იდეის მატარებელ კოკორს“ (იქვე, გვ. 199); „ამ ნოველაში ჭ. ლომთათიძე დაუნდობლად აშიშვლებს არა მარტო ზნედაცემულ ქალს... არამედ იმ მამაკაცსაც, ვინც მეგობრის ოჯახის წამბილწავად გვევლინება“ (გვ. 346); „მრავალი პიესის კომპოზიციური ს ი თ ო ნ თ ლ ო ვ ე...“ (წერილები..., გვ. 139) და ა. შ.

კიდევ ერთხელ უნდა დავესახოთ გ. ციციშვილ-თეორეტიკოსს:

„ხელოვნურობის ოჩოფებზე შეყენებული ენით შეუძლებელია ჩვენი თანამედროვეობის ღირსეული მხატვრული ასახვა“ (წერილები..., გვ. 35).

სწორი დებულებაა. ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავუმატებდით, რომ ასეთი ენით არც მეცნიერული ნაშრომების წერა შეიძლება.





ნამდვილი და ფაიფურის ქალები

ლეილა მესხის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ცხოვრებულ ანუ კონკრეტულ მოხვედრულ და სულშემართულ ადამიანთა ფსიქოლოგიის ზუსტი, მხატვრული რეალიზება, ფაქიზი ქალური ინტიმის მართლად ჩვენება, უნარი, მოვლენათა ერთგვარი მშრალი აღწერის იქით ნათლად გვანახოს თავისი გმირების აფორიაქებული ცხოვრება, ძიება, წუხილი და ოცნებების გადარჩენის იმედი...

აქ ბევრია განსჯა, მაგრამ იგი არასოდეს სჭარბობს გრძნობებს და რაც მთავარია, მისი ნაწარმოებების კითხვისას წივირებისა და გამოვლინების შთაბეჭდილება კი არ გიჩნდება, ხვდები, რომ ეს ცხოვრებაა თავისი შუქითა და ჩრდილით, სიყვარულით, გაოცებით, ინტერესით, სიძულვილითა და სურვილებით შეპყრობილი მუდმივი მადიებლისა და მოგზაურის გზაზე მიმავალთა განცდებია. რაც ყველაზე კარგად იცის და უგვრძნია, მწერალი მასზე წერს, და ბუნებრივია, მხატვრული სიმართლე ახლავს მის ნაწარმოებებს.

— კაცი რომ იმდენაანს ცოცხლობს, რომდენი დღე, თვე და წელიწადიც ჩაირჩენია გულის კუნჭულში, სხვა დანარჩენი, ერთფეროვანი და ერთმანეთის მინამგვანი დღეთა რიგი ჩათვალეს, თითქოს აღარც ვიცხოვრია, აღარ ყოფილხარ ამქვეყნად — ფიქრობს მოთხრობის ერთ-ერთი გმირი და ვიღამივით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, წვალეზით ხელახლა ნახულობს წარსულს, და რაც არ უნდა მძიმე იყოს გახსენება, წარსული მაინც ბედნიერებაა, იგი მშობლიური კერასავითაა. — თბილი

და ახლობელი. ადამიანი იქიდან იხსენებს და ხედავს თავს, მომავალში იქედან შედის და მომავალსაც მასვე უბრუნებს. ჩვენ რგოლებივით ვართ, წარსულსა და მომავალს რომ ვაკავშირებთ, ხეებივით, ცასა და მიწას შორის რომ დგანან, ჩიტებივით, ხან ცას რომ მიაშურებენ და ხანაც მიწას უბრუნდებიან. ეს უხილავი კავშირები ცისა მიწასთან, ადამიანის სულისა ბუნებასთან, მშობლიური კერისა და სიყვარულის ჯადოსნური ძალა იხატება მის ადრინდელ მოთხრობებში: „სახლი, რომელიც ხვალ უნდა გაიყიდოს“, „ლტოლვა“, „ფოთოლცვენის ჩუმი სევდა“, „ერთი ღამის ზღაპარი“ და სხვა.

ლეილა მესხის ნაწარმოებებში მთავარი მაინც ქალია, თავისი ძნელი გზით, სიყვარულის მონატრებითა და თავდაუზოგავი სიკეთის მადიებლობით, მისი ორივე რომანი — „დუმბილის დედა“ და „ფაიფურის თოჯინა“ ქალთა ცხოვრებას გვიჩვენებს. ყველა მათგანში მწერალს თავისი ცხოვრების წილი ჩაუქსოვია, თითქოს საკუთარ თავზე გადაუტარებია მათი ჭირი და ღონი, თავისი ცხოვრების მძაფრი მომენტები გადაუტანია თვალებისა და გონების სიღრმეებში გაფენილ ტილოებზე. კარგად ესმის მიტოვებული და გაუბედურებული ქალების სევდა, ქალაქისათვის დამახასიათებელი სიკრულის, სიკეთის, სიხარულისა და ბოროტების მღრეში მოხვედრილი სიფრთხანა გოგონების ცხოვრებაზე გადმოხული დამანგრეველი ბედისწერა, სოფლის ყრუ ეგზოტიკაში ჩაძირული არტისტული ბუნების ქალის ტანჯვა.

და მაინც, მიუხედავად სრულიად

განსხვავებული ცხოვრებისა, იმ ქალ-
თა ყოფა რაღაცით ჰგავს მათი ავტო-
რისას, ჰგავს იმიტომ კი არა, რომ
ისიც მათსავით ცხოვრობს ან უცხოვ-
რია, უბრალოდ იმიტომ რომ მწერალი
მათთანაა, მათ მხარეზეა, თანაუგრ-
ძნობს, ამშვიდებს, მხარში უდგას
და ანუეგშებს მათ მომავლისაკენ მი-
მავალ ძნელ გზაზე. როგორც წყლის
პატარა ტალღაში აირეკლება მაღალი
ციის უამრავი ვარსკვლავი, ასევე მწერ-
ლის სულიც არეკლავს თავის გმირთა
ცხოვრებას, სუსტი ვარსკვლავივით
რომ კიაფობენ დედამიწაზე, აგერ,
ჩვენს გვერდით...

ბიჭს მამა ენატრებოდა. შვიდი წელი
არ ენახა მამა და ენატრებოდა იმდენ-
ნად, რომ ბოღმით ავსებოდა გული.
მასში სამაგიეროს გადახდის სურვილი
დღუღდა. სამაგიერო უნდა გადაეხადა
იმისთვის, რომ სიყვარული უმწეო
ყვავილივით გაუსრისეს, ლამაზი ჩი-
ტივით მოუკლეს, წავიდნენ და საკუ-
თარი ბედნიერებით ტკებიაან. იდუმალ-
ად ნატრობდა მამასთან შეხვედრას —
სანაცვლოს მიგებისათვის. რას იზამდა
ბიჭი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ აკი გუ-
ლის დუღილით ფიქრობდა — „მკვდარს
ან ცოცხალს ნახავდა თუ არა, სულ-
ერთი იყო, ოღონდ ენახა და მერე მან
იცოდა... არ დაერიდებოდა არც უცხო
თვალს, არც გარეშეთა ჰერეტას. მთა-
ვარი იყო, პირისპირ შეყროდა“. და
როცა ეს შეხვედრაც შედგა, როცა
სოფლიდან თბილისში ჩამოსულმა ფე-
ხებშესაებულმა, განაწამებმა ქალმა,
მისმა დედამ, მომაკვდავი ქმრის სა-
წოლთან ჩაიჩოქა, ბიჭი შედრკა, სხვა-
გვარი ეჩვენა. ჭერ კედელი, სადაც მისი
პატარაობის სურათი ეკიდა, ქალიც,
დედის ნაცვლად რომ იდგა მამის გვერ-
დით, გაფითრებული მამის სახეც, დე-
დაც და მთელი სამყაროც. ბიჭი ატირ-
და, ისლუკუნდა და როცა პაპიროსან-
თებულები ხელი კაცივით მოხვია იმ
უცხო ქალმა და საოცრად თბილად, ქე-
ლური ხმით ჩასჩურჩულა — სუო, —
ბიჭი მოეშვა, დაიბნა და ველარ გაეგო.

რატომ არ იყო ამ ორ ქალს შორის
მტრობა, რატომ იყვნენ ისინი ასე შემ-
კრთალნი და ვაცრეცილნი? ესაა
შეწყურებდნენ მას რაღაცნი იმდენით,
თუ ჩემი, ფარული ეჭვით... ბიჭმა თი-
თქოს საკუთარი თავი დაინახა და „მიხ-
ვდა ეს აწოწილი, ხმელ-ხმელი, მტრე-
დის ბუნტყლივით შეფიფქული საულ-
ვაშეთი და უგემოვნო პარიკმახერის მი-
ერ შეხოზრილი წვრილკისერიანი ბიჭი
ძველებური ყიყინით ველარ ითამაშებ-
და ფეხბურთს, ვერ აახმაურებდა მი-
ძინებულ შუკას. ვერ ააწავაწყავებდა
მეზობლების ყურპანტურა ძაღლებს...
ყოველივე ამას ჩაიდენდა სხვა.. და არა
ის!“ ბიჭის სულში ახალი ზნეობრივი
საწყისი გაჩნდა, ამ საწყისს ამიერიდან
სიკეთე მართავდა. რადგან ბოროტი
ფიქრის ადგილი მან დაიჭირა.

მწერლისათვის მთავარი მოვლენა
კი არ არის, არამედ ამ მოვლენის გა-
მომწვევი მიზეზები. ამდენად, ყვე-
ლაფრის საწყისად იგი სიკეთეს ეძიებს,
რადგანაც იგი მიიჩნია ბედნიერებისა
და სიყვარულის მოპოვების მთავარ
წყაროდ, თითქოს აქედან მზის ენერ-
გია მოედინება, სითბოსა და სინათლე-
სათვის ეფინება აღამიანთა ჩაყამებულ
ყოფას. სიკეთის გადასარჩენად მარტო
ბრძოლა კი არა, სულის შეწირვაა სა-
ჭირო, იქ უნდა ჩააბუღო, სულით უნ-
და ასაზრდოო იგი. ასეთი სიკეთე ჩა-
ბუდებულა მოხუცი ოქრომჭედლის
სულშიც („ოქრომჭედელი არს კეთის
ხურო“) ვინც წარსულს, გამოცდილ
რეჟისორივით შთამომავლობის წინაშე
შუქს ჰფენს, ყველაზე მარტივ და ნა-
თელ ადგილებს აჩვენებს. უფრო ადვი-
ლად რომ აგრძნობინოს იგი მომაგ-
ლებს, უფრო დაამახსოვროს და სიცო-
ცხლის მთავარ ჩვენებად გააყოლოს...
ამ მოძრაობაში არის სურვილი ქათა
უწყვეტელობისა და მოვლენებს შო-
რის მარადიული კავშირის დადგენისა.
ამიტომ არ იშორებს მოხუცი ოქრო-
მჭედელი გვერდიდან პატარა შვილი-
შვილს — ალექსისს, თითქოსდა მას
აძლევს იმ სულის ნაწილს. სადაც იყო

ველთვის სიკეთე და აღამიანებისათვის
სანსახურის წრფელი სურვილი სად-
გურდება. უსიტყვო, ჯერ კიდევ გაუაზ-
რებელი, მაგრამ ინტუიციით სრულყო-
ფილად შეგრძნობილი თანხმობა სუ-
ფევს მოხუცსა და ბიჭს შორის. მოხუ-
ცები აქ მომავლის, წარსულის თანხმო-
ბად ქცეულან. ბავშვები კი ჭიუტად მი-
იწვევენ წინ. საუკეთესო ოქრომკედლის
ხელით ნაკვეთ წარსულის სამშვენისე-
ბით და ხალხს სევდით სულის ავსებას
არ აცლიან, ისე მოაქვთ მათთვის ახალ-
ახალი იმედები და სიხარული.

მთავარი ლეილა მესხის გმირებისა-
თვის სიყვარულისა და ბედნიერების
ძიებაა, ისინი ცხოვრობენ იმ ფერმკრთა-
ლი მოლოდინით, რაც მათ ირგვლივ
არსებულ, ზოგჯერ მოუთმენელ და აუ-
ტანელ ყოფას ასატანად აქცევენ, ისი-
ნი გარბიან სინამდვილიდან და არარა-
ლურში. ოცნებებში ეძებენ შვებას.
მთელ ცხოვრებას ეს მირაჟი უმშვენიე-
რებთ და უამებთ წყლულებს, აღარც ყო-
ვეში იხედებიან და აღარც კარტს აშლე-
ვინებენ, არც ხელის გულზე გადაშლილ
ხაზებს აკვირდებიან, რადგან იციან თა-
ვიანთ ბედისწერას თვითონვე შექმნიან.
ოცნებებში იცხოვრებენ და სინამდვი-
ლეს ნაკლებად დაიჯერებენ. ასეთი წე-
სით ცხოვრობენ მისი ახალი რომანის
გმირები. რომანს „ფაიფურის თოჯინა“
ქვეა და სამი ხელოვანის უჩვეულო
სულიერ სამყაროს წარმოსახავს, მათ
ირგვლივ არსებულ ყოფას გვიხატავს.
რომანის სამივე გმირი სხვადასხვა ხა-
სიათის და თვისებების მატარებელია,
ახალგაზრდა ბალერინას, უბატონო
ბავშვთა სახლში გაზრდილ დუდანას,
კონსერვატორიის სტუდენტს. ირმა
დვალსა და მსახიობ მედეა თურმანიძეს
ბევრი რამ განასხვავებთ ერთმანეთი-
საგან, მაგრამ საერთოც ბევრი აქვთ.
ისინი გვიან ხვდებიან ამას, მას შემ-
დეგ, როცა ერთმანეთს დაცილდებიან.
ხვდებიან, როცა ცხოვრება ერთი შემო-
საზღვრული წრეა, სფერული სივრცე,
გარშემო უფერული წლები რომ აქვს
შემოვლელი და როგორც წვიმის

წვეთი ჩადის პატარა ტბაში, ანდა
ცრემლი ჩაეწვეთებოდა უძველეს საც-
რემლეში, ყველაზე გულმდუღარე
რისუფალს რომ ეჭირა ხელთახველში
ლებიან და ვიწროვდებიან წრეებში,
შუაგულში კი ამაყად დგას თეთროს
ეკლესია, მათი სალოცავი და საოცნე-
ბო, ცისკენ გაქცეული თეთრი ჩუქურბ-
თმებიანი გუმბათებით. ის ეკლესია მა-
თაც ცად ეწვეა, ის ეკლესია დიქრობს,
ის ეკლესია სიყვარულია. ცხოვრების
შუაგულში დგას იგი და ეფერება აღა-
მიანებს.

რომანში ზუსტადაა გახსნილი გმი-
რების ფსიქოლოგია: მუსიკოს გურამ
ტოროშელიძის, მისი მშობლების, ბავ-
შვთა სახლის აღმზრდელების, მედეას
დედის ხასიათები და არა მარტო მათი.

ძველი თაობის მსახიობის სიკვდი-
ლის წინ შედგენილი ანდერძი — ჩემი
ოროთახიანი ბინა ამაზნითა და სამზა-
რეულოთი, უძრავ-მოძრავი ქონებით
კულტურის სამინისტროს დარჩეს, რა-
თა საცხოვრებლად გადასცენ ახალ-
გაზრდა უბინაო მსახიობ ქალს, რომელ-
მაც თეატრის სცენაზე პირველი როლი
ითამაშა. ბალერინას, რომელმაც პირ-
ველი პარტია იცევა. მუსიკოსს. ვინც
პირველი კონცერტი გამართა — ვან-
და ახალგაზრდა ქალების თავშეყრის
მიზეზი.

კვლიდან გარდაცვლილი მსახიო-
ბის, ერთდროს სახელგანთქმული ნინო
გორდელაძის ნათამაშები როლები უმ-
ზერდათ, ფიქრს აძალებდათ ყოველი
ნივთი, სიძველითა და იდუმალებით აღ-
ბეჭდილი. ხანდახან ძველ როიალზეც
კი უკრავდა ის ფიქრი და ყველაზე მე-
ტად თაროზე შემოდგმული სამი სტა-
ტუეტი აფორიაქებდათ — ცისკენ მი-
მართული ცისფერკაბიანი ბალერინა.
ნაბოლეონისდროინდელი ჩაცმულობის
ფლეიტაანი ქალი, ვარდისფერკაბიანი,
ცალ ფეხზე ფეხსაცმლის ზონარის შე-
საკრავად დახრილი, მხარზე ნიღბმოგ-
დებული ახალგაზრდა. მათ მზერას ვერ-
სად დაემალებოდი და ვერც გულგრი-
ლი დარჩებოდი მათ წინაშე ამ

ძველ ბინაში, ვინ ცის, რა წარსულის დამტვე და სიზმარივით გამგრძელებელ ნივთებთან ალბათ მსახიობმა ასეთი ანდერძიც ამ ფიგურების გამო შეადგინა — ვინ იცის, რით დაუკავშირა ფიგურის გაქვავებულ ქალბატონებს სამი მეოცნებე, სხვადასხვაგვარად ნაცხოვრები და ნახეტილები ქალი. იქნებ ამით ცხოვრების არარობაც დაინახა მშვენიერებისაკენ ხელოვანის მარადიული სწრაფვის სილამაზე და წარმავლობაც აჩვენა, ისეთი დაუნდობელი დინება დროისა. კედლის სურათებზე რომ მიჰქროდა თანდათან — სურათიდან სურათში. ამ წარმავლობაშიც მაინც ხომ რჩება რაღაც, თუნდაც ამ გაქვავებული ფიგურების სილამაზე, ადამიანს წამით რომ აფიქრებს და გულს ტკენს, და მერე ჩვეულებრივად ავიწყებს თავს.

არავის შეეძლო მოხუცი მსახიობის, მარტოხელა ქალის სიკვდილისწინა ჩანაფიქრის ზუსტი ახსნა. ეს არც რომანის გმირებისა და მწერლისათვის იყო ადვილი ამოსაცნობი. ამიტომაც დაიხატა სამი ქალის ცოცხალი ყოფა, მათი ცხოვრების ყველაზე მძაფრი ხანა. შემოქმედებითი აღზევებისა და სიყვარულით გაცისკროვნებული ახალგაზრდობის პერიოდი. აქ მხატვრობის ძალით უნდა დაგვეჩანა მსგავსება ნამდვილსა და არარეალურს, ცხოვრებასა და ხელოვნებაში შექმნილს შორის. აქედან გამოკვეთილიყო ხელოვნების მიზანიც, ადამიანთა სწრაფვის სილამაზე, ბედნიერება თუ უბედურება, რაც ხელოვნებისაკენ დაუოკარ სწრაფვას. ნამდვილი მშვენიერების ძიებას მოაქვს...

იღუმალი ჩანაფიქრის ასახსნელად მნიშვნელოვანი სწორედ ეს ასაკი უნდა ყოფილიყო, სულიერი და ფიზიკური ძალების გამოვლენის ყველაზე სიმძაფრით აღბეჭდილი ასაკი, ამიტომაც მწერალი მათ ცხოვრებას ბოლომდე როდი მიაცილებს, გულდასაწყვეტადაც კი მკაცრად ემტევა ყველაზე უბედოსა და ნიჭიერ დღედანას და ისეთ ადგილზე

მიატოვებს, იცი, იმას იქით ბედნიერება აღარ შეიძლება იყოს. ოცნებისა და სილამაზის ზღვარს აქ ავლენს ნაყოფისათვის ცხოვრება.

შემოქმედებითი ყოფა მათ ამდენად თავის ნებაზე ატარებს, რომ ჩქარ მიდნარეს ნაფოტივით მიყოლილნი, ცხოვრებაში როცა ფიზიკურიდან, უკვე არაფრის თავი არა აქვთ არც იმის განსჯის — რაც იყო და არც იმისა. რაც უნდა მოხდეს, იწყებ დიდი სიყვარულით, უსაზღვრო ალტყინებით, თამაშობ პირველ როლებს, უცებ მთავარ როლს გაძღვევენ და მოდის სახელი, იმედი, ყვავილები; ოცნებები თითქოს ასრულებისათვის გიჩნდება და არა გაერთებისათვის, ვერ ხედავ ცხოვრებისაგან ამართულ კედელს, იქვე, უჩინმაჩინის ქული ჰხურავს. იმ კედელთან ატუზულ სასოწარკვეთას და ხელმოცარვით გემუქრება. და არც ისე დიდი ხანია იქამდე. ოცდათხუთმეტი წლის მედეა თურმანიძეს როლებს აღარ აძლევენ, ახალ რეჟისორს არც აინტერესებს მისი წარსული, მისი ნათამაშევი როლები არც უნახავს და არც სჯერა მისი. — «Неужели ей непонятно, как артистка она уже кончилась. Пора прекратить!» ფარდასა და ფარდას შუა გაჩნირული მედეა სისიკვდილო განაჩენივით ისმენს მთავარი რეჟისორის ამ მკაცრ სიტყვებს და თეატრიდან მიდის.

წახვალ და არავინ დაგედევნება, არავის შეებრალება შენი დაღუპული ოცნებები, არც ვინმე მეგობრულად განუგეშებს. ამ დროს ირმას დაღუპვის ბარათი მოვა. გზა ეხსნება ცრემლსა და წუხილს და პატარა დაბაში ჩასულს ახალი ოცნება და საზრუნავი უჩნდება — ირმას გოგონა თეონა. სწორედ მას გამოაქვს უჯრიდან ირმას იქ შენახული სამი თოჯინა, სამი გაქვავებული წარსული, სამი გასაცოცხლებელი არსება, მომავალში დასაბრუნებელი სამი ქალის ცხოვრება. ეს ახლა თეონას უნდა გაეკეთებინა. იმ თეონას, რომლის

მასაც არა ნაკლებ უბედური იყო, ვიდრე რომანში მთავარ გმირებად ქცეული ქალები.

მუსიკოსი გურამ ტოროშელიძე მეოცნებე კაცია, თავისი სურვილის მიხედვით მხოლოდ ფიქრებში ცხოვრობს. ნამდვილ სამყაროში იგი ამაოდ ეძებს თანაგრძნობას, გაგებას, მოცარტისა თუ ჰაიდნის სონეტებში განცდილ სამყაროს, სიჭაბუკეში ნანატრ სიყვარულს. ის სიყვარული ვერ უნახავს საკუთარ ოჯახში, საკუთარი მეუღლის გვერდით. ვერც საოცარი მუსიკის ბგერების სიწარმტაცე უჩუქებია ცხოვრებას, იგი თავისი მოჩუცი მშობლების — გიორგი ტოროშელიძისა და ევა პასტერნაკის სახლში გაეცნობა მდგმურად მყოფ ირმას და ფიქრში უმხელს თავს: ბედი ყველაფერს აწონასწორებს ამ გზეყნად. ეგებ ჩვენი შეხვედრაც აქ მოხუცების ჩაძირულ ცნობიერებაში ისურვა გამჩენმაო. ეს იყო მანამ, სანამ ირმა სამი ქალისთვის საერთო კერქვეშ წაფარებდა თავს. გურამ ტოროშელიძესა და ირმას შორის უზენაესი გრძნობის წარმოშობა თეონას გაჩენით დამთავრდა, რამაც ააფორიაქა მგრძნობიარე მუსიკოსის სული. ბედისწერას თავისი განჩინება აქვს: სიყვარულს — სიძულვილი, თანაგრძნობას — გულგრილობა, ახალგაზრდობას — სიბერე, სიცოცხლეს — სიკვდილი ცვლის და ასე შემდეგ. ბედი არაფერს ტოვებს ხანგრძლივად, არაფერს ინარჩუნებს ძველებური სახით, ზოგჯერ მშობლიურ ადგილებსაც კი იმდაგვარად ასხვაფერებს, უცხო მხარეში გვეგონება თავი, ადამიანი განუწყვეტლივ ხედავს. ბედისწერის ამგვარ საქმიანობას და გულსტიკვილით ეგუება მას. გურამ ტოროშელიძის თვალწინაც განადგურდა სიყვარული და ოცნება. ცხოვრებამ დამსხვრეული სათამაშოს სახე მიიღო და ერთადერთი იმედი, თუმცა შიშით სავსე — უკვე წამოზრდილი საკუთარი შვილი, გაუცხოვებული დაუტოვა შერცხვენილ ნამას. ასეთივე დღეშია შიო ამბოკაძეც, მოხეტიალე სულისა და

დაუდგენელი ადგილის მკვიდრი. რეჟისორი, ვინაც სულ ეძებდა, მაგრამ ამაოდ — ყოველთვის იმედგაცრუებული რჩებოდა: ასეთ განუწყვეტელ ზადისში დაქსაქსული, სიკვდილთან მიასლოების ქამს, ბედმა ფუფუნება გაიმეტა მისთვის, სიყვარული მისცა, უკვე დამშვიდობებული, შეღელული და სხვებისათვის გადალოცილი; ეს გრძნობა მან მისსავე მსგავსის, გულგატეხილი და ეული მსახიობის მედია, თურმანიძის სულში იპოვა, მასაც გადავიწყებული ჰქონდა იგი, ისიც კარგა ხანია დამშვიდობებოდა ქვეყნად ყველაზე დიადსა და ლამაზს, ამ ძვირფას რამეს — სიყვარულს.

რა შთამბეჭდავია, ნაწარმოებებში დახატულ ხელოვანთა შორის, რა გამოჩენულად იკითხება ძველი თაობის კაცის, მხატვარ ისე შერვაშიძის პორტრეტი. ეს არის მარტახელა, შემოქმედებითი ცხოვრებით ყველასა და ყველაფრისაგან განცალკევებული, ოქროსმამიძებელივით დიდ ჯაფასა და ფიზიკურ დაღლას შეჩვეული კაცი; ვისთვისაც მთავარი ადამიანის სულის მოხელთება და ფერების შეტყველება. ამიტომ ხატავს იგი ქალების პორტრეტს ასე სხვადასხვაგვარად, ხანაც გადაშლილს და ძლივს გამკრთალს ტილოზე, ხანაც დამაჯერებელ, ხანაც ძნელად მისახვედრ, მხოლოდ მხატვრისათვის ნაცნობ საიდუმლოთი აღბეჭდილს. ცხოვრობს იგი თავისთვის, იღუმალებაში ჩაძირული მამიძებელი, გარიღებული ცხოვრების ხმაურს, ათასგვარ ბოროტებას. ეძებს იმას, რასაც ცხოვრებაში ვეღარ ნახავს, სილამაზეს, სიყვარულს, მარადიული მშვენიერების საიდუმლოებას.

რომანი „ფაიფურის თოჯინა“ სწორედ ამ ძიების, შემოქმედი ადამიანების ცხოვრებასთან ურთიერთობის უფრო მეტად მოუწყობელი და აუწყობელი ყოფის ამსახველი, ღრმად დამაფიქრებელი ნაწარმოებია.

იგივე თემაზეა დაწერილი მწერლის ბოლოდროინდელი მოთხრობები: „თავ-

დავიწყება“ და „მწუხარებას სიჩუმე ერქვა“. დღევანდელი ინტელიგენციის ცხოვრება რთული და დამაფიქრებელია. კაცი შეიძლება შეელოოს ღირი-ჟობას, შეელოოს თუ გნებავთ ბოე-ზიას და ხელოსნობა დაიწყოს. რა თქმა უნდა ესეც ისეთივე სრულფასო-ვანი და დიდი საქმეა, თანაც ხელო-სანიმა თუ საქმე იცის და უყვარს შეიძ-ლება კიდევ ხელოვანის ტკობაც ვანი-ცადოს, მაგრამ როდესაც ადამიანი ამას წმინდა ეკონომიური მოსაზრებით აკე-თებს და არავითარი შინაგანი მოთ-ხოვნილება არ გააჩნია კანალიზაციის მიღების ან კედელზე კაფელის აკრი-სა, მისთვის უკვე ეს საქმე ტრაგედიად იქცევა.

ასე ემართება „თავდავიწყების“ გმირს — რეზოს. იგი ოდესღაც ნამ-დვილ ხელოვნებაზე ოცნებობდა. მხატ-ვრული კერამიკის საუცხოო ნიმუშებს ქმნიდა, მაგრამ ამქრული კონკურენცია აქედან აძევებს ნიჭიერსა და მადიებელ კაცს. იგი იძულებული ხდება საარსებო საშუალება ეძებოს და თავისი სიყვა-რული ხელოვნებისადმი გულში ჩაიკ-ლას.

ჩუმად, ქურდივით შედის „ხელო-სანი“ და მუშაობს, მარტოხელა. უკვე კარგად ცნობილი მუსიკოსი ქალის ბი-ნაში. ზოგჯერ მიაყურადებს სმენას მუ-სიკის საოცარ ბგერებს, წყდება რეა-ლობას და იმ სამყაროში გადადის, რო-მელიც ბავშვობიდანვე ზღაბრულ ოც-ნებად დასდევს. ძნელად ახერხებს აქე-დან იმ სინამდვილეში დაბრუნებას, სადაც ცოლი ამაოდ ცდილობს გაიხსე-ნოს შეყვარებულობის დროინდელი სიმღერა, სადაც შევილისათვის საკმე-ლი და სამოსია შესაძენი, სადაც სას-წრაფო ვალებია გადასახდელი და სა-დაც სიყვარული აღარ ჩანს, მარტო მოვალეობაა და არსებობისათვის ბრძო-ლა.

აქ კი მუსიკოსი ქალი, თითქოს ყვე-ლასა და ყველაფრის ჯიბრზე, გამოი-ენია იმ უფერულ სამყაროს, მარტო მუსიკითა და ოცნებით ცხოვრობს. კა-

ციც. ნელ-ნელა შემოყავს ამ სამყაროში. ქალს შემოჰყავს თუ თავად მუსიკა იბი-რებს იქეთ. საიდანაც წვალღმფთხეა-სულა.

გენგაღმწევა

თუმცა ვერც მწერალი და, მითუმე-ტეს მკითხველი, ალბათ გმირის საბო-ლოო გადაწყვეტილებას ვერ მიხვდება, რადგან იმდენად მტკიცედ არის მიჯაჭ-ვული ყოფითობის ყოვლად უმნიშვნე-ლო წვრილმანებს, გაუჭირდება მისივე დასკვნის გადაწყვეტილებად ქცევა და ცხოვრების ძირფესვიანი შეცვლა. ვინ იცის, იქნებ ტრაგედიად ექცეს თავის-თვის ყველაზე სანუკვარის — სიცოც-ხლის ბოლოს ნასტუმრები სიყვარულის ერთგულება. უძნელესია გაწყვეტა სულზე მოხვეული არტახებისა. რადგან იმათ მთელი ჭეყნაიერება, დროის ყო-ველი მონაკვეთი, დიდი ძალითა და მონ-დომებით გვახვევენ თავს, პიროვნული თავისუფლების მოპოვება კი ჩვენნივე ძა-ლით თუ შეგვიძლია. ასეთ უთანაბრო ძალით დაპირისპირებას ტრაგედიისკენ უფრო მივყავართ, ვიდრე საოცნებო იდილიისაკენ.

ლეილა მესხის შემოქმედება თითქოს ორ ნაწილად იყოფა: ერთია სოფელი, მიწისმუშებით, მშვიდი თუ ტკივილიანი მშრომელი ადამიანებით დასახლებული; ანუ ფესვები, საიდანაც მწერალთან ერთად მთელი ჩვენი ხალხი ამოდის. მეორეა — ხელოვნების საოცარი მხარე, „შემოქმედთა“ სახდენილი და გაცრუე-ბული იმედებით სავსე ცხოვრება, რომელსაც მწერალი ასე მძაფრად და მართ-ლად ხატავს თავის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში. გაგრძელება კი როგო-რი იქნება, ეს, ალბათ, ხვალემ უკეთ იცის, ანუ იმ მომავალმა, საოცნებო ილუმინაციებით რომ მოემართება ჩვენს-კენ. დღეს კი, ნამდვილი და ფაიფურის ქალები ერთმანეთის ცხოვრებას ბედის-წერის ირონიით შეჰყურებენ. ცოც-ხლებს მკვდრები აფრთხილებენ და ამოწმებენ, ყველა იმ ფარულ განზრა-ხვას, ცხოვრებამ მრავალს რომ გაუმზა-და და ჩვენიც გვიმზადებს.

ირაკლი იაშვილი

დროა საქმეზე გადავიდეთ

ვიგონებ მწერალ გურამ ფანჯიკიძის რამდენიმე წლის წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც ეხებოდა ქართველი ერის დემოგრაფიული პროცესების საკითხს და ვფიქრობ, ერთი საუკუნის შემდეგ ვინ მოიხრის მუხლს მთაწმინდაზე სახელოვან მამულიშვილთა საფლავებთან, ვინ დაათვალიერებს ერის დანაშოვით შექეთებულ და გალამაზებულ ისტორიულ ძეგლებს, ან ვინ დატკბება საქართველოსა და მისი დედაქალაქის სილამაზით, ვფიქრობ და შიში მიპყრობს...

წლების განმავლობაში აფორიაქებულმა ვერ შევძელი ამ მოსალოდნელი უბედურებისაგან თავის დაღწევის რაიმე საშუალებების თუ გინდ თეორიულად გამოკვთა. ბევრია, ბევრი მიზეზები, რომლებიც გადაუდებელ, სასწრაფო მკურნალობას მოითხოვს. მაგრამ ისმება კითხვა, გვყავს კი მკურნალები? ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ერს არ მოეძებნებოდეს თავისი სენის განკურნვის მსურველები.

უდავოა, რომ ეს საკითხი მრავალ სავარძლიან თუ უსავარძლო თანამემამულეს უკარგავს მოსვენებას, მაგრამ არ იგრძნობა მათი აქტიური მოქმედება. ვაითუ, ესეც იმის შედეგია, რომ წლების განმავლობაში უსამართლო რეპრესიებმა ქართველ კაცში გამბედაობის უნარი მოაჩლუნგა? გამოორიცხული არაფერია, მაგრამ დროა ყველა საქმე გადავდოთ და რაიმე ვილონოთ, რომ დავით აღმაშენებლისა და ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის ყვავილებით შემშკობი ხალხი მრავლად იყოს და ისედაც შეურაცხყოფილი ისტორიული ძეგლები უბატრონო ხელში არ აღმოჩნდეს და მიწასთან გასასწორებელი არ გახდეს.

აბა ვნაზოთ რამდენი ყმაწვილი და ქალიშვილი გვყავს, რომლებსაც ოჯახის შექმნისა და შვილის გაზრდის გარეშე გადაუწყვეტია ცხოვრების გატარება. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი მეგობრის ნაამბობი, რომ ჩვენი ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის ურიცხვ თანამშრომელ—ბრწყინვალე სქესის წარმომადგენელთა შორის, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელია ვისაც ოჯახის შესაქმნელად და შვილის გაჩენისათვის რაიმე ულონია. ეს რა დასანანია, როდესაც ამ ქვეყნად მოსული ადამიანი ისე სტოვებს წუთისოფელს, რომ მემკვიდრე არ რჩება.

აბა, ვეწვიოთ ქართველ იმ ოჯახებს და აღვრიცხოთ, რომლებსაც შვილის გაზრდაზე არც უფიქრიათ და ან კიდევ ერთი შვილის კოლით მოუხდით ვალი სამშობლოს წინაშე.

მოდის, ვნახოთ როგორ დაგვრია ხელი ნარკომანიამ, პროსტიტუციამ, ალკოჰოლიზმმა და სხვა უმსგავსობამ, ნადგურდება ისედაც მცირერიცხოვანი ერი. რა მოხდება? რა იქნება? ვინ გამრავლდება?

სოფლის მოსახლეობის მიგრაციის ყოველდღიური ზრდა დამლუპველად მოქმედებს ერის მომავალზე. სწორედ ასეთ რაიონებშია აღნიშნული საქორწინო ასაკის ახალგაზრდობის მკვეთრი შემცირება.

აღბათ საველისხმრია ისიც, რომ ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ახალგაზრდა ბედის საძიებლად მიდის რესპუბლიკიდან და მათი უმრავლესობა ერის სამსახურს არ უბრუნდება.

ირღვევა ერის სიმტკიცის საფუძველი. — ქართული ოჯახები, ირღვევა განუეთხზავად, ზოგჯერ რაღაც კაპრიზების გამო, დაუფიქრებლად და ანგარიშგაუწივლად. ყოველდღიურად იზრდება ასეთი ოჯახების რაოდენობა და მის შედეგად ბავშვების უდედოდ თუ უმამოდ მიტოვება, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს მათ აღზრდაზე, ზრდის ქუჩის არასასურველ ზემოქმედებას მათ ფსიქიკაზე. ოჯახის დანგრევის უკუღმართ მოვლენას ზოგჯერ წინ არ ეღობებიან მშობლები, რომლებიც ზოგჯერ ნებით თუ უნებლიეთ ინიციატორებიც კი ხდებიან შვილების, შვილიშვილების უბედურებისა.

ჩვენდა სამწუხაროდ, იქმნება აღრეული ოჯახები, რაც იწვევს ნაციონალური ტრადიციების ხელყოფას, ოჯახის მდგრადობისა და სიწმინდის რღვევას, შთამომავლობის დამახინჯებულ ტრადიციებზე აღზრდას და საბოლოოდ ერისა და ერის კვდომას.

ანალოგიურ გავლენას ახდენს ქართველი ბავშვების არაქართულ სასწავლებლებში და არაქართულ ტრადიციებზე აღზრდა.

თავის უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე საზოგადოებრივ საქმიანობაში ქალთა ჩაბმის სისტემატიური ზრდა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საბინაო-ეკონომიური პირობების ძნელად გაუმჯობესება.

ამ საკითხზე მრავალჯერ თქმულა, მას მრავალი წერილი და გამოსვლა მიძღვნია, მაგრამ დღემდე გაბედული და საქმიანი ნაბიჯი არ გადადგმულა. დღეს როდესაც საბჭოთა ხალხმა თავი დააღწია უძრავობის პერიოდს, მაშინ როდესაც დადგა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ერების კვშმარიტად თავისუფლების ხანა, მაშინ როდესაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იქმნება ათასნაირი საზოგადოებები, რატომ არ შეგვიძლია შევექმნათ დამოუკიდებლად არსებული საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება?

ამ საზოგადოების შექმნა თანამედროვე ეტაპზე გადაუდებელი და რეალურია. როგორც ამ საზოგადოების წესდება და ცალკეული წერილები მეტყველებენ, საზოგადოების ძირითადი მიზანია თავისი სახსრებით და საქმიანობით განსაკუთრებით წაახალისოს მრავალშვილიანი ოჯახები, დახმარება გაუწიოს სახელმწიფოს სოფლის მოსახლეობის გამრავლებისა და მისი მიგრაციის შეჩერების, სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების, ოჯახის სოციალურ-ეკონომიური დონის ამაღლებისა და ახალგაზრდობის პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

საზოგადოებები შეიქმნება რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, რომლის წევრები გახდებიან საწარმო-დაწესებულებანი და მოსახლეობის უმრავლესობა.

საზოგადოება იარსებებს საწევრო და საბაიო შესატანებით და სხვა შემოსავლებით, რასაც ითვალისწინებს წესდების პროექტი.

უნდა ვიქონიოთ იმის ღრმა რწმენა, რომ ამ საზოგადოების წევრი გახდება სულ ცოტა ნახევარი მილიონი მოქალაქე, ხოლო კოლექტიური წევრი კი

რესპუბლიკის 10500 იურიდიული პირიდან 8-9 ათასამდე დაწესებულება
ამას დაემატება ახალი კოორპერატივების არმია.

საქართველო
1987 წლის
15 იანვარი

თუ თითოეული მოქალაქე გადაიხდის საწევროს 3 მანეთს და
წლიურ საპაიოს 5 მანეთს, ხოლო საზოგადოების კოლექტიური წევრი კი 100
მანეთს საწევროს და 500 მანეთს ყოველწლიურ საპაიოს, რომელთა რიცხვი
კოორპერატივების ჩათვლით ათი ათასს უნდა აღემატოს, მარტო ამ შემოსავ-
ლებით საზოგადოება პირველ წელს მიიღებს 10 მილიონ მანეთს, შემდგომ
წლებში ამ რაოდენობას, მართალია, უნდა გამოაკლდეს 2,5 მილიონი მანეთი
საწევრო, მაგრამ მას შეეცეს ახლად მიღებული წევრები. ამრიგად, მარტო
ამ გზით საზოგადოების ყოველწლიური საშუალო შემოსავალი 10 მილიონ
მანეთს მიაღწევს.

საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც რამდენიმე წლის წინათაა
შემუშავებული, ითვალისწინებს სხვა შემოსავალსაც. მაგალითად, რატომ არ
შეიძლება, რომ რესპუბლიკის დეფიციტური საქონლის გარკვეული ნაწილი ამ
საზოგადოების განკარგულებაში იქცეს და სასყიდლით 2000 მანეთის ღირებუ-
ლების გაიცეს ურთოდ იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ორი წლის განმავლო-
ბაში საზოგადოების სულ ცოტა 500 მანეთით დაეხმარება? ასევე შეიძლება
მოვიქცეთ ავტო-მანქანების რეგარეშე გაცემისას. ასე რომ, შემოსავლების
ზრდის წყარო თითქმის განუსაზღვრელია. სწორედ ამ მიზნით ყველა შესაძ-
ლებლობა, მათ შორის ლატარეაც უნდა გამოვიყენოთ, ეს ხომ ჩვენზე დამო-
კიდებული. გარდა ამისა, ალბათ, მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრები
მადლიერი ქართველი ხალხი საზოგადოების ანგარიშზე შეძლებისდაგვარად
ნებაყოფლობით გადმორიცხავს გარკვეულ თანხას, საზოგადოების ეკონომი-
ურად გაძლიერების საქმეში თავის სიტყვას იტყვის ქართული ეკლესია, რეს-
პუბლიკის ყველა სხვა საზოგადოებები და კავშირები.

ამრიგად, მტკიცე გარანტია არსებობს, რომ საზოგადოება ერთ-ერთი ეკო-
ნომიურად ძლიერი ორგანიზაცია იქნება და მისი ყოველწლიური შემოსავა-
ლი, სულ ცოტა, 15 მილიონ მანეთს მიაღწევს.

საზოგადოების სახსრები პირველ რიგში უნდა მოხმარდეს რესპუბლიკის
იმ რაიონებს, სადაც მოსახლეობის შემცირებისა და მიგრაციის ტენდენციაა,
ყოველ 1000 სულ მოსახლეზე შობადობისა და მრავალშვილიან ოჯახთა დაბა-
ლი პროცენტია. განსაკუთრებით ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალშვილიანი
დედებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დადგენილია, რომ ძირითადად
მოსახლეობის მიგრაციისა და შემცირების აქტიური პროცესი მიმდინარეობს
ოცამდე რაიონში, სწორედ ამავე რაიონებში დაბალია შობადობა და მრავალ-
შვილიან ოჯახთა რაოდენობა. თუ 1987 წელს რესპუბლიკის თითოეულ 1000
სულ მოსახლეზე შობადობა საშუალოდ 18-ს აღწევს (ჩათვლილია ყველა სხვა
ერები). ამ ოცი რაიონიდან არის რეგიონები, სადაც შობადობა ყოველ 1000
მოსახლეზე 8-ს არ აღემატება. ეს მაშინ, როდესაც, იმისათვის, რომ ქართველ
მოსახლეობის დღევანდელი დონე შევინარჩუნოთ, თითოეულმა ოჯახმა 2-3
ბავშვი მიიღოს უნდა აღზარდოს, რესპუბლიკის მოსახლეობის დონის შენარ-
ჩუნება და ზრდა კი მიმდინარეობს სხვა ეროვნებების გამრავლების ხარჯზე.

ამ მხრივ უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობაა ყაზბეგის, მესტიის,
ლენტეხის, ცაგერის, თიანეთის, ონის, ამბროლაურის, ვანის, ლენინგორის,
ტყიბულის, ორჯონიკიძისა და რიგ სხვა რაიონებში.

საზოგადოების წესდების პროექტი ითვალისწინებს შემოსავლებით ისეთი
სახის ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც განსაკუთრებულ ზემოქმე-

დებას მოახდენენ სოფლის მოსახლეობის დამაგრებაზე, გამრავლებაზე და ხოფ-
ლად საცხოვრებლად დაბრუნებაზე. ასე მაგალითად:

30 წლის ასაკამდე ეროვნებით ქართველ ცოლ-ქმარს, რომლებიც ქვეყნის
ვილს გამოთქვამენ ქალაქიდან მუდმივ საცხოვრებლად სოფლად დასახლებაზე,
უსასყიდლოდ აუშენდება სამოთახიანი სახლი, მისი გასხვისების უფლების
გარეშე, ხოლო, პარობის დარღვევის შემთხვევაში, სახლი ჩამოერთმევა;

30 წელს მიღწეულ პირებს, რომლებიც დაქორწინდებიან, პირველი ბავშვის
შეძენის შემთხვევაში, უსასყიდლოდ, სურვილის მიხედვით მიეცემათ 2000 მან-
ეთამდე ღირებულო ავეჯი;

ოჯახს მესამე და ყოველი შემდეგი ბავშვის გაჩენისას მიეცემათ ერთდრო-
ული დახმარება 500-1000 მანეთამდე, ტყუპის შობადობისას დახმარება იზ-
რდება 50%-ით. რიგისა და პირველი შესატანის გარეშე შეაძენინებენ მცი-
რელიტრაჟიან ავტომანქანას, ავეჯს ან სხვა დეფიციტურ საქონელს, რაც იმ
დროისათვის გააჩნია სავაჭრო ქსელს, თუ მათზე არ ირიცხება დავალიანება;

სასკოლო ასაკის სამ და მეტწილიან ოჯახს ორ წელიწადში ერთხელ
თითოეულ ბავშვზე უსასყიდლოდ მიეცემა სასკოლო ფორმა და სწავლისათვის
საჭირო სხვა ნივთები;

ბინის ქირისა და სხვა გადასახადებისაგან უნდა გათავისუფლდეს იმ დე-
ფიციტური სპეციალობის მქონე ახალგაზრდა, რომელიც განაწილების გარეშე,
პირადი სურვილით მუშაობას დაიწყებს სოფლად;

საკოლმეურნეო კომლს, რომელიც განიცდის მუშახელის ნაკლებობას,
უსასყიდლოდ დაუმუშავებენ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს;

თითოეულ კომლს, 5 წლის ვადით უნდა მიეცეს სესხი ერთი მეწველი ძრო-
ხის შესაძენად;

მოეწყოს ბავშვთა გასართობი მოედნები და სხვა საშუალებები, ჩამოყა-
ლიბდეს ახალგაზრდული კლუბები;

წესდება მრავალწილიან ოჯახად მიიჩნევა 16 წლის ასაკამდე ოთხი და
მეტი ბავშვის პატრონ ოჯახს, რომლებსაც განსაკუთრებულ პირობებს უქმნის;

ასეთ ოჯახებს ყოველთვიურად მიეცემა ოთხ ბავშვზე 100 მანეთი, ყოველ
შემდეგ თითოეულ ბავშვზე 25 მანეთით მეტი;

თუ ჰყავთ 16 წლის ასაკამდე არანაკლებ 6 ბავშვისა, სრულწლოვანი და-
ოჯახებულო ვაჟის ცალკე კომლად გამოყოფის დაკანონების შემთხვევაში,
სახლის ასაშენებლად უსასყიდლოდ მიეცემა 4000 მანეთის სააღმშენებ-
ლო მასალა და 1000 მანეთის ერთდროული დახმარება;

ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ან სოფლის რეკონსტრუქ-
ციისათვის 50 პროცენტის ფასდაკლებით მიყიდვიან სააღმშენებლო მასალას ან
უსასყიდლოდ მოემსახურებიან ტრანსპორტით;

მრავალწილიან და მარტოხელა მშრომელი ოჯახის ბავშვებს უსასყიდ-
ლოდ გახანგრძლივებული დროით აღზრდიან ბაგა-ბალებში;

დედას, რომელსაც არანაკლებ 15 წლის მუშაობის სტაჟი აქვს და ბავშ-
ვების უკეთ აღზრდისათვის სამუშაოს თავს დაანებებს, მიეცემა ხელფასის
50 პროცენტი და შეუწარმუნდება მუშაობის სტაჟი;

დადებითი ნიშნების მიღებისას ახალგაზრდები უპირატესი უფლებით
ისარგებლებენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას;

ბავშვებს უსასყიდლოდ მიეცემათ საგზურები, ავადმყოფთა მიმართ ვაი-
წევა სამკურნალო ხარჯები (სანატორიული მკურნალობა, პროტეზირება, წამ-
ლების ღირებულება და სხვა);

უსასყიდლოდ მიეცემა პირუტყვის საკვები, სასოფლო-სამეურნეო იარა-

ლები; ტექნიკა კი შედგათიან ფასებში, საახალწლოდ კი ნაძვის ხე — სათამაშოებით;

განსაკუთრებულ ნიჭიერ ბავშვებს, რომლებიც გამოირჩევიან მუსიკალური და ხელოვნების სხვა დარგებში, სკოლის ხელმძღვანელთა შუამდგომლობით უსასყიდლოდ მიეცემა მუსიკალური ინსტრუმენტი ან სხვა სასწავლო საგნები; ახალგაზრდის პირადი თხოვნით მატერიალური დახმარება გაეწევა მათ ყოველთვიურად სწავლების პერიოდში თუ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სულ ცოტა 5 წლით მაინც დაუბრუნდება სოფელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება გაცემული თანხის ანაზღაურება;

ოჯახის მარჩენალი წევრის გარდაცვალებისა და სტიქიური უბედურების შემთხვევაში ყველა ხარჯებს გაიღებს საზოგადოება;

მრავალშვილიან ოჯახებზე ვათვალისწინებელი ყველა ჩამოთვლილი დახმარება მიეცემა იმ დედებს, რომლებმაც ამ საზოგადოების დაარსების შემდეგ შობეს სულ ცოტა ორი ბავშვი. წესდების ეს მოთხოვნა გასაგებია და დავა არ უნდა გამოიწვიოს.

სასურველია, რომ ამ სახელმწიფოებრივ საქმეს სათავეში ჩაუდგეს მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი და ცეკავშირი, რომლებიც თავიანთი არსებობის ისტორიის მანძილზე მრავალი საქველმოქმედო საქმის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან; დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში მათ მხარში ამოუდგება ქართული ეკლესია.

რაც ზემოთ მოგახსენეთ დემოგრაფიული საზოგადოების წესდების სრულყოფის სრულფასოვანი ნეკარნახევი. ეს წესდება უნდა გავხადოთ ფართო მსჯელობის საგნად, რითაც უფრო გამდიდრდება მისი მიზნები და ამოცანები.

ლიბილის წუთები ● ლიბილის წუთები ● ლიბილის წუთები

ნოვატორული წინადადება

დასამალი არ არის, რომ ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირია გუთთავებული ლიტერატურული (და არალიტერატურული) კამათი. გაკრიტიკებული ავტორი (პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი) საპასუხო წერილში აკრიტიკებს გამკრიტიკებელს (კრიტიკოსს, პროზაიკოსს, პოეტს), რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება გაკრიტიკებული გამკრიტიკებლის კიდევ უფრო კრიტიკული პასუხის პასუხი. შემდეგ იბეჭდება უფრო-უფრო მძაფრი პასუხის პასუხის პასუხი, შემდეგ — უფრო-უფრო-უფრო სასტიკი პასუხის პასუხის პასუხის პასუხი და ა. შ.

ყოველივე ამის შედეგად ამ უქალაქობის დროს იხარჩება უამრავი ქალაქი, მელანი, სალანდავი, სტყვა, სამონორაე თანხა, იღუპება აურაცხელი ნერვული უჯრედი, ფუჭდება და ზიანდება ბევრი გული, ცხვირი, ტვინი, ნეკნი, სახელი, კბლი. იკარგება უღანაშაულო რეაზხველთა დრო და მოთმინება...

ამ გადაუჭრელი ლიტერატურული და სამეცნიერო პრობლემის გადაჭრის შესანიშნავ საშუალებას გვთავაზობს რესპუბლიკის დამსახურებელი მეთხველი, მოყვარული გამომგონებელი გონიო შეწირული.

გინიდან შემოაღწერილ ბრძოლაში ოფიციალურ თუ არაოფიციალურ გამარჯვებულად ითვლება ის მხარე, რომელიც ბოლო პასუხს დაბეჭდავს, გ. შეწირული წინადადებას იბღევა პირველივე კრიტიკული წერილის შემდეგ გამკრიტიკებელ-გაკრიტიკებულსა და სხვა დანატრეგებულ პირთა მონაწილეობით რედაქციის შენობაში ჩვეულებრივი ქულის საშუალებით მოეწყოს კენჭისყრა. თუ კენჭი გამკრიტიკებელს შეხვდება, გაკრიტიკებული კარგავს „პასუხის“ უფლებას და ამდენად მატჩში, უკაცრავად, პოლემიკაში გამარჯვებულად ცხადდება გაკრიტიკებელი. ხოლო თუ ბედი გამკრიტიკებულს გაუღიმებს, ბრძოლა შეწყდება მისი „პასუხით“, ანუ გამკრიტიკებელს აკრძალება „პასუხის პასუხი“ და ითვლება დამარცხებულად.

იმედია, ეს ნოვატორული წინადადება მალე დაინერგება პრაქტიკაში!



ვახტანგ აბაშვიძე

ქართული ინტელექტუალური ფანოზენაჰი

საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ ამიერკავკასიის ხალხები უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ძალიან ხშირად, ამ ბრძოლის მოთავედ გამოდიოდა ქართული სახელმწიფოებრიობა. მეზობელ ქვეყნებზე ქართული სახელმწიფოებრიობის გასავრცელებლად, როგორც ი. ჯავახიშვილი მიუთითებს, „მარტო მკლავ-ხმლის ძალა არ კმაროდა, ქართველ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ ამისათვის ზნეობრივი ძალაც აუცილებლად საჭირო იყო“. მსოფლიო კულტურის ისტორიაში ქართველი ხალხის მიერ მეცნიერულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილი კარგადაა ცნობილი, ცალკეულ დარგებში მიმდინარე და მომავალი ძიებანი კვლავაც წარმოაჩენს ქართულ ინტელექტუალურ ფენომენებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ამდიდრებენ მსოფლიო კულტურის საგანძურს. წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია ქართული სამართლის ფილოსოფიის დღემდე სათანადოდ წარმოუჩენელი ინტელექტუალური მოვლენა, ბუნებითი სამართლის მოძღვრება, რომელიც ჩვენი აზრით, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მსოფლიო კულტურის ისტორიაში ქართველი ხალხის მიერ შეტანილ წვლილზე და მის მნიშვნელობაზე.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება ჩამოყალიბებას იწყებს ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკურ ქვეყნებში (მოდო, ლაო ძი, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და ა. შ.). ძვ. წ. VI საუკუნიდან, ძველი ბერძნები ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ ბუნებით სამართალს და დადებით, პოზიტიურ სამართალს. ბუნებითი სამართალი აბსტრაქტულად არსებულ; ადამიანთა გონებისაგან დამოუკიდებელ კეშმარიტებებზე დამყარებული, ყველა ქვეყანაში, ყველა დროში და ყველა ხალხში მუდმივად მოქმედი ზოგადი დაუწერელი სამართალია, პოზიტიური სამართალი კი სახელმწიფოს მიერ დადგენილი და ადამიანთა ნების გამომხატველი კერძო, დაწერილი სამართალი.

ყველა დროში ადამიანები მიისწრაფვიან კეშმარიტი სამართლიანობისაკენ, ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრება ფართოდ გავრცელდა კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში და უძველესი დროიდან დაწყებული დღემდე დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაზე.

ძველ საბერძნეთში ბუნებითი სამართლის მოძღვრება გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა. კერძოდ, აგმაღლებინა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოქ-

ზედი პოზიტიური სამართლის ავტორიტეტი, დაესაბუთებინა სახელმწიფოს პიერ დადგენილი სამართლის საგაღდებულობა იმის მტკიცებით, რომ იგი ბუნებითი სამართლის მუდმივ, აბსტრაქტულ, ზოგადსაკაცობრიო კეშმარტებას წარმოადგენს.

ძველი ბერძნული წყაროები ცხადყოფენ, რომ ქართველები უძველესი დროიდან იცნობენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, კერძოდ, ბიზანტია — სპარსეთ — კოლხეთის სახელმწიფოების მწვავე პოლიტიკურ ბრძოლაში დიდი ქართველი მოაზროვნეები და პოლიტიკური მოღვაწეები აეტი და ფარტაძი, რომელთა ერუდიცია და ინტელექტი იმ დროის მსოფლიოში კოლხეთის აკადემიის სახელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. წარმატებით იყენებენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრივი კურსის შესამუშავებლად და ეროვნული ინტერესების შესაბამისად მას მთელი რიგი ახალი მომენტებით ამდიდრებენ, ქართველი მოაზროვნეები ეროვნულ „მშობლიურ წესებს“, „მამა-პაპურ კანონებს“ განიხილავენ, როგორც უმაღლეს კეშმარტებაზე დაფუძნებულ ზოგად, დაუწერელ ბუნებითს კანონებს.

მეფე გუბაზის მკვლევლობის საქმე კოლხეთის სახელმწიფოში განხილული იქნა რომაული კანონების მიხედვით, მაგრამ ქართველმა ბრალმდებლებმა კარგად იციან, რომ რომაული სამართლის უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენდა მოძღვრება ბუნებითი სამართლის შესახებ, ამიტომაც აეტი და ფარტაძი ეს მოძღვრება ნოხერბებულად გამოიყენეს გუბაზის მკვლევლების რუსტიკესა და იოანეს ბრალდების დასასაბუთებლად. მათ მიუთითეს, რომ მკვლელები დამნაშავენი არიან ბერძენი და ქართველი ხალხის მეგობრული ხელშეკრულების დარღვევის გამო და სწორედ ამიტომ, ისინი ბუნებითი სამართლის მიხედვით სასამართლომ უნდა გამოაცხადოს არამარ-

ტო ქართველი, არამედ ბერძენი ხალხის მტრებადაც. კოლხი ბრალმდებლები აღნიშნავენ, რომ გუბაზის მკვლევლები ბერძენი რუსტიკე და იოანე მკვლევლები ჩავთვალთ უკიდურეს მტრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნებითი კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა: მოწინააღმდეგესა და მტერს ზომ საქმის მიხედვით გამოიცნობს ადამიანი და არა სიშორის მიხედვით“.

აეტი და ფარტაძი ხაზს უსვამენ აგრეთვე ბუნებითი სამართლის სხვა მხარეებსაც, კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ, მართალია, „ეკვიანობა, უნდობლობა ბუნებითი კანონია“, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ბუნებითი სამართლის მიხედვით „არავინ არ დაუთმობს იმას, ვინც რასმეს ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის“, უნემ ძალას ყოველთვის თრგუნავს გონიერება და მისი მოთხოვნების მიხედვით წესრიგდება საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

ქართული ინტელექტუალური ფენომენების წარმოჩენაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხი მოაზროვნეების მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრების ახალი შემადგენელი ელემენტების შემუშავებას. ემყარებიან რა ბუნებითი სამართლის ზოგად მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც არსებობს მართალი, აბსტრაქტული კეშმარტებები, აეტი და ფარტაძი ასაბუთებენ, რომ ადამიანის ბუნებისათვის თანდაყოლილი თვისებები გამოვლინებას პოულობს ინდივიდთა როგორც დადებით, ასევე უარყოფით კტევებში; ადამიანისთვის თანდაყოლილი, დადებითი შინაარსის ბუნებითი თვისებებია: მშობლებისადმი პატივისცემა, შებირებულის შესრულება, სიკეთის ქმნა, მოყვასისადმი სიყვარული და ა. შ., ხოლო უარყოფითი კი — სილაჩრე, ეგოიზმი, შური, ძალადობა და სხვ. აეტი ამტკიცებს, რომ მეზობელი ხალხებისადმი

აგრესიულად განწყობილ რომაელებში ჩამოყალიბებულია ბევრი ბუნებით თანდაყოლილი უარყოფითი თვისება, კერძოდ, მათ ახასიათებთ „სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ, ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებთ მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა ამისა, ამ, ბუნებით თანდაყოლილ ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლო სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებით უბედურება“.

აღმათ მალალი ორატორული ხელოვნებით წარმოთქმული ბუნებითი სამართლის აეტისეულ ინტერპრეტაციაზე დამყარებული მოსაზრებები იყო იმის მიზეზი, რომ მსმენელებზე მან დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომ „მთელი ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის შეძახილები გაისმა“.

მტკიცდება, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობენ ბუნებითი სამართლის მოძღვრების სხვა ნიუანსებს, კერძოდ, მეორე კოლხი ორატორი და მოაზროვნე ფარტაძი ცხადყოფს, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრების მოძველებული, ტრადიციული, აბსტრაქტული ინტერპრეტაცია მიუღებელია. ფარტაძი მიუთითებს, რომ აეტის სიტყვიდან მართლაც ნათლად ჩანს, თუ რა „უძლეველი რალაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაუვლირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება“.

ქართველ მოაზროვნეთა მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრების განვითარება და გამდიდრება ცხადყოფს ქართული ინტელექტუალური ფენომენის მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის ისტორიაში, ამგვარი მოვლენები უხვად

შეინიშნება ქართული მეცნიერების სხვა დარგებშიც. აღმათ ამით უნდა აიხსნას ის, რომ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში, ქართულმა კულტურამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ბერძნული წარმოშობის მოსახლეობაზე, მეტიც, იგი კონკურენციასაც კი უწყევდა ელინურ კულტურას. წყაროები ცხადყოფენ, რომ შავიზღვისპირეთში დასახლებული ბერძნები ქართული კულტურის ზეგავლენით იფიწყებდნენ ელინურ კულტურას, კანონ-ჩვევებს და ამჯობინებდნენ ქართული კანონებითა და ჩვევებით ცხოვრებას. ამით უკმაყოფილო ბერძენი მწერალი დიონისე ჰალიკარნასელი წერს, რომ ბერძენი კოლონიზატორები, კერძოდ, აქაიები და „ბევრნი სხვანი, რომლებიც ბარბაროსთა შორის ცხოვრობენ, ცოტა ხნის გავლის შემდეგ ყველაფერს იფიწყებენ, ისე, რომ აღარც ელინურ ენაზე ლაპარაკობენ, აღარც ელინთა ჩვევებს მისდევენ, აღარც იმავე ღმერთებს მიიჩნევენ და აღარც სამართლიან კანონებს, რითაც განსაკუთრებით განსხვავდება ელინური ბარბაროსულისაგან, აღარც სხვას რასმეს ცნობენ, რაც საყოფაცხოვრებო ურთიერთობებს ეხება და აღარც სხვას რასმე მსგავსს. ამ აზრისათვის საკმარისი საბუთია მოხსენება აქაიებისა, რომლებიც პონტოსთან ცხოვრობენ, ხოლო ელევლები, კი რომლებიც წარმოშობით ნამდვილი ელინები არიან, ყველა იმ ბარბაროსებზე, რომლებიც ახლა არსებობენ, უფრო მეტად ველურები არიან“.

სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, მრავალეროვან ქართულ სახელმწიფოში წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწყისრიგებლად ცდილობენ ქრისტიანულ-რელიგიური სექტანტიზმისაგან თავისუფალი ახალი სახელმწიფოებრივი კურსის შემუშავებას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამეფო ხელისუფლების განუხაზ-



დგრელი და შეუზღუდველი ჩარევისა და ამ ახალი, რჯულშემწყნარებლობაზე და ჰუმანიზმზე დამყარებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, როგორც ეს შალვა ნუცუბიძემ დაასაბუთა, დავით აღმაშენებლის ეპოქაში იწყება ადამიანთა სულიერი ცხოვრების გარდაქმნა რენესანსის იდეების მიხედვით. ეს მოსაზრება შემდეგში ახალ-ახალი მომენტებით გამდიდრდა (ნ. ბერძენიშვილი, ა. აფაქიძე, გ. ჯიბლაძე, რ. სირაძე და სხვ.).

ქართული სახელმწიფოებრიობის აღზევება-დაწინაურება და რენესანსული იდეების გავრცელება განაპირობა საქართველოს ფეოდალურ ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა, კერძოდ, მესამე წოდების (ბურჟუაზიის) ჩასახვა-განვითარებამ. ახასიათებდა რა ქართული რენესანსის ეკონომიკურ თავისებურებებს, ნ. ბერძენიშვილი წერდა: „მე-13 საუკუნის დამდევისათვის ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობების ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო². სწორედ ეკონომიკაში მომხდარმა ამ ცვლილებებმა განსაზღვრა მესამე წოდების (ბურჟუაზიის) აქტიური ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ამ ბრძოლამ საზოგადოდ ორი ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი იწყება XII-XIII სს. მიჯნიდან და მთავრდება XVIII საუკუნეში.

ეკონომიკურის გარდა, ქართული რენესანსული კულტურის ჩამოყალიბება, რენესანსული სულისკვეთებით ბუნებითი სამართლის ინტერპრეტაცია განაპირობა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების მქონე კავკასიის ხალხების, ქართული სახელმწიფოებრიობის მოთავეობით გაერთიანების მიზეზებმა. ქვეყნის წინაშე მდგარი ამ საშინაო და

საგარეო ამოცანების გადასაჭრელად დავით აღმაშენებელი იყენებდა სამართლის სიტუაციის მიხედვით ავითარებს ბუნებითი სამართლის მოძღვრებას.

დავით აღმაშენებლის სამართლებრივი შეხედულებები გადმოცემულია ფილოსოფიურ-რელიგიურ ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“. აგრეთვე ჩვენამდე მოღწეულ იმ ძეგლებში, რომლებიც შეიცავენ სახელოვანი მეფის მიერ შემუშავებულ მსოფლმხედველობას (1103 წლის რუის-ურბნისის ძეგლისწერა, ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისი და ა. შ.). ამ ძეგლების ანალიზი ცხადყოფს, რომ დავით აღმაშენებელი იცნობდა სამართლის სხვადასხვა სახეებს, კერძოდ, ბუნებით სამართალს, ღვთაებრივ სამართალს და დადებით სამართალს. ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ სამართლის ამგვარი „კლასიფიკაცია იმ რწმენაზეა დამყარებული, რომელიც დავით აღმაშენებლის სინანულის გალობაშია გამოთქმული, მაშინ იცოდნენ, რომ განგებისაგან თანდაყოლილი ბუნებითი სჯულის გარდა არსებობს აგრეთვე „სჯული ბუნებისა ხორცთათვის“, ადამიანის ფიზიკური ბუნების კანონი, რომელიც ხშირად ადამიანს იმონებს ხოლმე“.

დავით აღმაშენებლის აზრით, სამართლის სახეებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღალი მდგომარეობა ბუნებით სამართალს უკავია. დავითი მიუთითებს, რომ ადამიანებმა უნდა იხელმძღვანელონ ქვეშარტიკებებით და სწორედ „ამისთვის მოგვეუცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული“. სახელოვანი მეფე და მისი იდეოლოგები ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებზე ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განსახორციელებლად ავითარებენ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, რომლის მიხედვით ყველა ადამიანის ბუნება ერთნაირია, მიუხედავად სარწმუნოებისა. დავითის მტკიცებით, ქართული სახელმწიფოებრიობა წარმატებით განხორციელდება, უკეთეს იგი

დაეფუძნება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას. თავისუფლებისათვის ბრძოლა ბუნებითი სამართლის მიერ დადგენილი ყველა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. აქედან გამომდინარე, ეს თვისება აკავშირებს სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის მოთავედ ამიერკავკასიაში ამ დროს სხვა სახელმწიფოების არ არსებობის პირობებში მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობა გამოდიოდა. ამ სიტუაციაში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელების ამოცანების ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან დაკავშირებამ სასურველი შედეგი გამოიღო, თურქ-სელჩუკები ამიერკავკასიიდან განდევნილი იქნენ.

დავით აღმაშენებელი ავითარებს რენესანსული თვალსაზრისით ღმერთის შესახებ არსებულ შეხედულებებს, კერძოდ, მისი მტკიცებით, რადგან ადამიანის ბუნება ყველგან და ყველა დროში მუდმივი და უცვლელია, ღმერთი არის კეთილ საწყისზე დამყარებული უმაღლესი არსება, რომელსაც ბედნიერება მოაქვს ადამიანებისათვის. ამ წარმოდგენას ემყარება დავით აღმაშენებლის ტოლერანტიზმი, რომელიც მის მიერ შემუშავებული ახალი სახელმწიფოებრივი კურსის შემადგენელი ნაწილი გახდა. რელიგიური დოგმატების, წარმოდგენებისაგან განსხვავებული რენესანსული თვალსაზრისით აქვს განხილული დავით აღმაშენებელს ბუნების მოვლენები. მისი იდეოლოგიის ამ თავისებურებათა შესახებ იგი წერს: „ზენაისა მოძრაობისა ასურასტანული ზმნობაი და ცთომილთა ვარსკვლავთა და უცთომელთა კრებაი, ვანჯრაი, სუე და ბედი და შობის დღე, ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ“.

შუა საუკუნეების ქართული რენესანსული რელიგიურ-პოლიტიკური წარმოდგენება კლასიკურად მიუხადავა ბუნებით სამართალს შ. რუსთაველმა, რომელმაც პლატონის, არისტოტელის და

სხვათა მოსაზრებების მიხედვით ახლებურად გადაამუშავა მოძღვრება შერთალი სამართლის შესახებ. შუა საუკუნეების საქართველოში ბუნების სამართლის რენესანსული ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს რუსთაველის მართალი სამართალი. მას საფუძვლად უდევს ანტიკურ სამყაროში პლატონის მოსაზრება ღმერთის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის არსებობის შესახებ. ქართული რენესანსის უმნიშვნელოვანეს იდეურ წყაროს ანტიკურობა შეადგენდა, რუსთაველმა პლატონის ზემოაღნიშნულ დებულება რენესანსული სულისკვთებით განავითარა და გაიზარა. კერძოდ, ბუნებითი სამართალი რენესანსული ღმერთის ნებით განსაზღვრულად წარმოადგინა და დაასაბუთა, რომ თუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართალი ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს, რომლის შინაარსს განსაზღვრავს ღმერთის ნება რენესანსული გაგებით, ე. ი. მართალ სამართალს, მაშინ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას უნდა ვინაღმძღვანელოთ მართალი სამართლით ანუ რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“.

ანტიკურობიდან წარმომდგარი ბუნებითი სამართლის ახალი, რენესანსული ვარიანტი, კერძოდ ჰუმანისტური მოძღვრება მართალი სამართლის შესახებ, საფუძვლად უდევს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

ტარიელის მამამ სარიდანმა მისი კუთვნილი ინდოეთის მეშვიდე სამეფო ნებაყოფლობით შეუერთა ინდოეთის დანარჩენი ექვსი სამეფოს მფლობელს ფარსადანს, რომელსაც არა ჰყავს მემკვიდრე. სარიდანის პატრიოტული მოქმედებით აღფრთოვანებული ფარსადანი მას გაერთიანებული ინდოეთის სამეფოს ამირბარად ნიშნავს, ხოლო სარიდანის ვაჟს — ტარიელს კი თავის სახალწმში ზრდის და ტანტის მემკვიდ-

რედ ამზადებს. ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის შემდეგ ფარსადანს შეეძინება ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი, რომელიც ერთხანს ტარიელთან ერთად იზრდებოდა, მაგრამ შემდეგ, როცა ნესტანი წამოიზარდა, ფარსადანი მას შეგნებულად განაცალკევებს ტარიელისაგან და აღმზრდელად ქვრივ დას, ქაჯეთის მეფის ცოლყოფილს დაავარს მიუჩენს. ნესტან-დარეჯანის დაბადების შემდეგ ფარსადანი უარს ამბობს თავის წინანდელ გადაწყვეტილებაზე — ტარიელისათვის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების მინიჭების შესახებ და სამეფო ტახტზე ასაყვანად ახლა უკვე ნესტან-დარეჯანს ამზადებს. მაგრამ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის უკვე მტკიცე სამიჯნურო ურთიერთობაა და მათ უერთმანეთოდ ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება. ტარიელისა და ნესტანის შეუღლებას შედეგად უნდა მოჰყვეს ორთავეს სამეფო ტახტზე ასვლა ერთდროულად, რაც შ. რუსთაველის აზრით, ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი კოლიზიის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა და იგი ნიშნავს სამეფო ტახტის საკითხის გადაწყვეტას ე. წ. მართალი სამართლის შესაბამისად.

მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობს ინდოეთის მეფე ფარსადანი, ვისი აზრითაც ნესტანის გაჩენის შემდეგ ტარიელს ტახტის მემკვიდრეობის უფლება აღარ გააჩნია და ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ნესტან-დარეჯანი უნდა იყოს, მაგრამ რადგან არაბეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესების მიხედვით ქალი მისი მეუღლის, თანამეფის გარეშე არ შეიძლება სამეფო ტახტზე იქნას აყვანილი, ფარსადანი ჩქარობს ნესტანის გათხოვებას და სახელმწიფოში დარბაზს მიაღებინებს დადგენილებას ზედსიძედ ხვარაზმშას შვილი მოიწვიოს.

ამრიგად, ფარსადანის ნება-სურვილი უკვე გახდა პოზიტიური, დადებითი, სა-

ხელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმა, რომლის წინააღმდეგ ტარიელი და ნესტანი აჯანყებულან. ადგენენ: ნესტანი შთააგონებს ტარიელს, რომ სახელმწიფო დარბაზის დადგენილება ეწინააღმდეგება ბუნებითი სამართლით დადგენილ უმაღლეს, მუდმივ ჭეშმარიტებას, კერძოდ, მართალი სამართლით (ბუნებითი სამართლით) სამეფო ტახტი მხოლოდ ტარიელს ეკუთვნის და ამის გამო შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ხვარაზმშას შვილის მოკვლაა. ზედსიძედ მოწვეული ხვარაზმშას შვილის მკვლელობის და ფარსადანის წინააღმდეგ აჯანყების მიზეზებად ტარიელმა ნესტანისადმი სიყვარული ყი არა, არამედ ბუნებითი (მართალი) სამართლით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის დაცვის უმაღლესი უფლება უნდა გამოაცხადოს. ხვარაზმშას შვილის მკვლელობა უკიდურესად გაამწვავებს ურთიერთობას ინდოეთსა და ხვარაზმშას შორის და ხვარაზმშა ამხედრდება ფარსადანის წინააღმდეგ, ფარსადანი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, კერძოდ, ქვეყნის შიგნით მას სამეფოს დარბევით დამუქრება ტარიელი, ხოლო ხვარაზმშას შვილის მკვლელობისათვის ხვარაზმიდან იქმნება ინდოეთზე სამხედრო თავდასხმის საფრთხე და ასეთ საბედისწერო მომენტში ფარსადანი თვითონ შეეხვეწება ტარიელს ნესტანის ცოლად შერთვას და ინდოეთის დაცვას.

ნესტანისა და ტარიელის მიერ შედგენილი ამ გეგმის ყველა დეტალი (ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მოკვლა, ფარსადანის წინააღმდეგ აჯანყება, ბრძოლა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების დაცვისათვის), არგუმენტირებულია ბუნებითი სამართლის მოძღვრებით. როგორც ქართულ, ასევე საზღვარგარეთის მეცნიერულ ლიტერატურაში დიდი ხანია დასაბუთებულია, რომ შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი იგივე მართალი სამართალია. დადგა მომენტი და დღეს

ყველამ უნდა ეცოდეს, რომ ამ შეხედულების ყველაზე დიდი ფუძემდებელი რუსთაველია, რომლის რენესანსული მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს ანტიკურობა წარმოადგენს, როგორც ე. ხინთიბიძემ ცხადყო, არისტოტელეს ეპიქურა უტყუარი სიმართლეა. ისიც ცნობილია, რომ უმადლეს ჭეშმარიტებასა და უტყუარ სიმართლეზე დამყარებული ღმერთების ნება პლატონს ბუნებითი სამართლის შინაარსის განმსაზღვრელად მიაჩნდა. ამრიგად, ანტიკური რელიგიურ-პოლიტიკური აზრი ბუნებითი სამართლის დადგენილ უმადლეს აბსტრაქტულ ჭეშმარიტებას აღიარებს ღმერთების ნების გამოხატულებად. ღმერთის ანტიკური წარმოდგენა გამორიცხავდა შუა საუკუნეებში ვაბატონებულ ქრისტიანულ-რელიგიურ დოგმატებს, რომლებიც განუყოფლად ბატონობდა ადამიანთა გონებაზე და ხელს უშლიდა თავისუფალი აზრის განვითარებას. ამიტომ ყველა ქვეყანაში, სადაც კი რენესანსს ჰქონდა ადგილი, ანტიკურობის ზეგავლენით ხდებოდა ქრისტიანულ ღმერთზე შეხედულებათა ჰუმანიზაცია. ამ პროცესის ნათელი გამოხატულებაა შუა საუკუნეების ქართული მართალი სამართლის მოძღვრება, ანტიკურობის ბუნებითი სამართლის მოძღვრების ახლებური გააზრება შუა საუკუნეების რენესანსული მოვლენების (სახელმწიფო, ღმერთი, საზოგადოება და ა. შ.) წარმოდგენების მიხედვით.

მართლაც, ზვარაზმშას შვილის მკვლელობას შ. რუსთაველი მართალი (ბუნებითი) სამართლის მიხედვით ამართლებს. ნესტანი, რომელიც ხელმძღვანელობს შ. რუსთაველის მსოფლმხედველობით, ტარიელს ურჩევს: „რა მოვიდეს, სიძე მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ჩანს, რუსთაველს ზვარაზმშას ძე დამნაშავედ მიაჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰუმანიტური მოაზროვნე შ. რუსთაველი უდანაშაულო კაცის მოკვლას მართალი

სამართლის ქმნას არ უწოდებდა ამ მოსაზრებას ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ მომდევნო სტროფის რაგონში: „სიძე გადმოცემულია ნესტანის რჩევა ტარიელისადმი: „ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჭობო ყოველთა გმირთაო, მოპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც ზროხათა ვითა, ვირთაო, დიადი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“

ცნობილია, რომ ძველ ქართულში „უბრალო“ ნიშნავს „უდანაშაულოს“, ხოლო „ბრალი“ კი — „დანაშაულს“, მაშასადამე, რუსთაველის აზრით, ზვარაზმშას შვილის თანმხლები ლაშქარი არის უდანაშაულო და მას ზელი არ უნდა ახლოს ტარიელმა, რაც შეეხება ზვარაზმშას შვილს, იგი მართალი სამართლის მიხედვით დამნაშავეა და ამიტომაც ზვარაზმშას შვილის მოკვლა მართალი სამართლის ნორმების განხორციელებაა.

ასევე ბუნებითი სამართლის მოთხოვნების მიხედვითაა დასაბუთებული „ვეფხისტყაოსანში“ ფარსადანის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მიერ განზრახული აჯანყება, კერძოდ, შ. რუსთაველს იგი დაკავშირებული აქვს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების დაცვისათვის ტარიელის ბრძოლასთან. ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართლის მოძღვრება ღვთაებრივი შარავანდელით შეიმოსა და ბუნებითი სამართლის სინონიმი გახდა მართალი სამართალი. შუა საუკუნეებში ვაბატონებული აზრის მიხედვით ღმერთის ბუნების გამომხატველი ნების, მართალი სამართლის მიხედვით ვითარდება მოვლენები, ემხოება სამეფოები, სამეფო ტახტზე აღიან უფლისწულები და ა. შ. ეს აზრი კარგადაა ასახული „ვეფხისტყაოსანში“: „რა მოვა ჩემთვის განგება ზეცით მოსრულნი ზენანი, ღმერთი იწადებს, მომივლენ გულის სახმილთა ლხენანი, მაშინლა მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი. უმისყამისოდ

კუდა ჩემგან მი და მო რბენანი“. რუსთაველის მტკიცებით, მართალი (ბუნებითი) სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტი ტარიელს ეკუთვნის, მაგრამ ფარსადანის მეთაურობით სახელმწიფო დარბაზი ლებულობს მართალი (ბუნებითი) სამართლის საწინააღმდეგო პოზიტიური სამართლის ნორმას — ხვარაზმშას შვილის ზედსიძედ მოწვევის შესახებ, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების ტარიელისათვის ჩამორთმევა და ხვარაზმშას შვილისათვის მინიჭება. ამრიგად, ამ შემთხვევაში, მართალ (ბუნებით) სამართალს უპირისპირდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართალი და საყოველთაოდ გავრცელებული ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით ამგვარი წინააღმდეგობის შემთხვევაში სწორად იქცევა ის, ვინც არღვევს პოზიტიური სამართლის ბრძანებებს და ასრულებს ბუნებითი (მართალი) სამართლის ნორმებს.

შ. რუსთაველი დარწმუნებულია, რომ მართალი (ბუნებითი) სამართლის მიხედვით სამეფო ტახტი ტარიელს ეკუთვნის და არა ხვარაზმშას ძეს, ამიტომ, ამ უკანასკნელის მოკვლა ტარიელის მიერ მართალი სამართლის ქმნაა. ტარიელი კატეგორიულად უცხადებს ფარსადანს: „იციოთ, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! — ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ მოგხვდომია: ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგროძია; სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახვდომია!“ ხვარაზმშას ძის მოკვლა მიზნად ისახავს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის უფლების დაცვას, ტარიელს უსაფუძვლოდ მიაჩნია ფარსადანის საყვედური: „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე? თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემეგებინე?“ იგი უმტკიცებს ფარსადანს: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე! ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე. ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამო-

ვფხვრიდე, სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!“

ამრიგად, შუა საუკუნეებში, რუსთაველმა ერთ-ერთმა პირველმა ცხადმდინდრა ბუნებითი სამართლის მოძღვრება, მასში შეიტანა რენესანსული წარმოდგენები ღმერთის ცნებაში და ბუნებითი სამართლის მათთან დაკავშირების შედეგად შექმნა მართალი სამართლის მოძღვრება — ბუნებითი სამართლის შუასაუკუნეობრივი ჰუმანიტური ვარიანტი.

ფეოდალიზმის მომდევნო პერიოდში აღრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებამდე ბუნებითი სამართლის მოძღვრება მთლიანად დავიწყებული იქნა. აღრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების იდეოლოგებმა, აგრეთვე XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა განაახლეს ბუნებითი სამართლის მოძღვრება. რუსეთში ბუნებითი სამართლის აღორძინება იწყება შედარებით გვიან (რადიშჩევი, ჩიჩერინი, კისტიაკოვსკი, ნოვგოროდცევი და ა. შ.).

რუსეთში აღორძინებული ბუნებითი სამართლის მოძღვრების შემადგენელი ნაწილები ახალი ელემენტებით გაამდიდრეს ქართველმა მოაზროვნეებმა იაგორ ჭილაშვილმა და ილია ჭავჭავაძემ.

აღორძინებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება განვითარდა ი. ჭილაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში.

მონღოლთა ბატონობას მძიმე შედეგები მოჰყვა. მნიშვნელოვნად ჩამოკვეთიდა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების დონე, შეირყა პოლიტიკური ძლიერება, გაჩნდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლის ტენდენციები, ქართველი ხალხის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა შეფერხდა, ოდესღაც გაერთიანებული საქართველო დაიშალა სამეფოებად და სამთავროებად და მტერთაგან შევიწროებული ქართველი ხალხი იძულებული ხდება საქართველო ერთმორწმუნე რუსეთს შეუერთოს. ქართულ-

მა სახელმწიფოებრიობამ, როგორც დიდი ილია ბრძანებს, ისე დალია სული, რომ არავის ვალი და ვახში არ დას-
ლებია.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვ-
რების ისტორიაში დაიწყო ახალი ეტა-
პი. საქართველოს რუსეთთან შეერთე-
ბის შემდეგ ქართული ინტელიგენცია
ეზიარა რუსულ და ევროპულ კულტუ-
რას, რამაც დიდი როლი შეასრულა
გაუქმებული ქართული სახელმწიფო-
ებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში.
ქართველი ხალხის ეროვნულ-ვანმათა-
ვისუფლებელი მოძრაობის ამ ეტაპზე
ბუნებითი სამართლის მოძღვრებას გა-
მანაღვურებელი ლახვარი ჩასცა სამარ-
თლის ისტორიულმა სკოლამ. როგორც
შ. ბადრიძემ ცხადყო, XIX ს. მეორე
ნახევრიდან ფართოდ გაერცელდა პო-
ზიტივიზმი. XIX ს. დასასრულს ნათე-
ლი გახდა, რომ პოზიტივიზმისათვის
დამახასიათებელი აღწერილობითი,
ფორმალურ-დოგმატიკური მეთოდი
ვერ გვაძლევდა ჭეშმარიტ წარმოდგენას
საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. პოზიტი-
ვიზმის მიერ მოვლენების აქსეოლოგი-
ური შეფასების იგნორირება და ფორ-
მალურ-დოგმატიკური მტკიცება იმისა,
რომ „კანონი არის კანონი“, რუსეთში
იწვევს ბუნებითი სამართლის აღორძი-
ნებას (ჩიჩერინი, ნოვგოროდცევი, ტრუ-
ბეცკოვი, კისტიაკოვსკი და ა. შ.).

აღორძინებული ბუნებითი სამართ-
ლის ძირითადი მოთხოვნა, კერძოდ,
საზოგადოებრივი მოვლენების შეფასე-
ბა მათი სოციალური ღირებულებების
მიხედვით, ამ მოვლენებში აქსეოლოგი-
ური მომენტების წარმოჩენა, როგორც
მათი არსებობის გონიერების შეფასე-
ბის კრიტერიუმი, ხაზგასმულია ცნობი-
ლი ქართველი მოაზროვნის იაგორ ჭი-
ლაშვილის ნაშრომში „ბუნებითი სამარ-
თლის მოხაზულობა“, რომელიც გა-
მოქვეყნდა პეტერბურგში 1812 წელს.
იაგორ ჭილაშვილს ქართული მეცნიე-
რება არსებითად არც კი იცნობს, მის
ზემოაღნიშნულ წიგნში განვითარებუ-
ლია ბუნებითი სამართლის მოძღვრება,

კერძოდ, მისში გამოკვლეულია ადამიან-
ის, როგორც საზოგადოების წევრის
ბუნებითი საჭიროებები და მათი უკუ-
მაყოფილებისათვის ინდივიდის თანდა-
ყოლილი ბუნებითი უნარი, ადამიანის
უფლებები და მოვალეობები, ადამიანის
უნარისა და მოთხოვნილებებიდან წარ-
მომდგარი ძირითადი საჭიროებები
(შრომა, განათლება, ერთად ცხოვრება),
ადამიანთა ურთიერთობები საერთო
ცხოვრების საფუძველზე (პირადი სა-
კუთრება, მოძრავი საკუთრება, მიწის
საკუთრება, საზოგადოებრივი ხელშეე-
რულება) და ა. შ.

მეფის თვითმპყრობელობის ბატონო-
ბის პირობებში ი. ჭილაშვილის მიერ
ბუნებითი სამართლის მოძღვრების გა-
მოცოცხლებას და მის გამდიდრებას
ახალ-ახალი ელემენტებით უაღრესად
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი
რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და ეკონომიკური ცხოვრების პროგრე-
სისათვის ბრძოლაში. ი. ჭილაშვილის
მტკიცება იმის შესახებ, რომ „ყველა
ადამიანი თავისუფალია, ყველა ადამიანი
ურთიერთმორის თანასწორია პირა-
დი საკუთრებისა და თავისუფლების
მიხედვით“, მოუწოდებდა მშრომელ
ხალხს ქვეყნის უკეთესი მომავლისაკენ.
მეფის დესპოტიკური სახელმწიფოს წინა-
აღმდეგ ი. ჭილაშვილი მიუთითებს, რომ
სახელმწიფო ადამიანთა ნებაყოფლო-
ბითი ხელშეკრულების შედეგად არის
დაარსებული და „ეს ხელშეკრულებე-
ბი უნდა გამომდინარეობდეს ადამიანთა
ნებისა და თავისუფლებისაგან, ესადა-
გებოდეს მისი საჭიროებისა და უნა-
რის მდგომარეობას და აგრეთვე მის
უფლებებსა და ვალდებულებებს, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში ისინი ბათილია,
აქედან უნდა წარმოსდგებოდეს ხელ-
შეკრულების ნამდვილობა“.

აღორძინებული ბუნებითი სამართ-
ლის მოწინავე იდეების მიხედვით სა-
ზოგადოების პოლიტიკური და ეკონო-
მიკური გარდაქმნის მოთხოვნები, რომ-
ლებიც ი. ჭილაშვილმა წამოაყენა, უდი-
დეს ზეგავლენას ახდენდა რუსეთის

პროგრესულ ძალებზე, რომლებიც ემზადებოდნენ მეფის თვითმპყრობელობის დასაზოგად, ქართველი კაცის ნაზრევი აქმზებდა მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ, ამ დამსახურების შესახებ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ნათქვამია, რომ ი. კილაშვილი იყო „ბუნებითი სამართლის თეორიის დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელი XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთში. ის იყო დეკაბრისტების ერთ-ერთი იდეური წინამორბედი“.

უფრო მოგვიანებით, რუსეთში აღორძინებული ბუნებითი სამართლის მოძღვრება განავითარა ი. ჭავჭავაძემ, რომელმაც ამ მოძღვრების დებულებები გამოიყენა სოციალური გარდაქმნების, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობისა და სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების დასახებულად. საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძე ბუნებითი სამართლის მოძღვრებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში. ცნობილია, რომ ილია რევოლუციის განიხილავდა არა როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოვლინების უმადლეს ფორმას, არამედ რევოლუცია მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მთელი ერის, მთელი ხალხის ერთობრივი ბრძოლა საზოგადოებრივი პროგრესისა და უკეთესი მომავლისათვის.

როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში არის აღნიშნული, 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში მშრომელი ხალხის ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ილიას დასაბუთებული აქვს ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით. ი. ჭავჭავაძე სამართლის ნორმების კლასიფიკაციისას ყურადღებას ამახვილებს ბუნებით და პოზიტიურ სამართალზე. მისი აზრით, სამართლის ამგვარი დაყოფა განპირობებულია ორი სახის სიმართლის არსებობით, კერძოდ, არსებობს ბუნებითი სიმართლე და ფორმალური სიმართლე.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საერთო

სამართლის სისტემაში ბუნებითი სამართალი იერარქიულად ყველაზე მაღლა დგას; ამ დებულებიდან იგი აკეთებს უალრესად მნიშვნელოვან დასკვნას იმის შესახებ, რომ თუ წინააღმდეგობა აღმოჩნდება სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ სამართალსა და ბუნებით სამართალს შორის, სამართალმემყარდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ბუნებითი სამართლით, რადგან სამართლიანია „ბუნებრივის სამართლით საქმის გადაწყვეტა უფრო, ვიდრე ფორმალურის სამართლითა“. გარდა ამისა, ბუნებითი სამართლის უნივერსალურ ხასიათზე მიუთითებს ის, რომ მისი ნორმები ზოგადია და ყველგან ერთნაირად მოქმედებს. ი. ჭავჭავაძე წერს: „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ“.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების ეს ზოგადი დებულებანი 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში ილიამ მიუსადაგა ახალ ვითარებას და ბუნებითი სამართლის მოძღვრებას ახალი პოლიტიკური უღერადობა მისცა, კერძოდ, მშრომელი ხალხის რევოლუციურ მოძრაობას თავისუფლებისათვის, სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის ბრძოლას იგი ასაბუთებს ბუნებითი სამართლის მიხედვით. ილია მიუთითებს, რომ ბუნებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ნორმით აღამიანს მინიჭებული აქვს თვითდაცვის უფლება, ყოველი აღამიანი, როცა მის მიმართ იძულებას იყენებენ და ვინმეს მიერ ისე შევიწროებული ხდება, რომ უკვე აღარ შეუძლია ისარგებლოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ა. შ. ბუნებითი უფლებებით, უფლებამოსილია თვითონვე უპასუხოს თვითდაცვის საშუალებებით. ახასიათებს რა 60-იან წლებში ბალკანეთში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, ილია მიუთითებს, რომ აქ შექმნილი დაძაბულობის მიზეზი სახელმწიფო თანამდებობის ცალკეული პირები არ არი-

ან, რადგან ისინი „ჭადრაკის კაცებსა ჰგვანან, რომელთაც საკუთარი უინი კი არ ამოქმედებს, არამედ ძლიერი ხელი ცხოვრებისა, ანუ უკეთ ესტქვათ, ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველობისა“.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მშრომელი ხალხის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოსვლას ილია აფასებს, როგორც ბუნებითი სამართლის მოთხოვნათა განხორციელებას, კერძოდ, ხალხის მიერ თავისი სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფის საპასუხოდ თვითდაცვის ბუნებითი უფლებით სარგებლობას. ილია მიუთითებს, რომ მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში მშვიდობას, მას არ სურს რევოლუციაში მონაწილე მშრომელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლებანი ფორმალურია, ასეთ ვითარებაში „ჩვენ მოვალენი ვართ, ვიზრუნოთ ჩვენს მომავალ ბედზე; ამას მოითხოვს ბუნებითი, ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი თვითდაცვის გრძნობა“.

ბუნებითი სამართლის მოძღვრებას იყენებს ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. ამ საკითხზე ილიას მიერ შედგენილი მოხსენების მოკლე კონსპექტში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ მის მიერ მითითებულ არგუმენტთა შორის ყველაზე მთავარია ბუნებითი სამართლის მოძღვრება. ილია ამტკიცებს, რომ სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგება ბუნებით სამართალს. ადამიანი ბუნებით ისეთი არსებაა, რომელსაც ეზიზღება სისხლი და მისი დაღვრა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებით თავისუფლებას, სიკვდილით დასჯა კი

მიმართულია ადამიანის ამ კეთილშობილური ბუნების წინააღმდეგ. იგი სპობს ადამიანში ამ ბუნებით დადგენილ გრძნობას. სიკვდილით დასჯის გორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი სასჯელის ზომა, აფუჭებს ადამიანს, მის ბუნებას აჩვენებს სისხლს. ილია ამტკიცებს, რომ სიკვდილით დასჯა „აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით — კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც. მაგალიფად, ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეული რამ ამბავია, არავის და უმღვრევს გულს და ყურადღებასაც კი არ აქცევს“. აქედან ილია აკეთებს კონტრაგორიულ დასკვნას, სიკვდილით დასჯა, როგორც ბუნებითი სამართლის წინააღმდეგო მოვლენა, უნდა გაუქმდეს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრება მსოფლიო კულტურის საგანძურში პროგრესულად მოაზროვნე ხალხების მიერ შეტანილი ერთობლივი წვლილია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ბუნებითი სამართლის მოძღვრება იყო მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქართველი ხალხის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც უძველესი დროიდანვე ვითარდებოდა და მდიდრდებოდა სამართლიანობისა და ჰუმანიზმის ახალ-ახალი ელემენტებით ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების საჭირობოტო პრობლემების გადასაჭრელად. პატარა ქართველი ხალხის ინტელექტუალური ფენომენები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენდა მეზობელი ქვეყნების სულიერ ცხოვრებაზეც, მეტ ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს მსოფლიო კულტურის საგანძურში მათი ღირსეულად წარმოჩენის მიზნით.



ავანგარდიზმის ფენოქანი და ქართული კულტურა

ამ წერილის თემა შთამბეჭობს ლიტერატურულ-მხატვრულმა კრებულმა „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“, რომელიც თბილისში 1919 წელს გამოიცა, სულ რაღაც, 180 ეგზემპლარის რაოდენობით. წიგნის ორიგინალობა, პირველყოვლიცა, იმით მქდავდება, რომ იგი ინტერნაციონალური ხასიათისაა, შეიცავს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დაბეჭდილ ნაწარმოებებს. აქ არის მოთავსებული ქართველი პოეტების გრიგოლ რობაქიძის, ტიცაიან ტაბიძისა და ბაოლო იაშვილის ლექსები, რუსი ავტორების ნინო ვასილიევას, ტატიანა ვეჩორკას, ილია ზდანევიჩის, ვასილ კატანიანის, ალექსანდრე ჩაჩიკოვის, ნიკოლოზ ჩერნიავსკის, გრიგოლ შაიკევიჩის, ალექსი კრუჩინინის, იგორ ტერენტიევის, სომეხი მწერლის კარა-დარევის თხზულებანი. მასში გამოქვეყნებულია აგრეთვე ერთი სამეცნიერო შრომა, რომელიც მიძღვნილია იოსებ ზილიხანიანის ხელნაწერის მხატვრული გაფორმებისადმი (ავტორი დიმიტრი გორდევი). წიგნი დასურათებულია საყოველთაოდ ცნობილი მხატვრების ლადო გუდიაშვილის, სიგიზმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის, ნატალია ვონჩაროვას, კირილე ზდანევიჩის, იგორ ტერენტიევის, ალექსანდრე ბაქმეუკ-მელიქოვის, მიხეილ კალაშნიკოვის მიერ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ წიგნში წარმოდგენილი ნახატები ძირითადად ავანგარდისტული ხასიათისაა.

რით არის შესანიშნავი ეს კრებულნი? მასში კოლორიტულად აისახა ამ საუკუნის ოციანი წლების დასაწყისის

თბილისის წინააღმდეგობებით აღსავსე ლიტერატურული ცხოვრების მრავალფეროვნება. თავისებურება, გარკვეულწილად მასშტაბურობა და გადაჭარბებული არ იქნება თუ გიტყვი — მსოფლიო რეზონანსიც, ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისელმა რუსმა ფუტურისტებმა თავიანთ კორპორაციას „41“ უწოდეს, თბილისი ხომ ჩრდილოეთ განედის 41 გრადუსზე მდებარეობს და მათი აზრით, სიმბოლურია, რომ ამავე განედზეა დაახლოებით მსოფლიოს უდიდესი ქალაქები: ნიუ-იორკი, მადრიდი, კონსტანტინეპოლი და სხვები. ამით ისინი თითქოს თბილისის საერთაშორისო დიაპაზონს უსვამდნენ ხაზს და მიაჩნდათ, რომ ამ ქალაქში ჩასახული მოძრაობა მსოფლიო მნიშვნელობას შეიძენდა. და მათი ეს ვარაუდი არ იყო, სხვათაშორის, მთლად საფუძველს მოკლებული.

თავი და თავი თბილისური ავანგარდიზმის ფენომენია, რამაც უკვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა. საქმარისა და ვასახელოთ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორც არიან იტალიელები: ლუიჯი მაგაროტო, მარციო მარცადური, ჯიოვანა პაგანი კეზა, ამერიკელი ჯერალდ იანეჩეკი, ავსტრიელი როზემარციგლერი, დასავლეთგერმანელი ბერნარდ შოლცი, რუსი მკვლევარები: ტატიანა ნიკოლსკაია, ალექსანდრე პარნისი, ელენე ბურენკოვა და სხვები, რომლებმაც მრავალი შრომა მიუძღვნეს ამ საკითხს. არაფერს ვამბობ წიგნზე „ავანგარდიზმი თბილისში“, რომელიც 1982 წელს ვენეციაში გამოიცა. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ეურნალ

„ლიტერატურნაია გრუპიში“ (1985, № 1) დაბეჭდილ ამ წიგნის რეცენზიაში გამოთქმულ საყვედურს იმის თაობაზე, რომ საქართველოს 20-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლების შესწავლაში ვენეციის (?) უნივერსიტეტმა დაგვიწყო.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს თბილისური ავანგარდიზმის წარმომადგენლების, საქართველოში მყოფი რუსი და სხვა ეროვნებების მწერალთა და მხატვართა შემოქმედებითი ძიებების შესწავლა. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებასთან მათ ურთიერთობაზე, ერთგვარ შეხების წერტილებზე. და ეს საკითხი ვარკვეულ ინტერესს იმსახურებს. რადგან, როგორც ამას შემდგომ დავინახავთ, ადგილი ჰქონდა ფრიად საყურადღებო მოვლენას — ავანგარდიზმისა და ქართული კულტურის ურთიერთზეგავლენას.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველო და თბილისი ლიტერატორთა მექა იყო უხსოვარი დროიდან. ვაიხსენოთ თუნდაც ა. პუშკინი და მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი და ს. ნადსონი, მ. გორკი და ვ. მაიაკოვსკი, აგრეთვე მრავალი სხვა უფრო მოკრძალებული სახელის მქონე მწერლები, რომლებიც საქართველოს უბრალო სტუმრები როდი იყვნენ, არამედ ამ მხარემ გარკვეული კვალი დატოვა მათ შემოქმედებაში. ხოლო მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოჩნეულია. ეს ის დროა, როდესაც რუსეთში სამოქალაქო ომი მიმდინარებდა და მრავალმა რუსმა პოეტმა, მხატვარმა, კომპოზიტორმა და მსახიობმა საქართველოს მიაშურა. 1917 წელს თბილისში ჩამოვიდნენ: კ. ბალმონტი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება შოთა რუსთაველის შესახებ და „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი თარგმანი, აგრეთვე ი. სევერიანინი, ს. გოროდნეკი, ა. კრუჩენინი, კ. პაუსტოვსკი, მ. შაგინიანი, ე. ჩირი-

კოვი, ცოტა მოგვიანებით — ო. მანდელშტამი. პოეტებისა და მწერლების გარდა ამავე პერიოდში აქ ჩამოსული იმდენი რუსეთიდან ჩამოსული მსახიობები ა. კაჩალინი და ნ. ხოდოტოვი, კომპოზიტორი ნ. ჩერეპნინი, მხატვრები ს. სუდეიკინი, ა. სორინი და სხვ. დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1914 წელს თბილისის ესტუმრნენ: ვ. მაიაკოვსკი, დ. ბურლუკი და ვ. კამენსკი, რომლებმაც 27 მარტს ფუტურისტული პოეზიის საღამო გამართეს სახაზინო თეატრში. ამრიგად, თბილისში ინტენსიურად მიმდინარეობდა ესთეტიკური ძალების კონსოლიდაცია, იფურჩქნებოდა სხვადასხვა სახის ლიტერატურული მიმდინარეობები, აკმეიზმი იქნებოდა ეს, დანაიზმი თუ ფუტურიზმი. თითოეული ჯგუფი სცემდა თავის ყურნალსა და გაზეთს, მართავდა ლექციებს, აწყობდა პოეზიის საღამოებს, დისპუტებს, მხატვართა ნამუშევრების გამოფენებს. მათვე უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი სახელოვანი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის აღმოჩენას. მისი გენიის სააშკარაოზე გამოტანას.

გრიგოლ რობაქიძის მოსწრებული გამოთქმით „ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდევ გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი. გაიძახოდნენ — პოეზია მართო ტფილისშიაო“ („ფალესტრა“).

კრებულის „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვა“ გამოცემის ინიციატორი ილია ზდანევიჩი იყო. როგორც ნინო ტაბიძე თავის მოგონებებში „ტიციანი და მისი მეგობრები“ აღნიშნავს, ილია გატაცებული ყოფილა მსახიობ სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვათი (1890-1980) და მის საპატივსაცემოდ უზარმაზარი საღამოც კი გაშართა კაფე „ინტერნაციონალში“. მელნიკოვა მსახიობი ქალის სცენიური ფსევდონიმი გახლდათ. მისი ნამდვილი გვარი იყო კაპლანი (ვახოვეების შემდეგ ქმრის გვარი — ბარკოვსკაია მიიღო). აღრე იგი

პეტერბურგში მსახიობობდა, ხოლო თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ადგილობრივი მინიატურების თეატრის სცენაზე გამოდიოდა და აგრეთვე აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში, კითხულობდა აქაური პოეტების, მათ შორის კი განსაკუთრებით ფუტურისტების ლექსებს.

თბილისში მცხოვრები ზდანევიჩების ოჯახი, განსაკუთრებით კი ძმები კირილე (1892-1967) და ილია (1894-1975) ზდანევიჩები მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფებით იყვნენ დაკავშირებული ქართულ კულტურასთან. კირილესა და ილიას მამა მიხეილ ანდრიას ძე კავკასიაში პოლონელი გადმოსახლებულების (ცნობილი 1863 წლის აჯანყების შემდეგ) შთამომავალი იყო, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა ფრანგულ ენას თბილისის ვაჟთა [გიმნაზიაში, ხოლო დედა ქართველი ჰყავდათ — ვალენტინა კირილეს ასული გამყრელიძე.

ილია ზდანევიჩი 1911 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ხოლო მისი ძმა კირილე კი — სამხატვრო აკადემიაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის ისინი უკვე თანაუგრძნობდნენ ხელოვნების უახლოეს მიმართულებებს. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ პეტერბურგში წასვლამდე ძმები უშუალოდ ეზიარნენ ავანგარდისტულ იდეებს, რაშიც მათ ეხმარებოდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიის ხატვის მასწავლებელი ბორის ლვოვის ძე ლოპატინსკი, რომელმაც 1911 წლის დასაწყისში პარიზიდან ჩამოიტანა მარინეტის ცნობილი „ფუტურისმის მანიფესტი“ (იგი პირველად გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა 1909 წლის 20 თებერვალს). ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოში მარინეტისა და საერთოდ ფუტურისმის პოპულარიზება გაცილებით უფრო ადრე იწყება, ვიდრე ეს აქამდე იყო მიღებული. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ თითქოს მარინეტი და მისი ავანგარდისტული კრე-

დო თბილისელებისათვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ვადიმ შერშენევიჩმა 1914 წელს რუსულად თარგმნა და მოსკოვში გამოსცა წიგნი „მანიფესტური ფუტურისმის მანიფესტი“ (საინამდვილეში კი ქართველი საზოგადოებრიობა ახალი მიმდინარეობის ხელოვნების თეორიებს, მათ შორის ფუტურისმისაც ჯერ კიდევ გაზეთ „თემის“ საშუალებით გაეცნო. ექვსგარეშე მიგვაჩნია, რომ ჩვენში მათი გავრცელების პირველწყარო უშუალოდ ევროპული წარმოშობისა უნდა იყოს, ვინემ რუსეთის გზით შემოღწეულად ჩაგვეთვალა მითუმეტეს, რომ, როგორც ლუიჯი მან გაროტო და ლალი ავალიანი სამართლიანად მიუთითებენ, პაოლო იაშვილის მანიფესტის „პირველთქმის“ (გამოქვეყნდა ქურნალ „ციცფერი ყანწების“ 1916 წლის № 1-ში) ზოგიერთი მოტივის დამთხვევა იტალიელ და ფრანგ ფუტურისტთა მიერ გამოქვეყნებულ ცნობებთან, გაპირობებული იყო იმით, რომ ქართველი პოეტი ერთხანს ცხოვრობდა და სწავლობდა პარიზში და საესეებით ბუნებრივია, რომ იგი კარგად იცნობდა ფუტურისტული მოძრაობის ამსახველ თეორიებს ვადიმ შერშენევიჩის შუამავლობის გარეშე.

სხვათაშორის, ილია ზდანევიჩი პირადად გაეცნო მარინეტის, როდესაც იგი მოსკოვში იმყოფებოდა 1914 წლის თებერვალში, რაც ცნობილი ხდება მის მიერ ა. შეშურინისადმი გაგზავნილი წერილით. და უნდა ითქვას, რომ მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება არ დარჩენია ამ პიროვნებაზე. მანვე ერთმანეთს დააკავშირა მარინეტი და თბილისელი მოფუტურისტო პოეტი კარაღარევი (აკოფ მინასის ძე გენჯიანი).

დაგუბრუნდეთ კირილე და ილია ზდანევიჩების მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდს. აქ ისინი მოკლე ხანში დაუახლოვდნენ ავანგარდისტებს, ვერძოდ, ცნობილ მხატვარს მიხეილ თევდორეს ძე ლარიონოვს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ძმების ესთეტიკურ მრწამსზე. მალე ილია ზდანევიჩი

ავანგარდისტული მოძრაობის ცენტრში ხვდება, აქტიურად მონაწილეობს რუსული ფუტურისმის ჩამოყალიბებაში და, ალბათ, არ არის გამორიცხული, რომ ახალი მიმდინარეობის მანიფესტში გამოთქმული მოწოდება: დასავლეთის ხელოვნებას აღმოსავლეთის ხელოვნება უნდა დაუბირისპირდესო, სწორედ ილიას უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ეს დასტურდება მისადმი მ. ლარიონოვის მიერ მიწერილი წერილით (იხ. ნონა ელიზბარაშვილი. „მატიანეს ცოცხალი ფურცლები“. „ლიტერატურნაია გრუზია“, 1981, № 8). მანიფესტში ნახვასით არის ნათქვამი: „გაუმარჯოს შესანიშნავ აღმოსავლეთს! ჩვენ გავერთიანდებით თანამედროვე აღმოსავლეთის მხატვრებთან ერთობლივი მუშაობისათვის“. აქ უნდა დავაზუსტოთ სიტყვა „აღმოსავლეთის“ მნიშვნელობა. ცხადია, ი. ზდანევიჩი და მ. ლარიონოვიც ამ ტერმინით გულისხმობდნენ საქართველოს, რადგან მაშინდელი რუსეთის სხვა აღმოსავლურ რეგიონებთან ისინი საერთოდ არ იყვნენ დაკავშირებულნი. თანაც უნდა დავძინოთ, რომ საქართველოს გარდა ობიექტურად რუსეთის აღმოსავლეთში არავითარი მნიშვნელოვანი ძვრები არ შეინიშნებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს. 1913 წლის 24 მარტს მოსკოვის სამხატვრო სალონში მოეწყო გამოფენა ორიგინალური სახელწოდებით — „სამიზნე“, სადაც რუსი პროფესიული მხატვრების სურათებთან ერთად „აღმოსავლეთის ხელოვნების“ ერთადერთი წარმომადგენლის ნიკო ფიროსმანიშვილის ოთხი ნამუშევარი იყო გამოფენილი.

ილია ზდანევიჩმა მისთვის ჩვეული ენერგიული საქმიანობა გააჩაღა თბილისშიც, სადაც იგი 1917 წლის ზაფხულში დაბრუნდა. აქ მას მრავალი თანამოაზრე დახვდა: პოეტები ვასილ კამენსკი, იგორ ტერენტიევი და ალექსი კრუჩენინი. მათ შეუერთდნენ კარადარვიში და ნიკოლოზ (კოლაუ) ჩერნი-

ავსკი, აგრეთვე მხატვრები: ილია ძმა კირილე და სიგიზმუნდ (ზიგა) ვალიშევსკი. შეიქმნა ე. წ. უკიდურესმახმარცხენე ფუტურისტების ჯგუფი, რომლის სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსი იყო ილია ზდანევიჩი.

მომდევნო, 1918 წელს აღნიშნულმა ჯგუფმა მიიღო სახელწოდება — „ფუტურისტთა სინდიკატი“ და კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მოღვაწეობა. მისი წევრები ახალ ხელოვნებაზე მრავალრიცხოვან საჯარო გამოსვლებსა და დისპუტებს აწყობდნენ, კითხულობდნენ ლექციებსა და ფუტურისტულ ლექსებს. ერთ წელიწადში „ფუტურისტთა სინდიკატი“ დაიშალა, მაგრამ მალე ი. ზდანევიჩმა შექმნა ახალი გაერთიანება — „41“; რომლის შესახებაც დასაწყისში გვქონდა საუბარი. გარდა იმისა, რომ იგი ამავე სახელწოდების გაზეთს უშვებდა, ფართო საგამომცემლო საქმიანობასაც ეწეოდა, ბეჭდავდა ლექსების წიგნებს, თვით კრებულებს „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ მანვე გამოსცა. მას შემდეგ რაც ი. ზდანევიჩი საზღვარგარეთ წავიდა და სხვა წევრებიც მიმოიფანტნენ, ფუტურისტთა ამ ჯგუფმაც არსებობა შეწყვიტა. ილია ზდანევიჩი პარიზში ყოფნისას, სადაც სიკვდილამდე დარჩა, განაგრძობდა თავისი ავანგარდისტული იდეების ქადაგებას, რის შესახებაც საინტერესო ცნობებს შეიცავს პარიზში 1978 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული ქართული ავტორის ოლღა ჯორჯაძის წიგნი „ილია ზდანევიჩი და რუსული ფუტურისმი“. ი. ზდანევიჩი საფრანგეთში ილიაზდის ფსევდონიმით საგამომცემლო საქმიანობასაც მისდევდა და აღსანიშნავია, რომ მის მიერ დაბეჭდილი წიგნების მხატვრული გაფორმება ძირითადად პიკასოს ეკუთვნის. ქართული კულტურისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ილია ზდანევიჩის მიერ პარიზში გამოცემულ წიგნს ნიკო ფიროსმანიშვილზე, რომლის ტექსტი მას ჟერ კიდევ 1914 წელს ჰქონდა დაწერილი თბილისში და რაც ფრიალ სა-

გულისხმობა, ამ წიგნს ამშვენებს პიკასოს მიერ შესრულებული ქართველი მხატვრის პორტრეტი. საერთოდ კი საყოველთაოდ ცნობილია ის როლი, რაც ძმებს კირილე და ილია ზდანევიჩებს მიუძღვით ნიკო ფიროსმანაშვილის ნიჭის აღიარებაში.

კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ დაბეჭდილია ილია ზდანევიჩის დრამატული პოემა „ვირი გაქრავებით“, რომელიც დასურათებულია ცნობილი მხატვრის ნატალია გონჩაროვას მიერ. ჩვენ არ ვაპირებთ ამ ფუტურისტული ნაწარმოების ანალიზს, ვიტყვი მხოლოდ, რომ ილია ზდანევიჩი ცდილობს რუსული ენის ორთოგრაფიის „გასწორებას“ ქართული რეცეპტით, რაც მდგომარეობს იქითკენ მისწრაფებაში, რომ დაიწეროს ისე, როგორც წარმოითქმება.

ძმებ ზდანევიჩებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ „ცისფერყანწელებთან“, განსაკუთრებით კი მათ ლიდერებთან ტიციან ტაბიტესა და პაოლო იაშვილთან. ცოტა მოგვიანებით კირილე დაუახლოვდა პოეტ სიმონ ჩიქოვანს, რომელიც ხშირად დადიოდა ზდანევიჩების ოჯახში. როგორც კირილე ზდანევიჩი ერთ თავის წერილში ამბობს (Кирилл Зданевич, «Симон Чиковани». Альманах „Дом под чинарами“, Тб. 1979), სიმონს ყველაფერი აინტერესებდა მათთან, გულმოდგინედ ათვალისწინებდა ხოლმე კვლევებზე გამოფენილ ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრებს, თვით კირილეს „რეალურ“ და ფუტურისტულ ნახატებს, კითხულობდა ილია ზდანევიჩის „ზაუმურ“ ნაწარმოებებს, ხოლო ყველაგანმყოფი ნიკოლოზ ჩერნიავსკი კი მას თვალწინ უშლიდა ახალ პოეტურ სამყაროს. აღრეულ პერიოდში სიმონ ჩიქოვანის მხრივ ფუტურისტებისადმი ერთგვარ ხარკის მოხდაში, აღბათ, ამ საყურადღებო ფაქტსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა.

თბილისის 1917—1919 წლების ლიტერატურული ცხოვრების მატრიანეში

„ფანტასტიური დუქანი“ — დაარსებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა. შემთხვევითი ანუ შემთხვევითი კრებულის „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ უკლებლივ ყველა ავტორი მისი მუდმივი სტუმარი იყო (თვით წიგნის სატიტულო ფურცელზეც კი მოხსენიებულია „ფანტასტიური დუქანი“). მოუხსინოთ კვლავ გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრას“:

„ტფილისი შეიქნა ფანტასტიური. ფანტასტიურ ქალაქს ფანტასტიური კუთხეც ეკირვებოდა — და ერთ დღეს იმავე პოეტებმა და მხატვრებმა რუსთაველის პროსპექტზე, № 12, შეგნით ეზოში გახსნეს «Фантастический каначек» პატარა ოთახი, საცა შეიძლება 10-15 კაცი დატეულიყო, მაგრამ რაღაც განგებით 50-მდე ეტეოდა“.

მაგრამ სანამ თბილისის „ფანტასტიური დუქანზე“ დავიწყებდეთ საუბარს, პეტერბურგის ბოქმის ცნობილი საკრებულო, ლიტერატურულ-არტისტული სარდაფი „ბროდიაჩაია სობაკა“ (1911-1915 წწ.) უნდა გავიხსენოთ. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამ უკანასკნელს თითქოს ქართულ კულტურასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს რა, მაგრამ ზოგიერთი მასალა ფარდას ხდის ისეთ საინტერესო დეტალებს, რომ მათი გათვალისწინება ნამდვილად საჭიროა რეალური სურათის დასადგენად. პირველყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: „ფანტასტიური დუქანი“ ჩაფიქრებული იყო, როგორც „ბროდიაჩაია სობაკის“ ანალოგი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „ბროდიაჩაია სობაკის“ ერთგვარ მეცენატებად და ორგანიზატორებად გვევლინებიან ქართველები ა. კ. შერვაშიძე და გ. დ. სიღამონ-ერისთავი, რაც ცხადი ხდება ერთი საგაზეთო ანგარიშიდან („რეჩი“, 1913, № 114). აღსანიშნავია, რომ აქ 1913 წლის 26 აპრილს გამართულ საღამოზე ბარონესა ფონ კლეისტს, იგივე ნინო ციციშვილს (1881-1967) შეუხსრულებია ქართული ცეკვები.

„ბროლიაჩაია სობაკაში“ საინტერესო საღამო მოეწყო აგრეთვე 1914 წლის 22 აპრილს, სადაც ნ. დ. კულბინმა წაიკითხა ლექცია თემაზე „კავკასიის ხელოვნების შესახებ“, ხოლო ნ. პ. ფონ კლეისტს (ციციშვილს) დამსწრენი კვლავ მოუხიბლია აღმოსავლური ცეკვებით. ხოლო 24 აპრილს მეორე საღამო გამართულა მათივე მონაწილეობით, და ეს ეთნოლოგიური ღონისძიებები როდი ყოფილა. ამავე პერიოდში აქ ჩატარდა „კავკასიის კვირეული“ და აღმოსავლური ხელოვნების გამოფენაც კი მოეწყო. ამ საქმეს ქართველებთან ერთად შემოხსენებული ნ. ი. კულბინიც ედგა სათავეში, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და კარგად იცნობდა კავკასიის კულტურას.

ახლა უნდა შევეხოთ იმ პირებს, რომლებიც „ბროლიაჩაია სობაკაში“ მონაწილეობდნენ და მისი ტრადიციები თბილისში გადმოიტანეს. ერთ-ერთი მათგანი ჩვენთვის კარგად ცნობილი ილია ზდანევიჩია, რომელიც აქ ლექციებს კითხულობდა და მონაწილეობდა სხვა მოღვაწეთა მიერ წაკითხული მოხსენებების გამო გამართულ კამათში. ლიტერატურულ-არტისტული ბოჰემის ამ საკრებულოს ასევე მუდმივი სტუმარი იყო ცნობილი პოეტი-აკემისტი ს. მ. გოროდეცკიც. იგი აქ მოთავეობდა სხვადასხვა ღონისძიებებს, 1916 წლის შემდეგ 1919 წლის დასასრულამდე თბილისში ცხოვრობდა, თანამშრომლობდა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, რედაქტორობდა მთელ რიგ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებს.

„ფანტასტური დუქნის“ ჩამოყალიბების უშუალო ინიციატორები იყვნენ მწერალი და კრიტიკოსი ი. ე. დეგენი (1896-1924), აგრეთვე თბილისის მცხოვრები, პოეტი და კომპოზიტორი ა. ა. კორონა (სანდრო). „ფანტასტური დუქნის“ საღამოების ერთ-ერთი მუდმივი დამსწრე ტატიანა ვეჩორკაც თავის დროზე ხშირად იყო ნამყოფი „ბროლიაჩაია სობაკაში“. როდესაც იგი პე-

ტერბურგში ცხოვრობდა. როგორც დავინახეთ, „ფანტასტური დუქნის“ მწვეურები თუ რიგითი მონაწილეები „ბროლიაჩაია სობაკას“ მუდმივი სტუმარებიც ყოფილან და ამიტომ გასაგებია იქაური ტრადიციების თბილისში დამკვიდრების ტენდენციების წყაროები.

„ფანტასტური დუქანი“ 1917 წლის 25 ნოემბერს გაიხსნა და 1919 წლის მეორე ნახევრამდე არსებობდა. მეტად შთამბეჭდავი იყო მისი მხატვრული გაფორმება. კედლების მოხატულობა ეკუთვნოდათ მხატვრებს: ლადო გუდიაშვილს, სერგეის (ს. სკრიბიციანს), იაკობ ნიკოლაძეს, სიგიზმუნდ ვალიშევსკის, ალექსანდრე პეტრაკოვსკის, იური დეგენისა და სხვებს. ნინო ტაბიძე თავის მოგონებებში წერს, რომ „ფანტასტურ დუქანში“ სჯამებს ვერ ნახავდით, მხოლოდ ტაბურეტები და ერთი ჭილოფგადაფარებული მაგიდა იდგაო. აქ თავდაპირველად წამყვან როლს ფუტურისტები ასრულებდნენ, რომლებმაც 1918 წლის თებერვლიდან მოაწყვეს „ფუტურისტული უნივერსიტეტი“, კითხულობდნენ ლექციების ციკლს. იმართებოდა მწვავე კამათი. „ცისფერყანწელები“, განსაკუთრებით კი ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი აქ სისტემატურად დადიოდნენ, მონაწილეობას იღებდნენ ცხარე დისკუსიებში. „ფანტასტური დუქნისადმი“ მიძღვნილ ნინო ვასილიევას ლექსში ნათქვამია:

«Когда ж кончались цеха сроки.
В наш «Фантастический кабачок»
Являлись «Голубые роги»,
Толкались шумно на пороге,
Бросая символов-намок».

Блестяще красочный Паоло
Пел про лягушку и абсент,
Табидзе, взгляд склонивши долу,
Отставив французов школу,
Пленительный явив акцент».

როგორც ჩანს, „ფანტასტურ დუქანში“ ხშირად იმყოფებოდა ხოლმე გრიგოლ რობაქიძეც, რომელსაც, თანა-

მედროვეთა დამოწმებით, ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და იმდენად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ყველაზე, რომ მას მოწიწებით „მეტრს“ უწოდებდნენ. ნინო ვასილიევა იმავე ლექსში მის შესახებ ამბობს:

«И Робакидзе страстный пафос
Нам души потрясал не раз,
Когда тревожил древний хаос
Или доказывал нам право
С покоем сочетать экстаз».

„ფანტასტური ლექსისადმი“ მიძღვნილ სანდრო ყანჩელის რუსულ ლექსშიც სხვებთან ერთად მოხსენებული არიან ამ საკრებულოს ქართველი წევრებიც — ტიციან ტაბიძე და იაკობ ნიკოლაძე. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ პაოლო იაშვილის ასევე რუსულ ენაზე დაწერილ ლექსზე, რომელშიც ხაზგასმულია პეტერბურგის „ბროდიაჩია სობაკასა“ და თბილისის „ფანტასტურ ლექსანს“ შორის გენეტიკური კავშირი (გამოქვეყნებულია წიგნში „ავანგარდიზმი თბილისში“, გენეცია, 1982, გვ. 321). ვაქვეყნებთ მას მთლიანად, რადგანაც პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესასწავლად მას გარკვეული ინტერესი გააჩნია:

«Бродячих и худых собак
Пригнали с северной столицы,
И в фантастический кабак
Кузьмин желает вновь вселиться».

И в виде нежного залога
Из Петербурга мчится Miss
Как жуткий возглас, радость Блока
В наш фантастический Тифлис».

В тоннеле пестром мы согреты,
И не виновен в том коньяк,
А лишь улыбочка Пьеретти
И Арлекина пестрый фрак».

И ко всему мы слишком чутки
И далеки от сборищ гула.
Да, справил честно праздник жуткий
Маэстро Жоржик Евангулов».

И мы в гостях, что вечно строги,
Но мы в стихах, и мы не пемы.
И голубые наши роги
В честь фантастической богемы».

ლექსში მოხსენიებული მ. ა. კუზმინი (1872-1936) ცნობილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და კომპოზიტორი „ბროდიაჩია სობაკაში“ გამართული საღამოების აქტიური მონაწილე იყო და მას ი. დეგენი, „ფანტასტური ლექსის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, თავის მასწავლებლად აღიარებდა. პაოლო იაშვილი ამით ხაზს უსვამს ლიტერატორთა ამ ორი საკრებულოს ანალოგიურობას, რაც შეეხება „Miss“-ს, პოეტს მხედველობაში ჰყავს მხატვარი ქალი ა. ვ. რემიზოვა, ხოლო ქორჟიკ (ვიორჯი) ევანგულოვი თბილისელი პოეტი და პროზაიკოსი იყო, რომელიც შემდგომ ემიგრაციაში იმყოფებოდა პარიზში. იმ ფაქტზე, რომ პაოლო იაშვილი რუსულადაც წერდა ლექსებს, მიუთითებს ერთი ადგილიც ნინო ტაბიძის მოგონებებიდან:

„ფანტასტურ ლექსში“ გამართული ერთ-ერთი საღამო ხლებნიკოვის შემოქმედებას მიეძღვნა. გამოვიდა პაოლო იაშვილი და წაიკითხა თავისი ლექსი, ხალხს კი განუცხადა, ეს ხლებნიკოვის გამოუქვეყნებელი ლექსიაო. დიდი წარმატება ხვდა წილად. ტაში არ ცხრებოდა. ჩვენ კი სიცილით ვიხიცებოდით“.

ტიციან ტაბიძე აღნიშნავს, რომ „პაოლო იაშვილი შთამბავებლად კითხულობდა ვლ. მაიაკოვსკის ნაწარმოებებს. ხშირად თვითონაც წერდა ლექსებს რუსულ ენაზე... ერთ-ერთი ასეთი ლექსი ვილსონის შესახებ დაიბეჭდა თბილისში „კრეტინიერსკის“ ფსევდონიმით“ (თხზ., ტ. 2, გვ. 235).

როგორც ა. კრუჩენიხი სამართლიანად მიუთითებდა, საუკეთესო ქართველ პოეტთა ჯგუფზე „ცისფერყანწელთა“ სახით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა „ფანტასტური ლექსის“ საქმიანობამ. ამას, სხვათაშორის, თვით ტიციან ტაბიძეც აღასტურებს ყურნალ „კუ-

რანტში“ (1919, № 2) გამოქვეყნებულ სტატიაში „ცისფერი ყანწები“. საგულისხმოა, რომ „ფანტასტურ დუქანში“ მოწყობილ საღამოებზე „ცისფერყანწელებთან“ ერთად ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ხოლმე (ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსანდრე მაყაშვილი და სხვ.). მათივე მონაწილეობით 1918 წლის 25 ნოემბერს ფართოდ აღინიშნა ამ საკრებულოს დაარსების წლისთავი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ გამოქვეყნებულია სამი ქართველი პოეტის ლექსები, რომლებიც დასურათებულია მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ. პირველი ლექსი „სპლინი“ ეკუთვნის გრიგოლ რობაქიძეს. ეს ნაწარმოები პესიმისტური განწყობილების შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ყურადღებას იქცევს აგრეთვე სასვენი ნიშნების ორიგინალური გამოყენებით. ლექსში პოეტი მხოლოდ წერტილსა და ორწერტილს ხმარობს:

„ისევ და ისევ: მლაშე სპლინი: ხველება:
სურდო.
სიცოცხლე ნავსი: უსახურა: მრუდე:
ბანალი.
კვიატ ღამეში მაჯლაჯუნა ჭინკების ურდო.
ისევ და ისევ: მლაშე სპლინი: ხველება:
სურდო.
ყოველ სარკეში აბურძგნული რუხი
აბსურდი:
ვით კვდარის ტანზე წამოზრდილი ავი
ბალანი.
ისევ და ისევ: მლაშე სპლინი: ხველება:
სურდო.
სიცოცხლე ნავსი: უსახურა: მრუდე:
ბანალი“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გრიგოლ რობაქიძის ეს ლექსი ტრიოლეტია, შედგება რვა სტრიქონისაგან, სადაც პირველი სტრიქონი მეორდება მეოთხე და მეშვიდე სტრიქონებში, ხოლო მეორე სტრიქონი — მერვეში, ასევე დაცულია კლასიკური ტრიოლეტისათვის დამახასიათებელი რითმები.

კრებულში დაბეჭდილი მეორე ლექ-

სი ტიცინ ტაბიძის სონეტია, რომელსაც ორმაგი სათაური აქვს: „ეფემერი მასკარადი“ (ეს, ალბათ, ცხელი მასკარადი ხელწოდება) და „ფატმანი“ ტიცინ ტაბიძის სამტომეულში (ტომი, I, 1966) ამ ლექსის სათაურია „ფატმან ხათუნი“ და მისი დაწერის თარიღად მითითებულია „იანვარი, მოსკოვი, 1917“. მაშინ როდესაც კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ ლექსს ასეთი მინაწერი ახლავს: „მოსკოვი, 916 წ“. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი თარიღი უფრო სარწმუნო უნდა იყოს, რადგანაც კრებული 1919 წელსაა გამოცემული, ე. ი. ლექსის დაწერიდან სამიოდე წლის შემდეგ და საეჭვოა, რომ ავტორს თარიღი შეშლიდა.

გვერდს ვერ ავუვლით ორ ვარიანტულ განსხვავებასაც. პირველი შედარებით უმნიშვნელოა: კრებულში გამოქვეყნებული ტექსტის პირველ ტერცეტში წერია სიტყვები: „ის სულს მინდობს“, ხოლო სამტომეულის პირველ ტომში ეს ადგილი ასე იკითხება: „სულსაც მიინდობს“. ხოლო რაც შეეხება მეორე ვარიანტულ ცვლილებას, იგი მეორე ტერცეტს შეეხება და იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ ვთვლით მთლიანად მოვიყვანოთ განსხვავებული ადგილები.

კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ (გვ. 127)
„ფატმან, ოცნებით ცხოვრობს სული შენ
ცხელ საბანში:
ყვითელი თაგვი მომწყვდელი რკინის
ხაფანგში,
მეც გზას მინათებს მართო ერთი ენების
წადილი“

ტ. ტაბიძის თხზულებათა სამტომეულში
(ტ. I, გვ. 180)
„ფატმან ოცნებით ცხოვრობს სული შენს
ცხელ საბანში,
ის შენი ტყვეა, როგორც თაგვი სინის
ხაფანგში,
და თრთის ჭედანი, აქ ძერასთან
ომგადახდილი“.

კრებულში დაბეჭდილი მესამე ლექსი პაოლო იაშვილს ეკუთვნის, მისი

სათაურია „ასო ლასი როიალზე“ პოეტის 1955 წელს გამოცემულ წიგნში მას სათაურად აქვს — „ასო ლასი“ (მეტად პროზაულად გვეჩვენება პირველი უფრო პოეტურია). საერთოდ ლექსი ალიტერაციულია და პატრონაჟი შეილი ერთგვარად ეხმაურება სიმბოლისტების ცდებს ამ მიმართულებით. ვაკინსენოთ თუნდაც კ. ბალმონტის ალიტერაციული ლექსი ასევე ასო ლასზე: «С лодки скользнуло весло, ласково млеет прохлада...». შენიშვნებში მითითებული გვაქვს ვარიანტული სახეცვლილებანი, რომლებიც ამ ორი ტექსტისათვის არის დამახასიათებელი:

„ლეილას თვლები ელავენ ბნელიდან, დედოფალს ახლავენ მხევლები“
 მკველბად,
 ყვავილიც მწველია ლეილას ხელიდან, ხელიდან, დაილაღნი დაშლილან მღელვარე¹
 კველბად.

„აუღო მთვრალია მკველი სურნელებით დედოფლის აღერსი მწველია, მხელია ლეილა ლაცულობს დადალულ² ხელებით, ქალები გალობით აღიონს ელიან“.

როდესაც „ციხფერყანწილებისა“ და თბილისელი რუსი პოეტების ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ამ პერიოდის რუსულ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებში, რომლებიც თბილისში გამოდიოდნენ („კურანტი“, „ფენიქსი“ და სხვ.) შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არ იბეჭდებოდა ქართველი პოეტების ლექსები და სტატიები, არამედ ისინი ოფიციალურადაც ითვლებოდნენ მათ თანამშრომლებად, რაც ჟურნალების კოველი ნომერშია მითითებული (ტ. ტაბიძე; პ. იაშვილი, ვ. ვაფრინდაშვილი და სხვ.).

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ამ ჟურნალების თანამშრომლებად საერთოდ აღიარებულია კრებულის — „სოფიო გიორგის ასტრონიკოვას“ ავტორთა დიდი უმრავლესობა. ეს ფაქტი კი ერთხელ კიდევ მითითებს სხვადასხვა ლიტერატურული წყუფების ურთიერთთანამშრომლობაზე.

ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორი ნიკოლოზ (კოლაუ) ჩერნიავესკი (1892-1942) თბილისური ავანგარდიზმის წარმომადგენელი, უბარგსად კოლორიტულ პიროვნებას წარმოადგენდა. მთელი მისი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ კულტურასთან, წრფელი გულით უყვარდა საქართველო, უანგაროდ მეგობრობდა თბილისელ პოეტებსა და მხატვრებს. სხვათაშორის, თავისი მეორე სახელი მან ქართველი პოეტის კოლაუ ნადირაძისაგან ისესხა, ხოლო მახლობლები კი მას შერეულ ქართულ-რუსულ სახელს — ნიკოლაუს უწოდებდნენ. კრებულში მას გამოქვეყნებული აქვს პოეტური ტექსტი, რომელიც სხვადასხვა ზომების შრიფტებით არის შედგენილი და სამი სხვადასხვა ლექსის ამოკითხვა შეიძლება. მათი გაშიფვრა საკმაოდ თავსატეხი რებუსია, რომლის გასაღებსაც კ. პაუსტოვსკი თავის მოგონებებში გვთავაზობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კოლაუ ჩერნიავესკის დამოკიდებულება ნიკოფიროსმანაშვილისადმი. იგი გენიალური ქართველი მხატვრის ხელოვნების არა მარტო დიდი მოყვარული და დამფასებელი, არამედ რაინდულად თავყვანისმცემელიც იყო. პოეტის თანამედროვეთა თქმით, მას თავისი ცხოვრება ვერ წარმოედგინა ნიკოს სურათების გარეშე, კვალიფიციურად აანალიზებდა მათ, დაუღალავად ლაპარაკობდა მხატვრის შემოქმედების უნიკალობაზე. დღედაღამ დაეხეტებოდა ქალაქში მისი ნამუშევრების საძებნელად. გარდა ამისა, იგი წლების განმავლობაში ადგენდა ფიროსმანის ნახატების კატალოგს.

1 პაოლო იაშვილის 1955 წელს გამოცემულ წიგნში: მხეველნი (გვ. 104).
 2 ელვარე (დასახ. წიგნი).
 3 მწველია (დასახ. წიგნი).
 4 გრძელია (დასახ. წიგნი).
 5 დადალურ (დასახ. წიგნი).

წერდა მასზე სტატიებს. როდესაც 1926 წელს ტიციან ტაბიძემ და მისმა მეგობრებმა ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ მონოგრაფია გამოუშვეს, რომელიც მხატვრის მრავალ რეპროდუქციასაც შეიცავდა. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე დაბეჭდილი ტექსტის ავტორად ტიციან ტაბიძეს და კირილე ზდანევიჩთან ერთად კოლაუ ჩერნიავესკიც იყო.

ფრიად საყურადღებოა ერთი დამახასიათებელი ეპიზოდიც, რომელიც აღწერილი აქვს კირილე ზდანევიჩს ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილ წიგნში, როდესაც თბილისის მახლობლად ვეფხვი მოუკლავთ. ცნობისმოყვარე კოლაუ ჩერნიავესკიც უმაღლეს ვაჭრეწილად და თურმე წამდაუწყუმ გაიძახოდა: „რა თემაა ნიკოსათვის! რა სიუჟეტია ფიროსმანისათვის!“ კირილე ზდანევიჩი ამავე წიგნში მიუთითებს, თუ როგორ გულმოდგინეობას იჩენდა კოლაუ ჩერნიავესკი ფიროსმანის ნახატების მოძიებაში, ვინმე ბოიძეს, რომელსაც მხატვრის რამდენიმე ნამუშევარი ჰქონდა. ერთ დღეს თავისი დუქანი დაუკეტია და გაშქრალა. სურათები ჯდავარგულად ითვლებოდა, მაგრამ კოლაუ ჩერნიავესკიმ ისინი კვლავ იპოვა 1920 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კოლაუ ჩერნიავესკი ლიტერატურულ, ძირითადად მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა: რუსულად თარგმნა დემნა შენგელაიას რომანი „სანავარდო“, ნიკოლოზ მიწიშვილის „ეპოპეა“, რაქდენ გეტაძის ნოველები. ტიციან ტაბიძის ლექსები. ამ უკანასკნელს იმდენად მოწონდა კოლაუ ჩერნიავესკის მიერ თარგმნილი მისი „როალდ ამუნდსენი“, რომ რუსულ ენაზე 1935 წელს გამოცემული თავისი წიგნი ასეთი წარწერით მიუძღვნა: „ძვირფას ძმას, მეგობარს, პოეტსა და ჩემი „ამუნდსენის“ ავტორს კოლაუ ჩერნიავესკის. 2.IX. 1935“. საერთოდ ტ. ტაბიძე დიდად აფასებდა და თანაუგრძნობდა მას. რაც

ცხადი ხდება აგრეთვე ქართველი პოეტის ერთი ჩანაწერიდან:

„...ნიკოლოზ ანდრიას ძე ჩერნიავესკიმ შეაგროვა მრავალი ქართული ხელნაწერი და სიმღერა, რომლითაც საბჭოთაობადა ა. რემიზოვი, რათა შეეკმნა ქართული ეპოსის შესანიშნავი წიგნი. ნიკოლოზ ანდრიას ძე ჩერნიავესკი ჩემთვის სლავი ომარ-ხაიამია, მიყვარს მისი ოთხტეპიანი ლექსები — რუსული რუბაები და მისი უნაზესი ლირიკა, ნ. ა. ჩერნიავესკის იოანე ბატონიშვილს ვამგვანებ, ყოველთვის წარმომიდგება ი. ზდანევიჩთან ერთად როგორც 41 გრადუსის მემარცხენე პოეზიის ენციკლოპედია. ეს დედაქალაქია, სადაც ყველა ჩვენგანს გზა დაებნა. ტიციან ტაბიძე, 2.X.1935 წ. თბილისი“. კოლაუ ჩერნიავესკის დიდ ინტერესს ქართული ფოლკლორისადმი ადასტურებს გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩის“ კორესპონდენციაც — „400 ლეგენდა, ანდაზა და სიმღერა“ (1936 წლის 2 თებერვლის ნომერი). საინტერესოა, ჩვენი ფოლკლორისტებისათვის თუ არის ცნობილი ეს ფაქტი? იქნებ ლირდეს მისი მოძებნა არქივებში?

ამ ორი ადამიანის სიახლოვეზე მიუთითებს ერთი ფაქტიც. იმ ავბედით 1937 წელს, როდესაც ტიციან ტაბიძის თავზე შავი ღრუბლები იკრებებოდნენ, მან კოლაუ ჩერნიავესკის უსახსოვრა ი. პუშჩინის წიგნი „ჩანაწერები პუშკინზე“ ასეთი წარწერით: „ჩემს პირველ და უძვირფასეს მეგობარს სლავ ომარ-ხაიამს — შესანიშნავი ოთხტეპიანი ლექსების ავტორს ნიკოლოზ ანდრიას ძე ჩერნიავესკის. ტიციან ტაბიძე, თბილისი. 1937 წ. 21 აპრილი“.

კოლაუ ჩერნიავესკი ჩინებულად ფლობდა ფრანგულს და ამ ენიდან რუსულად მრავალი ნაწარმოები აქვს თარგმნილი, მათ შორის არტურ რემბოს, ეან რამოს ლექსები, აგრეთვე ექვნ პოტიეს „ინტერნაციონალი“.

შემთხვევითი არ იყო, რომ კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ იხსნება ორი მანდილოსნის — ნინო

ვასილიევასა და ტატიანა ვეჩორკას ლექსებით, და ეს ვითარება ამ წიგნის მამაკაცი ავტორების მხოლოდ ჯენტლმენობით როდი აიხსნება. ორივენი იმდროინდელ ლიტერატურულ წრეებში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

ნინო ნიკოლოზის ასულ ვასილიევას (1889-1979) დედა ქართველი ჰყავდა — მელანია ალექსანდრეს ასული ბეზიგრა-ნიშვილი. კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ მოთავსებული მისი პოეტური ნაწარმოებები არ გამოირჩევიან მაღალი მხატვრული ღირსებებით. თემატიკა ერთგვარ კამერულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთ ლექსში იგი უმღერის მტერიან კულისებს, მსახიობი ქალის გრაციოზულობას, მეორეში — ოსკარ უალდის პიესის „სალომეს“ მთავარი გმირის შემსრულებელს, ტიტანურ ვნებათაღელვას, როდესაც სიყვარულსა და სიკვდილს შორის ერთი ნაბიჯია. ხოლო ბოლო ორი ლექსი ისევეერიანინის გავლენით არის დაწერილი.

თბილისის ლიტერატურულ წრეებთან ასევე ახლოს იდგა ტატიანა ვლადიმერის ასული ვეჩორკაც (1892-1965). ვეჩორკა — ფსევდონიმია. მისი ნამდვილი გვარი ეფიმოვა იყო (ქმრის გვარი — ტოლსტოი). დაიბადა ბაქოში. 900-იანი წლების დასაწყისში ეფიმოვების ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

ტატიანას განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ტიციანთან და ბაოლოსთან მთელი ცხოვრების მანძილზე. მან რუსულად თარგმნა ტ. ტაბიძის ცნობილი ლექსი „ავტობორტრეტი“ და პ. იაშვილის „წითელი ხარები“ (ლექსის ქართული დედანი დაკარგულად ითვლება). როგორც ტატიანა ვეჩორკას ქალიშვილი ლიდა ლებედინსკაია ერთ თავის პირად წერილში მწერს, ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი ისე ახლოს იყვნენ ტატიანას ოჯახთან, რომ როდესაც ისინი მოსკოვში იმყოფებოდნენ ხოლმე, ყოველთვის მოინახულებდნენ მას.

საინტერესოა ამ პირადი წერილის ერთი ადგილიც:

„1936 წელს ჩვენ ზაფხულს დედანთან ერთად თბილისში ვაგავდით და ციციანის სახლში ვიყავით. იგი ი. ნ. მარის არქივს აწესრიგებდა. ეს უკანასკნელი პოეტიც იყო და მრავალი ლექსი დარჩა. მისმა ქვრივმა დედაჩემს თხოვა არქივის გარჩევაში დახმარებოდა. ს. მ. მარი ცხოვრობდა ენგელსის ქუჩაზე მწერალთა კავშირის სიახლოვეს და ტიციან ტაბიძე და ბაოლო იაშვილი ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან, დაყავდით დედასთან ერთად მცხეთაში, ანანურში, აგრეთვე გვათვალისწინებდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ქალაქისა, რომელიც ამის შემდეგ წრფელი გულით შევიყვარე და დღესაც ვთვლი, რომ იგი ყველაზე ულამაზესი ქალაქია დედამიწაზე, თუმცა ქვეყნად ბევრი მიმოგზაურია ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. როდესაც დედა ი. ნ. მარის არქივზე მუშაობა დაამთავრა, მან მოზრდილი მოხსენება წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირში, რის შემდეგაც ს. მ. მარის ბინაზე მივედი, სადაც სუფრა იყო გაშლილი და თითქმის მთელი ღამე მოვიღბინეთ. ეს იყო დედაჩემის უკანასკნელი შეხვედრა საქართველოს დიდ პოეტებთან. მალე ორივეს აღსასრული დადგა და აქამდე მახსოვს მძიმე სურათი — როდესაც ბიცოლასაგან გამოგზავნილი წერილი მიიღო ბაოლო იაშვილის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ, დედაჩემმა, საერთოდ თავშეკავებულმა ადამიანმა, საშინელი ხმით შეჰყვირა და ისტერიული ტირილი მორთო“.

ეფიმოვების ოჯახი ასევე დაახლოებული იყო ლადო გუდიაშვილთანაც, ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან. ლიდა ლებედინსკაია მწერს, რომ მათთან დღესაც იხსება ლადო გუდიაშვილის ორი ფერწერული ნამუშევარი, რომლებიც მხატვარმა ტატიანა ვეჩორკას 1918 წელს აჩუქა.

ტატიანა ვეჩორკას ლექსების კრებული „აფიშების ცთუნება“ 1920 წელს

დობეჭდა. ამ წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა გამოქვეყნებულია კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“. მათში მსახიობი ქალის აპოლოგიაა გადმოცემული სალონურ-გალანტური შეფერილობით.

როდესაც ამ კრებულის სხვა ავტორებზე ვსაუბრობთ, პირველყოფლისა, უნდა დავასახელოთ ალექსი კრუჩენი-ნი, იგორ ტერენტიევი და კარა-დარვი-ში. სამივენი ფუტურისტები იყვნენ და ილია ზდანევიჩთან და კოლაუ ჩერნიავ-სკისთან ერთად მნიშვნელოვანი წვლი-ლი შეიტანეს თბილისის ავანგარდის-ტულ მოძრაობაში. ამ სამეულში გან-საკუთრებით გამოირჩევა ალექსი ვლი-სეს ძე კრუჩენიხი (1888-1968), რომლის შემოქმედება მრავალ ავტორს აქვს გარჩეული.

კრებულში კი „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ ა. კრუჩენიხის მო-თავსებული აქვს ფუტურისტული ლექ-სების ციკლი საერთო სათაურით „მუზ-კა“ (ალბათ, — მუსიკა). ა. კრუჩენიხის პოეზიაშიც იგრძნობა ქართული გარე-მოს გავლენა როგორც თემატიკური თვალსაზრისით, ისე ქართული გამოთქ-მების გამოყენებითაც („თბილისელი მზარეულის სიყვარული“, „ზუგდიდი“ და სხვ.).

იგორ გერასიმეს ძე ტერენტიევმაც (1892-1941) ღრმა კვალი დატოვა თბი-ლისელ ფუტურისტთა ჯგუფის „41“-ის საქმიანობაში. იგი ერთდროულად იყო პოეტიც, კრიტიკოსიც, „ზაუბური“ პო-ეზიის თეორეტიკოსიც და მხატვარიც, თეატრთანაც ჰქონდა მჭიდრო კავში-რი, რაც მისი ნიჭის უნივერსალობაზე მეტყველებს. მისი სახელი თბილისის პრესაში 1918 წლიდან გამოჩნდა, რო-დესაც მონაწილეობა მიიღო როგორც მხატვარმა მოსკოველ ფუტურისტთა გამოფენაში, სადაც მისი ნამუშევრებ-იც იყო გამოფენილი. შემდგომ იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით ახა-ლი ხელოვნების საკითხებზე „ფანტას-ტურ დუქანში“, კითხულობდა საკუთარ ლექსებსაც. თბილისში მას მრავალი წიგნი აქვს გამოცემული („კრუჩენი-

ხი— გრანდიოზარი“, „ფაქტი“ და სხვ.), ასევე თანამშრომლობდა ფუტურისტთა გაზეთში „41“-ს, სადაც გამოქვეყნებუ-ლი აქვს ლექსები და წერტილები!

კრუჩენიხთან შედარებით ი. ტერენ-ტიევის შემოქმედებაში ქართული სი-ნამდვილის გავლენა უფრო მეტად შე-ინიშნება. ჯერ კიდევ თავის ადრინდელ გახმაურებულ ლექსში „ჩემი დამარხვა“, მას ერთ-ერთი რუსული ნეოლოგიზმი გამოჰყავს ქართული სიტყვიდან — „შუშა“. ნეოლოგიზმები ქართულ სა-ფუძველზე შეიმჩნევა მის ლექსშიც „ნაცრისფერი ციკანი“. ხოლო ზოგჯერ კი პოეტი თავის ნაწარმოებებში უშუ-ალოდ ქართულ სიტყვებს ხმარობს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „დიდებულია“, რომელიც 1921 წლის ნოემბერშია დაწერილი და მისი ქარ-თული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „ბა-რიკადში“ (1922, № 5). მოგვყავს ტექ-სტი მთლიანად:

«ДИДЕБУЛИА»

Горы,
Жара,
Тихий Тифлис
Куры курикулуш
Дидебуля.
По улицам проходит Робакидзе
Холодный как напареули
Строгий орган Грузии.
Вкушает паюсную кровь поэзии
Трепещет Тицян Табидзе.
Так заплетается огонь.
И вот Чичико Гафриндашвили
Медведь — воспитанный Верленом
Соединяет нас междусобная любовь
И праздник.
Восшествие Паоло на престол
грузинского стола.

Слава стране
Где ходит Кара-Дарвиш
Похожий на Екатерину вторую
Где я живу и ворую».

კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ გამოქვეყნებულია ი. ტე-რენტიევის ათი ლექსი („დაუსწრებე-ლი სადღეგრძელო“, რომელიც მიძღე-ნილია ს. გ. მელნიკოვასადმი, „პუტე-იანსტოვ“, „მდივანს“ და სხვ.) და მისი სამი მოდერნისტულ სტილში შესრუ-ლებული ნაბატი.

თბილისელ ავანგარდისტთა პლეადაში მეტად ორიგინალური შემოქმედი იყო კარა-დარვიში (აქედ მიწასის ძე გენჯიანი) — სომეხი პოეტი, პროზაიკოსი და ჟურნალისტი (1872-1930), რომელიც თავის თავს „აღმოსავლეთის ფუტურისტს“ უწოდებდა.

კრებულში „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ დაბეჭდილია კარა-დარვიშის ოთხი ლექსი ასეთი მიწაწერით: „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას დათოვლილი არარატის მწვერვალიდან, თავისი გასისხლიანებული გულით მიესალმება პოეტი კარა-დარვიში“. ლექსებს წამძღვარებული აქვს სიგიზმუნდ ვალიშევსკის მიერ შესრულებული ავანგარდისტული ნახატი — „კარა-დარვიში ლექსებს მიუძღვნის ს. გ. მელნიკოვას“. გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის სიტყვები: „კარა-დარვიში არაჩვეულებრივი გულწრფელობის, არაჩვეულებრივი უშუალობის, არაჩვეულებრივი პათოსის ადამიანია. კარა-დარვიში აღმოსავლეთის შუაგული მზის პათოსია“. პაოლო იაშვილის შეფასება კი უაღრესად ემოციურია: „მისი თმები, მისი ღიმილი, მისი აღტაცება! როგორც კაცი — ნაღია. როგორც პოეტი — არაა ცნობილი. კარა-დარვიში! — ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ! უოტ უიტმენი... კარა-დარვიშის სჯერა პაოლო იაშვილს“.

კარა-დარვიშის ერთი ლექსი — „ცეკვა მთებში“, რომელიც მიძღვნილია გრიგოლ რობაქიძისადმი, 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყოფნის დროს თარგმნა ცნობილმა რუსმა პოეტმა ო. მანდელშტამმა. როგორც ირკვევა, ეს პერიოდი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იყო. აქ იგი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა და რაც მთავარია, საქართველომ კეთილყოფელი გავლენა მოახდინა მის პოეტურ ნიჭზე. ო. მანდელშტამი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში, გამოდიოდა ლექციებში ბათუმსა და თბილისში, კითხუ-

ლობდა თავის ლექსებს, თანამშრომლობდა რუსულ ლიტერატურულ-მხატვრულ გაზეთ „ფიგაროში“, რომელსაც რედაქტორი ნ. მიწიშვილი იყო უწყვეტად მთარგმნელობით მოღვაწეობას. მაგალითად, მან რუსულად თარგმნა ტიციან ტაბიძის ლექსი „ბირმანიის ტყე“, ვ. გაფრინდაშვილის „მეხუთე დაისი“, გ. ლეონიძის „ავტობორტრეტი“, ნ. მიწიშვილის „დამშვიდობება“, ი. გრიშაშვილის „ხელთათმანი“ და „მარიჯანს“, რუსულად ბრწყინვალედ ააქდერა ვაჟაფშაველას „გოგოთურ და აფშინა“.

თვით ო. მანდელშტამის პოეზიაშიც საკმაოდ აისახა ქართული გარემო. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსები „ლამაზი ქართველი ქალები“, „მე კუზიანი თბილისი მესიზმრება“ და სხვ. მასვე ეკუთვნის „შესანიშნავი ნარკვევები საქართველოზე. საგულისხმოა, რომ აქვე ჩაეყარა საფუძველი ორი დიდი შემოქმედის — ო. მანდელშტამისა და მ. ბულგაკოვის ნაცნობობას.

ამ ბოლო ხანებში ო. მანდელშტამისადმი ინტერესი არნახულად გაიზარდა, იბეჭდება პოეტის ლექსები, უამრავი წერილები მასზე და ა. შ. მაგრამ რატომაც მკვლევარები გვერდს უვლიან ო. მანდელშტამის შემოქმედების საქართველოს პერიოდს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იგი აქ არც კი ყოფილაო. მაშინ როდესაც სინამდვილეში სწორედ საქართველოში მოხდა გარდატეხა მის პოეტურ მრწამსში. ამ თვალსაზრისით ინტერესობელებული არ იქნება მოვიყვანოთ პოეტის მეუღლის ნადეჟდა მანდელშტამის მოგონების ერთი ნაწყვეტი, რომელიც ნათელს ფენს ო. მანდელშტამის შემოქმედებაზე საქართველოს გავლენას (მოგონება გამოკვეყნებულია წიგნში — „ავანგარდიზმი თბილისში“):

„სტატიამი „ზოგიერთი რამ ქართული ხელოვნების შესახებ“ ოსიბ მანდელშტამი წერდა, რომ რუსულ პოეზიაში შეინიშნება ქართული მოტივი. 1920-27 წლების ლექსებში ქართული მოტივი შევიდა მის საკუთარ პოეზიაში.

მაგრამ საქართველო არა მარტო მხარე იყო, რომელსაც ის იგონებდა თავის ლექსებში, არამედ რაღაც უფრო მეტი — კავკასიის ნაწილი, შავი ზღვისპირეთის ნაწილი, კოლხიდისა და ლეგენდარული ოქროს საწმისის მიწა. მანდელშტამი საქართველოთი დავალებული იყო არა მარტო გულთბილ და სტუმართმოყვარე ნიჭიერ ადამიანებთან შეხვედრებით, არამედ აგრეთვე ვაჟა-ფშაველას გენიალური ეპოსის გაცნობითაც — ამ გაცნობამ კვალი დატოვა მანდელშტამის შემოქმედებაზე. თბილისი იყო ადგილი, სადაც მან დაწერა მნიშვნელოვანი გარდატეხის მათემატიკური ნაწარმოებები (ხაზგასმე ჩვენია — შ. გ.)... რუსი პოეტებისათვის საქართველო ხშირად განდევნის ადგილი იყო, მაგრამ დევნილნი იქ ხვდებოდნენ სიტბოს, სტუმართმოყვარეობას და არც თუ იშვიათად ისინი სასტუმრო გარემოში ხვდებოდნენ ხოლმე. და მანდელშტამი ნახულობდა საქართველოში თავშესაფარს თავისი ხეტილის წლებში. მახსოვს, პაოლო იაშვილმა თუ როგორი ჩინებული ქესტიით უბრძანა შვეიცარს თბილისის ხელოვნების სასახლეში ჩვენთვის ოთახი მოეცა, და შვეიცარმა ვერ გაბედა უარის თქმა: ოთახი მოგვცეს — ქართველი პოეტები არასოდეს არ დატოვებდნენ თავის რუს თანამოძმეს თავშესაფარის გარეშე. ტყუილუბრალოდ როდი იგონებდა სწორედ თბილისს მანდელშტამი არასტუმართმოყვარე ვორონეჟში“.

ასეთია სინამდვილეში საქმის ვითარება და შეუძლებელია პოეტის მეუღლის სიტყვების ჭეშმარიტებაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ.

კრებულის „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ მეორე სომეხი ავტორი იყო ვასილ აბგარის ძე კატანიანი, შემ-

დგომში ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების მკვლევარი. აქ მას დაბეჭდილ ლექსებს საკმაოდ ბანალური ლექსები შეესაბამა რომანტიკულ ნიადაგზე“. რაც შეეხება ვ. შაიკევიჩს, მას კრებულში გამოქვეყნებული აქვს ოთხი ლექსი, რომლებიც საკმაოდ უღიმღამო შთაბეჭდილებას ტოვებენ. დაბოლოს, ორიოდე სიტყვა აღექანდრე მიხეილის ძე ჩაჩიკოვზე, იგივე ჩაჩიკაშვილზე (1892-1941), რომელსაც აქ დაბეჭდილი აქვს „შეტევა მოსულზე, ასურული პოემა“. იგი პირველი იმპერიალისტური ომის თემატიკისადმი მიძღვნილი. სამწუხაროდ, ამ პოეტსა და მთარგმნელზე ცოტა მასალა მოიპოვება.

ასეთი გახლავთ ამ ორიგინალური წიგნის თავდადასავალი და როგორც დავინახეთ, მასში სარკესავით აირეკლა საქართველოს ოციანი წლების ლიტერატურული ცხოვრების კალიდოსკოპი. და მაინც ჩვენი აზრით, მთავარი დასკვნა ის არის, რომ, როგორც ეს კრებულით „სოფიო გიორგის ასულ მელნიკოვას“ დასტურდება, არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს ამ პერიოდის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ავანგარდიზმთან ურთიერთობის შესწავლის ის დონე, რაც დღეისათვის გაგვაჩნია. აშკარაა, რომ იმდროინდელ საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე კულტურულ ცხოვრებას სათანადო გააზრება, პირუთენელი ანალიზი სჭირდება. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრიდან, რომ ამ პუბლიკაციით აღნიშნული ხარვეზი ოდნავ მაინც შევავსეთ. პირიქით, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კვლევა უნდა გადრმავედეს, რადგან მარტო ერთი წიგნის თუნდაც ყოველმხრივი შესწავლა სწორი კონცეფციის შენობის ასაგებად მხოლოდ ერთი აგურია.





ლიბერალური ნარსულის ერთი ფურცელი

ზენი მწერლობის ისტორიის ბერი საინტერესო მასალა დატული გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში. მთ შორის არის პოეტის, პედაგოგისა და მეცნიერის, მიხეილ პეტლეს ძე კინწურაშვილის (1885-1955) პირადი არქივი. მიხეილ კინწურაშვილს ქართველი მეომბეგელი ისაამის ფსევდონიმით იცნობს მიხეილ კინწურაშვილი პოეტთა იმ თაობას ეკუთვნოდა, ლიტერატურულ ასპარეზზე 1905 წლის რევოლუციის წინა დღეებში რომ გამოვიდა. მისი თრიგნალური თუ ნათარგმნი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ ყურნალ-გაზეთებში ავგინარიონის, ათარგნის, იალონის, მხეველის, მ. კანელის ფსევდონიმებით. ე.წ. „დემოკრატიული სკოლის“ პოეტები, რომელთა შორის ისაამანიც იყო, სიტყვიერად და საქმითაც აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში (ესდარმერია იასამანის ბნის ხარკისას აღმოჩინა რევოლუციური ლექსები და სიმღერები: „ინტერნაციონალი“, „მარსელიათა“, „ვარშავიანკა“ და სხვ. მიხეილი დასაბტიმრეს და მეტეხის ციხეში ჩსვეს).

მიხეილ კინწურაშვილი კარგად ფლობდა სლავურ ენებს: რუსულს, უკრაინულს, პოლონურს. ორავინალურ ნაწარმოებებთან ერთად, მის კალამს ეკუთვნის ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ა. კოლტოვის, ა. ფეტის, მ. გორკის, ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკის, ი. მიკევიჩის და სხვათა ნაწარმოებების თარგმანი.

ლიტერატურულ საქმიანობის გარდა მიხეილ კინწურაშვილი ნაკოფაერ პედაგოგაურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა თბილისის სხვადასხვა სკოლებში, ქ. შუშას, გორის და ფოთის გიმნაზიებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

მიხეილ კინწურაშვილი აქტიურად იყო ჩამული ლიტერატურულ ცხოვრებაში, ლიტერატურულ მუზეუმში დატულია ცნობილი მწერლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის 1903-1904 წლებით დათარიღებული რამდენიმე წერილი, რომლებიც რედაქტორისა და ავტორის ურთიერთობის საინტერესო ფაქტს შეიცავს. ი. როსტომაშვილი იმ ხანად რედაქტორობდა ყურნალ „მოგზაურს“. რომელსაც 900-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოყოფლებაში დიდი როლი მიუძღვის. ი. როსტომაშვილი XIX საუკუნე-

ნის 80-90-იანი წლებისა და პირველი რევოლუციის პერიოდის ქართველი მოღვაწეა. მან პრაქტიკული საქმიანობითაც დიდი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. იგი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა დემოკრატი ინტელიგენციისა (ა. სურგულაძე).

ქეთაისის სემინარიის IV კლასის მოსწავლეს მხ: კინწურაშვილს ეტრნალ „მოგზაურ-რესალეს“ მოთხრობა გაუგზავნია. 1903 წლის 14 თებერვლით დათარიღებულ ბარათში იგი, როსტომაშვილი მს სწერს:

„დიდად პატივემულო ბატონო მიხეილ! დიდი საიამოვნებით მივეციდი ადგილს თქვენს ნაკალმევს, ჩემთან პირველად გამოგზავნის, მაგრამ აგი ისეთს სავანს ეხება, რომ ცენწურა არ გაუშვებს, ამიტომ უნდა დაედუმდეთ. მწერთ, რომ თუ გინდათ ისტორიულს მოთხრობებს მოგაწვდითო. აი, მესამე წელიწადია ეტრნალს ეცემ და მუდამ სანთლით ვეჭებდი ისეთ მწერალს, რომ ისტორიული მოთხრობები დაეწერა ჩემის ყურნალსათვის, რადგანაც მამეს უფლება ასეთის მოთხრობების შექმნის, მაგრამ ვერავის ვიშოვნე. ახლა რაკი თვითონ მიცხადებთ სტრვილს, დიდად დამაბალებთ, თუ მომამწვდით ისტორიულს მოთხრობებს, მთ მე მუდამ დიდი საიამოვნებით დავხედე და „მოგზაურში“. ამა სკადეთ რამე მოთხრობა ვახტანგ გორგასლანზე, ან მისთანა ცნობილ გვამებზე. ჯერჯერობით თუნდა პატარები იყოს, არა უშავს რა. მოუთმენლად ველი.“

მარად თქვენი პატივისმცემელი ივანე როსტომაშვილი“

მხ: კინწურაშვილს მართლაც დაუწერია ისტორიული მოთხრობა „სამწუხარო განთიადი“, რომელიც სწორედ ვახტანგ გორგასალის ეპოქას ეხებოდა. ამ ნაწარმოების ავტორისეული ხელნაწერი 1903 წლის 18 თებერვლითაა დათარიღებული. იგი, როსტომაშვილიმა ეს მოთხრობა დაუყოვნებლივ დახევედა თავის ყურნალში („მოგზაური“, 1903 წ. №5-8).

მიხეილ კინწურაშვილს კიდევ რამდენიმე მოთხრობა გამოუგზავნია „მოგზაურის“ რედაქციაში. ისინი იგი, როსტომაშვილს ყურადღებით წაუკითხავს და ახალგაზრდა მწერლისათვის თავისი აზრი გულწრფელად გაუზიარებია:

„დიდად პატივემულო მიხეილ! თქვენი მით-

ბროკა „გამადლო“ უკვე წავიკითხე. შემძლიან მოვილოცოთ ღიძი წარმატება. თქვენს წინანდელ მოთხრობებთან შედარებით, ეს ვაცილებით მაღლა დგას. მათზედ, როგორც ენის, ისევე მხატვრულობით, მომქმედ გვაძოა დასურათებით. თუკაც ისტორიულს მოთხრობაში მოსალოდნელი იყო, რომ თვით ისტორიულ პირებს მიპყრობდით თქვენს უნდაერეს კერადლებას და ამ თქვენს მოთხრობაში კი უფრო მცირე ხარისხიან პირებზედ არის საუბარი. მიინც, ეს არ ამცირებს თქვენს მოთხრობის ღირსებას და ამიტომ ღირსიც არის დაბეჭდვისა. მე ვადაწყვეტიე თქვენს მოთხრობებში ისეც ეს დაბეჭდო ამ ხანადვე „მოკლურში“ ნახევარი, ე. ი. პირველი ათი თავი ამ წლის მეორე წიგნში და დანარჩენი მესამე წიგნში დაბეჭდო“.

მიხეილ კინწურაშვილი თავისი დროის საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო. მას ლიტერატურული საზოგადოება ანგარიშს უწყევდა. მის არქივში არის 1913 წლის 17 აპრილით დათარიღებული ბარათი, რომელიც პოლო იაშვილს ვაუჯახანია ქ. შუშაში, სადაც იმ დროს მიხეილი მასწავლებლობდა ახლად დაარსებულ კურსნაღის „ოქროს ვერძის“ რედაქციის სახელით, პ. იაშვილი იასანანს სთხოვს ითანამშრომლოს კურსნაღში. როგორც ცნობილია, „ოქროს ვერძის“ პირველი ნომერი ქუთაისში გამოვიდა 1913 წლის 19 მაისს და გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, შ. დადიანის, ლ. ქაჩაჩელის, ტ. ტაბიძის ნაწარმოებთა ვერტიკალური დაიბეჭდა იასანანის ლექსი „შობა მანჯისა“. მწერალთა ამ თანავარსკვლავედის გვერდით დასტამბვა მიხ. კინწურაშვილისათვის ღიძი პატივი იყო.

1917 წლის ოქტომბერში „ქართველ მწერალთა კავშირის“ დამფუძნებელ კონფერენციასზე პოლო იაშვილმა წამოაყენა წინადადება: ქართული ზელოვნების საღიფსაწაულო დადგინების კეთილი რომელიმე დღე. ქართველ მწერალთა მეორე კონფერენციის (1920 წლის აპრილი) გადაწყვეტილებით ქართველ მწერალთა დღეს დაერქვა „პოეზიის დღე“ (ტიციან ტაბიძის წინადადება) და პოეზიის დღედ დადგინდო იქნა 7 მაისი... ამ წელს პოეზიის ზეიმის მოწყობა მიენდო: ქუთაისში — ნიკო ღორთქიფანიძის, ფოთში — იასანანს (მიხეილ კინწურაშვილს), ჩოხატაურში — ია ვეკლაძეს, თელავში — ბეგლარ ახოსპირტს (ალაიანცს), ზუგდიდში — ლეო ქაჩაჩელს. სხვაგანაც, კერძოდ სათუშში, სავანებში პირების ვაჯახანას აპირებდნენ (რ. კვეციანიხილამც). პოეზიის დღე ტრადიციული უნდა გაეხდარიყო და მწერალთა საბჭო ცდილობდა ზეიმი ორგანიზებულად ჩატარებულიყო, როგორც თბილისში, ისე მთელს საქართველოში. ამის დასტურია 1920 წლის აპრილით დათარიღებული დეკრეტი, რომელიც ფოთში, მიხ. კინწურაშვილისათვის გაუტზავნია მწერალთა საბჭოს თავმჯდომარეს კოტე მიაშვილს:

„ჯოთი, გიმნაზია კინწურაშვილს, იასანანს მწერალთა კავშირის საბჭო აწყობს შედგინის პირველ ტრადიციულ პოეზიის დღეს. საბჭო გთხოვთ მოაწყოთ ეს დღე უკვეინთანაც სასურველია საკუთარი ძალებით მოაწყოთ. ასუსები საქაროთ. თბილისი, ქიმიერაინი მწერალთა საბჭოს“

მეცამედილი“.

მიხ. კინწურაშვილს ერთხანს სამშობლოს გარეთ უხდებოდა ცხოვრება (1907-1912 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ ქ. შუშას გიმნაზიაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას). მიუხედავად ამისა, მას კავშირი არ გაუწყვეტია საქართველოსთან, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ მწერალ-ვაზებებში. მიხ. კინწურაშვილის არქივში დაცული წერილები კიდევ ერთხელ გვითვალსაჩინოებენ 1900-1910-იანი წლების ვითარებას, გვეხმარებიან იმ ბოზოქარი ეპოქის უკეთ შეცნობაში, რომელშიაც ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა ქართულ ინტელიგენციას.

„... შენც ვაიგებდი რა მოხდა სენაკში იმის მერე, შენ რომ წერილი მოგწერე იანკარში. სენაკი სინახევროდ ვადასწვეს კაზახებმა და მერე ზუგდიდში გაეშურნენ, ჯერ არ დაბრუნებულან... ეხლა ნადლეებს ოხრათ ახდევინებენ საწყალ ყაზახებს, ნამეტანი შევიწროვებია“...

„... გურიამი სოციალისტ-რევოლუციონერებს პენია ხელში სანი სოფელი. უეცარმა რეაქციამ და მოსკოვის ტრაგედია იმე შეაშინა ხალხი“. „... სააღვამოდ მოდი თუ ჩამოხვალ... თუმცა აქ ქე არის საშიში, რომ თუ შიონი ვინმე გამოვიდა იმ წამსვე განუკითხვად დაგაბატოებენ. ... შენი მოთხრობები და წერილები დავძალეთ. ახლა სენაკის ციხეში იმდენი კაცი არის დატყვევებული, რომ ციხეში არ ეტყუა. სხვაგანაც ასე უნდა იყოს!“ (მიხეილის ამის ერმინის 1906 წლის წერილებიდან).

მიხეილ კინწურაშვილი მეგობრების: პოლო ირეთელის (პოლოეკტოს კალანდაძის), ვარლამ მაღაქიაშვილის (ხუროძე), თბოლი მუშის (სოლომონ თავაძე), რუბენ ყიფიანის, ვასილ ვასილასა და სხვათა წერილების საშუალებით დასტურებულად იმყოფებოდა იმდროინდელი საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების სიქმის კერსში.

მწერალი რუბენ ყიფიანი („ლენჩხუმელი“) ერთ-ერთი წერილით ხარკოვში მიხეილს ატყობანებდა: „... ვადილაა ისეც ციხეშია. უტოქიანი ფირნა, მაგრამ მე ვერ დავესწარი ავადმყოფობის გამო. ... იმედაშვილი დაატყუსალეს“.

სხვა ბარათში რ. ყიფიანი სწერს: „მე ახლა „მხავერპლისა“ ვწერ. ... ვარლამი (ხუროძე — მ. შ.) მარჯვეთ არის, „პარტახის“ შემდეგ კიდევ კარგა მოზრდილი და შინაარსიანი პიესა დაუწერია და ახლა რომანსა ვწერო, იწერება. თუ ქმა ხარ, შენ არ გამოვიგადე სეს გამო, რომ

ჩვენი საერთო სურათი „ეშმაკმა“ თავის „ეშმაკის მახეში“ გადაიღო. ჩემის აზრით არც ურიგოთ გამოიყენებოდა და ცოტა გულნატყვნობას ნურც შენ გამოიყენებდი. მომტაცე ოთახში და მეც აღარ დავეშალე. უნდა მართალი ვითხრა კარგი სამეგობრო კაცია, რაც შენ არა ერთხელ გითქვამს და ეს კოტას როდი ნიშნავს ამ ოხერ დროში მინც. „მახეს“ ახალწლიდანა სცემს და ნომრებსაც მიიღებ. და გინდ მე და გინდ თითონ მას გამოუგზავნე ლექსები. შენი პოლიტი „სალამაში“ სცემს და შიგ ჯერ-ჯერობით მართო ნოე (ჩხ...) ცეკვავს. დიამანთე ცემს „თემს“, როსტომიშვილი „სინათლეს“, ან. ლულაძე „დილას“ და ნ. ლორთქიფანიძე „ცხოვრებას და ხელოვნებას“. ესლა შენ გამოიყენე დიამანთე მეტი არეული იქნება თუ ყველა ესენი? „)

მწერალი ვარლამ ხურთაძე (მაღაქიაშვილი) მიხეილს სწერდა: „...გაგიგებდი, რომ პოლიომ „სნივი“ „გაასალამაში“. მართო მაგი და ჩხიკვაძე არიან შიგ. ქუთაისში ლიტერატურული საღამო ყოფილა და ჩვენები მიიღებდნენ შონაწილებას. რუბენი (რუბენი — მწერალი რუბენ ყიფიანი — მ. შ.) იწერება მგონი გამოვიდეს (?) ნახაული „ეშმაკის მახის“ პირველ ნომერში კარიკატურას. რუბენს სურათი მიუცია ჩვენი ეშმაკისათვის და მასაც სხვა თანამშრომლებთან ჩაეუკარიკატურებებავთ. რუბენი ბოლშე ხელს დიდად, მარა მიეწერე, იმისა არ იყოს, საბოლნო არაფერია, ვინაიდან ერთი, რომ არ გვკავს და მეორე კარიკატურა безобидна.

შენი ვ. მაღაქიაშვილი, 28. I. 1911 წ.

1911 წლის 4 მარტით დათარიღებულ მეორე ბარათში ვ. მაღაქიაშვილი სწერს: „მიხეილ ჩემო, გაგიმარჯოს! მომილოცავს ჩვენი გაზეთის გამოსვლა. ...26 თებერვალს დავასრულე რომანი 230 გვერდიანი („მოთა ბროლიძე“ — მ. შ.). შენ ალბათ გაიკვირებ, მარა ფაქტი ფაქტია. კტოკ, პირდაპირ ავანთყოფი ვარ ამ მხრივ, თუ რაიმეს დავადეკი, სანამ არ დავასრულებ, კუთაზე ვიშლები, ღამეც კი მესიზმრება. რომანი მე მომწონს და მაკმაყოფილებს ჯერჯერობით მინც. მარა უბედურობა ისაა, თუ რაფერ ვანახო ქვეყანას! გაზეთში არ დაიბეჭდება სამი სოფლის ამბების ოდენია... კიდევ მოხერხდეს ეგება რამე, რომ შენ, ან ლეო, ან გომართლიანი კრიტიკულ წერილს დაწერდეთ... თუ შეგიძლია დავარგო რამდენიმე საათი წასაიკონახათ, გამოვიხანვი“.

მიხეილ კინწურაშვილისათვის ხარკოვში გაგზავნილ სხვა ბარათში ვარლამ ხურთაძე სწერს: „ამათ მიშა! დღეს მეორეთ წავეითებ და შევასწორე ჩემი მოთხრობა და კიდევ ვიგზავნი. მე ვფიქრობ რომ შენთან ვიქნები 30—31 ამ თვეს. კრიტიკე უნდა იქნეს სასტი-

გი და ულნობელი. მეგობრობა და აზნაგობა ხომ იცი განზე უნდა გადაიდოს... ახალ საქმეს“ ალბათ ლებულობენ. ჯერ-ჯერობით სუსტია და აწი რა იქნება ვნახოთ. შენი წერილის რედაქტორობასაც მალე მოგვეწეროთ.

მარად შენი ვ. მაღაქიაშვილი 20. III. 1911 წ.

პირადი წერილებიდან მოტანილი ეს ნაწყვეტები იმ პერიოდის საკმაოდ ტყვედ ინფორმაციას შეიცავს, რომელიც საინტერესოა როგორც ცალკეული მწერლის შემოქმედებითი ისტორიის, ისე ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის გარკვეული მონაკვეთისათვის.

მეოცე საუკუნე უდიდესი ქართველებით შეგჭრა კაცობრიობის ისტორიაში. იგი მოასწავებდა ახალი ისტორიული პერიოდის — დიამანთე სოციალური ძვრებისა და რევოლუციური ბრძოლების პერიოდის დადგომას. ეს იყო მისების გამოღვივებისა და გააქტიურების ხანა. ამის ერთ-ერთი გამოვლენა პერიოდულ მტკვლურ ორგანიზაციას სიმრავლე იყო. ილია ქვეკვაძეს წერილი: „საქართველოს მოამბეზელ“, აღნიშნული აქვს: „ქურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის, რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვახარის აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა-ნაირი ქურნალები“. თუ 1819—1821 წლებში საქართველოში გამოდიოდა მხოლოდ ერთი გაზეთი, 1828—1860 წლებშიც ასევე ერთი დასახელების პერიოდული გამოცემა მოდის თითოეულ წელზე. 1851 წლიდან 1867 წლამდე ორიდან—ოთხი, 1868—1880 წლებში ოთხიდან ექვსამდე, 1881—1890 წლებში კი ოთხიდან რვა დასახელებამდე წელიწადში. სულ სხვა სურათია 1901—1917 წლებში. პოლიტიკური სიტუაციის მხრდებითი მათი რაოდენობა ხან იკლებდა, ხან მატულობდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პირველი რევოლუციის პერიოდში. მაგალითად, 1905 წელს 19 ქართული პერიოდული ორგანო გამოდიოდა. 1909 წელს 56, 1913 წელს 59 და ა. შ. (ა. ამრამიშვილი).

1900-იან წლებში დიდი მუშაობა გასწია ქართველმა შემოქმედებელმა ინტელუგენციამ, პირველ რიგში დემოკრატიულმა მწერლობამ, რომელიც მტკიცედ ჩადგა რევოლუციური ეპოქის ერთგულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში. მათ შორის იყო მწერალთა ერთი ჯგუფიც: პ. ირეთელი (კალანდაძე), ვ. მაღაქიაშვილი (ხურთაძე), რ. ყიფიანი, ვასილ ვაძილია და სხვები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს იმ პერიოდის ქართული მწერლობისა და ქურნალობის განვითარებაში, ქართული საზოგადოებრივი აზრის გააქტიურებაში. ისინი საკმაოდ ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ. მათი სწრაფვა, ჩამბლოყენენ ეპოქის ის-

ტორიულ პრობლემათა განსჯა-შეფასებაში, ყოფილიყვნენ თავიანთი ერის ცხოვრების აქტიური თანამონაწილენი, ჩანს იმ ფაქტშიც, რომ სსტრუქტურად თანამშრომლობდნენ ქართულ პრესაში, თავიდაც კარსდებდნენ დარღვეტორობდნენ ჟურნალ-გაზეთებს, ასე მაგალითად: ბ. ირე-თელმა სხვადასხვა დროს გამოსცა იუმორისტულ-ლი გაზეთი „შუაშავი“ (1907 წ.), იუმორისტული ალმანახი „უშვიკი“ (1908 წ.), სალიტერატურო ჟურნალები: „სხივი“ (1909—1910 წწ.), „სილამური“ (1911 წ.), „სხივი“ (1917 წ.), რ. ყიფიანი გაზეთ „კობორების საქმეს“ რედაქტორ-გამომცემელი იყო.

რამდენიმე საინტერესო ლიტერატურული კრებული გამოცემა ვასილ გადილიამ, რომელსაც იმ დროს საკმაოდ ცნობილი წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ალიონის“ ვინგე იყო. მანდელი პრესის ცნობით, გამომცემლობის მიზანი იყო „კარგ მწიბარისათვის წიგნების მიღ ფასით გამოცემა“. ლიტერატურულ ნაწარმოებთა გარდა ვ. გადილიამ სხვადასხვა დროს გამოცემა ა. ბებელის, ბ. კუტსკის, კ. ლიბჩენცის და სხვათა ნაწარმოები.

მის. კონწურაშვილის არქივში დატული მასალა საინტერესოა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვისაც. კერძოდ, უჭრადღებებს იხურობს ცნობილი მწერლისა და რედაქტორ-გამომცემლის პოლიო ირეთელის დიარაღებულ ჟურნალით ბ. ირეთელი მეგობარს, მიხეილ კონწურაშვილს ხარკოვეში სწერდა:

„როგორც იქნა მოვახერხე ჩვენი დიდი ხნის სურვილის განხორციელება. 6 დეკემბერს გამოცემით ჩვენს სალიტერატურო ჟურნალს „სხივის“. ჟურნალი ავირეთელი იქნება: ამასთანავე თვეში ერთხელ გამოვა „კრებულში“ მოზრდილი წიგნი, ჭერ-ჭერობით საქმე ვერ არის მტკიცე ნიადაგზე დაყენებული უფულობის გენი, მაგრამ ყოველდღე დონეს ვიხმართ კარგად მოგაწყობთ და იმედიც გვაქვს ასე იქნება. აბა ახლა გალესე კალამი, მთელი შენი პოეტური ნიჭი „სხივში“ უნდა ჩაანთხო, სხვა ჟურნალებს კი თავი დაანებე. ბეჭდვას 30 ნოემბრიდან შეეუდღებო. თუ მოახერხო აფრინე ნომერში რაიმე საუკეთესო ლექსი. იცოდე ყოველ ნომერზე უნდა მოგაწოდო ლექსები. პირველი ნომერიდან დაიბეჭდება ი. გომბარჯილის წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. მე მგონია ეს საინტერესო წერილები იქნება, ვთხოვე და ძალიან გაუხარდა, აღმოთქვა პირველი ნომერიდან დაიწყებო. აბა შენ იცი თუ გამოვიზავნი მასალის.

ნათარგმნი თუ გაქვს რამე ისიც განოზავნე.

შენი პოლიო.

მოგვიანებით სხვა წერილში პოლიო ირეთელი სწერს:

„...ვისებზე ცოტადღნი გროშებში დამწახს ვაი-ვაგლახით გამოვეცი პირველი ნომერი. ვინაა-გათ იცი, უბრალო საქმე რომ დაიწყო, პირველთ საქაროთა ფულადი, მე ეს არ მქონდა და შეგიძლია წარმოიღებო რა გაქარებებს განახელი. ვინაა-ფერი მე ვიყავი: ჟურნალის დამკვე-ველიც, გამყიდველიც და გამგზავნიელიც. და ბეჭდვისას სტამბაში გვათენე. პირველ ნომერს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ასე იმეგობრათ შეიღ ნომრამდე ავადღეი. შედარებით ეხლა საქმე კარვად არის, დავტრიალდი აქეთ-იქით და ასამდე წლიური ხელისმომწერიც უნდა მყავს, მინდა ორასამდე მიხვდ ავიყვანო, ადგინ-ტემა ვაფრინე, როგორც ხედავ ჟურნალს სხვა ელფერი მივეცი, ეს პროგრესის ნიშანია. ვერ-ჭერობით ისევე მე ვარ მარტოთ მარტო, მასა-ლებს მე ვაძლევ, კორექტურას მე ვასწორებ, აღრესებს მე ვაწერ.“

სწორეთ ის მოთხრობები და ლექსები არ მოგეწონება, რომელიც არც მე მომწონებია. მაგრამ სამწუხაროთ მართლა ნაკლებად არის, უმეტესად მოთხრობები, ლექსები კი ბლომით. ეს იყო მიზეზი, რომ გაუფუფე. არც მეხუბვრე ნომ-რის რამდენიმე მასალა მოგეწონება ვიცო, მაგ. „ოჯახის პატიოსნება“ და სხვ. ძალიან სუსტია, მარი ჩას იზამ როცა სხვა არაფერია. რომ ეთქვით მასალები ბევრი ნაკეს, მაგრამ სანა-ხევროთ არ ვარგა. ჟურნალს დროზე გოგზავ-ნით და მივიჩნის რატომ არ მოგდის აღრე. შენი ლექსების ბოლოზე მოქცევის მიზეზი ის იყო, რომ მუდამ გათავებდას დროს ვიბეჭდოვალდი, აი ახლა აღრე მივიღე და თავში დავასკუტე. მომეცი შენი წერილი „მოშავალში“. დუტუ მუგერელინა შესახებ ვომარტოელმა დასწერა (ჟურნალი „სხივი“ № 5 1910 წ. — მ. შ.) (წა-რიკითხავდი) და როგორ გინდა ახლი? თუ გინდა „ფონს“ გაუგზავნი, როგორც მომწერ იყე მოვიტყევი, კორექტორული შეცდომები ბლო-მით იყო აღრე ხანს... ახლა ამ მხრით კარგათ არის საქმე, რასაც მე შევიღ ნომერი მომწობს. როგორ მოგწონს ჟურნალის. გარეგანი მხარე? მასალები დროზე მომწაოდე. ძალიან აყავინ-დნენ როცა ჟურნალი გამოუშვი, მაგრამ ამის შესახებ შენდგე. რომ იცოდე რა პირობებში მომიხდა (და შეიძლება კიდევ მომიხდეს) გამო-ცემა გაგვივირდებო: ინდია მექვს საქმე კარგათ დავაყენო „მოშავალში“. გრიშა მე და დათაო-ვართ მხოლოდ. სხვა არავინ. საქმე ისევე არის, რას წერება შენი პოემა? ჩქარა გაათ-ეებ? ხომ „სხივში“ დაბეჭდავ?... როცა განახ-ეატყვი რა ამბავი იყო ჟურნალზე, წერილი მო-იწერე.

შენი პოლიო

1910 11 | თბილისი.

3. ირეთელის წერილებში საუბარია ყოველ-
კერძო სალიტერატურო ჟურნალ „სხვზე“,
რომლის პირველი ნომერი 1909 წლის 13 დე-
კემბერს გამოვიდა. ჟურნალს რედაქტორ-გამომ-
ცემლად ე. ტურაბელიძე აწერია და ასევე აღ-
ნიშნული ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრა-
ფიებში. მაგრამ, როგორც ზევით მოკვანილი
წერილებიდან ირკვევა, მისი ფაქტიური რედაქ-
ტორი და გამომცემელი პოლო ირეთელი (კა-
ლანდაძე) იყო. არსებული რევიზიის წინააღმდეგ
შეზღუდული რევოლუციონერი, პოლიტიკურად
არასაიმედო პიროვნება, რა თქმა უნდა, მეფის
ხელისუფლებისაგან ჟურნალის გამოცემის ნე-
გირთვას ვერ მიიღებდა და ამიტომაც ფაქტიუ-
რი რედაქტორის სახელს ამოფარებული სცემდა
ამ ჟურნალს. ჟურნალისტიკის ისტორიაში მსგავსი
ნაგალითები საკმაოდია ცნობილი.

„სხივი“ საინტერესო ჟურნალი იყო, რასაც
ავტორთა ძლიერი კოლექტივი განაპირობებ-
და. ჟურნალის აქტიური თანამშრომლები იყუ-
ნენ: ივ. გომარათელი, ნ. ზომლეთელი, დ. თურ-
დოსპირელი (ჩხეიძე), იასამანი (მ. კანჭუბა-
შვილი), პ. ირეთელი (კალანდაძე), ლალიონი
(ა. შამულაშვილი), ვ. მალაქიაშვილი (ხუროძე),
ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, გ. ჭუჩუაშვილი და
სხვები. ლიტერატურული წერილები და მიმო-
ხილვები ივ. გომარათელს ეკუთვნოდა, რამდენ-
იმე ნომერში გაგრძელებებით დაიბეჭდა კო-
განის რუსული ახალი ლიტერატურის ისტო-
რიის თარგმანი და ა. შ.

იმ პერიოდში ჟურნალ-გაზეთები ჩნდებო-
დნენ და ცენზურის აკრძალვის გამო უძებნე
ქრებოდნენ, მაგრამ ხშირად ესა თუ ის პერი-
ოდული ორგანო დახურვის შემდეგ კვლავ იწ-
ყებდა გამოსვლას, ინარჩუნებდა რა თავის მი-
მართულებას, თანამშრომელთა ძირითად ბირთვს
და ფაქტიურად აკრძალული გამოცემის გაგრძე-
ლებას წარმოადგენდა, რომელსაც ცენზურის
თვალის ასახეველ სახელწოდება ჰქონდა შეც-
ვლილი. „სხივი“ შემდეგ პ. ირეთელი სცემდა
ყოველკვირეულ სალიტერატურო ჟურნალ „სა-
ლამურს“ (თფიციანური რედაქტორ-გამომცე-
მელი ნ. სულხანიშვილი). ამ ჟურნალის ფაქტიუ-
რი რედაქტორ-გამომცემელი რომ პ. ირეთელი
იყო, ამას რ. ყიფიანისა და ვ. მალაქიაშვილის
წერილების გარდა ადასტურებს ჟურნალ „სალა-
მურის“ 1911 წლის 10 აპრილის ნომერში გამო-
ქვეყნებული განცხადება, რომელიც მკითხველებს
აცნობებდა: „სააღდგომო ნომერი ვერ გამოდის
ისეთი შინაარსითა და წესით, როგორც უნდა

გამოსულიყო, რადგან ხელმძღვანელი პ. ირე-
თელი დააპატიმრეს და მასთან ერთად დამ-
დებული აღდგომის მასალები“.

ჟურნალმა „სალამურმა“ თავიდანვე მკითხველ-
დაისახა მკითხველისათვის გაეცნო მასალებს
და მწერლები, მათი ბიოგრაფია და შემოქმედ-
ებითი გზა. 1911 წლის 9 იანვრის ნომერში და-
ბეჭდილი სარედაქციო განცხადება იწვევებოდა:
„დღეს, როდესაც ქართველ მკითხველთა რი-
ცხვმა ერთი ორად იმატა, დღევანდელ ჟურნალ-
გაზეთებში ხშირად ახალგაზრდა მწერალთა ნა-
წარმოებს ხედავს, მით იყვებება, მაგრამ არაე-
თარი წარმოდგენა კი არა აქვს, სრულიად არ
იცის ვინ არის ის, რა სახის დადამინია, როგორ
უცხოვრია. იცნობენ ისეთ მსხვილ ერთეულებს,
როგორც აკაკი, ილია, რაფიელ ერისთავი, ყაზ-
ბეგი, ნინოშვილი და სხვანი, რომელთა სურა-
თებით ოთახებსაც კი იმშვენებენ. ამიტომ
ჩვენ განვიზარებთ დრო და დრო ვებეჭდოთ ჩვენ
ჟურნალში ჩვენი ახალგაზრდა მწერალთა სუ-
რათები, ბიოგრაფია და ერთი საუკეთესო ნა-
წარმოებთაგანი.“

ამისთვის საჭიროა თვით მწერლებმა მო-
გაწოდონ ყველა ეს. ბიოგრაფიაში აღნიშნონ
როდის დაიწყო წერა, რა დასწერა პირველათ
და თუ შესაძლებელია თვით პირველი ნაწარ-
მოებებიც მოგაწოდონ“.

ჟურნალის სხვადასხვა ნომრებში დაიბეჭდა წე-
რილები, რომლებიც მკითხველს აცნობდა ახალ-
გაზრდა პოეტების: ი. გრამიშვილის, ნ. ჩხიკე-
ძის, ვ. რუხაძის, ნ. ზომლეთელის მოკლე ბო-
გრაფიულ ცნობებსა და შემოქმედებით გზას.

ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომე-
ლი იყო ახალგაზრდა, 16 წლის ყმაწვილი ტი-
ციან ტაბიძე, რომლის ლექსები და ნოელები
სისტემატურად იბეჭდებოდა „სალამურში“.

პ. ირეთელის წერილებიდან კარგად ჩანს, თუ
რა რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა
ქართველ მწერლებს, რედაქტორ-გამომცემლებს;
მეტად მკაცრი საცენზურო შეზღუდვები, უსახ-
სრობა, მალაქიაშვილის მისაღების ნაცლებობა,
ზოგჯერ მარტონი იყვნენ თავიანთ საქმიანობა-
ში. საერთოდ, მის კონწურაშვილის არქივში და-
ცული დოკუმენტები კარგი საილუსტრაციო მასა-
ლია 1900-1910-იანი წლების როგორც ლიტერ-
ატურის, ისე საერთოდ, ინტელიგენციის ისტო-
რიის გადმოსაცემად. ისინი კიდევ ერთხელ, უფ-
რო ნათლად წარმოაჩენდნენ იმ წვლილს, რომე-
ლიც რევოლუციურ-დემოკრატიულ მწერალთა
ერთმა ჩვეუმა შეიტანა ქართული ლიტერატუ-
რისა და კულტურის განვითარებაში.



ალექსანდრე ლლონტი

პირობა ასეა?

ალმანახ „კრიტიკაში“ (№ 2, 1988) გამოქვეყნებულმა ჩემმა პატარა წერილმა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის დასაცავად, რომელიც პოემის ერთ-ერთი საუკეთესო სტროფის ბედს ეძღვნებოდა, გამოძახილი გამოიწვია. ავტორმა მრავალი სპეციალისტის გამომხატურება მიიღო, ზოგისა წერილობით, ზოგისაც სიტყვიერად თუ ტელეფონით. დაიბეჭდა პოლემიკური შენიშვნებიც, მაგრამ მათზე ალარ შეგჩერდები. რაც შეეხება გ. კარტოზიას რეცენზიას („ლიტერატურული საქართველო“, 5, VIII, 1988)¹, მასში იმდენი გაუგებრობაა ჭეშმარიტებად გასაღებული, თანაც ისეთი რიხით და დიქტატის ტო-

ნით, რომ, საჯაროობის პირობებში, მისი უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება. მით უმეტეს, რეცენზია პოლემიკის წესითაა დაბეჭდილი. აქ გამომხატურებანი ვახსენე. მათი მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ, თუ კანდიდებულად არ ჩამეთვლება, ერთ მათგანს გავაცნობ შეითხველს, რადგან მას ერთგვარი სხივი შეაქვს რეცენზენტის მიერ დაბეჭდულ საკითხში. აი, მაგალითად, რას სწერს ავტორს საგნის ცნობილი სპეციალისტი პროფ. დ. ჯანელიძე: „ბატონო ალექსანდრე, მიხარია, ხმა რომ აღიმალეთ „ვეფხისტყაოსნის“ 968-ე სტროფის დასაცავად. გამამხნევებელია, რომ, ამ მხრივ, მაინც, მართო აღარა ვარ. ექვსჯერ გამოვედი ამ სტროფის პოემის ტექსტიდან ამოღების წინააღმდეგ (1. „რუსთაველი და სახიობა“, თბ., 1967, გვ. 151; 2. „მოვიდიან“ შესამკობად“ თუ არ „მოვიდიან“, ვაზ. „კომუნისტი“, 1970, 27-8, № 199; 3. ესევე უფრო ვრცლად „სახიობა“, წ. III, თბ., 1980, გვ. 172-179; 4. ქართულ და რუსულ თეატრალურ ურთიერთობათა ისტორიისათვის, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1983, № 9, გვ. 20-21; 5. მზეჭაბუკი, თბ., 1980, გვ. 21; 6. იგივე რუსულ ენაზე, თბ., 1983, გვ. 19-20). და ვინ არის წამკითხავი, გამგონე და გამკითხავი?! პატივისცემით დი-

¹ გ. კარტოზიას წერილი (ავტორი მას რეცენზიას უწოდებს!) იმისთანა მნიშვნელობის ლოკუმენტად მიუჩნევიათ, რომ მისი ოდნავ გაგრძობილი ვარიანტი „მანქმეც“ (№ 2, 1988) გამოაქვეყნა, შინაარსით კი ორივე პუბლიკაცია ერთნაირია. ძველად ასახსენელია სტუდენტური პათოსით დაწერილი უმართებულო რეცენზიის ორ ორგანოში დაბეჭდვის აუცილებელი საჭიროება. თავისთავად ეს ფაქტი ილიას გამოთქმა რომ გამოიყენოთ, კი იკბინება, მაგრამ ამაზე სხვა დროს. თუმცა ერთი რამ ახლაც შეიძლება ითქვას: მეორე ორგანოში გადაბეჭდვა რეცენზიას ძალია ვერ შეჰმატავს: ისეა: ტყუილი რამდენჯერაც და რა ტრიბუნადაც უნდა გაიმეოროს კაცმა, ტყუილიც კარგია.

მიტრი ჯანელიძე. 1988 წლის 30 მაისი. ამ წერილს კომენტარი არ სჭირდება.

ჯერ რამდენიმე სიტყვა რეცენზიის საერთო პათოსის შესახებ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პათოსი შეუფერებელია მეცნიერული პოლემიკისათვის. რეცენზიაში ლაპარაკია ბევრ ისეთ რამეზე, რაც წერილში არ არის, არც შეიძლება იყოს და არც მოსვლია აზრად ავტორს (ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ), გამომყდვენებულია 968-ე სტროფის რაღაც საშინელი სიძულვილი, მაგრამ ჩვენ ემოციებს ვერ ავყვებით. რეცენზიაში მაინც გამოკვეთილად ჩანს სამი ბრალდება: ა) რომ წერილი თითქოს ხელს უწყობს დილტანტიზმისა და ნიპილიზმის წაქეზებას, ბ) რომ თურმე უხვად შეიცავს რუსთველოლოგიური კვლევის პრაქტიკისათვის საზიანო მსჯელობას პოემის ტექსტზე გაწეული მუშაობის ხასიათსა და შედეგებზე, ბ) რომ მასში დაშვებულია ბევრი შეცდომა, უზუსტობა, სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი ფაქტების იგნორირება თუ ტენდენციური გაშუქება და ყოველივე ეს ისევ და ისევ დილტანტების წისქვილზე ასხამს წყალს. ვითომ ასეა? არა, სრულიად არ არის ასე! სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ აქ რამდენი წინადადებაა, იმდენი შეცდომა ან გაუგებრობაა.

დავიწყოთ თავიდან. წერილში ლაპარაკი არ არის პოემის ტექსტის დადგენასა და ამასთან დაკავშირებით ამჟამად გაჩაღებული მუშაობის საკითხებზე. მათზე მსჯელობა ავტორის მიზანს არ შეადგენდა. წერილი სრულიად არ ეხება რუსთველოლოგიური კვლევადიების პრაქტიკის და საიდან უნდა შეიცავდეს მის „საზიანო მსჯელობას?“ არც პოემის ტექსტის დამდგენი კომისიების მიერ გაწეული მუშაობის საკითხებსა და შედეგებს ეხება და საიდან შეძლებს ზიანის მოტანას? არ ეხება არც ე. წ. „ცნობილ ფაქტებს“, მით უმეტეს, მათ შეფასებას, და როგორ

მოახერხებს ამ ფაქტების ტენდენციურად გაშუქებას? წერილი ეხება მხოლოდ 968-ე სტროფთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს. ეს არის და ეს. დანარჩენი რეცენზენტის გამოგონებაა. ამიტომ გამოგონილ საკითხებზე სიტყვის გაგრძელება უხერხულადაც მიმართა. წერილის ავტორს ხაზგასმული აქვს პოემის ტექსტის დამდგენ კომისიათა ნაყოფიერი საქმიანობა, რასაც რეცენზენტი შეგნებულად ჩქმალავს. ასე რომ რეცენზენტი კამათობს იმაზე, რაც საკამათო არ არის, ლაპარაკობს იმაზე, რაც წერილში ნათქვამი არ არის, მისი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, კამათობს „აქრძალული ილეთების“ გამოყენებით. საკითხავია, ის, რაც არ თქმულა და არ გაკეთებულა, როგორ მოუტანს საქმეს ზიანს?

იძულებული ვარ, მკითხველს კვლავ შევახსენო ერთი ადგილი ჩემი წერილიდან: „უკანასკნელი სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში პირდაპირ ჯვარს აცვეს პოემის ტექსტი. რაც დრო გადის, უფრო დაუჭერებელი ხდება სწორებათა (ჩამატება-გამოკლებათა), ინტერპოლაციები, ადრეც რომ უწარმოებიათ და წარმოებს ახლაც: მე ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ ძალიან ბევრი რამ, ნამდვილად შერყვნილი ადგილი, სიფრთხილითა და მოკრძალებითაა გამართული და ამით დიდი საქმეცაა შესრულებული. მაგრამ ამასთან ერთად, ცოტა როდია იმისთანა „გასწორება“, რომლის დაჭერება ყოვლად შეუძლებელია. ნათქვამი გამოგონებული კი არა, ფაქტია, მაგრამ ჩემი მცირე სტატია ამის შეფასების მიზანს არ ისახავს. მოვა დრო და თავშეუკავებელ მსწორებელთა საჭოტკმანო მოქმედებას სპეციალური მსაჯულები განსჯიან“, „ამიო სწორებათა“ ქარიშხალი უნდა ჩადგეს. საკვირველია, ღმერთმანი, ვისაც კი პოემა ბოლომდის გადაუკითხავს, ყველას მოსვლია ტექსტის თავის ყაიდაზე გასწორების მადა. ამის ატანა შეიძლება კი?“ ვის წინააღმდეგაა მიმართული ეს მწარე სიტყვები, თუ არა სწო-

რედ მომრავლებული, თავშეუკავებელი დილექტანტების წინააღმდეგ? დასაშვებია წალმა დაწერილის უკუღმა წაკითხვა? ირკვევა: წერილი ხელს არ უწყობს დილექტანტიზმისა და ნიპილიზმის წაქეზებას.

გადავიდეთ მესამე რიგის შენიშვნებზე. წერილში ნამდვილად არის ლაპარაკი ძველ და ახალ ინტერპოლატორებზე. რეცენზენტმა ძველ ინტერპოლატორებზე მსჯელობა საცილობლად არ მიიჩნია, მაგრამ თანამედროვე ინტერპოლატორებზე საუბარი გაიოცა: ესენი ვიღა არიან, ინტერპოლატორი ლექსიკონებში სხვა რამეს ნიშნავსო. გაუგებრობაა! კარგად ცნობილია, რომ ინტერპოლატორი ინტერპოლაციის მოქმედს ნიშნავს, ინტერპოლაცია კი — შეცვლა, განახლება, თხზულების ტექსტში იმისთანა რამის ჩართვა, რაც ავტორს არ ეკუთვნის. ეს საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ არ სცოდნია ჩვენს რეცენზენტს. მას მცდარად ესმის ტერმინის აზრი. „ტექსტოლოგიაში ინტერპოლაცია ეწოდება გვიანდელ ჩანამატს ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტში, ინტერპოლატორი კი — გვიანდელი ხანის ჩამატებელს. საკვირველია, რომ სარეცენზიო წერილში ეს ტერმინები უმართებულოდ, საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება“. საკვირველი ეს კი არა, ის ვახლავთ, რომ რეცენზენტს არ სცოდნია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. ინტერპოლაცია ჩამატებასთან ერთად გადაკეთებაცაა, ე. ი. ტექსტში რაიმე სიტყვის ჩართვა ან გადაკეთება, შეცვლა. ინტერპოლატორი სრულიად არ ნიშნავს მხოლოდ გვიანდელი ხანის ჩამატებელს, როგორც ამას რეცენზენტი ბრძანებს, ის ახლანდელიც შეიძლება იყოს. ჩემი მსჯელობა მკითხველს უსაფუძვლოდ რომ არ მოეჩვენოს, შევახსენებ ლექსიკოგრაფიულ ცნობარებს. აი, მაგალითად, ტერმინი როგორ არის განმარტებული ქართულ

ენციკლოპედიაში: „**ინტერპოლაცია ტექსტოლოგიაში** (ყურადღება მიაქციეთ: ტექსტოლოგიაში!) ნაწარმოების ტექსტში არაავტორისეული ადგილების (ცალკეული სიტყვების, წინადადებების, მთელი აბზაცის ან სტროფის) ჩამატება-გადაკეთება (ყურადღება მიაქციეთ: ჩამატება-გადაკეთებაო!). ამგვარი ადგილები განსაკუთრებით ხშირია ხელნაწერ ძეგლებში“ (ტ. 5, 180). მიგმართოთ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიასაც. აქაც იგივეა ნათქვამი: «**Интерполяция... включение в основной текст произведения переделок и вставок, не принадлежащих автору**» (ტ. 18, 1953, 304). კმარა. სხვა წყაროებზე აღარ შევჩერდები. ინტერპოლაცია მართო ჩამატება არ ყოფილა, ინტერპოლატორი მხოლოდ გვიანდელი ხანის ჩამატებელს არ შეიძლება ეწოდოს. რა გაეწყობა: ტექსტოლოგს ხეირიანად არ სცოდნია ინტერპოლაცია სიტყვის სწორედ ტექსტოლოგიური მნიშვნელობა, სხვას კი ჰკუას ასწავლის. შემდეგ რეცენზენტმა წერილიდან ამოგლიჯა ფრაზა, შეკრიბა ის და დასძინა: „გაუგებარია, რას ნიშნავს სწორებათა (ჩამატება-გამოკლებათა) ინტერპოლაციები“. წერილში კი სხვა რამეა ნათქვამი და გასაგებოდაც. აღვადგინოთ ეს ადგილი: „რაც დრო გადის, უფრო დაუჭერებელი ხდება სწორებათა (ჩამატება-გამოკლებათა), ინტერპოლაციები, ადრეც რომ უწარმოებიათ და აწარმოებს ახლაც“ (გვ. 12). ე. ი. აქ საუბარია იმაზე, რომ დაუჭერებელი ხდება (მხედველობაშია, ცხადია, მიღებული უმართებლო) ადრინდელი და ახალი ჩამატება-გამოკლებანი, ინტერპოლაციებიო. რა არის აქ გაუგებარი? რეცენზენტს უნდა ეკითხოთ: თუ პოემის ტექსტში არ ყოფილა, ან იყო რომელიმე იშვიათ ხელნაწერში ესა თუ ის წაკითხვა, თვით ინდო-ხატაელთა ამბისა და ცალკე სიტყვების ჩათვლით, მაგრამ ტექსტოლოგებმა კანონზომიერად ჩართეს პოემის ტექსტში, ვითომ ინტერპოლაცია არ

იქნება? ამისთანა შემთხვევაში ინტერპოლაცია ბოროტებად ხომ არ უნდა მივიჩნიოთ! ასევე შეუწყნარებელია რეცენზენტის მსჯელობა „თანამედროვე ინტერპოლატორთა“ შესახებ, რადგან წერილში დასახელებული არ ყოფილა არც ერთი ძველი ან თანამედროვე მსწორებელთა გვარი.

როგორც ჩანს, რეცენზენტს ჰგონია, რომ 968-ე სტროფის ბედის საკითხი პირველად ახლა და თითქოს მხოლოდ ჩემს წერილშია აღძრული და ამიტომ მოაქვს იერიში მის წინააღმდეგ. მას მხედველობიდან გამოჰპარვია, რომ ჩვენი სტროფის დასადავად თავის დროზე სხვა ავტორებმაც აღიმაღლეს ხმა და თავიანთი შენიშვნები უფრო მკაცრად გამოთქვეს. რა შეიძლება ამას ეწოდოს, ფაქტების უცოდინრობა, თუ იჯნორაცია, თუ ორივე ერთად? რეცენზენტი მოვალე იყო, კარგად გაეთვალისწინებინა საკითხის ისტორია, განეხილა 968-ე სტროფის სხვა დამცველთა არგუმენტაცია, რაღაც მაინც ეთქვა ვახტანგ მეექვსეზეც, რომელმაც სადავო სტროფი უდავოდ შეიტანა პოემის პირველ ბეჭდურ გამოცემაში. ამით ის მკითხველს უფრო მეტ სამსახურს გაუწევდა.

რეცენზენტი მიუთითებს, რომ წერილში წარმოდგენილი არ არის 968-ე სტროფისადმი ტექსტოლოგთა დამოკიდებულების ისტორიაო. არ არის მართალი! აქ ისტორია სწორადაა გამოცემული, ნაჩვენებია პირველწყაროების შესატყვისად დასახელებული პოემის ტექსტის ხელნაწერებიცა და გამოცემებიც, რომლებშიც გვხვდება ან შეტანილი არ არის სადავო სტროფი. კვლავ იძულებული ვარ მკითხველს შევაცხენო სათანადო ადგილი წერილიდან: „სტროფი, როგორც იმავე, დატოვებულია პოემის სათუბილეო (1937 წ.) გამოცემაში, რომელსაც ა. შანიძე კანონიკურს უწოდებს („გვებხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ., 1956, გვ. 05). ცნობილია, რომ ძველის ტექსტის დადგენაზე მაშინ მუშაობდა ავტო-

რიტეტული კომისია კ. კეკელიძის (პირველი თავმჯდომარე), ა. შანიძის (მეორე თავმჯდომარე), იუსტ. აბურჯანიანი ს. კაკაბაძის, პ. ინგოროყვას, კ. ჭიჭინაძის, პ. ბარამიძის, ვ. ბერიძისა და ს. იორდანიშვილის (მდივანი) შემადგენლობით. კომისიამ უაღრესად რთული სამუშაო შეასრულა: გაასწორა მრავალი შერყენილი ადგილი, ტექსტი გაწმინდა ჩანარებისა და მინარევებისგან, მაგრამ ჩვენს სტროფს არ შეჰხებია, ხელუხლებლად დატოვა“. ვგებინეს ის ისტორია არ არის! მიუხედავად იმისა, რომ ის ინფორმაცია, რაც ამასთან დაკავშირებით მოთხრობილია რეცენზიაში, მკითხველისათვის იმ პერიოდში უცნობი იყო და ლიტერატურაშიც მხოლოდ გვიან, სამ ათეულზე მეტი წლის შემდეგ გამოჩნდა, წერილის ავტორისათვისაც კარგად იყო ცნობილი. მაგრამ საქმის შინაარსს არ ცვლიდა. ასე თუ ისე, სადავო სტროფი შეტანილი გახლდათ ძირითად ტექსტში და პოემაც ამ სახით იბეჭდებოდა, ისწავლებოდა სკოლაში, ითარგმნებოდა სხვა ენებზე. სტროფს კომენტარს უკეთებდნენ სპეციალისტები, იბეჭდებოდა სწორედ იმ საიუბილეო კომიტეტის სახელით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა იმ მეცნიერთა ძირითადი ნაწილი, მიზანშეწონილად რომ არ მიაჩნდა 968-ე სტროფის შეტანა პოემის ძირითად ტექსტში. ესეც ხომ არის ისტორია! რაც შეეხება ამ მეცნიერთა პოზიციას სადავო სტროფისა და პოემის სხვა საკითხებზე, მას, ცხადია, აქვს თავისი ისტორია და მეტად საინტერესო ისტორიაც, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

ამიტომ რეცენზენტის საყვედური, თითქოს საკითხის ისტორია ვაივალისწინებელი არ არის, წერილში იგნორირებულია კარგად ცნობილი ფაქტებით უსაფუძვლოა, რბილად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელი. რეცენზენტი შემდეგ იმოწმებს გრძელ ამონაწერს ს. ყუბანეიშვილის წიგნიდან, რომელიც ჩემთვისაც უარგადაა ცნობილი, და დასძინს:

აქედან არ ჩანს, რომ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ჩვენი სტროფის ავტორისეულობასო. დავუშვათ, თითქოს ეს ასეა, ტექსტი ხომ მაინც იმ საიუბილეო კომიტეტის სახელითაა გამოცემული, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებიც. გამოდის, მათ, ასე თუ ისე, მხარი დაუჭირეს გამოცემას, უკმაყოფილება კი იყო, მაგრამ მაშინ ამ გამოცემის წინააღმდეგ საჯარო პროტესტი თითქოს არავის განუცხადებია, ხოლო ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილ იმ კომისიისაგან ჩანართად მიჩნეულ სტროფებში, რომელიც 1948 წ. გამოიცა, ჩვენი სტროფი დასახელებული არ არის. ყოველივე ამას, რაც მთავარია, მოწმობს პოემის ტექსტის 1937 წლის საიუბილეო გამოცემა, რომელსაც შავით თეთრზე აწერია: „დაიბეჭდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით, სარედაქციო კოლეგია: პროფ. ი. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, პროფ. კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე, კ. ჩარკვიანი“, ეს არის ნამდვილი ისტორია. ამის შემდეგ საკვირველია რეცენზენტის სიტყვები: „დიდი მიხედვით არ სჭირდება იმის გაგებას, რომ 968-ე სტროფი მხოლოდ სადირექტივო ორგანოების აქტიური ჩარევისა და ძალდატანების შემდეგ მოხვდა 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტში“.

ამ სტრიქონების ავტორს ალბათ ჰგონია, რომ ვახტანგის გამოცემის ტექსტში 1712 წელს, ჩუბინაშვილისა (1840, 1860 წწ.) და სხვა გამოცემებშიც 968-ე სტროფი „მხოლოდ სადირექტივო ორგანოების აქტიური ჩარევისა და ძალდატანების შედეგად მოხვდა“. აი, რა კურორზამდის შეიძლება მიგვიყვანოს ხოლმე ტენდენციურმა მსჯელობამ.

ასევე უმართებულოდ უნდა მივიჩნიოთ რეცენზენტის საყვედური პ. ინგოროყვას შეხედულებათა ევოლუციის შესახებ: პ. ინგოროყვას შეხედულებას

ევოლუცია არ განუცდიოთ. ჯერ ერთი, წერილში გასაგებად ნათქვამია: „1953 წ. პ. ინგოროყვამ თავად დააბეჭდა ტექსტი, შიგ ასობით შესწორება შეიტანა, მაგრამ ჩვენი სტროფი თავის ადგილას დატოვა. 1970 წ. ხელმეორედ გამოცემულ ტექსტში ის აღარ შეიტანა. განა ეს მკვლევრის შეხედულების ევოლუციას არ ნიშნავს? რეცენზენტი მაინც გაიძახის: „არ არის მართალი! 1953 წლის გამოცემაში პ. ინგოროყვას ტექსტი არ გაუცხრილავს! მან, მართლაც, ასობით წაკითხვა შეცვალა ტექსტში, მაგრამ პოემის სტროფულ შედგენილობას არ შეხებია, ერთი სტროფიც არ ამოუგდია ტექსტიდან“.

ჯერ ერთი, გაცხრილვა სტროფის მართლ ამოგდებას სრულიად არ ნიშნავს. რეცენზენტს უნდა მოეხსენებოდეს, რომ გაცხრილვა გულისხმობს ცხრილში გატარებას, გაწმენდას, გარჩევას, გარკვევას, განხილვას, ზედმეტის მოშორებას, გასუფთავებას, დახვეწას. ეს ყველაფერი შეასრულა პ. ინგოროყვამ. რაღა დარჩა, თუ კი მოისურვებდა, ვინ დაუშლიდა რომელიმე სტროფის ამოგდებასაც. ის ხომ პაეღე ინგოროყვა იყო და არა სხვა ვინმე. რაც შეეხება რეცენზენტის ბავშვურ მტკიცებას, რომ პ. ინგოროყვას უფლება არ ჰქონდა პოემის ტექსტის სტროფულ შედგენილობას შეხებოდოდა, მხოლოდ ღიმილს იწვევს. თავად პ. ინგოროყვა პოემის ტექსტის სტროფული შედგენილობის საკითხზე შენიშნავს, რომ 1937 წ. გამოცემა „მიღებულ ტექსტად ითვლებოდა“ და თავისი 1953 წ. გამოცემის შესახებ დასძინს: „წინამდებარე გამოცემაში ჩვენ უცვლელად დაეტოვეთ მისი სტროფული შედგენილობა“ (გვ. 513). აქედან ცხადია, რომ თავად რედაქტორს დაეტოვებია უცვლელად ტექსტის სტროფული შედგენილობა და არა სხვა ვინმეს. პ. ინგოროყვას რად დასჭირდებოდა პოემის ტექსტზე მსჯელობის უფლების მოპოვება. იგი თავის აზრებს „ვეფხისტყაოსნისა“ თუ სხვა საკითხებზე ყოველთვის თავისუფლად

და გაბედულად გამოთქვამდა. ვის ვაძრუებთ!

შემდეგ რეცენზენტი ლაპარაკობს პოემის ძველ ხელნაწერებზე და ჩემს შენიშვნას ამასთან დაკავშირებით აკრძალული ილეთებით ბრძოლის დარად მიიჩნევს. ყველამ კარგად უწყის, რომ ძველი ხელნაწერების ერთ (მცირე) ნაწილში 968-ე სტროფი მოიპოვება, მეორე (მეტ) ნაწილში არ გვხვდება. ყველამ იცის ისიც, რომ ეს ხელნაწერები სხვადასხვა წარმოშობისაა. წერილის ავტორს უბრალოდ აინტერესებდა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ხელნაწერთა რაღაც ნაწილში ჩვენი სტროფი ნამდვილად მოიპოვება. რა აკრძალული ილეთებზე შეიძლება აქ ლაპარაკი? ვახტანგისა და სხვა გამოცემებშიც რომ გვხვდება სადავო სტროფი, ამას რაღაც ვუყვით-მეთქი. აი, რაზეა საუბარი წერილში. A, B, C, D რედაქციის ხელნაწერებში არ არის, დაუზიანებელი 9 ხელნაწერიდან — შეიძლება. კეთილი და პატიოსანი! ზოგიერთ ხელნაწერში მაინც რომ გვაქვს, ეს განა პატარა საბუთია? ამ ხელნაწერებში სტროფი სხვა რედაქციის ნუსხებიდან უნდა იყოს შეტანილი, — და საქმეც ეგ გახლავთ. თურმე ყოფილა რომელიღაც რედაქცია, სადავო სტროფი შიგ რომ მოიპოვებოდა, და წერილშიაც იმაზეა ლაპარაკი. რეცენზენტის ძალ-ღონეს აღმატებოდა ამ ფაქტის უარყოფა და გამოლომა შემოდავება ამჯობინა. ამის შემდეგ მკითხველმა განსაჯოს, ვინ ცდილობს აკრძალული ილეთებით მსჯელობას!

ახლა რამდენიმე სიტყვა 968-ე სტროფის ენობრივად გაუმართაობის საკითხზე, რაზედაც ლაპარაკია წერილშიც. რეცენზენტი დიდ ადგილს უთმობს იმის აღნიშვნას, თუ ვის ეკუთვნის წყაღეში სიტყვა. ეს კონიექტურა ხომ ნ. ნათაძეს ეკუთვნის! წერილში არის კი რამე მინიშნება იმაზე, რომ ეს კონიექტურა ნ. ნათაძეს არ ეკუთვნის? პოემის ნათამისეული გამოცემა წერილში დამოწმებულია იმისათვის, რომ

მისში დაცულია სადავო სტროფი. აქვს ორი საკითხია ერთმანეთში არაუკლები სადავო სტროფის შეტანა გამოცემაში და ამ სტროფის შესახებ გამოსაქვეყნებელი შეხედულების საფუძვლიანობა-არასაფუძვლიანობა. რეცენზენტი გამოტოვა წერილის ავტორის შენიშვნა: „მალრიბელის ნაცვლად უნდა იყოს მალრიბითო. ახსნა დამაჯერებელი არ არის.“ და რაღაც კურონოზებზე დაიწყო მოთქმა. შეხედეთ, საკითხი რა მარტივად არის გადაწყვეტილი. რახან ამ საკითხს თ. კვაჭანტირაძეც შეეხო და იგივე აზრი გამოთქვა, საჭიროა რამდენიმე დამატებითი შენიშვნის გაკეთება. თ. კვაჭანტირაძემ ბრძანა: „და მაშრიყთ მალრიბელნი“ კი შინააბსოლუტად შეუსაბამოა — აღმოსავლეთიდან დასავლელები მოდიოდნენო. ასეთ უცნაურობას კი რუსთაველი ვერ იტყვოდაო“. იგივე გაიმეორა გ. კარტოზიაძეც. მაგრამ ეს უმართებულო მსჯელობაა, რაც გამოწვეულია ტექსტის მცდარი გაგებით. ოპონენტთა მსჯელობა ეყრდნობა იმის გაგებას, რომ არაბ. მალრიბი თითქოს ზოგადად ნიშნავს მხოლოდ დასავლეთს და არა კონკრეტულ ქვეყანასაც; და არაბ. მაშრიყი — მხოლოდ ზოგადად აღმოსავლეთს და არა კონკრეტულ ტომონიშსაც. „მაშრიყი აღმოსავლეთს ნიშნავს, მალრიბი კი — დასავლეთს“, „სარეცენზიო წერილის კონიექტურას თუ მივიღებთ, რა გამოვა? აღმოსავლეთიდან დასავლელები მოდიოდნენ! შეიძლება განა, რუსთაველს ასეთი უაზრობა მივაწეროთ?!“ — ბრძანებს თ. კვაჭანტირაძესთან ერთად ჩვენი რეცენზენტი. მაგრამ ეს მსჯელობა სრულიად არ არის მართალი, საკმარისია, ჩავხედოთ სპეციალურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიურ ენობარებში, რომლებიც ასახავენ როგორც უძველეს, ისე რუსთაველისდროინდელ ენათმეცნიერებას, რომ საქმე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგეს. მაშრიყ და მალრიბ სიტყვებს თურმე თითო კი არა, ორთრი მნიშვნელობა აქვთ. შორს ნუ წავალთ, აი, თუნდაც დ. ა. მაგაზინკის

ლექსიკონის თანახმად **მალრიბ** ნიშნავს დასავლეთსაც და კონკრეტულ ქვეყანასაც (მაროკოსაც). **მალრიბელი** — მაროკოელებსაც და ბერბერებსაც. ასევე **მაშრიყი** აღნიშნავს როგორც ზოგადად აღმოსავლეთს, ისე ტომონიმ **აღმოსავლეთსაც**. **მალრიბი** ტომონიმი, აფრიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილის საკუთარი სახელი, როგორც ეს სწორადაა მითითებული ე. ა. ნიკონოვის ლექსიკონშიაც. ენციკლოპედიური ცნობარებიდან ცნობილია, რომ ტერმინი **მალრიბი**, სემანტიკურად დასავლეთს რომ გულისხმობს, ამავე დროს აღნიშნავს აფრიკის დიდ რეგიონსაც, რომელშიც, სხვათა შორის, ერთიანდება: ტუნისი, ალჟირი, მაროკო, აგრეთვე ლიბია, მავრიტანია და დასავლეთი სპარსის ტერიტორია, ერთად რომ დიდ მალრიბს ქმნის. შუასაუკუნეების მალრიბში შედიოდა მუსულმანური ესპანეთიც. მალრიბის ცნება ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში შუასაუკუნეთა მეცნიერებმა დაამკვიდრეს. იმავე დ. ა. მაგაზანიკის ლექსიკონში **მალრიბელი** ცალკე ერთეულადაცაა გამოყოფილი. რაც შეეხება **მაშრიყ** სიტყვას, ისიც ტომონიმი, სათანადო ცნობარებში განმარტებულია, როგორც არაბული აღმოსავლეთის აღმნიშვნელი ტერმინი. **მაშრიყისა** და **მალრიბის** მხოლოდ აღმოსავლეთად და დასავლეთად მიჩნევა, ამ შემთხვევაში შეცდომა იქნებოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ **მაშრიყ** სიტყვა 968-ე სტროფში მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. **მაშრიყით** ისევე უნდა გავიგოთ, როგორც საბერძნეთით, ე. ი. საბერძნეთიდან და ა. შ. გამოდის, სტროფში კონკრეტულად ლაპარაკი ყოფილა არაბულ აღმოსავლეთსა და არაბულ დასავლეთზე და არა ზოგადად აღმოსავლეთ-დასავლეთზე. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ იცოდა რუსთაველმა? უნდა ითქვას ისიც, რომ სიტყვა **მალრიბელი** უშუალოდ არ უკავშირდება **მაშრიყს** ისევე, როგორც

მოფრანგენი არ უკავშირდება ამავე ტომონიმს. აქ ქვეყნების (ინდოეთი, არაბეთი, მაშრიყი) დასახელებების შემდეგ ესა თუ ის ხალხია ჩამოთვლილი. ე. ი. ინდოეთიდან, არაბეთიდან, საბერძნეთიდან, მაშრიყიდან მოვიდინ მალრიბელი, სპარსნი, რუსნი, მოფრანგენი. ერთი დეტალიც დასახელებული ქვეყნებიდან რომელს უნდა მიეკუთვნებოდნენ **მალრიბელი**? ცხადია, რადგანაც აფრიკის ტერიტორიაზე მდებარე **მალრიბი** არაბთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, **მალრიბელი** სწორედ არაბეთს დაუკავშირდება. **მაშრიყიდან** სპარსნი წამოვიდოდნენ, რადგან როგორც ცნობილია, **მაშრიყი** სახელწოდება არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებისა, რომელთა შემადგენლობაში სპარსეთიც შედიოდა. ამიტომ ჩვენი „და მაშრიყით მალრიბელი“ სრულიად არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთიდან დასავლელი მოდიოდნენო. ამას ნამდვილად ვერ იტყოდა რუსთაველი. სიტყვათშეერთების ამინორად გაგება მძიმე შეცდომა იქნებოდა. ჩანს, რეცენზენტები ვერ გარკვეულან ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებში, არსებითად ვერ გაუგიათ წერილის შინაარსი და საფუძველი, მეტად ზერეულედ მოჰკიდებიან საქმეს. ახლა მკითხველმა განსაჯოს, რას შეიძლება ეწოდოს კურობული! ყოველივე ამით, ცხადია, იმის თქმა როდი მინდა, რომ წარმოდგენილი კონიექტურა ერთადერთია და ყველასათვის სავალდებულო. შეიძლება საკითხისადმი სხვა ასპექტით მიდგომაც, უკეთესი ახსნის მოძებნაც, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მრავალტანჯული სტროფი ჩანართად მივიჩნიოთ. სტროფში სხვა ენობრივი შეუსაბამობანიც დასტურდება, მაგრამ, ვიმეორებ, ამით მაინც ვერ მტკიცდება მისი სიყალბე. მოკლედ **მოფრანგე** და **მოხალდადე** სიტყვებზე. **მოფრანგისა** და **მოხალდადის** „ანალოგია მთლად დამარწმუნებელი ვერ არისო“, რადგან „მოსპარსე“, „მორუსე“, „მობერძნე“ და მსგავ-

სი წარმოების სიტყვები არა გვაქვსო. მართლაც, ყურს ერთგვარად ეხამუშება ამ ორი სიტყვის ანალოგია, თანაც ერთი **ზადლად** გეოგრაფიული სახელიდან მოდის, მეორე კი — **ფრანგ** სატომო სახელს გულისხმობს, მაგრამ წერილში ლაპარაკია სიტყვების წარმოებასა და არა სემანტიკაზე. იქ ნათქვამია: „**მოფრანგე** ისეთივე წარმოებისაა, როგორისაც პოემის კანონიერი სიტყვა **მოზადლადე**“. წარმოება ხომ ტრადიციულია! პრაქტიკაში თითქოს არ გვხვდება, მაგრამ **მოქართველე**, **მოთურქე** და მისთ. ხომ ამ ტიპის იქნებოდნენ. **მოფრანგე**, უნდა ვიფიქროთ, ნიშნავს არა აუცილებლად **ფრანგს**, არამედ ფრანგული მოდემის, ფრანგული ორიენტაციის ხალხს, თორემ რად დასპირდებოდა სტროფის ავტორს ამ ფორმის ხმარება, იტყოდა უბრალოდ **ფრანგნაო** ისევე, როგორც ამბობს: მოვიდიან **ხპარხნი** და **რუსნაო**. ასე რომ აქ ისეთი ენობრივი დარღვევა არ ჩანს, ჩვენს სტროფს სასაკლაოზე რომ წაიყვანდა. „სად „მოფრანგე“ და სად „მოქარავენო“?! — აღშფოთებულა რეცენზენტი. ვითომ წარმოება სხვადასხვაა? ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე? გამოდის, წერილის ავტორი ერთ რამეზე ლაპარაკობს, რეცენზენტი კი სულ სხვა რამეზე უპასუხებს.

მთელი სვეტი ეთობობა პოემაში გაზვიადება-გადაჭარბების გამო ლაპარაკს. „ვეფხისტყაოსანში“ ჰიპერბოლა რომ ფართოდ გამოყენებული ზერხია, ამაზე ვინ დაობსო?!“ აბა დაშვებული უზომო გადაჭარბება წერილის ავტორსაც აფიქრებს და ეს მას აღნიშნულიც აქვს. რეცენზენტი შენიშნავს: „დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწყოდა“, წერილში ჰიპერბოლის ნიმუშად რომაა დასახელებული, ჩანართადაა მიჩნეულიო. მერე და ამით რა იცვლება? ჯერ ერთი, ამ გამოთქმის შემცველი სტროფი გამოცემებშიცაა შეტანილი, მაგრამ თუნდაც ყალბად მივიჩნიოთ, სხვა მაგალითით შეცვლა ვერ მოხერხდება! იქვეც ხომ არის დასახელებული სხვა ნიმუ-

შები! ჰიპერბოლა ხომ ჰიპერბოლაა და რეცენზენტი დაჩივბა!

ასეთია მოკლედ რეცენზიის პათოსი, არის ორიოდ სხვა შენიშვნაც, მაგრამ მათზე შეჩერება საკიროდ არ მიმაჩნია, რადგან ისინი არსებით საკითხებს არ ეხებიან. მკითხველმა დაინახა, რომ რეცენზენტის შენიშვნები მართალი არ აღმოჩნდა. ისინი სუბიექტურ განწყობილებას გამოხატავენ და ობიექტურობას მოკლებულნი არიან. რეცენზენტი ლაპარაკობს დიქტატის ტონით. გამოცვა მისმა პრეტენზიულმა, კუკუს დამრიგებლურმა ტონმა. ვანა ამას არ სჯობდა უფრო ზომიერი ტონით მსჯელობა! მიკვირს, მაინც ასე რამ გაახელა ეს კაცი? ცხადია, ამ წესით ვერაფერ ვერაფერს ვერ დაამტკიცებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენმა მეცნიერებმა დიდი საქმე შეასრულეს პოემის როგორც ტექსტის დადგენის, ისე შესწავლის საქმეში. მათი ღვაწლი საშვილი-შვილო მნიშვნელობისაა. მკითხველი მოუთმენლად მოელის პოემის ახალ გამოცემას. წინ კი ცოტა სიძნელე როდია დარჩენილი. დაბრკოლებებიც, ტკივილებიც გადასალახავია. უდავოა, რომ პოემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ დიდი სამუშაო შეასრულა, რაც უქველად დასაფასებელია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ზოგიერთმა ახალმა კონიექტურამ მოწონება ვერ დაიმსახურა და გაცემასთან ერთად გულისტკივილიც გამოიწვია. ეს კი იმას მოასწავებს, რომ საქმე მთლად დამთავრებულად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება, ძიება უფრო საჭაროდ, მეტი საერთო ძალისხმევით უნდა გაგრძელდეს.

გული დამწყდა, რომ რეცენზენტი ამოდ დაშვრა, წერილი არავის წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული, საერთო ღვიძლ საკითხს ეხებოდა, მან კი ასე ცალმხრივად და მრუდვად სარკეში დაინახა. უწყინარ საკითხებზე ჯარიშხლის ატეხის მაგივრად, ვფიქრობ, აჯობებდა, რეცენზენტს მკითხველისათვის მიეწოდებინა რაიმე ახალი ინფორმაცია წერილში აღძრულ მწვავე

საკითხებზე. სახელდობრ იმაზე, თუ რითი შეიძლება აიხსნას, რომ პოემის ქართველიშვილისეულ გამოცემაში დაბეჭდილია განთქმული მიხაი ზიჩის ნახატი, რომელიც სწორედ სადავო სტროფის შინაარსს ასახავს, მაგრამ ეს სტროფი გამოცემაში არ გვხვდება, გვაქვს გამოცემები, რომლებშიაც გაანალიზებულია სადავო სტროფის ლექსიკა, მაგრამ მათში ეს სტროფი შეტანილი არ არის, რომ ცნობილმა მეცნიერმა, მიხაკო წერეთელმა, პოემის პა-

რიზულ გამოცემაში ტექსტიდან ამოღო არა მარტო 968-ე, არამედ საოცარი 967-ე სტროფი და მთლიანად ის თავიც, რომელშიაც ეს სტროფებია დამოწმებული. სამწუხაროდ, რეცენზენტმა ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებს დუმილით აუარა გვერდი, მაგრამ ეს მის სინდისზე იყოს. დიქტატის დრო წავიდა. გარდაქმნა, საჯაროობა, დემოკრატიზმი მეცნიერებაშიაც ისევე აუცილებელია, როგორც ცხოვრების სხვა დარგებში.



ნოდარ ლომოური

აუსილაბელი ბანკარტეზი

აღმანახ „კრიტიკის“ 1988 წლის №3-ში რუბრიკით „საინტერესოა“ გამოკვეყნდა პროფ. ზ. სარაჯველასის წერილი: „ბოლნისის უძველესი წარწერის ზოგი აღდგენილი ადგილის შესახებ“, რომელშიაც პატივცემული მეცნიერი ბოლნისის სიონის ცნობილი სამშენებლო წარწერის ზოგიერთი დაზიანებული ადგილის, მისი აზრით, არასწორი აღდგენის წინააღმდეგ ილაშქრებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მისი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიიქცია წარწერის პირველმა სტრიქონმა და პროფ. ზ. სარაჯველამ არ ეთანხმება არც ა. შანიძისეულ წაკითხვას: „...ოც წლისა პეროზ მეფისა ზე...“ და არც 1985 წ. ე. მაჭავარიანის მიერ შემოთავაზებულ აღდგენას: „...ოც წლისა პეროზ მეფე (ასასა)...“

ა. შანიძისეული აღდგენა პატივცემ-

ულ მკვლევარს „ენობრივად მიუღებელ კონსტრუქციად“ მიაჩნია, რაც შეეხება ე. მაჭავარიანისეულ წაკითხვას; იგი კატეგორიულად აცხადებს: „ამგვარი აღდგენა მიუღებელია არა მარტო ძველი ქართულის ადრეული ხანის ენობრივი ნორმებისათვის, არამედ ქართული ენის ბუნებისათვის, მისი სისტემისათვის საზოგადოდ“ (გვ. 98).

მაგრამ პროფ. ზ. სარაჯველამ განსაკუთრებით აღუშფოთებია იმ ფაქტს, რომ ე. მაჭავარიანისეული აღდგენა სავსებით მისაღები აღმოჩნდა ჩემთვის. დიახ, სწორედ აღუშფოთებია, რადგან თავს დამატება ისეთი ბრალდებები, რომლებიც პირდაპირ შეუარაცხოფის მიჯნაზე დგას.

მოვიტანოთ ეს ადგილი სიტყვასიტყვით: პროფ. ზ. სარაჯველამ აღნიშნავს რომ „ეინც ძველი ქართულის ელემენტარული ნორმები იცის, არ დაეთანხ-

მება ე. მაჭავარიანის მეფე (ასასა) ფორმის აღდგენაში“ და განაგრძობს: „სამაგიეროდ, ე. მაჭავარიანისეული აღდგენა სავსებით მისაღებია ნ. ლომოურისთვის. იგი (ე. ი. მე, ნ. ლ.) წერს: „ელ. მაჭავარიანისეული აღდგენა ტექსტისა ლოგიკურია, კონკრეტულ პარალელურ მონაცემებს ემყარება, შინაარსობრივ სტრუქტურულ ანალიზს ეთანხმება, ამასთან ზუსტად შეფუთვება დაკარგულ ასო-ნიშანთა რაოდენობას და შემორჩენილი სამი გრაფიკული მასში ზუსტად ჯდება“. ვფიქრობთ, — განაგრძობს პროფ. ზ. სარჯველაძე — ზედმეტია გავიმეოროთ ის, რაც ზემოთ ითქვა „მეფე (ასასა)“ ფორმის აღდგენის შესახებ, ოღონდ თავს უფლებას ვაძლევთ დავსვათ კითხვა: სანამ ასეთ კატეგორიულ მსჯავრს გამოიტანდეს, რატომ არ უფიქრდება ჩვენი ზოგიერთი კოლეგა, შესწევს კი სათანადო ცოდნა? ძალუძს კი იყოს არბიტრი ისეთი საკითხების რკვევისას, რომლებიც მისთვის სრულიად გაუგებარია? ხელაღებით ასეთ საკითხებზე მსჯელობა, მეტი რომ არ ვთქვათ, დიდი გამბედაობაა“ (გვ. 99). ციტატის ბოლოს სქოლიოს ნომრის მიხედვით ირკვევა, რომ იგი მოყვანილია ჩემი ნაშრომიდან: „ბოლნისის სიონის საკითხისათვის“: „მაცნე, ისტორიის... სერია“, № 3, 1984, გვ. 160 (იხ. იმავე გვ.ზე სქ. 13).

ცოტა კი ვამიკვირდა, 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, როგორ მოვახერხებ გამეზიარებინა დებულება ე. მაჭავარიანის შრომისა, რომელიც 1985 წელს გამოვიდა, ან ეს ჩემი მკრეხელური საქციელი, როგორ ჩავიდინე 160-ე გვერდზე, როდესაც ჩემი დამოწმებული სტატია „მაცნეს“ სათანადო ნომრის 115-129-ე გვერდებზეა დაბეჭდილი, მაგრამ ამ წვრილმანს აღარ გამოვეკიდე, რადგან იმდენად მძიმე ბრალდებები წამომიყენეს, რომ ამან ყოველივე სხვა დაჩრდილა. თან ბოლო წინადადების „მეტი რომ არ ვთქვათ“ რომ გავშიფრე, ნათლად მიგხვდით, რომ, მეცნიერულ არაკომპეტენტურობასთან

ერთად, მეცნიერული თავხედობაც მბრალდება არაორაზროვნად.

და მსწრაფლ მეც დამეხდა პატივცემული ზ. სარჯველაძის მიმართ ერთი კი არა, რამდენიმე კითხვა, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ, დავსვა ერთი მათგანი: სანამ ასეთ კატეგორიულ მსჯავრს გამოიტანდეს, სანამ ასეთ მძიმე ბრალდებებს წარუყენებს კოლეგას, რატომ არ უფიქრდება ზოგიერთი კოლეგა, სწორად გაიგო კი ის მსჯელობა, რომლის წინააღმდეგ ასე მკაცრად გავილაშქრა?

ახლა კონკრეტულად საკითხის ფაქტობრივ მხარეს მივხედოთ. პროფ. ზ. სარჯველაძის მიერ მოტანილი ციტატი ყალბი არაა, იგი ნამდვილად მე მეკუთვნის, რა ვუყოთ, რომ ეს სიტყვები ჩემს სხვა ნაშრომშია ნათქვამი, ზომაა ნათქვამი. სხვა საქმეა, როგორაა ნათქვამი! სხვა საქმეა, რომ ისინი მთელი კონტექსტიდან ხელოვნურადაა ამოგლეჯილი. ჩემს წერილში — „კვლავ ბოლნისის სიონის დათარიღების საკითხისათვის“, რომელიც „მაცნეს“ აღნიშნული სერიის, ოღონდ 1986 წლის მე-3 ნომერშია დაბეჭდილი, მე ვუდარებ ერთმანეთს ბოლნისის წარწერის აღნიშნული ადგილის აღდგენის ორ ვარიანტს: ბ. მჭედლიშვილი-რ. პატარიძე-ს. კაკაბაძის მიერ შემოთავაზებულ და ა. ბოგვერაძის მიერ გაზიარებულს: „პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა...“ და ე. მაჭავარიანისეულს: „პეროზ მეფემასასა...“, ვცდილობ ვაჩვენო, რომ პირველი ვარიანტი მცდარია, რომ აქ შეუძლებელია სიტყვების „თვისისა“-ს და „ნახპეტობასა“-ს წაკითხვა და შემდეგ ასე ვმსჯელობ: „შეიძლება შეგვნიშონ, რომ ა. შანიძის და ელ. მაჭავარიანის მიერ ამ ადგილის წაკითხვაც ნებისმიერია, რაკილა აქ არავითარი ასო-ნიშნები არ ჩანს, რომ ვთქვათ ელ. მაჭავარიანის უკანასკნელი წაკითხვა „...პეროზ მეფემასას მშენებაა ხიწყო“ აგრეთვე ავტორის ადგენილია, მამ რატომ უნდა მივეცეთ უპირატესობა ამ წაკითხვას შედარებით „მე-

ფეთა თვისისა“-სთან? მაგრამ საქმე ისაა, რომ ელ. მაჭავარიანისეული აღდგენა ტექსტისა ლოგიკურია, კონკრეტულ პარალელურ მონაცემებს ემყარება, შინაარსობრივ სტრუქტურულ ანალიზს ეთანხმება, ამასთან ზუსტად შეეფერება დაკარგულ ასო-ნიშანთა რაოდენობას და შემორჩენილი სამი გრაფიკაც მასში ზუსტად ჯდება; ხოლო მეორე ვარიანტს კი არავითარი არც ლოგიკური, არც შინაარსობრივი, არც გრაფიკული საფუძველი არ გააჩნია“ („მაცნე, ისტორიის... სერია“, 1986, №3, გვ. 160).

თი ეს ბოლო ნაწილი ჩემი მსჯელობისა პროფ. ზ. სარჯველაძემ საერთოდ არ მოიტანა, თვითნებურად და უადგილოდ შეწყვიტა კონტექსტი და ამით პრინციპულად დაამახინჯა მთელი ჩემი მსჯელობა. მკითხველი კარგად დაინახავდა, რომ მე სიტყვაც არ დამიძრავს. მაჭავარიანის მიერ შემოთავაზებული მოსაზრების შესაბამისობაზე ძველი ქართულის ენობრივ ნორმებთან, ქართული ენის ბუნებასთან, მის სისტემასთან. ამ საკითხებში მე მართლაც არაკომპეტენტური ვარ და ვერც დამოუკიდებელ მსჯელობას და ვერც არბიტრის როლის შესრულებას ვერ გავბედავდი. მე ლაპარაკი მაქვს მხოლოდ ტექსტის აღდგენის ლოგიკურობა-ალოგიკურობაზე, წარწერის შინაარსობრივ სტრუქტურასთან შესაბამისობა-არაშესაბამისობაზე, ორივე აღდგენის გრაფიკულ არგუმენტაციებზე. ამ საკითხებზე მსჯელობის უფლებას კი, ვფიქრობ, პროფ. ზ. სარჯველაძე მოწყალებას მოიღებს და დამიტოვებს.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით კი, ე. ი. ლოგიკურობის, შინაარსთან შესაბამისობის, გრაფიკული არგუმენტაციის თვალსაზრისით, ე. მაჭავარიანის აღდგენა უფრო მისაღებია, ვიდრე მჭედლიშვილ-პატარიძე-კაკაბაძისა. ამას ვამბობ მე ზემოაღნიშნულ სტატიაში და მეტს არაფერს. უფრო მეტიც; ე. მაჭავარიანისეული აღდგენა აღფხ-ღღობით ყველა შემოთავაზებულ აღდგენა-

სთან შედარებით ერთადერთი დამაჯერებელი აღდგენაა. იქნებ პროფ. ზ. სარჯველაძემ შემოგთავაზებულ სხვა ვარიანტი? დღეს, როდესაც გადაჭრით და უეჭვოდ გარკვეულია, რომ წარწერაში გვაქვს „ოც წლისა პეროზ მეფე...“, როცა ასევე გადაჭრით გარკვეულია, რომ ამის შემდეგ შეუძლებელია ვწეროს სიტყვები „თვისისა ნახეტობა-სა...“, საინტერესოა, რა წაკითხვას შემოგთავაზებდა ჩვენი თბონენტი? ეს მართლაც საინტერესო იქნებოდა და გასაგები განდებოდა, რატომ მოაქცია აღმანახის რედაქციამ ეს წერილი რუბრიკაში „საინტერესოა“, თორემ მართკოლეგათა განქიქება არ მგონია ამ რუბრიკაში მოხვედრას იმსახურებდეს. ამრავად, კვლავ უნდა გავიმეოროთ, პროფ. ზ. სარჯველაძის ანალი გულისწყრომაც რომ დავიმსახუროთ, რომ ლოგიკურად, სტრუქტურულ-შინაარსობრივად და გრაფიკულად ეს წაკითხვა რჩება ყველაზე მისაღებად, თუნდაც ენობრივი ნორმების თვალსაზრისით აქ რაღაც შეუსაბამობა იყოს.

და კვლავ გავიმეორებ კითხვას: როცა ასეთ მკაცრ ბრალდებას უყენებთ კოლეგას, რატომ ამოგლეჯთ, პატარო ზურაბ, ხელოვნურად კონტექსტიდან თქვენთვის სასურველ ციტატს, რატომ არ მოგაქვთ კონტექსტი ბოლომდე, რატომ უმალავთ მკითხველს კოლეგის მთელ მსჯელობას და რატომ მიაწერთ მას იმას, რაც არ უთქვამს? ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, ხომ კამათის აკრძალული ხერხია!

ბოლოს და ბოლოს მე ხომ წარწერის აღდგენის ჩემეული ვარიანტი არ მომიცია, გავიზიარე ტექსტის სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული აღდგენა, რომელიც სხვა ვარიანტებთან შედარებით, ჩამოთვლილი მიზეზების გამო, უფრო დამაჯერებელი მეჩვენა. ე. მაჭავარიანისეული აღდგენის პირველი ნაწილი ა. შანიძის წაკითხვას შეიცავს („...ოც წლისა პეროზ მეფე...“), მაშასადამე აქ არსებითად საქმე გვაქვს ა. შანიძისა და ე. მაჭავარიანის ერთობ-

ლოე აზრთან. რატომ მიაჩნია პროფ. ზ. სარჯველაძეს, რომ მე მინცადამინც მისი შეხედულება უნდა გავიზიარო და არა შანიძე-მაჭავარიანისა?! რა ა. შანიძემ, ან თუნდაც ე. მაჭავარიანმა არ იციან „ძველი ქართულის ელემენტარული ნორმები“, არ ესმით „ქართული ენის ბუნება“, ვერ ერკვევიან „მის სისტემაში საზოგადოდ“? ა. შანიძეზე ამ ასპექტში ლაპარაკიც კი ზედმეტად მივგაჩნია, მაგრამ არც ე. მაჭავარიანი გახლავთ ხელწამოსაკრავი, როგორც ქართული ენგრაფიკის სპეციალისტი. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ არსად გამოვიგონია, რომ იგი თვით ზ. სარჯველაძეზე ნაკლებ კომპეტენტური იყოს ამ საკითხებში.

მაგრამ მე მინდა აქ მეცნიერული ეთიკის კიდევ ერთ მხარეს შევეხო: თავისი სტატიის დასაწყისშივე, ეხება რა ბოლნისის წარწერის ა. შანიძისეულ წაკითხვას, პროფ. ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, რომ ამ წაკითხვამ გამოიწვია სერიოზული ხასიათის შენიშვნები და მოჰყავს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრება, გამოთქმული მის ნაშრომში „ბოლნისი“ (ენიკის მოამბე, III, 1938, გვ. 326), აგრეთვე კ. კეკელიძის დაქვევება, რომ კონსტრუქცია: „ოც წლისა პეროზ მეფისა ზე“ ქართულისთვის არაჩვეულებრივია („ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის“, ეტიუდები, VI, 1960, გვ. 419). ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მინდა ვკითხო პროფ. ზ. სარჯველაძეს, რატომ უქმნის მკითხველს ყალბ წარმოდგენას, თითქოს ლ. მუსხელიშვილმა და კ. კეკელიძემ ხელადებით და საბოლოოდ უარჰყვეს ა. შანიძისეული წაკითხვა? რატომ უმაღავს მკითხველს, რომ უკვე 1941 წ. თავის მეორე ნაშრომში („არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში“, თბ., 1941, გვ. 12, შენ. 4) ლ. მუსხელიშვილმა გაიზიარა ა. შანიძისეული წაკითხვა, ხოლო კ. კეკელიძემ პროფ. ზ. სარჯველაძის მიერ დამოწმებული სტატიის ბოლოს აღნიშნა, რომ ა. შანიძის ცდა ბოლნისის წარწერების

ამოკენებისა და აქედან გარკვეულ დასკვნების გამოტანისა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე სხვა რომელიმე („ეტიუდები“, VI, გვ. 420)? და რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ აღნიშნული ადგილის წაკითხვა თუ არა როგორც „ოც წლისა პეროზ მეფ...“-ისა შეუძლებელია. ეს გაიგეს ლ. მუსხელიშვილმაც, კ. კეკელიძემაც, სხვა ეპიგრაფისტებმაც, თუმცა ზედააღწენ, რომ ამგვარი წაკითხვა ერთგვარ შეუსაბამობაშია ძველი ქართულის დღეისთვის ცნობილ ნორმებთან. ჩემს მიმართ აკრძალული ილეთის გამოყენება კიდევ შეიძლება კაცს ეპატიოს, მაგრამ ა. შანიძის მიმართ...?!

მაგრამ ჩემს მიმართ ბრალდება ამით არ ამოიწურება. როგორც ვიცი, რ. პატარიძემ წარწერის პირველი სტრიქონის დაზიანებულ ადგილას აღადგინა სიტყვა „თჳსისა“, მე ეს აღდგენა უარვეყავი, როგორც დაუსაბუთებელი. პროფ. ზ. სარჯველაძეს ესეც არ მოსწონს. იგი წერს: „ნ. ლომოური თვლის, რომ „ეს ტერმინი მთლიანად გამოგონილია“, „ასეთი ტერმინი არ არსებობს“. აქ დამოწმებულია ჩემი მეორე წერილი („კვლავ ბოლნისის სიონის დათარიღების საკითხისათვის“), მოტანილი სიტყვები კი პირველი წერილიდანაა და გვერდებიც (გვ. 122-123) ამ უკანასკნელისაა მითითებული. ნუთუ ციტირება მინც არ შეიძლებოდა ზუსტად?!

შემდეგ პატივცემული მკვლევარი სვამს რიტორიკულ კითხვას: „ვითომც მართლაც არ არსებობს ასეთი ტერმინი?“ და მოჰყავს მონაცემები ილ. აბულაძის, სულხან-საბას, ს. ყაუხჩიშვილის ლექსიკონებიდან, სადაც „თჳსი“ ნიშნავს „ნათესავს“, „მახლობელს“, „თავისიანს“, „ვეფხისტყაოსანსაც“ კი იმოწმებს და ასკვნის: „მეფეთა თჳსისა“ ძველი ქართულისათვის სავსებით ნორმალური სინტაგმაა“ (გვ. 99).

ამრიგად პროფ. ზ. სარჯველაძე არწმუნებს მკითხველს, რომ მე არ მცოდნია ძველქართულში სიტყვა „თჳსის“

არსებობა. მივანმა და მივანმა მკითხველმა შეიძლება ეს დიჯეროს, მაგრამ ნუთუ თვით პროფ. ზ. სარჯველაძეს ცოტა მაინც არ ქენჯნიდა სინდისი, როცა ამას წერდა? მან ხომ შესანიშნავად უნდა იცოდეს, რომ მე კარგად ვიცი სიტყვა „თვისი“ არსებობაც და მისი მნიშვნელობაც. მას ხომ დამოწმებული აქვს ჩემი მეორე წერილი, მაშასადამე მოსალოდნელია, რომ მას ის მთლიანად წაკითხულიც უნდა ჰქონდეს. ხოლო იმ რას ვწერთ ჩვენ ამ წერილში: „დიხ, მეფეთა ნათესაობა ანუ თვისობა მართლაც პატივს სდებდა ადამიანს და მატთანში ან „ცხოვრებაში“ სრულიად გასაგებია ამა თუ იმ პირის მეფეთა ნათესაობით ან თვისობით მოხსენიება; ამას მაგალითი არაერთი შეიძლება დავასახელოთ. მაგრამ ეპიგრაფიკულ ძეგლში, ოფიციალურ სამშენებლო წარწერაში ასეთი რამ სრულიად მოულოდნელი იქნებოდა. აქ დასახელებული პირები ოფიციალური ტიტულებით იხსენიებიან“ (იხ. „მაცნე“, 1986, № 3, გვ. 160).

ხაზგასმული ადგილებიდან კარგად ჩანს, რომ მე მშვენივრად ვიცი რას ნიშნავს სიტყვა „თვისი“ და რატომ დაუმალა ეს ფაქტი პროფ. ზ. სარჯველაძემ მკითხველს? თუ პირველი წერილიდან ეს ვერ გაიგო (თუმცა იქაც,

ვეტიკრობ, ეს ნათლადია ნათქვამი), მოტანილი ამონაწერი ხომ ცხადყოფს, რას გვულისხმობ, როცა ვამბობთ: „მეფეთა თვისისა“-ს შესახებ ასეთი ტერმინი არ არსებობს, იგი გამოგონილია მეთქი: ლაპარაკია ტერმინზე და არა სიტყვაზე, ტერმინის ქვეშ ჩვენ გვულისხმობთ სიტყვას, რომელიც რაიმე სპეციალურ ცნებას აღნიშნავს, ჩვენ შემთხვევაში — სიტყვას, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ ზედწოდებას, ოფიციალურ ტიტულს, ხოლო რადგან „მეფეთა თვისი“ ზედწოდება, ოფიციალური ტიტული არაა, მაშასადამე ის არც ტერმინია. არ მეგონა, რომ ისეთი მაღალი ტიტულის მქონე ლინგვისტიკური მეცნიერისთვის იმის განმარტება დამკირდებოდა, რა განსხვავებაა ტერმინსა და უბრალო სიტყვას შორის. მაშასადამე „მეფეთა თვისისა“ გამოგონილია, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი ტიტული და შესაბამისი ტერმინი საერთოდ არაა წყაროებში დამოწმებული, მეორეც, რადგან ამ სიტყვის შემადგენელი ასო-ნიშნები წარწერაში არ დასტურდება.

როცა კოლეგას აკრიტიკებ, ის ხომ მაინც უნდა გაიგოთ სწორად, ბატონო ზურაბ, რას ამტკიცებს ის კაცი, ვისაც აკრიტიკებთ.



მუშაობა და მუშაობის

„მან, მოვლის მოქმედო, მოვლის პრემიული“

(მწერალთა კავშირის პლენუმზე წარმოქმნილი ერთი სიტყვის გამო)

„მთლი კიდევ ერთ ნიუანსს უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება: ორენოვნება — ჩვენი ნაციონალური რესპუბლიკების მოთხოვნილებაა, არარუსი ხალხების მოთხოვნილება, ამ ხალხ-

ბისათვის მშობლიური ენის ცოდნა უნდა იყოს აუცილებელი, რატორც რუსისთვის არის აუცილებელი რუსული ენის ცოდნა. არარუსებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ნაციონალური თავი-

სებურება ორენოვანების წყალობით, ხოლო რესპუბლიკებში მისახლე რუსებისათვის ადვოკატობრივი, ნაციონალური ენის ცოდნა სრულებით ნებაყოფლობითაა, რადგან რუსული ენა ჩვენთვის, ყველასათვის, სსრკ-ის ტერიტორიაზე საერთაოსაზრებლად ენაა, რაც წმინდა წყლის სიმართლეა და რაც მთავარია, უკვე ისტორიკულად შემდგარი მოვლენაა“.

მკითხველი, რომელიც თავს ადევნებს ცნობილი ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის შენიშვნებებს, ამ განცხადებაში ახალ ვერაფერს აღმოაჩენს. აიტმატოვი მთელი თავისი ცხოვრება (განსაკუთრებით, ბოლო წლებში) ებრძვის და ემსახურება თავის თავს, ფიქრობს, განიცდის, განსჯის თავის საქციელს, ჰქონდა თუ არა უფლება ღვთისა და ერის წინაშე, ყოფილიყო ორენოვანი მწერალი, გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა თუ ჯერ კიდევ შეიძლება გამოსავლის პოვნა; მრავალ ინტერვიუში წამოჭრა მან სიტყვა ორენოვნების შესახებ და გააღმყვეტით ვერასდროს თქვა გვიტონა თავისი სათქმელი, როგორც ვერ თქვა ამჯერადაც, მწერალთა პლენუმზე.

რატომ ირჩება ასე ცნობილი მწერალი?

მის გული სტყვია იმის გამო, რაც უკვე მოხდა, რაც უკვე გაფორმდა და ფაქტად იქცა, და რისი გამოსწორებაც უკვე გვიანია, რადგანაც, არათუ ცხოვრებას, არამედ, როგორც იტყვიან, პირიდან ამოსულ ერთ ღერ სიტყვა-საც უკან ვერ დააბრუნებ. ქალაქზე დაწერილ ნაწახთან ვერ ამოშლა. და ეს ამბავი ვახლანკარ მიზნები იმისა, რომ მწერალი წამდამწე ამ საკითხს უტრილებს. ამჯერად ამის განაპირობებდა აგრეთვე პლენუმის სამუშაო თემაც: „ნაციონალური ურთიერთობების გაუმჯობესება“.

აგიღოთ ახლა მეორე ცნობილი მწერალი, სერგეი ზალიგინი და ყური დაეფდეთ, რას ეხება მისი სიტყვა. ზალიგინს ერთი მოკლე წინადადებათაც კი არ უხსენებია „ნაციონალური ურთიერთობების გაუმჯობესების“ საკითხი. რა თქმა უნდა, ზალიგინი ის მწერალია, ვისაც ერთი ფრაზაც კი არ შეუთხოვს სხვა ენაზე, და ამიტომაც, ცხადია, მის, როგორც მწერალს, როგორც პირთვინებს, ეს საკითხი არ აინტერესებს. ასე იფიქრებს ალბათ ზოგიერთი მკითხველი, მაგრამ პირადად ჩვენ, ეს მომენტო ასე არ გვესმის. ცხადია, ზალიგინს არაფერი აქვს აუღიბროსისთან მოსაზრებებზე, პირმოსაქონი, და თუმცა პლენუმში ერთი გაჩქეუელი დეკლარაცია მიმდინარეობდა, იგი ამ საკითხს ისე მოეპყრო, თითქოს სულ არ წამოჭრილიყო. ასეც არის. კუმშირბიტა მწერალში იცის, რომ ეს ამბავი თავისთავად მოგვარებულად უნდა ჩათვალოს. მწერალი უნდა ქმნიდეს თავის ენაზე, ეს მისი უპირველესი მოვალეობაა. ზა-

ლიგინს რომ ამ საკითხზე ელაპარაკა, ეს იქნებოდა, ეგრეთწოდებული, ღია კარის ბტრევა, მაგრამ მწერალს სადა აქვს სურვილი მოვილოთ, რომ ღია კარები ამტკიცდეს, რაც ისედაც თავისუფალი აქვს საქმე: „აბა, ერთი ნახეთ, რა ხდება ლენინგრადის დამბის მშენებლობაზე, — ამბობს იგი, — რა ხდება თურქმენეთში, სადაც სულს დაფავს ყარა-ბოზ-ღანი, რა ხდება უკრაინაში, რა ხდება შუა რუსეთში და რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, რა ხდება ყარაყალბაქეთში? წყალს მი-აქვს საფარგულები, სადაც ათათასი წლით იქმნებოდა მიწათმოქმედების კულტურა. უღაბნო ჰ.ობად ეიქციეთ, ყოველი მერვე, მეათე ბავში არანორმალური ხდება. და ეს ყველაფერი ხდება სოლიდური სამეცნიერო დაწესებულებების ეგიდით. როგორ უნდა შევერთვოდეთ ასეთ ფაქტებს, როცა საქმე ეხება მთელი ერის ყოფნა-არყოფნა?“

აი, სად შეგხო ზალიგინი ნაციონალური ურთიერთობების გაუმჯობესების საკითხს. მწერალი ზრუნავს ყარაყალბაქეთის ბუნებაზე და ამითი ზრუნავს, როგორც გაირკვა, ყარაყალბაქელებზე, ერზე, ეროვნული ენის შენარჩუნებაზე.

სერგეი ზალიგინმა იცის, თუკი მცირე მდინარე ამოშრა, ადრე თუ გვიან, არც წყალზე მდინარეებსაც დაადგებთ კვი დღე.

მთავარია, აიტმატოვმა დაიცვას თავისი მშობლიური ყირგიზული ენა და დაეცუდ იქნება რუსული ენაც.

ამ წერილის სათაურად გამოტანილი ცნობილი სტატიის არსებობა რომ სცოდნოდა, ორატორს, როგორც იტყვიან, იქნებ ენაზე კბილი დაეჭირა, და არ ეთქვა ის, რისი თქმაც ყველგან „არ ეგებოს“. პრესტმა თქვა: სახარების ყოველი ლექსის მეტე მოტყუვნის დუმილი ის-მისო. აი, სწორედ ამრიგ დუმილს უნდა მიაყუროს კაცმა. იშვიათია სიტყვა, დუმილს რომ სწობდეს. ხსენებულ პლენუმზე, აიტმატოვს რომ დუმილი ერჩია და სიტყვა არ დაეჭირა ორენოვნების მოსალოდნელ საკითხზე, მუხრან მაქვაბიანის ფრთხილ გამოთქმისა არ იყოს, დუმილი მისი რეკვს აღემატებოდა. მაგრამ აიტმატოვს, როგორც ზემოთ ვთქვი, თავისი პირადი გასაჭირი ალაპარაკებდა. საკუთარ თავზე საუბრობდა და ეგონა, საქვეყნო საკითხს წყვეტდა. ერის საკითხი კი მანამ იქნება გადაწყვეტილი, თუკი ენა არ წახდა. ენა და ერთი განუყოფელი ისევე, როგორც ენა და მწერალი. მაგალითად, ბუნინი აიტმატოვზე შორსაც წაიგოდა, მაგრამ ენასთან კავშირი წამითაც არ გაუწყვეტია. სადაც იყო ბუნინი, იქ იყო მისი მშობლიური ენა, მისი რუსეთი. უღერო შეტეც, ბუნინმა არ მიიღო თანამედროვე რუსეთი (თუ გნებავთ, ვერ გაიგო), მაგრამ ენას-

თან ისეთი ქაშვი და უთანხმოება არა ჰქონდა, როგორც ჰქონდა, მაგალითად, მეორე რუს მწერალს, ნაბოკოს. აიტმატოვი და ნაბოკოვი კიდევ ჰგვიანან ერთმანეთს: ერთი წერს ყირგიზულად და რუსულად, მეორე — რუსულად და ინგლისურად. და ისე გამოდის, თითქოსდა ისინი თავიანთი ცხოვრების წესითაც ჰყავდნენ ერთმანეთს. თითქოსდა აიტმატოვიც, როგორც ნაბოკოვი, უცხოეთში ცხოვრობდეს. მაგრამ განა აიტმატოვისათვის რუსეთი იგივეა, რაც ნაბოკოვისთვის ამერიკა? მაშინ ბუნინი რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ? სამწუხაროდ, ქართულ მწერლობასაც ჰყავს აიტმატოვისა და ნაბოკოვის მსგავსად ემიგრირებული მწერალი. ამ სამ მწერალს, რომაიძეს, აიტმატოვსა და ნაბოკოს, ერთნაირად ესმით, როგორც ჩანს, ენის ბუნება, ან ესმით, ან რაღაც უხილავმა ძალამ დაამგვანა მათი სამწერლო ბედი და იღბალი ერთმანეთს. და ამ უხილავმა ძალამ მიანიჭა მათ გათრებული ბუნება (ამ გათრებამ გამოიწვია მათი ორწონვება). გაორება კი, როგორც ცნობილია, ყოველგვარი ივეის დასაბამია, ხოლო ივეი ის ვახლავს, რაც ჰამს ადამიანის გულსა და შიგანს, და მოსვენებას უჯობავს გონებას.

ენას აქრავს თავისი უხილავი გარსი, უხილავი ღობე, რომლის გადაღმებაც, არტუთ იშვითოდ, გონებას უმღვრებს ადამიანს; ეს არ გამოიხატება ისე ნათლად და შესამჩნევად, რომ ამაში უცებ დარწმუნდეს ადამიანი, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს უუქველად გამოვლინდება. ენამ იცის შურისძიება, საკმარისია, უღალატო მშობლიურ ენას, გაიმშობლიურო უცხო ენა, უცხო ენაზე ილაპარაკებენ შენი შვილები და შვილიშვილები, მოწყდებიან ისინი ეროვნულ წიაღს, დაემკვნიებიან ქოთნის ყვავილებს, სათბურის მცენარეებს, და ბოლოს შენვე ამოთხრიან მიწიდან, შენივე შთანთქმულება სილაცხოდ აგიღებენ, და მთელს ქვეყნიერებას მოჰყენენ შენს არამამულიშვილობას, როგორც ეს დაემართა ავერ ჩვენს თვალწინ ისეთ უზარმაზარ პიროვნებასაც კი, როგორც იყო სტალინი.

აიტმატოვმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჯერ არ დაბადებულა ამა ქვეყნად იმ რანგის შემოქმედ, რომელსაც შეუძლია გულდაჯერებით თქვას: მე ჩემი მშობლიური ენა მთელი სიგატე-სიგანით ვიცი.

აქედან გამომდინარე, მწერალი, რომელიც კიდევ ერთი (მეორე) ენის შესწავლას მოინდომებს, მეორე ენაზეც შეთხზავს ნაწარმოებებს, ცხადია, უფრო და უფრო დაშორდება თავისი ღედაენის ბუნებასაც, ორი კურდღლის მადევიარის ანდაზა ალბათ აქ არ გამოვყავდებოდა, მაგრამ რომც მოვიხმოთ, მგონი, რომ არც ამით დაშავდება რაიმე.

ახლა მინდა ერთი ჩემი კერძო მოსაზრება გავანდო მკითხველს, ნაციონალური და რუსული ენის ურთიერთობის შესახებ. ერთნაირი ქართველებს გვიყვარს რუსული ენა, რუსული ლიტერატურა. ზეპირად ვიცით თითქმის რუსული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, ასე რომ, პუშკინის ლექსი თუ თარგმნი ქართულად და ხეირიანი თარგმანი არ გამოგვიკნა, იმწამსვე რუსულად წაგიკითხავს ზოგი მკითხველი ღედაენს და უფარგის თარგმანს იქვე გავიბაბრუებს. მაინც ვთარგმნით, ვთარგმნით ყველაფერს, რაც კი ღირებული და ღირსეული შექმნილა რუსულ ენაზე. ეს გვასწავლადილია ილიამ და იაკობ გოგებაშვილმა. ვთარგმნით, ცხადია, ღედნიდან. ვთარგმნით ლექსიკონის დაუხებარებლადაც, ისე გავიშინებოთ მეზობელი ენა.

ყველა ქართველმა მწერალმა და მთარგმნელმა იცის რუსული ენა. იშვიათია რუსმა მწერალმა და მთარგმნელმა იცოდეს ქართული ენა.

ქართულ ენას სწავლობენ ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, სოციალისტური ქვეყნების ბანაკში. საბჭოთა რესპუბლიკებშიც, მაგ. უკრაინაში ჭამდენ მთარგმნელმა იცის ქართული ენა... ამიტომაც, უკრაინელები ღედნიდან თარგმნიან ქართულ ნაწარმოებებს. ასევე ღედნიდან თარგმნიან ქართულ მწერლებს მეგობარი ესტონელები...

მე ერთი წამითაც კი არ მოვთხოვნი ზალიონს, რასპუტინს, ასტაფიევს, ზელოვს, რათა მათ შეისწავლონ ქართული ენა, მათ ისედაც თავზე საყრელი აქვთ თავიანთი ეროვნული საწუხარი და საზრუნავი. მაგრამ მან, ვისაც ქართული მწერლობის ნიმუშების რუსულად თარგმნა გადაწყვიტა, რატომ არ უნდა ეთილინებოს და მოიცალოს, დაჯდეს და შეისწავლოს რუსთაველას ენა, გალაკტიონის ენა?

აიტმატოვის სიტყვას რომ ვკითხვოდით, ერთი ლექსი ამეკვიტა და ვერასგზით ვერ მოვიშორე. სიტყა უნდა წავსულიყავი და რაც უნდა შევეთხინა, ლექსი სულ ყურებში მიბზუოდდა, თანაც კარგა ხანი იყო, რაც არ წამეკითხა და ბუნდოვნად მახსოვდა. წერილის საწერად რომ დავჯექი, ლექსი გადამაეჭყადა. წერილი რომ ჩავთავებ, ისევე მომაგონდა, ავდექი და, მოგებნე წიგნი, სადაც ის ლექსი იყო გამომეცხვებული. წიგნის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი ვახლავთ ბატონი პავლე ინგოროყვი. წინასიტყვაობა 1940 წლის მაისითაა დათარიღებული.

წიგნს აწერია: აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. ტომი I. მეერე მოდის წინასიტყვაობა და მეერე — პირველი ლექსი.



საშუალო წიგნისა ცურავდა წაუი,
ყოველი მხრიდან მჭროდა ნიავი,
სჩანდა, რომ წავი იღუპებოდა
და შემწვად აჩვიე ვაზულბოლდა.

ამ დროს, ზვამალდმა გამოიარა,
წაემა იხილა რა, გაიხარა;
გაქირვებისგან სთხოვა გამოსნა,
ზვამალდს შეგბარა, ეს საქმე რომ
სცნა.

მოაბა ქაჭვი, შველა ინიბა
და უთხრა: „შიში ნულარ ჯექნება!
ქარი წიშს ხივრცეს რომ შემოსხლავს,
მერწმუნე, ქროლვას ველარ ვამბუდავს!

მალე შოვებდენ აქ მუუდროებას
და შენ მიიღებ თავისუფლებას!“
წავს ეს ნუბეში დიდად იაშა
და, რაც შეეძლო, მის ახიამა.

რა წავი ნაბა განსვენებული,
შეიქმნა ქჭრი განრისნებული:
დიობის დაკვეთით ზვამალდს შეტბერა,
შაგრამ მის ხივრცეს დააკლო ვერ-რა.

რადგა წიფს ათლით, არ ნებით,
და ზღვა დასტოვა მან უცხოველად
წავს კი ეს საქმე დიდად იაშა,
სთქვა: „გამომარნდა კეთილი შამა!

თუ ება შუაღვებს და ეს მფარვიდებს,
მე ვერავინ ვერ მომერეთდებს“.
დაემორჩილა ზვამალდა ნებით,
დიდის სურვილით და განსვენებით.

მის შემდეგ კითომ აქვს მშვიდობა წაყს
და მავნებელიც აღარავინ-მყავს...

გამული არის გარეშე შტერტი,
მოშორდა იმ წაგს, აღარსადა-მყავს,
შაგრამ რაი, რომ თვით ის ზვამალდი
მის თავზე აურის შტბერსა და წაგავს.

1859 წ. 25 მარტი.

საჩხერე.

ცნობისათვის: აქაი წერეთელი ამ
ლექსს რომ წერდა, 19 წლისაც არ იყო.

ალექსანდრე სიგუა

ერთი საღაპო საკითხის გაყო

რატომღაც ჩვენში კანონად აქციეს ის უმარ-
თებულო წესი თუ ჩვეულება, რთაც მომავალი
ფილმის სცენარის თანავეტორად აუცილებლად
უნდა იყოს კონორევისორიცი. ამასთან დაკავში-
რებით აქ მინდა გავისსენო ერთი მეტად სა-
ინტერესო შემთხვევა, რომლის მოწმე მე თვი-
თონ ვიყავი.

50-იან წლებში, როდესაც თეატრალურ სი-

ზოგადობაში ვმუშაობდი, შალვა დადიანთან
მოვიდა ერთი ცნობილი რეჟისორი და ბატონ
შალვას შესაფავა მისი ახალგამოსული რომა-
ნის „გვირგვლიონების თქახის“ გადაღება და იქ-
ვე დაუშავა, რომ ერთად დაეწერათ სცენარი.
შალვა დადიანმა, რომელიც ზრდილობის აკა-
დემია იყო, გაოცებით შეხედა რეჟისორს და
უთხრა: სქელტანიანი რომანი დამიწერია და.

ვფიქრობ, არ გამიჭირდება სცენარის დაწერა, რამდენიმე დღეში ჩავაბარებო. შწერლის კატეგორიული პასუხა, როგორც ვხედავდი, რეჟისორს არ მოეწონა და სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. როდესაც რეჟისორი ბატონ შალვას კაბინეტიდან გავიდა, მწერალმა დადარდინებული ხმით მითხრა: რუსთაველი დღეს ცოცხალი რომ იყოს, ალბათ „ვეფხისტყაოსნის“ სცენარის დაწერაში მოთხოვენ თანავტორობასო.

ეს ამბავი იმიზე მეტყველებს, თუ როგორი ეჭვის ზეგლით უყურებდა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დიდიანი ზოგიერთი სცენარისტ-რეჟისორის არც თუ ისე კეთილსინდისიერ შემოქმედებით ურთიერთობას.

ახლა დავეუბრუნდეთ იმ სადავო საკითხს, რომელსაც ჩვენი წერილი ეხება:

1980 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ჩემი წიგნი „მეტროფანე ლალიძე“, რომელსაც ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა და მაღალი შეფასება მისცა. ამ წიგნის ერთი თავი „შესვლით გამოით“ უფრო ადრე დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, იქ საუბარი იყო მეტროფანე ლალიძის უაღკოპოლო წყლების შესახებ, წერილი გაზეთში ისე დაიბეჭდა, რომ ლალიძის ოჯახის არქივისათვის არ მიმომართავს. შემდეგ, როდესაც უაღკოპოლო სასმელების ქარხანაში მეტროფანე ლალიძის ბიუსტი დაიდგა, ვახსნის დღეს მეც მიმიწვიეს; მ. ლალიძის შვილი, ცნობილი ქიმიკოსი, პროფესორი რამაზ ლალიძე ჰოჯის მხსენებაში ჩემს წიგნს შეეხო და აღნიშნა — ალექსანდრე სიგუას წიგნი პირველი ნაშრომია, რომელიც მამაჩემის ცხოვრებასა და ლეწლს შეეხებაო, მველეჯარმა მამაჩემის ცხოვრება ცოცხლად დაგვიყენაო. წიგნის გამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან ბინაზე მოვიდა მეტროფანე ლალიძის შვილიშვილი თორნიკე ლალიძე, წამოყვანა ტელეფილმების სტუდიამო, სადაც ჩაიწერეს ნაწყვეტები ჩემი წიგნიდან ლალიძის შესახებ. შემდეგ მითხრეს, რომ ისინი განაგრძობენ მეტროფანე ლალიძის შესახებ დოკუმენტური ფილმის შექმნას და ისევ გინახულებთო, მაგრამ ჩემთან უკვე აღარაინ მოსულა. 1987 წელს ტელესტუდიიდან სახლში მეწვია საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ორი თანამშრომელი და მხოვეს მონაწილეობა მიმელო ლალიძის შესახებ ტელეფილმის გადაღებაში (როგორც წიგნის ავტორი). მე დავთანხმდი, მაგრამ დიდხანს ჩემთან არავინ გამოჩენილა. რამდენიმე თვის შემდეგ ეზიტი ისევ განუპირადა და კვლავ მთხოვეს მონაწილეობა მიმელო ფილმის შექმნაში. მე ისევ თანხმობა მივეცი. ამჯერადაც არავინ გამოჩენილა.

გავიდა რამდენიმე ხანი და ვნახე დოკუმენ-

ტური ფილმი „საიდუმლო“, რომელიც მთლიანად ჩემი წიგნის მიხედვითაა გადაღებული. ფილმის გამოსვლასთან დაკავშირებით ჩემი მიემართეთ ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელობას, საიდანაც მივიღე ყოვლად დღესაბუთებელი პასუხი. შემდეგ განცხადება შევიტანე საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოში, რომელსაც წერილი გაუგზავნია ტელეფილმების ხელმძღვანელობისათვის, რათა თავიანთი აზრი გამოეთქვათ მწერალ ალექსანდრე სიგუას საინფორმაციო დაკავშირებით. პასუხი საუდის ხელმძღვანელობამ გამიცნო. აი რას წერს ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელობა:

„ა. სიგუას წიგნსა და დოკუმენტური ფილმი „საიდუმლო“ ჩვენი აზრით, ერთადერთი საერთო აქვს ის, რომ ბევრ რამეში ორივე უშუალოდ ეყრდნობა მეტროფანე ლალიძის პირად არქივს, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დინტერესებული ადამიანისათვის... და საბოლოო ჩამოში „საიდუმლო“ თვითონ შ. პარკაელისა და ე. მდინარაძის ლიტერატურულ სცენარსაც ვასცადა თავისი მხატვრული ღირსებებით“.

აი ამას მოსდევს უცნაური სტრატეგიები, უცნაური განმარტება. რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სიმართლესთან, ქეშმარიტებასთან.

ამხ. ა. სიგუასთან დაკავშირებულ ერთადერთ უხერხულობად მიგვაჩნია ის, რომ თუნდაც ერთი ეზიტი შემდეგ ფილმის რეჟისორი კვლავ უნდა შეხმინებოდა მას და ეცნობებინა, რომ ფილმის მსვლელობამ აღარ მოითხოვა მასში ა. სიგუას მონაწილეობა“.

როდესაც წიგნს ვწერდი, მივმართე მ. ლალიძის ოჯახს, ვაეცნო ჩემთვის დოკუმენტები, თუკი მოეპოვებოდა. და აი, მეტროფანე ლალიძის შვილიშვილმა თორნიკე ლალიძემ გამომიტანა „ეკლოფანის ტომარა“, რომელშიაც იდო რამდენიმე დახეული გაზეთი, ლამაზი ქალის ერთი სურათი და სხვადასხვა ფოტოები. აი ეს იყო მთელი მასალა, მთელი არქივი, რომელიც მე ვნახე მეტროფანე ლალიძის ბინაზე. ტომარაში არ იდო არც მ. ლალიძის ავტობიოგრაფია, არც საიდუმლო სიხვე და სხვა საარქივო მასალები, რომლის შესახებაც ლაბარაკობენ „საიდუმლოს“ დამდგმელი რეჟისორები.

არ ვიცი სხვა რომელ საარქივო მასალაზე აქ ლაპარაკი, მკითხველი დამეთანხმება, რომ „ეკლოფანის ტომარაში“ არ იქნებოდა შენახული აწ განსვენებული მეტროფანე ლალიძის რომანებისა და მოთხრობების ხელნაწერები, ვინაიდან ის არ წერდა მხატვრულ ნაწარმოებებს. ხსენებულ ტომარაში არ იქნებოდა არც კურტიკი, სავსე ლალიძის დიდებული წყლით, რომლისთვისაც კონორეჟისორებს უფრო კომერცია-

ული სათაური მოუნახავთ — „საიდუმლო“. ეს სათაური ბატონ მიტროფანეს რომ ენახა, თავს შეუტრაცყოფილად იგრძნობდა და ფილმის დამდგმელ კინორეჟისორებს ეტყოდა: არავითარი საიდუმლოება მე არა მაქვს, ჩემი საზღვრითა და გვარით ცნობილი სურნელოვანი წყლის დამზადების პროცესის დროს. საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გავიანწყალს ვამზადებთ ტერიტორიალურად შერჩეულ კუროკონი მასალისაგან ყოველგვარი ფალსიფიკაციის გარეშე. აი ეს არის ის, რაც თქვენ წყლის დამზადების საიდუმლოებად მიგაჩნიათ და სხვა არაფერი.

ამიტომ, მე მგონია, აჯობებდა ყოველგვარი აუთენტის გარეშე სურათისათვის დაერქმიათ: „მიტროფანე ლაღიძე“. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა და უფრო წარმოაჩენდა მიტროფანე ლაღიძის ღვაწლსა და ამაგს ქართული კულტურის წინაშე. ამით, რასაკვირველია, მიტროფანე ლაღიძეს არავინ წაართმევდა დიდებული წყლის გამოშვების ტექნოლოგიურ მიღწეობას, რომელიც აგერ საუკუნეზე მეტია, ქართვლებსა და უცხოელებს ქებას იმსახურებს, ჩემი წიგნი, „მიტროფანე ლაღიძე“, ზომ მის ფართო საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეობას ეხება. დიახ, ამ კუთხიდანაა წიგნი ჩაფიქრებული და დაწერილი, მაგრამ კინორეჟისორებს სურათისათვის „მიტროფანე ლაღიძე ქართული კულტურის სამსახურში“; რომ დაერქმიათ ეს მათ ხელს არ აძლევდა, ვინაიდან ჩემი წიგნის სახით სცენარი თითქმის დაწერილი ექნებოდათ. ამიტომაც, სურათს შეუფერებელი სათაური — „საიდუმლო“ დაარქვეს.

რასაკვირველია, კომერციას, კომერსანტობას თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საზოგადოებისათვის უფრო მნიშვნელოვანია,


უფრო სასახელია როდესაც შენი კომერციული ნიჭით შენივე ვრის კულტურის წინსვლას ემსახურები, როგორც ეს გააკეთა მირად დაუეწყარმა დავით სარაჯიშვილმა, რომელიც დღეს ქართველ ხალხში ცნობილია, როგორც „დიდი საზოგადო მოღვაწე და „იშვიათი ბუნების კაცი“.

რეჟისორები, როდესაც ბინაზე მეწვიენ, ხელში ეკავათ ჩემი წიგნი „მიტროფანე ლაღიძე“ და ამ წიგნიდან შექმნეს დოკუმენტური ფილმი „საიდუმლო“. ამას არც თვითონ მოლაგენ თავიანთ წერტილში, როდესაც წერენ: „ჩვენი აზრით, ერთადერთი საერთო აქვთ ის, რომ ბევრ რამეში ორივე უშუალოდ ეყრდნობა მიტროფანე ლაღიძის პირად არქივს, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის“.

ჩვენ გვიანტერესებს რეჟისორებმა წარმოგვიდგინონ, გავაცნონ ის საარქივო მასალა, რომელიც ლაღიძის მეგობრის ოჯახის არქივში ნახეს, და რომლის მიხედვითაც გადაიღეს ფილმი „საიდუმლო“. ამის შემდეგ კი არავითარი პრეტენზია აღარ გვექნება ფილმის რეჟისორებთან. პირადად ჩვენ ხელთ გვაქვს მასალა, რომელიც წიგნზე ხანგრძლივი მუშაობის წლებში მოვიძიეთ სხვადასხვა არქივსა და წიგნსაცავებში. და აგრეთვე, საინტერესო მოგონებები, რითიც გავამდიდრეთ ლაღიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. აი ამ საბუთების მიხედვით დაიწერა წიგნი „მიტროფანე ლაღიძე“ და არა ლაღიძის ოჯახში დაცული საარქივო მასალების მიხედვით.

მოდი და ნუ გაგახსენდება ანდაზა — „ქვარე არ არი თაყაო, შენ რომ მამული გაპყავო“.

ჩვენ გვიანა ჩვენი კანონიერი საავტორო უფლება დავიბრუნეთ.



ლოვარდ ტუნაშვილი

პოლიტიკური „უნისონი“ ქართველთა...

საისტორიო ტრადიციის მიხედვით ფარნავაზი არის პირველი მეფე ქართველთა, სახელმწიფოს დამაარსებელი, დამწერლობის დამწვები, იდეოლოგიის მომწესრიგებელი, განმათავისუფლებელი (აზოს „უცხო ტომთა“ უღლისაგან გამოხსნელი), ეგრისის და ქართლის გაშაერთიანებელი. ფარნავაზი იგივეა ქართველთათვის რაც ებრაელთათვის მოსე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მოსე არ ენდო მონობაში დაბადებულებს, 40 წელი უდაბნოში ხეტიალით გაწყვიტა ისინი, ფარნავაზმა კი გარდამავალი ეტაპის გარეშე, პირდაპირ, აჯანყების შემდეგ, ჩამოაყალიბა ახალი ქვეყანა. იგი თვით ზალხის მშენებელია, ამ პიროვნების როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის პანეგირიკას ვერ გაექცა მისგან 14 საუკუნით დაშორებული ქრისტიანი ისტორიკოსი, ორთოდოქსი ეპისკოპოსი ლეონტი მროველი. დღეს გარკვეულია, რომ: ქართულ სახელმწიფოებრიობას უფრო შორი დასაბამი აქვს. ფარნავაზის ეპოქაზე აღრინდელია ლეგენდარული კოლხეთი, სამხრეთული საერთო-ქართული გაერთიანებანი, ჩვენთვის მთავარია მეფე ფარნავაზის როლი საკუთარი ეთნო-პოლიტიკური თვითშეგნების ფორმირებისას.

მეფე ფარნავაზმა სული ჩაუდგა ერთგული გამოხსნის მეთოდს — შეძლო რეალობად ექცია ქართველთა პოლიტიკური „უნისონი“.

პოლიტიკური „უნისონი“ აღმავალი საფეხურია საერთო ნიადაგისა. ექსტრემალურ სიტუაციაში საერთო ნიადაგი ყალიბდება „დასად“ ან „მოკიდებულთა“ ერთობად. „მოკიდება“ შუა საუკუნეებში, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმართ, პარტიულობას ერქვა. „მოკიდებულები“ კი თანაპარტიელებს ეწოდებოდათ. ევროპული ტიპის პარტიები XX საუკუნის წინანდელმა საქართველომ არ იცის. სამაგიეროდ ხშირია „მედასეობა“, „მოკიდებულობა“, „შეთქმა“, „პირისქმნა“, „შეფიცვა“. არსებობდა სასულიერო-სამხედრო ორდენთა მსგავსი გაერთიანებანიც: „ტაძრეულები“, „ფიცისკაცები“, „ლაშარის ყმები“ და ა. შ. რომელთაც ხან პროფესიული, ზოგჯერ კი მემკვიდრეობითი კლასობრივი ან რეგიონალურ-კუთხური სტატუსი ენიჭებოდათ. ამთ ემტებოდა საქალაქო ორგანიზაციების „ურტალები“, „ასნაფები“, „ამქრები“, აგრეთვე სუფიური ჯგუფები... „რინდები“ და ა. შ. საერთოდ ფეოდალური საზოგადოება, მონისტური არსის მიუხედავად, „პლურალიზმის“ მთაბეჭდილებას სტოვებს.

პოლიტიკური „უნისონი“ ერთი შეხედვით ნიშნავს „პლურალისტური დემოკრატიის“ სრულ შენივთებას, რომელიმე ერთი განმსაზღვრელი ლიბერალიზმის გარშემო.

საბედნიეროდ ქართველებს ისტორიულად ჩამოუყალიბდათ უნარი დიპლომატიური მანევრირებისა! ისინი ასხვავებდნენ პოლიტიკურ უნისონსა და საერთო ნიადაგს. მაგრამ, ვინაიდან, ქართველთა განვითარების შინაგან იმპულსს ბევრად და ბევრჯერ აღემატებოდა გარეგანი ფაქტორები, მანევრირების უნარიც საკმაოდ მოდუნებული ჰქონდათ! საკითხის სისრულისათვის კიდევ ერთხელ აღენიშნავთ: უნისონი მხოლოდ მანევრი შეიძლება იყოს. საერთო ნიადაგი — პლატფორმა. პირველი ტაქტიკური ხაზია, დროებითი, მეორე — სტრატეგიული მიმართულება, პოზიცია. საერთო ნიადაგის პრინციპები მსოფლმხედველობის სფეროშია საქმეები. უნისონი მოკლევადიანია, იგი თხოულობს რაღაც აბსოლუტურ დათმობას, პირადულის სრულ დაქვემდებარებას საზოგადოებრივის მიმართ. ამას უნდა აკეთებდეს არა ინდივიდი (ეს კი იოლია — ყველა ერში საკმაოდ მოიბოვება თავგამწირველი), არამედ მთელი ერი, ან მისი წამყვანი ნაწილი! ფარნავაზმა დიდი შეთქმულება ჩაიფიქრა, გააცნო იგი ოქახს, უახლოეს მეგობრებს, ეგრისის მმართველს, მაშინდელ არისტოკრატებს... წლობით მზადდებოდა მრისხანე აჯანყება... და აზომ (იბერიის ტირანმის) გაიგო უკანასკნელ წამს.

...სხვა დიდი ზღვარი მე-11-12 საუკუნის შესაყარზე გადის. დავით აღმაშენებელმა კვლავ შეკრა ქართველთა პოლიტიკური უნისონი. ახალი ტიპის საქართველო შენდებოდა, ახალი ტიპის ქართველი იბადებოდა. საერთო-კავკასიური იმპერია იწყებდა აღმობრწყინებას ვითარცა მთიები — აღმობრწყინებას ქართულად, ქართული შინაარსით! მთელი კავკასია ქართველობდა! შენდებოდა სახელმწიფო მსოფლიო

მნიშვნელობისა. აღმაშენებელი იყო დავით გიორგის ძე ბაგრატიონი, „მახვილი მესიისა“. დავით აღმაშენებელმა მოახდინა ეროვნულ ძალთა სრული მობილიზაცია, იგია გამაერთიანებელი, განმათავისუფლებელი, თბილისის გამოცხადებული 400-წლიანი ტყვეობიდან, იგია დიდი რეფორმატორი, იდეოლოგიის მომწესრიგებელი. დავითის შემდეგ „ქართველი“ არ ნიშნავს მხოლოდ მართლმადიდებელს. XII-XIII საუკუნის „ქართველობა“ უფრო დიდი ცნებაა, ვიდრე ქრისტიანობა. „ქართველობა“ კულტურული ფენომენია, „ქართველობა“ სოციალურ-ეკონომიკური, ტერიტორიალური, ენობრივი, ფსიქიკური ერთობის თავისებური კრებადობაა. მოგვიანებით ამ ნიშნთა ერთობლიობას სხვა ფუნქცია მიენიჭა — გახდა პოლიტიკური მინიმუმი ქართველთა არსებობისა: ამას ქვევით დაუვბრუნდებით. დავითის აღმაშენებლობას თანაბრად განსაზღვრავს ორგანიზაციული ნაჯახიც და მახვილიც. ნაჯახი უხვად ირჩებოდა „რობესპიერის მეძაფე გილიოტინასავით“, მახვილიც ბასრად ჰკვეთდა გარე სამანებს...

გახანგრძლივებული პოლიტიკურა უნისონი უკვე ძალადობაა. ისტორია არც ძალას უარყოფს, არც ძალადობას. ძალა პროცესის დამაჩქარებელია ხშირად, ძალადობა კი იშვიათად პროგრესის „ბეზია-ქალი“! განა მძლავრი არ იყო პეტრე I, ნაჯახით რომ გამოაწყუო ევროპულად პირქვეში ბოიარობა? რკინის მუშტით რომ გამოტეხა ფანჯარა ევროპაში? სანკტ-პეტერბურგი ევროპული, ე. ი. პროგრესისაკენ მიცქერალი რუსეთის სიმბოლო — აღაშინათა ძელებზეა აშენებული. რუსმა ხალხმა ყველაზე სასტიკ მეფეს დიდი უწოდა. მძლავრი იყო დავით IV-ც! „მძლავრე საწოლსა ჩემსა“, „სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დასაყრობად“, „ბოროტად გარდავბედ საზღვართა“, „შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა“, „ვიღწვიდ უმეზობლობასა“, „სახეთა მიერ, ბოროტთა მიცემათა ვაცოდე

ერო ჩემი... ეს თვით „ცოდვილი“ მეფის აღიარებებია. დიახ, მძლავრი იყო დავით IV; ეს მან შექმნა პირველად ქართულ სინამდვილეში საოცრად ქმედითი საიდუმლო პოლიცია. აი, რას ამბობს მემატიაწე: „პირველად ორჯულთა და ზაკება, და დაღატა რასამე ვერვინ დედთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვიხდა, არც თუ შეუღლებსა და ცხედრეულსა თვისსა თანა, ანუ მოყვასსა თვისსა, გინა ყრმათა თვისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელი პირთ აღმოსვლასვე თანა სიტყვასა საცნაურს ქმნილი არს უძველესად წინაშე მეფისა“. ტოტალურმა დაზვერვამ შიში დასცა ყველას... „ამისათვის ვერავინ განიზრახა დალატი... არამედ იყო ყოველთაგან საკრძალოვან და სარიდო; ვერც მღვდელ-მოდვარნი, მღვდელნი, დიაკონნი, მონაზონნი, ყოველთა კაცნი საერთონი ვერ იკადრებდნენ უწყსოდ სვლად შიშით მისითა“.

„ვინათგან უწყოდნენ არა-რის დაფარულობა წინაშე მისისა იყო „შიში და ზარი“. თვით მემატიაწესაც ეტყობა შიში: „ნუ ამას ეძებ მკითხველო, თუ ვითას იქმნებოდა ასე!“...

ე. ი. მემატიაწე არ გვიმხელს დავითისეული დაზვერვის შინაგან მექანიზმს, ოღონდ მიუთითებს: „...არამედ ამას ცნობდე, თუ რა საჩვენებელი პოვოს ამათ მიერ“... „ცოდვილი“ მეფე განახილავს საკუთარ „დინაშაულს“ ეგვიპტელთა, ასურელთა, ისრაელთა და სხვათა „ცოდვათა“ რანგში. „სხვათა ცოდვათა“ ილუსტრირებით დავით IV მკითხველს მიანდობს განაჩენის გამოტანას. ასეთ პიროვნებას ხალხმა „აღმაშენებელი“ უწოდა. განა დავითის მკაცრდროს, მემატიაწემ რომ დაგვიხატა და თვით დავითმა დაგვიდასტურა, არ ასლდა გადახვევები? განა მეფის ყველა ინფორმატორი კეთილშობილური მიზნით მოქმედებდა? ამას ხომ გამოორიხავს ადამიანთა მანკიერი ბუნება. ალბათ ბევრი უდანაშაულო თავიც გა-

გორდა მაშინ შეცდომით თუ ^{მეზობელი} ქვედაგარბობით დასმენით „მაბრალბელთა“ დიდი ^{ეჭვიანი} ეჭვებ ათეულელები იყვნენ ^{მისი} მაგრამ დასახული მიზნის სილიდემ, დიდთა საქმეთა უზენაესმა სიკეთემ „შიშის და ზარის“ დამნერგავი კაცი ამაღლა ეროვნული გმირის წმინდა კვარცხლბეკზე... და ამაღლა სრულიად დამსახურებულად ამიტომაც გვეყრა ისტორიკოსისა, რომ ესოდენ სიმკაცრეს დავით აღმაშენებელი „არა ცუდად რადმე და განსაკოთხავად საგობელთა საქმეთაი. ანუ საკითხელად ვიეთათვისმე იქმოდა“...

დავით აღმაშენებლის შეფასება გაცილებით იოლია. არ შემონახულა „მაბრალბელთა“ მატიაწეები. იგი აღმაშენებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის დიდ შენობას, განასხამდა უცხო ელემენტს და ებრძოდა საშინაო რეაქციას. იგი არ შეხებია ყველაზე ურთულესს, — სოციალური პარამონის საკითხს, საქმე არ ჰქონია ეგზალტირებული მასების ფსიქოლოგიასთან. იგი აწარმოებდა არა კლასობრივი შინაარსის სამოქალაქო, არამედ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომს.

ვარეგნული „პარამონია“ სინამდვილეში ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დაბორკვაა. ბორჯილის გაგლეჯას სისხლით შეიძლება, გაგლეჯილ ბორჯილს უფრო დიდი სისხლი მოსდევს. ხელებგახსნილი სანამ მთლიანად არ მოსპობს დამბორკავს, ვეღარ ჩერდება. ბორჯილის მოშორება უდიდესი სიკეთეა. ამ სიკეთის დათმობა არაფრით არ სურს დამშონებელს, „მონაყოფილს“, რომელმაც იგარძნო თავისუფლების სურთქვა. იქმნება თავისუფლების დაცვის მძლავრი სისტემა — დიქტატურა. უმრავლესობის ნების გამოხატველი, რომელიც ერთეულთა წებად იქცევა იწყება დემოკრატიული ინსტიტუტების იგნორირება. დემოკრატიის ჩამოყალიბებას რამდენიმე თაობა სჭირდება, ხანგრძლივი დრო, პრაქტიკული ცხოვრება კი აღარ ითმენს — სა-

კირია სიჩქარე, ძირითადი შენარჩუნების ხარჯზე გაიწირობა ხოლმე მეორეხარისხოვანი. მაგრამ რა არის მეორეხარისხოვანი? — აღამიანთა აღამიანური ინტერესები!

დიქტატურა ჰკლავს საზოგადოებას, საზოგადოება ინდეფერენტული ხდება. დაშინებული, გულგრილი და „მკვდარი“ საზოგადოება ვეღარ აჩერებს დიქტატურას. ეს უკანასკნელი საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე სატანის კლანკებში ექცევა.

მეფე — წმინდანმა თამარმა დაარღვია თავისუფალი უნისონი. თამარის საშინაო პოლიტიკა შემწყნარებლობითა („მგელისა და ცხვრის“ ძმობის პარამონია). საგარეო პოლიტიკა ხდება თავდაცვითი. იქმნება ქრისტიანული სახელმწიფო.

დავითი ძალას ემყარებოდა, თამარი სათნოებას. შესაძლოა ეს პროცესი ბუნებრივ-მემკვიდრეობითობის გამოვლენაცაა. დავითი მხენელ-მთესველს ჰგავს, თამარი კირნახულის ამღებს. დავითის საქართველო ნაზამთრალია, თამარის მცხუნვარე ზაფხულია. საცხე შემოდგომის დასაწყისია. დავით აღმაშენებელს არ ჰქონდა შიტვეების უფლება. იგი ჰქმნიდა, ყამირს სტეხდა. ცოდვას იღებდა თავს, გამოსაშვებ სისხლს უშვებდა. თამარს დიდი სამეფო დარჩა, მდიდარი, განათლებული, მან აკრძალა სიკვდილით დისჯა, „ნასალით განპატიუება“.

დავით IV-ს დახვდა დაუძღურებულნი სამეფო უდიდესი იმპერიული ამბიციებით. თამარს — იმპერია, ოლონდ იმპერიული ამბიციების გარეშე. დავითის მმართველობა იყო წესრიგი ექსტრემალურ სიტუაციებში, თამარის „მეფობა“ ექსტრემალური სიტუაციების მიღმა. თამარს არ სჭირდებოდა პოლიტიკური უნისონი. ის ერთობას „დემოკრატიულ საწყისებზე“ ამყარებდა. საუბედუროდ ნაადრევი აღმოჩნდა თამარის სათნოება. იგი ერთვნიული თავის-თავადობის რომანტიკული, თუმცა არასამიედო მეთოდი გამოდგა. „ცხო-

ვარივით“ სათნო კი იყო თამარი, მაგრამ მგელ-აფთართა გარემოცვაში ცხოვრობდა. აი, რა ვერ გაითვალისწინებენმა მზეთუნახავმა ანგელოზმა!

XIV საუკუნის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალემ სცადა გაემეორებინა „ქართველთა ღმერთის“ დავით აღმაშენებლის მეთოდი... „და იწყო მთიებმან აღმოკურვებად. ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის თქმად“. ასე ამთავრებს თავის „ასწლიან ქრონიკას“ უამთაღმწერელი. „მთიების“ აღმოკურვებაში იგულისხმება გიორგი ბრწყინვალეს გამეფება. ჯერ ამოუშეფრავია რას გულისხმობს ისტორიკოსი „საკვირველსა და საშინელში“. შესაძლოა ეს იყოს „სისხლიანი ნადიმის“ ამბები მთა ციხეზე. მეფის ბრძანებით აქ მოიწვიეს ჰერეთ-კახეთისა და სომხეთის დიდებულნი და ერთიანად დააცალეს თავები. „საშინელი და საკვირველია“ მეფის მოქმედება, მან ერთ დღეს მთლიანად მოსპო რამდენიმე ასეული არისტოკრატიული ოჯახი. ასეთი უსასტიკესი ტერორის ავტორს ეწოდა ბრწყინვალე... რადგან გიორგი V ახორციელებდა საქართველოს აღდგენისა და გამოსნის პოლიტიკას. დიდი იყო მიზანი — დიდმა მიზანმა გაამართლა საშუალება. გიორგი V ბრწყინვალე კი გახდა, მაინც ვერ იქცა აღმაშენებლად, რადგან ძალა პროგრესული რეფორმების გარეშე არაფერია. ამიტომაც არ არის აქ არავითარი ზღვარი. გიორგი ბრწყინვალე დავით აღმაშენებლის ფერმკრთალი ებიგონია.

დიდი საქართველოს კარები ალექსანდრე 1-მა გამოიხურა. ალექსანდრე 1-ს ორი ზეწოდება აქვს. მატიაწეში მას დიდი და ამშენებელი ეწოდება. ისიც „გამომსხნელია“, ისიც „გამაერთიანებელია“... არც ის მორიდებია მახვილს. „ნაჯახით“ იცავდა სამეფოს „განხეთქვისაგან“... ოლონდ „ძველმოდურია“ მისი ქმედება. არაა „ნოვატორი“, არაა რეფორმატორი! ზღვარი გადის XV საუკუნის 30-იან წლებზე. „ყოველი საქართველოს“ მოკრძალებულმა მემ-

კვიდრემ — ქართლის სამეფოს დარბაზმა ხელი ჩაიქნია გაერხიანების წლებზე და სცნო დაქუცმაცულობის სტატუსი. დაუცადა უკეთეს მერმისს. ეს ზღვარი უკანდახევის მანიშნებელია; რეგრესისაკენ გამზირალი და არა წინგამხედვალი. ველარ მოიძებნა ეროვნული ხსნის კონცეფცია, შემუშავდა მორცხვი მინიმუმი ქართველთა არსებობისა. „გავიდა დრო და არცა რა მიეცათ ძლევა ქართველებს თათართა ზედა“. გვიანფეოდალური საქართველოთაშარის ხაზს ვაჰყვა, დავიწყებული იქნა დავითის ხაზი. სამწუხაროდ, „თაშარის ხაზი“ (ხაზი სათნოებისა) არაფრით აღარ შეეფერებოდა ეპოქას. ისე გაილია 400 წელი; აღარასოდეს შექრულა ქართველთა პოლიტიკური ერთობა და აღარც „აღმოქურვილა“ მთიები სიღიადისა!

დაცემულობის ეპოქაში ეროვნული მოძრაობის ორი პოლიტიკური მიმართულება გამოიკვეთა: კომპრომისულ-ლოიალური და ქრისტიანულ-რადიკალური. პირველის ტიპური წარმომადგენელია როსტომ მეფე (ხოსრო დავითის ძე ბაგრატიონი). მეორის — თეიმურაზ I. როსტომისეული სტატუსი კომპრომისის უკანასკნელი ზღურბლია — მმართველობა იდეოლოგიურად გაიწყო მპყრობელი იმპერიის თარგზე — იგი დროებითი შესვენება იყო, აუცილებელი, ოღონდ საშვი: შესაძლოა დროებით დაჩოქილი ველარც წამომდგარიყო (ნიმუში დაჩოქილი მესხეთის ტრაგედია). თეიმურაზისეული რადიკალიზმი რისკი იყო — გაღიზიანებულ ირანს ერთბაშად არ მოესპო ქართველობა. ქვეყნის ხსნა ორივე მიმართულების დოზირებაში მდგომარეობდა. დაქვემდებარებულ ქვეყანას ერთიანად სპირდება შეურიგებელი ექსტრემიზმიც და ლოიალური შემარიგებლობაც. ერთი ამაგრებდა მეორეს, როსტომ მეფემ ორგზის გაუშვა თეიმურაზ 1 — არ ჩაუგდო ირანელებს ხელთ მოწინააღმდეგე! რადიკალების მძაფრი შეტეგები, მათი მუდმივი საომარი ყოყინა, აი-

ძულებდა მპყრობელ იმპერიას დაეშვა კომპრომისი. თავის მხრივ, ეს დათმობები ინახავდა ეროვნულ ეძლეხსაც. იდეოლოგიურად „ირანული“ ნიშანის ქვეშ კვლავ ისმოდა ქართული გულისცემა. ქართველობის დაცვისათვის ორივე საჭირო იყო — ოღონდ ზუსტი უნდა ყოფილიყო როლების განაწილება. საერთაშორისო სიტუაციაც განაპირობებდა ასეთ ურთიერთმონაცვლებას. ქართული სახელმწიფოებრიობა (შეზღუდული, „ავტონომიური“, მაინც ქართული!) ბეწვზე ეკიდა. ბეწვის ხიდი გადიოდა ირან-თურქეთ-რუსეთის ურთიერთდაპირისპირებიდან გამომდინარე წონასწორობაზე. ეს წონასწორობა ასე თუ ისე „იცივდა“ ქართველობას! რამდენჯერაც ქართველებმა დაარღვიეს წონასწორობა და აქცენტი ჩრდილოეთისაკენ ვააკეთეს — მიიღეს უმძიმესი დარტყმები სამხრეთიდან. ამ ურთულეს ეპოქაში შეუძლებელი იყო პოლიტიკური უნისონი. აკი აღვნიშნეთ, თავისთავადობის შენარჩუნება გარეგნული „დაპირისპირებით“ შეიძლებოდა. ამის მიუხედავად ორგზის — მარტყოფისა და ბახტრიონის ეპოპეების დროს კვლავ აღორძინდა საერთო ნიადაგი, რომელიც ექსტრემალურმა სიტუაციამ („ყოფნა-არყოფნამ“) გადაზარდა პოლიტიკურ უნისონში.

გიორგი სააკაძის ფენომენის შესწავლისას ბოლომდე გაუხსნელი დარჩა გვიანი შუა საუკუნეების უდიდესი საოცრება: მარტყოფის ეპოპეა. აჰანყება მომზადდა საჯაროდ... მასში ჩაება არისტოკრატია, გლეხობა, კლერიკალური და წარმოიდგინეთ: — 40 000 ყიზილბაში აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში (ერთადერთი პოტენციური გამცემი ანდუყაფარ ამილახვარი ასევე საჯაროდ დაამწყვდიეს არშის ციხეში), შერიგდნენ მოსისხლენი, წყენა დავიწყეს გაბუტულებმა. განა მაშინდელ საქართველოში მოღალატე არ იყო? პერმანენტული დალატეც ვაჰქვს: შეგნებულიც, უნებლიეც. დაქვემდებარებულ ქვეყანაში სახელმწიფო მოხელე ყოველთვის

უნებლიე „მოლაღატა“. პატრიოტი ქართველი, მპყრობელი — იმპერიის ამსახურში ჩამდგარი, რაც უფრო კარგად ასრულებდა მოვალეობას, უფრო აძლიერებდა რეჟიმს, რომელიც მის სამშობლოს უჭერდა მარწუხებს. 1709 წელს ქართლს თურქ-ყირიმელთა 30 000-იანი ლაშქარი შემოესია. ისინი მხოლოდ საძარცვავად არ შემოსულან. მათი ძირითადი მიზანი იყო ქართლი ირანისაგან გამოეგლიჯათ! (რა თქმა უნდა, ირანისაგან გამოტაცებული ქართლი თურქეთს უნდა დარჩენოდა!).

აი, ტიპური მაგალითი ქართველთა პარადოქსული ისტორიისა. ქვეყნის „გამათავისუფლებელი“ თურქი „მეგობარ-მფარველ“ სპარსზე უფრო საშიში იყო ქართველებმაც დაიცვეს თავი — ერთიანად ამოჟლიტეს ტაშისკართან მომხდურნი (სწორედ ამ დროს გაიბრწყინა თედორე ხუცესმა), თავი დაიცვეს... და გაიხანგრძლივეს ირანელთა ბატონობაც! იქნებ შაჰ-აბას I სატკივარი გაითავისეს ქართველებმა? არა გვგონია ასე ეფიქრა თვით შაჰ-აბას I, აღფრთოვანება რომ ვერ დაშალა. პოლიტიკური სიტუაცია აიძულებდა ქართველებს სხვის ომში ჩაბმას. ქვეყანას ირანი უჭერდა ყელში ბინძურ ხელებს. სხვა მტერი ესხმოდა ირანს, ჩვენს წინაშე იდგა აბსურდული ალტერნატივა. თუ ირანი დამარცხდებოდა, ინგროდა საქართველოც, თუ ირანი გაიმარჯვებდა — ძლიერდებოდა ირანული მარწუხი. მაშასადამე, ირანის ომებში ჩაბმული ქართველები ერთდროულად იცავდნენ სამშობლოსაც და სამშობლოს „მპყრობელსაც“. ესეც ჩვენი უბედურება იყო. ეროვნული გმირები მპყრობელების ხელისშემწყობნიც იყვნენ.

საერთო ნიადაგის საფუძველზე შეიკრა ქართველთა პოლიტიკური უნისონი 1659 წლის კახეთის აჯანყების დროს. ისე მომზადდა მრისხანე აჯანყება, შაჰის აგენტებს არაფერი შეუტყვიათ. არა გვგონია, ეს უდიდესი ეპოპეა ქართლის „არაირანული“ ორენოვანი და

„ორბუნებოვანი“ (გულთხე ქრისტიანული და სჯულით მუსლიმანი) სამეფო დინასტიის გარეშე განხორციელებულიყო! აქაც ძველი ფანდი განმეორდა: **ლოიალებმა რადიკალები ირანზე მიუშვეს!** ორიგინალურად განვითარდა „დაბირისპირებულთა“ ერთიანობის კანონი. ქართველთა არსებობა მხოლოდ ასე შეიძლებოდა: **მარტოდენ დაჩოქება გადაგვარებას უღრიდა, მარტოდენ შეტევა — სიკვდილს.**

რა იქნებოდა გიორგი სააკაძეს პირადი ანგარიშსწორება რომ დაეწყო? ხომ შეეძლო ბიძინა ჩოლოყაშვილს მოესპო პირადი მეშურნეები? პოლიტიკური უნისონის დროს პირადული აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტაქტიკურად წამგებიანია! არაზნებობრივად არის პატრიოტიზმის ლოზუნგით ყელში სწვდე ე. წ. „მოლაღატა“; ვერავითარ შემთხვევაში ვერავინ ვერ დასაბუთებს, რომ ქართველთა გადაჩენის საქმეში უფრო მეტი ვააკეთა რანდმა მეფემ თეიმურაზ I, ვიდრე „რენეგატმა“ როსტომმა ან ვახტანგ V-მ. ლოიალობა მეთოდია... **ლოიალთა „მოლაღატათა“ რანგში მოქცევა ხიზრმავეა**, ნუ დავივიწყებთ; მაჰმადიანნი იყვნენ გიორგი სააკაძეც, ვახტანგ VI, გიორგი XI, გმირი ლუარსაბ I, სიმონ I.

გვიან შუა საუკუნეებში „ქრისტიანობა — მაჰმადიანობა“ „პარტიულობა“, არაიშვითად რელიგიურობა მანევრია. ქეთევან წამებულმა ქრისტიანობის დაცვით დაიცვა ქართველობა, მაგრამ ვახტანგ VI სწორედ იმიტომ, რომ დროზე არ მიიღო მაჰმადიანობა, წააგო პოლიტიკურად. ისტორიულად ქართველთა ხსნა არ ყოფილა სწორხაზოვანი... ზოგჯერ ბრძოლით მიიღწევა საწაღელი, ზოგჯერ დათმობით. გმირობა სწორედ ეპოქის შესაბამისი მეთოდის მიგნება!

ეროვნული მოძრაობის დროს ორი სახის პროტაგონისტი გვყავს გამოკვეთილი: **წმინდანი და გმირი**. ორივე შესწავლილია. ასე თუ ისე წამოწყებულია **მოძღვარიც**. სამაგიეროდ, დავიწყ-

ბულია ლოიალი. უფრო მეტიც: — ლოიალი ოლიოზურია. ე. წ. „კრიტიკონებზე“ ვამორჩათ ერთი ძირითადი მომენტი. ჩვენი ისტორია მე-13 საუკუნის II მეოთხედიდან უმთავრესად არის შეგუების პოლიტიკა — პოლიტიკური ადაპტაციის ხანგრძლივ პრაქტიკა. ჩვენი სრული თავდახსნის მეთოდი კი არ მუშავდებოდა, არამედ მისაღები შეგუების ფორმები. ქართველთა პოლიტიკური არსებობის მინიმუმი (თანამედროვე გაგებით რომ ვთქვათ, „კულტურულ-ადმინისტრაციული ავტონომია“) სანატრელად გამხდარიყო. ეს იყო ჩვენი ბედისწერა. სამწუხაროდ ამაზე შორს იშვიათად მიდიოდა ქართველთა ოცნება. არჩილ I და თეიმურაზ I შენატროდნენ ქართველთა პოლიტიკურ სტატუსს. ეპოქას, როდესაც ქრისტიანი მმართველობა განიხილებოდა იდეალად „ჩვენობის ჩვენს ხელთ ყოფნად“. გმირები და წმინდანები ასეთი „ჩვენობისათვის“ იბრძოდნენ. მაგრამ განა ქართველობისათვის ბრძოლაში მხოლოდ გმირი და წმინდანი იყო ჩაბმული? ხად არის ე. წ. „ხაშუალო ქართველი“ დღეს ბევრი „მაბრალბელი“ უკიყინებს ჩვეულებრივ ადამიანებს, ბრალს დებენ სიჩუმისათვის, აქტიური მოქმედებისაგან თავშეკავებისათვის, „გაქცევისათვის“. ერთად ერთი, რაც ყოველთვის დასავლობია, არის გულგრილობა. მაგრამ სიჩუმისათვის „კახთა მკიცხველთ“ უნდა შევახსენოთ: ის, ვინც აშენებს, დაქცეულს აღადგენს, თავისთავად გმირია! შაჰ-აბას I დარტყმებისაგან კახეთის გადამრჩენი მხოლოდ შეიარაღებული მხედარი როდი იყო. მხსნელია ჭიუტი გუთნისდევაც, მევენახეც, კირითხუროც, მაშასადამე, არ შეიძლება გულგრილად მოვინათლოთ „ჩუმი პატრიოტი“ — ლოიალი, რომელიც მთელი არსით ჰქმნიდა ქართველთა არსებობის მარადიულ საყრდენებს — ეკონომიკურ წესრიგს, ეროვნულ ყოფას (ე. ი. კულტურას), დემოგრაფიულ „აპარატს“. მიწასთან „ჩაბლაუ-

ქებული“ ქართველი გლეხი, მპყრობელი იმპერიის ქართველი „მსახური“ ყოველთვის როდი იღვწოდა, ისპუჰანისათვის ან სტამბოლისათვის ნამდვილ პატრიოტები „ქართული საქმეების“ გაკეთებასაც ახერხებდნენ, ან ხელს უშლიდნენ რეაქციონერებს.

ლოიალობა, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს საქები. მაგრამ ჩვენი ერის ისტორიაში ლოიალობაც შეფარული აქტიურობა იყო — ხსნის ერთ-ერთი მეთოდი.

სამწუხაროდ, გმირთა და წმინდანთა გალერეაში არაა თვალსაჩინოდ წამოწეული მოძღვარი. ეს კი აუცილებელია, რადგან კოლექტიური მეხსიერების შესუსტების საფუძველზე დაკნინდა კოლექტიური ცნობიერება, აღმოცენდა სკეპტორი, ხსნის მესიანისტური, არარეალური ოცნებებით, მისტიკა, ფანტასტიკა. დღის წესრიგში ყოველთვის იდგა კოლექტიური ცნობიერების დამუხტვა. ეს მოძღვარს უნდა გაეკეთებინა... აკეთებდნენ კიდევაც... სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ანტონ I და საერთოდ კათალიკოს-პატრიარქთა უმრავლესობა და ა. შ.

ქართველთა კოლექტიური ცნობიერების დამუხტვა განსაკუთრებით აუცილებელი გახდა XIX საუკუნეში. ეს პროგრამა დასახა ილია ჭავჭავაძემ; მან შესძლო პრაქტიკულად სანახევროდ აღედგინა პოლიტიკური მინიმუმი ქართველთა არსებობისა. ეს იყო ახალი ზღვარი. თუ ვაღიარებთ რომ XX საუკუნეში ისევ იდგა „აღდგენა-გამოხსნის“ პრობლემა, შთაბეჭდილება რჩება, ილია ჭავჭავაძე „თამარის ხაზის“ მომხრეა უფრო, მისი „შრომის სუფევის“ თეორია დიდი თამარის ისტორიკოსების „სათნოების“ მსგავსია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „თამარისეული“ სათნოება დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოების პოლიტიკა იყო, გალადებული მმართველობის „მეფური“ ჰუმანიზმი, ილიასეული ხსნის კონცეფცია შეპირობებული იყო მკაც-

რი სინამდვილის რეალისტური ანალიზით.

ილია ჭავჭავაძე არ ეძებდა ქართველთა პოლიტიკურ უნისონს. იგი ერთობის, გამთლიანების მომხრე იყო, მაგრამ უფრო პლურალისტური დემოკრატიის გეზით. მას არც უცდია შეეკმნა პარტია. არ არის სწორი არც ილიას „მემარცხენეობა“ 60-70-იან წლებში, არც „მემარჯვენეობა“ XX საუკუნის დასაწყისში, გულუბრყვილობაა ისიც, თითქოს ილია ჭავჭავაძე აყალიბებდა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ (კადეტურ) პარტიებს. ეს მოღვაწე უნდა განვიხილოთ მთელი მისი შემოქმედებითი და არა ერთი რომელიმე კონკრეტული „საეკვო“ დოკუმენტით.

ილია ჭავჭავაძის იდეალი იყო სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა პარმონიული (პლურალისტური დემოკრატიით „შრომის სუფევით“). ეს უკანასკნელი მას არ დაუკონკრეტებია. მაგრამ ილია ჭავჭავაძე იყო რაციონალისტი. მან იცოდა, რომ ეროვნულ ძალებს შესაბამისი საერთაშორისო პირობების გარეშე არ შეეძლოთ გამარჯვება. ამიტომაც აირჩია აქტიურობის სტრატეგია, რაშიც იგი გულისხმობდა ერის მომზადებას. არა და ერი მოუმზადებელი იყო, ეროვნული თვითშეგნება მოდუნებული.

როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ სიმპათია გამოამყლავნა კადეტური მიმართულებისადმი? მას აფრთხობდა რუსული რევოლუციის ბუნტარული ბუნება. ამიტომაც მზარი დაუჭირა იმპერიის ზემოდან გარდაქმნას, ქართველთა მამას ეშინოდა, ფრანგული რევოლუციის მსგავსად ქვემოდან განხორციელებული „ბუნტი“ პროგრესი ტერორის ქვაბში არ დადუღებულყო! ალბ. აინშტაინი ამბობდა: „მასების ფსიქოლოგია ძნელად შესაცნობი რამ არის. ვშიშობ, რომ ისტორიკოსები ისტორიის წერისას არ ითვალისწინებენ მათ ფსიქოლოგიას. მოვლენას ისინი უცქერენ რეტროსპექტიულად.

იმ წინამდვილიდან ამოსვლით, თითქოს შეეძლოთ ზუსტად განსაზღვრონ ამათუ იმ მნიშვნელოვანი ამბისი კონსტრუქციები. სინამდვილეში ამ თეორიის მიხედვით ზეზების გარდა, არსებობს მასებას ფსიქოლოგიის მოუხელოებელი ფაქტორები, რომელთა შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით, ან სულაც არაფერი ვიცით“.

ილია გმირი იყო, საკუთარი სისხლისდანთხევით ერის გამოფხიზლები-სათვის თავდადებული.

ეროვნული და სოციალური მოძრაობის შეპირისპირებისას თვალში საცემია ერთი თავისებურება: ყველა ეპოქაში მას ასულდგმულებდა ყველაზე ინტელექტუალური იდეები. სოციალური მოძრაობა ყოველთვის ტალღობრივია. ცვალებადი, ნაკლებად ინტელიგენტური, ნაკლებად ინტელექტუალური. ხშირად თანსდევს ბრმა ბუნტარიზმი, ქუჩის ფსიქოლოგია.

ეროვნულ მოძრაობას მახვილი უჭირავს, სოციალურს ნაჯახი უკავია. ამის მიუხედავად, ურთიერთშეჯახებისას (პარალელურ განვითარებას კი იშვიათად ითმენენ!) ძალზე ხშირად სჯობნის სოციალური დემაგოგია. არის გამოჩინებული, ოღონდ ასეთ დროს როდესაც წამყვანია ეროვნული, ამ უკანასკნელს რაღაც დოზით აქვს სოციალური ასპექტებიც. ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ახალ საუკუნეებში („ახალი საუკუნეები“ კი ჩვენთვის XIX საუკუნეში იწყება) ვერაფრით ვერ გაიგო ეს ანბანური ჭეშმარიტება. ვერც შედეგები გააანალიზა. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებელ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი არჩევნების დროს ეროვნულმა პარტიებმა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკურ) პარტიასთან შედარებით მიიღეს 12-ჯერ ნაკლები ხმა.

ქართული ეროვნული მოძრაობა XX საუკუნეშიც გვიანფეოდალური ხანის სტერეოტიპებს იმეორებდა. ეს კი შეცდომა იყო. შუა საუკუნეებში ქართველთა ეროვნული მოძრაობა გაცილებით

პროგრესული იყო გარემომდგარი აგრესიული ეთნიკური ტალღების მოგერიებისთვის ბრძოლაში. უახლოესი ეპოქის სოციალური პროგრესი ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ შექმნიჭურადაც ვერ შეუერთა ეროვნულს. დიდი ილიას სიკვდილის შემდეგ ეროვნულმა მოძრაობამ სოციალური მოძრაობისაგან აიღო მხოლოდ ღვარძლი და არა სამანევრო მეთოდი. 900-იან წლებში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა დაიჭაბნა სოციალური მოთხოვნების დემაგოგიური ლოზუნგების ქვეშ. მენშევიკების მიერ აფრიალებულ დროშას ათასები მიჰყვებოდნენ, სამფეროვან ალამს ათეულები. რთულმა დრომ ქართველობას მკაცრი ისტორიული გაკვეთილი ჩაუტარა. ამ გაკვეთილისათვის ეროვნული მოძრაობა მზად არ აღმოჩნდა.

აქედან გამომდინარეობს მთავარი დასკვნაც: ქართველებმა 300 წლის განმავლობაში ვერ დაამუშავეს კმედიით საერთო ნიადაგის კონცეფცია, მთლიანად რომ შეკრავდა ეროვნულ და სოციალურ ინტერესებს. ამ გარემოებამ დიდი დაასვა პოლიტიკური მოძრაობის ორივე ასპექტს: სოციალურმა ნიჰილისტურმა კოსმოპოლიტიზმმა შეიძინა არ-

ნახულად დაუნდობელი გადახვევები, ეროვნულმა ბოლომდე შეინარჩუნა „პირველყოფილი სიწმინდე“ კეთილშობილების ჳარბი ინფენტალიზმის ნაზავით გაჭერებული. ეროვნული მოძრაობა სწორ სოციალურ ორიენტირს უნდა ემყარებოდეს, მან უნდა განსაზღვროს არა მხოლოდ ის, თუ რატომ იყო ქართველობა მარადიული ფენომენი, არამედ ქართველობის სახეც... ახალი თვისობრიობის პერსპექტივაში ე. რ. ეროვნულმა სოციალურიც უნდა გაითავისოს. სხვაგვარად ეროვნული მოძრაობა ყოველთვის დარჩება სიმპატიურ ოცნებად, ვერ მოიპოვებს საერთო-სახალხო მხარდაჭერას. ყველაზე ცუდი ისაა, როდესაც ეროვნული მოძრაობა სოციალური მოძრაობისაგან მარტოოდენ უხამს მეთოდებს შეიძენს. ეროვნული მოძრაობის მთავარი ამოცანა ერის გათიშვაკი არ არის, არამედ მისი კოლექტიური ცნობიერების დამუხტვა, პოლიტიკური სიტუაციის რეალური ანალიზიდან გამომდინარე საერთო ნიადაგის გამოძებნა. ეროვნულ მოძრაობას სჭირდება დროის მსოფლიო მაჯისცემის შეგრძნება.

...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...

...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...



ზაურ კილაძე

კაცი და იდეალი

(უილიამ ფოლკნერის „რომანი აბეხალომი“ შესახებ)

...ხოლო და იმ მდგომარეობაში რომელიც
 როდესაც ნავლის სწევა მისი ზეპირპედე-
 ბა აღმაიანზე უკეთესი შედეგის მიზნით
 მომასწავებელი, ამოცახელით შემკრთისე-
 ნიება ღმერთი, როდესაც კაცისთვის გაჯი-
 მოუნობა მისი შეარველი თუ დამტუ-
 ველი ღვთაების პირიგნული ხსენ...
 „იდეალი ნიშნში, რომელიც იდეალურად მასზე,
 აღმაიანის... მოქმედების სერხსა და ხსი-
 აის რომ განსაზღვრავს“.

ფილოსოფიური ესეიკლოპედია

...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...
 ...მეტი მნიშვნელობა აქვს...

რომანის სათაური ბიბლიადანა მოვყვარდ-
 („წიგნი შორე მეფეთა“); კონკრეტულად კ-
 ის ბიბლიური ამბავი უნდა გაუხსნენოთ, ხადაც
 დავით მეფე თავის, მის წინაშე დიდად დამნა-
 შავე ვაჟიშვილს, აბეხალომს გლოვობს — „და
 ცრემლოდა მეფე და აღხდა ქორსა მას ზედა
 მის ბჭისასა, და ტირიდა ფრიად და იტყოდა:—
 შვილო ჩემო აბეხალომ, აბეხალომ, შვილო
 ჩემო ვინაშეა მომაკვდიანა მე სიკვდილისა შე-
 ნისა წილ, შვილო ჩემო აბეხალომ, შვილო ჩემო
 აბეხალომ!“

ამ რომანის მთავარ გმირსაც, ტომას სატენ-
 ხაც ეღუპება ვაჟიშვილები, ანუ ერთი ძმა
 შორეს ბელავს, გადაიკარგება და, ცხადია,
 მკვლელი ვაჟი ძეობას ვედარ გაუწევს მამას.
 ამ ბიბლიური მაშისგან განსხვავებით ტომას
 სატენი ცრემლებს არ დვრის, არც მწარედ
 მობტყვამს, რადგან, როგორც ჩანს მას ხსენ
 იდეალი აქვს გულში ამოჭრილი.

უ. ფოლკნერი ამ რომანის წერისას იქნებ
 არც კი ფიქრობდა იდელების ფენომენის
 წარმოჩენას. ასეა ხოლმე. ყოველი დიდი შე-
 მოქმედი, თავისდა უნებურად, ისეთ ხიდრებს
 ჩანსწავდება და გამოამწერურებს, რომ მკითხ-
 ველი განცვიფრებული რჩება.

კაცის იდეალით თემა მხატვრულ ლიტერატუ-
 რაში ჩერ კიდევ პომეროსიდან მომდინარეობს.
 მაგრამ გარკვეულწილად ხსენებული თემა
 ნაწარმოების ტექსტის მიღმა რჩება და მხო-
 ლოდ მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, თუ
 რა შეგავლენას ახდენდა ეს თემა იდეალი
 გმირების თავგადასავალსა და ბედ-იღბალზე;
 თავად ავტორის ჩანაფიქრშია გარკვეული იდე-
 ალით აღჭურვილი სახის ჩვენება და ამიტომ.
 მაგალითად ეს შეიძლება იქვას რუსთაველის
 „ვეფხისტყაოსანზე“, სერვანტესის „დონ კი-
 ხოტზე“, თ. დობტოევსკისა და ლ. ტოლსტოის
 რომანებზე, საყურადღებოა ამ მხრივ უ. ფოლკ-
 ნერისავე რომანი „მთაწარი და მქვინვარება“.
 მთავარი გმირი, კვენტინ კომპსონიც გაუტანჭავს
 ბავშვობაში ნახაზდოებ რადაც იდეალს, ანუ,
 უფრო სწორად, ნგრევას ამ იდეალსას, რომე-
 ლიც მას, საბოლოოდ, მომაკვიდრებულ გრძნო-
 ბად მოეკლინება.

„აბეხალომში“ კი კაცის იდეალით ფენომენი
 ისე, ნათლად ჩანს, რომ ჩვენ, მკითხველებს,
 თითქოსდა შეგვიძლია ბელი შევახოთ, შევატ-
 რიალოთ და ყოველი მხრიდან ჩავუღრმავდეთ
 და გავითავისოთ იგი.

* შენიშვნები — იხ.: პომეროსი. „ოდისეა“,
 თბ., 1975, გვ. 392.

ჩერ კიდევ მარკუს აგრელიუსს ჰქონდა შე-
 ნიშნული აღმაიანის სულში დავანებული რადაც

მამობრავებელი ძალი, რასაც იგი ერთგან „შინაგან მძღოლს“ უწოდებდა.

მარტუს ავრელიუსის წიგნის მთარგმნელი და კომენტატორი ბ. ბრეგვაძე ასე ხსნის ამ ცნებას — „შინაგანი მძღოლი, წარმართვები საწესი... — უნივერსალური, ღვთაებრივი გონების ემანაცია, კაცის ერთგვარი „შინაგანი სიტყვა“... განსხვავებით „წარმოთქმული სიტყვისგან“... ეპიტეტებზე უფრო აწრფელი გონება“... რომლის ძალითაც კაცი ეზიარება, ემსგავსება და ერთგვარად კიდევაც ღმერთს“¹.

მარტუს ავრელიუსის ხსენებული თხზულებაში კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მტკაღ მნიშვნელოვანი ქვეთავთა, რომელიც იდეალის ოდინდელ წარმომავლობასა და რაობას წარმოგვიჩენს: „არა არის რა ქვეყნად უცროსი საწყალობელი, ვიდრე კაცი, რომელიც გაოდიგარდმო ჩხრცს უვრელაფერს და პოეტის ჩიტყვებით რომ ვთქვათ, „გულდახმით იკლავს ქვეყნადელის უყურს“ — ეგების ამ გზით გავიშვანდნო მთავანის სულის საიდუმლო, მაგრამ რომელხაც ვერ შეუტყნია, რომ მისთვის სახუბნით საქმარსხა თანაზიაროს საკუთარ სულში დამკვიდრებულ ღმერთს და პირთალოდ ემსახუროს მას. ეს სამსახური კი ვნებათამძლეობისა, სიშლეგისა თუ ღვთაებრივ თუ კაცურ საქმეთა მიმართ უკმაყოფილებიხაგან მის დატყვის გულისმზობს. მართლაც, ღმერთთა საქმეებს თავების ვცემთ მათ სრულწმინდების გამო, კაცთა საქმენი კი გვხიბლავენ თანათესაობის ძალით. მაგრამ ეს უკანახუნდნი ზოგჯერ სიბრაღულს იწვევს მკენში: კერძოდ მაშინ, როცა მათი ცნაურდნა უშეცრება კეთაღისა და ბორბთისა — ხამინიქე არა ნაკლები, ვიდრე ხიქვი, რომელიც თერთისა და შავის გარჩევის ტარს გვიჩვენებს“².

როგორც ვხედავთ, მარტუს ავრელიუსისთვის უფრო საქმეთა „მოყვანის სულის“ ან სხვათა სულის საიდუმლოს შეცნობა და ამდენად, თითქოსდა ადამიანისთვის უცხო უნდა იყოს, თანაღმობის გრძობა და მისთვის „საკმარისისა თანაზიაროს საკუთარ სულში დამკვიდრებულ ღმერთს“.

მაგრამ აქ, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმას, თუ როგორია მარტუს ავრელიუსის ღმერთი და რამდენად ზნეობრივიც ამ ღმერთისადმი მორჩილება.

მარტუს ავრელიუსი სრულიად ენდობა ამ თავის ღმერთს, რომლის „სამსახური... ვნებათა მძღვარობისა, სიშლეგისა და ღვთაებრივ თუ კაცურ საქმეთა მიმართ უკმაყოფილებიხაგან მის დატყავს გულისმზობს“.

ბ. ბრეგვაძე ასეთ კომენტარს უტოებს მარტუს ავრელიუსის „ღმერთს“:

„სტოიციზმი გაიზარა სოკრატესა და პლატონის სწავლა ადამიანის სულში ღმერთის (ღმერთის) პრეზენციის შესახებ. „შენ ყველგან დაატარებ თან ღმერთს“, ამბობს ეპიტეტე... „ახლა არს ღმერთი, შენთან არს, შენში არს“, ამბობს სენეკა... ცოტა ქვემოთ ის „წმინდა სული“ უწოდებს ამ შინაგან ღმერთს, ყველა ჩვენი კეთილთა თუ ბორბთის დარაქსა და ბეჭერტს, კაცი, რომელიც ზნეობრივ სრულქმნილებას ხაზავს თავისი სიცოცხლის მიზნად, უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს საკუთარ სულში დამკვიდრებულ ღვთაებას, ღმერთს. მხოლოდ ამ გზით იქცევა „კაცადან ღმერთად“, როგორც იტყობა ეპიტეტე“³.

როგორც ვხედავთ ანტიკური ხანის მოღვაწეებისთვის და განსაკუთრებით სტოიციზმის მიმდევრებისთვის ღმერთი იყო სწორედ სოკრატესული „ღმერთიანი“, რაღაც ღვთაებრივი ხმა, რომელიც ადამიანს იცავდა ავის ქმნიდან და „შინაგანი მძღოლი“, ანუ „იგივე „ღმერთი“ თურმე შეიძლება იყოს მხოლოდ „ღმერთი“, „წმინდა სული“. ესე იგი ანტიკური ეპოქის ადამიანების სულში, რომლებიც ეზიარებდნენ ამ შეხედულებას, მარშონიულად იყო ჩაწყლული, შესისხლბორცებული მარადეული სიკეთის ხონონიი ღმერთი, ბორბთა უკვე ამ ღმერთის დატყავა, ანუ ბორბთა უკვე იმას მოწმობს, რომ ამა თუ იმ ადამიანის სულში სულაც არ არის ეს „ღმერთი“, გინა „ღმერთი“, გინა „წმინდა სული“.

ი. კანტო ადამიანის ბუნების ამ ფენომენს უყვე „იდეალის“ ცნებით მოიხსენიებს. მაგრამ თითქოსდა მინც იბულებულია ამ ცნების დაზუბტებისთვის სიტყვა „ღვთაებრივი“ მოიშველბის. თუმცა, მიუხედავად ამისა, კანტისეული აზრის ამ საკითხის ცოდნის უფრო მძალად საფუბტურზე აყვარათ: „...იდეალი ემსახურება იმას, რომ იყოს მარტველ სახე ახლის ხრული განსაზღვრისათვის, და ჩვენი მოქმედებისათვის სხვა სახეში არ გავგანჩინი, გარდა ამ ღვთაებრივი ადამიანის ქცევისა ჩვენში, რომელსაც ჩვენ თავს ვადარებთ, განვსჯით და მისი წყალობით თავს ვიუჭლოვებთ, თუმცა მას ვერასოდეს ვერ მივადწვევთ“⁴.

საინტერესო უნდა იყოს თანამედროვე მეტეორითა შეხედულება ამავე საკითხზე. ისინი უკვე გარკვეული, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური ცოდნის პოზიციებიდან იკვლევენ ამ საგანს და ამასთან ერთად, თანამედროვე ტრანსიენოლოგიაც აქვთ მომარტყვებული. ასე, მაგალითად, ამოლონ

¹ მარტუს ავრელიუსი. „ფიქრები“, თბ., 1972, გვ. 78.
² იქვე, გვ. 297.
³ იქვე, გვ. 84-85.

⁴ მარტუს ავრელიუსი. „ფიქრები“, გვ. 299.
⁵ ი. კანტო, „წმინდა გონების კრიტიკა“, თბ., 1979, გვ. 355.

შეროშისა ახრით (ამ რთულად ხაყითხის ცრუდა-
რებით მარტივად გადმოცემის მიწნით შეტატა
შემოკლებით მოგვუყავს): „სუპერპაროვნების (ი.
კანტის „ღვთაებრივი ადამიანი“ გავიხსენით —
წ. კ.) ინსტანცია... პაროვნების დამოკიდებულებ-
ის აუცილებელი არის ინსტანცია; პაროვნება
არ არის, თუ არ არის ეს ინსტანცია... პაროვნე-
ბის დამოკიდებულების ერთიან სფერო ვერ ჩა-
მოყალიბდება არა მარტო სხვა ადამიანის... გა-
რთვე, — არამედ სწორად ამ სუპერპაროვნე-
ბის გარეშე; უფრო მეტად უნიკალური პი-
რონიკის მიხედვით, პაროვნება, ისევე, რო-
გორც მისი ცნობიერება, ყველაზე უკეთ შე-
იძლება ამ სუპერპაროვნებასთან მისი დამო-
კიდებულებისა კვალად შეაფასოთ.“

ამ სიტყვების მოყვანისას ცნება „სუპერ-
პაროვნება“ კანტიანულ „იდეალს“, „ღვთაებ-
რივ ადამიანს“ დაუკავშირეთ, რადგან, ძირითა-
დად, ეს ცნებები ერთმანეთის თანაგვარია და
ამიტომ შეიძლება ერთმანეთი უკეთ ახსნან და
შეავსონ კიდევაც.

ყოველი ადამიანის სულშია ეს „სუპერპაროვ-
ნება“, ანუ „ღვთაებრივი ადამიანი“, ანუ რა-
ღაც იდეალი, რომლის მრავალფეროვნება აღუ-
რისცხავს; მართლაცდა შეიძლება ღვთაებრივი
ადამიანის იდეალით დავიწყოთ და ღვათაე-
როთ გარეწმის, შეკვლელის იდეალით. შოთა რუს-
თაველი რომ ამბობდა: „ჩვე, კაცო, მოგვსა-
ქვეანა, გვაქვს უთავალბო ფერიოა“. ამ თვალ-
საზრისით, გაიქტბებ და სენეკა უფრო გვიან-
დელი ხანის მოღვაწეები რომ ყოფილიყვნენ, შე-
იძლება ცნება „ღმერთი“ შეეცვალოს და ის
წემოთ მოყვანილი პასუხები დღეს ასეთთ ხა-
ბით გვეწონოდა ჩვენ: „შენ ყველგან თან ღვა-
ტარებ ეშვას“ და „ახლო არს ეშვი, შენთან
არს, შენში არს“.

საკუთარ ხელში დამკვიდრებული დემონის
ბამხასტრი ზოგჯერ შეიძლება ბორბტება იყოს.
სწორედ ამიტომ დაქარბა ცნება „დემონა“
ანტიკური ხანის დროინდელი მნიშვნელობა და
ბორბტი სულის ხინონიში ვახდა. დიამ, დედს
ეს დემონი ხანდახან ეშვი“ და არა „ღმერთი“.

მეტრ წილი ადამიანების ღარად, ამ რომანის
მთავარ გმირს, ტომას ხატპინეაც ჭინდა ამოქ-
რილი ველში რაღაც იდეალი. ანუ გარკვეული
სუპერპაროვნება, ღვთაებრივი ადამიანის ხადი,
რომლის საკურთხეველზეც მან მიიტანა მთელი
თავისი ცხოვრება და... სხვათაც, რაც უკვე მისი
სუპერპაროვნების, ანუ „ღვთაებრივი ადა-
მიანის“, ანუ „ღვთაებრივის“ ოდინდელი ან-
ტიპოიდისა და ორეულის, ეშვიანულის“ რო-
ბით შეგვიძლია ავხსნათ, ანუ იქნებ ამ შემთხ-

ვევაში ეს ვარქმეობა სწამდეს იმის მემორი-
ბით ვაგიოვანოთ, რასაც ამ რომანის ერთ-ერთ
თი გმირი (მთხარბედი-გმირი) როუზა კოულდ-
ფილდე ასეთი ცნებით გადმოგვცემს: „I see a
satan-demon“ („ვაკაც-ცხენი-ეშვი“).

* *

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა შეიძლება გივა-
რაუდოთ ამ რომანის ძირითად თემად. ზაგა-
ერთო ლიტერატურისმცოდნის ახრით, უ. ფოლქ-
ნერი თავის „ახესალში“ ავტორის იმას, თუ
რამ შეიძლება ადამიანში ადამიანი დაღუპოს.
ახე, მახალითად, ნ. ანახასიევის მიხედვით,
მწერალი „კვლევს ადამიანობის დაღუპვის
შოწეწს“. მართლაცდა, ამ რომანით უკვე
ნათელი ფნდა იყოს ეს მიწნეები თუ მიწნეი.
და აქ ერთ-ერთ იმ პარალელს ვხედავთ, ახე
უხვად რომ თანახედვს ადამიანის ცხოვრებას
ადამიანში ადამიანის დაღუპვას სწორედ ის იწ-
ვევს, რაც მხოლოდ მის ბუნებასთანაა წილ-
ნაყარს და რაც შეიძლება მხოლოდ მისი ხინხ-
ლი და ხორცი იყოს. დედამიწაზე მცხოვრებ
სხვა არც ერთ სულდგმულს არ მოეპოვება იმის
მსგავსი, რაც ადამიანს ადამიანობას ანიჭებს და
გარკვეულ შემთხვევაში კიდევაც წაპვერის ადა-
მიანობას, რომ იქნებ მერე, დღი სულერი-
გვემის შემდეგ იხვდ დაუბრუნოს მას, როგორც
ეს მოუვიდა თ. დოსტოვესკის გმირს რასკოლ-
ნიკოვს, რომელიც საბოლოოდ მიხედება ადამი-
ანის ბუნების ხირთუდეს, გათავისებებს კიდევაც
ამ ბუნებას და წემოთ ხხენებული „დაბრუნება“
ამ გათავისებების შედეგია. ან იქნებ ვერ გათი-
ვობს თავის თავი და ხერთოდ, ადამიანის ბუ-
ნება, ამიტომ ვერც დაამბრუნოს ადამიანობა და
იხვდ ჩავიდა სხვარეში, როგორც ამ რომანის
მთავარი გმირი ტომას ხატპინე.

ადამიანის შემოთხხენებული ხინხლი და
ხორცია, როგორც ვიცით, მის სულში არხე-
ბული ის სუპერპაროვნება, რომელიც შეიძლება
მთელი ცხოვრება თან ხედვდეს მას, რომლიან
შეცვლა სხვაგვარს სუპერპაროვნებით ფერიოთ
მტიკინეული ბროცებია და არც თუ იხე ხში-
რად ხდება.

ჩემ კიდევ ზავზე იყო ტომას ხატპინე, რო-
დვაც ვაფხა, რომ შეიძლება, როგორც ღარბ-
დატაკი კაცის შეილა, არც კი შეუშვან რომელი-
მე პლანტატორის ხატპინე: „...ის ვეება მიაბუ-
ნი წანა... არ უწეებს, ჩამოხკვერის ამ დაკე-
რებულ ჭინხან და ფხშიშვილა ბიჭს...“ არ
უწეებს ამიტომ, რომ „არის ადგალი, ხადაც
ვულდაგულ დაუნაწილებით მიწა და ადამი-
ანებს თავის საკუთრებად ვაუღლიათ; ხოლდა,
არც არავერს აკეთებენ იქ; დაჭირითობენ

* А. Е. Шерозия, «К проблеме соз-
нания и бессознательного психическо-
го», II Тб., 1973, с. 488—489.

* იხ.: William Faulkner, „Absalom, Ab-
salom!“ Moscow, 1982, გვ. 14.

ტომას სატენის, მისი სუბერპაროვენის ბრალ-
მდებლად, მონაშარტლედ და ჩაღათად.

ცხელი ერთი ვაჭოველია და მორჩა.

დაბოლოს, თითქმის ერთად ვახშის ურე
ქონისა და მისი მსგავსი ყველა დროის მი-
რიადი ადამიანის საწყალობელი ღაღადისი, მკ-
ნე წუთისაღების სიმუხთლისა, დიხაც, „რადა
იგი ხინათლე, რასაცა ახლავს ბნელი“. და
შოთა რუხთაველის მცნება უკვე სხვა დრო-
თა და ქვეყანაში, სხვა სიტყვებით წარმოჩე-
ნილი წარმოდგენებია: „ი აქონებდა ნაშდუ-
ლად იმწიარება და ჩემწიარებოც არ დაბადებუ-
ლდუვანე ამქვეყნად. კი აქონებდა-შეთი სხვა
ყველა ჩვენწიარე, ვინც კი დარჩება, აღივავს
პირისხვან მიწისა, რათა ვიდაც სხვა ურე ქონ-
მა თავისი სიცოცხლე არ იხადოს ცეცხლში და-
წვარ-დაღაფული ხმელი ფოთოლივით...“

ამ სიტყვებით ჩვენ ცხადლედ ვცნობის, აგრეთ-
ვე, სატენის სუბერპაროვენებას, „წინაგანი
მძღოლის“, დემონის, იდეალის ნგრევის გულ-
შემწარავი ხმა.

თავისი იდეალთი დაბრმავებულა ტომას სატ-
ენი იმასაც დაკარგავს, რაც ყოველ სულიერს
დაძევება დაბადების დღიდანვე, ეს არის ინ-
ტინქტი თუ ხაწყისი, ყოველ სულდგმულს თა-
ვის შთაქმთავლობაზე წარუწავს რომ ავადებს
(ამ „წარუწავში“, რადა თქმა უნდა, სულიერი
წარუწვა იგულისხმება ძირითადად).

ყველაფერი კანწწწოვიერად სდება, რადგან
დიდ ბელოვენებს აქვს თავისი კანწწწოვიერება,
რომელიც, რადა თქმა უნდა, ადამიანის ცხოვრე-
ბისეული რეალობიდან გამოწვეურებული ად-
მიანის ხიდრმე-ხირთულე, კვლავ და კვლავ,
დაუსრულებელ განმარტებასა და ახსნას მო-
ითხოვს და უკვე ავტორიც მონაწილეობს მით-
ხვლას თხოვნით ამ პროცესში. უ. ფოლკნე-
რი, ცხადია, ფრთხილდებს, ზერყეობს. კატეო-
რიალულად არ უნდა რამე დავიშობიკოს, რად-
გან კატეორიულობა ადამიანის ბუნების ვარჩე-
ვა-ანალიზში ერთობ მყდარი ზერხი იყო ყო-
ველთვის. სწორედ ამიტომ მწერალი ვარკვეუ-
ლი რიდიტ ვვამცნობს თავის მოსაზრებას: „ჩე-
მი აზრით, კი უნდა ვვებრალეზოდეს იგი. სუ-
ლით მახინჯი ადამიანი არ არის — ის ამორა-
დული, ხასტიკი, ახსოვლურად გავსტერტუ-
ლია. ჩემი აზრით, კი უნდა ვვებრალეზოდეს იგი,
ინე, როგორც უნდა ვვებრალეზოდეს ყოველი,
ვინც უვალევებილყოფს ადამიანს, ვინცა არა სჭე-
რა, რომ ადამიანთა ოქაბს ევსთენის. სატენს
ამისი არა სჭერა, მის მოსურვებია მოიხვეჭოს
ის, რაც უნდა, რადგან საყმოდ ძლიერია, მე
კი ვვქრობ, რომ ასეთები, ადრე თუ გვიან,
დაიდუებინან, ვინაიდან ადამიანი ადამიანების
ოქაბს უნდა ევსთენოდეს და ადამიანთა ოქა-
ბისთვის კიდევაც უნდა ზიდაოს თავისი წილი
პასუხისმგებლობა“.

უ. ფოლკნერი, როგორც ჩანს, აქ სიტყვა
„დაიდუებას“ მხოლოდ მისი პირდაპირი მნიშვნე-
ლობით არ ხმარობს. ეს „დაიდუება“ ადამიანთა
ოქაბიდან მოკეთებაც ნიშნავს. და რა უნდა რჩე-
ბა რამე მოკონება ასეთ კაცზე, თუნდაც რამ-
დენიმე პიროვნებით შემოიფარგლონ ეს მოკო-
ნება, ის აქნება აუცილებლად მკაცრი უარყო-
ფის ვარძობით შეზავებული.

ჩვენ ვიცით კიდევ ერთი კაცის ამბავი, იმასაც
უნდადა ვამდობებ, ანუ მონაკვედნიებული ვა-
ჭიარებასგან თავის დადევნა, მაგრამ მკაცრი
უარყოფის ვარძობა კი არა, ნათელი ხსოვნა
ვერგება მასზე.

გაორჯი ელიოზის დიდებული „ნატრის ხე“
ვავიხსენოთ. მისი მოთხრობის თუ მოკონების
ვმართი ელიოზი ტომას სატენითი დარბი იყო,
„ისეთია, ისეთი, რომ მშვიერი ძალი ბურს არ
ვაშარბთვებო! — იტყოდენ ხოლმე მეზობ-
ლები და შარტლად, უმამულა, უხარჩოლი ელი-
ოზის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ გუბე
იჭება, მწვანე ზუზუნით სავსე... ძონძებო... ჭუჭ-
უი... შიშხი...“

ელიოზსაც მქონდა თავისი იდეალი, სუბერ-
პაროვენება, რომლის რაობა, ვინაობა ასეთი
იყო: „წინა გულის ადამიანი იყო ელიოზი და
თან ცხარე მეოცნებე. ცხოვრების სისასტიკე
მის სულში ვერ ჩაეჭრო ოცნების ნაპერწყა-
ვი და თავისივე შიშხული უცნაური ოც-
ნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტრულ
ხინამჯილისგან...“

ელიოზსაც დადუბავს მისი იდეალი, მისი სუ-
ბერპაროვენება — „და აი ერთ ზამთრის დილას,
რაცა სიცივეს ქახუბი გაუდიოდა, ტუიდან
შარხილით ჩამოსვენენ ვავიჩხული ელიოზი.
ნატრის ხის ძიებაში, მის უარაულობასა და
ლოდენში, ყინვით აუვავებულ ხის ქვეშ გაყინუ-
ლიყო“.

მაგრამ ტომას სატენისაგან განსხვავებით,
ელიოზის სიკვდილში რადაც ღვთაებრივი ძალი
ჩანს, მარადიულობას რომ აზიარებს ამ კაცის
ხსოვნას.

ელიოზის იდეალი, სუბერპაროვენება წმინდა
ამიტომ, რომ თავისი მიზნის მიხაღწევად მას
არც კი გაუფლავა გულში სხვაზე, სხვა ადამი-
ანზე შიშხავრება, სხვა ადამიანის მოქცევა სა-
ყუთარი ეკოიზმის კლანჭებში და ასე ვახსენა
ფონს, სწორედ ამიტომა ჩვენთვის, მითხველ-
თათვის, მისი იდეალი, მისი სუბერპაროვენება
წმინდა, შეურყენული, მწვენიერი და დიდებული.

2.

ლიტერატურისმცოდნეთა აზრით, უ. ფოლ-
კნერის „ახესალაში“ ვერ ნახავთ ტრადიციულ,
თანამშვიდერულ თხრობას და ძნელია ვანცაღ-
კვება იმისა, რასაც ჩვენ ვეძახით „მუშინ,
დღეს და სვალ“, რადგან ეს იხეა ერთმანეთში

ჩაწესდები, რომ სახელმწიფო დროის მიხედვით და, რაღა თქმა უნდა, რთულზე რთული დრო წარმოგვადგება; თავად ადამიანი ურთულესი არსება და იმით — ამ მხრივ ამ წაწარმოების ფორმა კარგად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანისეული დროის გაგებას, კერძოდ, ჩვენ ამ ცნობად გარემოების ვსულისხმობით, რომ რეალურად, ადამიანის ცხოვრებაში, წარსული, აწმყო და მომავალი ერთ გორაკდაბა შეკრული.

უ. ფოლკენერი ასე ხსნის ამ მოვლენას: „არ არსებობს არავითარი „ყო“ — არის მხოლოდ „ხელა“, „ყო“ რომ არსებობდეს.“ ტანჯვა-ვაება გაგრძობდა.“

შეირალი ამ პასუხით იმას გვაძნობს, რომ წარსული უკვალად არ ქრება, ის მთელი ცხოვრება თანა ხდები ადამიანს და მისი აწმყოს სისხლი და ხორცია.

მართლაც, უ. ფოლკენერის მიხედვით, „თავსთავად არავინ არ შეიძლება არსებობდეს, ადამიანი კამათ თავისი წარსულის, არ არის ისეთი რამ, როგორცაა „ყო“, იმით, რომ წარსული არის, ყველა კაცის, ყოველი კაცის, ყოველი ქალის, ყოველი მომენტის ნაწილია ჯი.“

ამერიკელ მწერალს ხსენებული ფენომენი კარგად აქვს განოყენებული თავის „ახეხალთის“ ფორმის შესაქმნელად და კიდევაც ძალზე ემტკიცებოდა ამ რომანის გმირების ცხოვრების, მათი „დრო-თემის“ გადმოცემისა.

მაგრამ მხოლოდ „წარსულის, აწმყოსა და მომავლის“; ანუ, ერთი, თუნდაც ამ განუზომელი დროის ფაქტორით არ აღიქმება ეს რომანი. პოლიფონიურობა ისევე როგორც შემოადინებული ადამიანისეული დროის განზომილება ფრიად ნიშანდობლივია ამ წაწარმოების ფორმისა და შინაარსისათვისაც.

უ. ფოლკენერს ამ რომანის პოლიფონიური, დოლოგური ფორმის შესახებ რომ ეკითხებოდნენ, მას ასე აღუწინავეს ეს გაგრძობა: „ეს უბრალოდ ცამეტე აზრია შენ შაშვზე. მაგრამ ქეშმარიტება, მე მგონია, მაშინ გამოიჭურდებოდა, როცა მკითხველი გაითავისებს შენი შაშვის ხელის ამ ცამეტ ხერხს და კიდევ ერთს, ხაუთარ წარმოდგენას შეიქმნის ამ შაშვზე, სწორედ ეს უნდა იყოს ქეშმარიტება, მე მგონია.“

როგორც ვხედავთ, ძნელზე ძნელი გასაგებელი გვაქვს „ახეხალთის“ მკითხველს, მაგრამ ხანამ ამ გზას ვაფასებდეს, ის ურთულესი მონაკვეთი უნდა გაიაროს, როგორც კოულდფილდის „ცნობიერების ნაკადით“ რომ არის გადაკედელი

და მაშინ ის „შე შეშვზე“, ანუ ტომას ხატკენზე, მის როლზე, იმ ქალის ხელის თანამართლებე ხდება, ვინაც „მთელი მრჩეველსაწმყოს“ წელიწადი წყენა არ უნელდებადს — „ცნობის“ გრძობა იყო მისთვის პური, ცუცხლი და სუყველადური“; და სანამ ამ ქალს პირში სული უდგას, ვერა და ვერ აღაშტკიცებთ, რომ შეიძლება გაჩვეულწილად ცდებოდეს, რადგან ის „შეი შეშვი“ მხოლოდ მისი ხედვით არ მხოწურება. ამ ქალს მარადიული წყენისა და ზიზღის გრძობა დაუფლებია და იმდენად ძლიერია ეს გრძობა, რამდენადც ამის რაღაც ოდენობის, იავარქმეილის, მიმდაგრებულის ობიექტურად და სუბიექტურადაც ვეძებელი იდეალის, მისი სუპერპიროვნების ხსენლი სცხია, და ეს მისი შემწარავი ტრანსფორმირება მაშინ მომხდარა, როცა „წარსოცა მემო და ხაყარული. წარსოცა სიამაყე და ღირსება, ყოველგვარ წარსოცა, გაძდა იმ რადანდელი აღფოთების, შეტრწუნებისა და გაოცების, რომელიც ავერ უკვე ორმოცდასამი წელი გრძელდება...“

მაგრამ ეს წყენა ზუსტად ორმოცდასამი წლით არ შემოსაზღვრულია და ხამარწეიც მიხვევა მის შურაცხმყოფელს, ტომას სატენის ვინც ვინ გრძელდა და მოკვდა მაშინ, სანამ იხალადეს იმ შედგას, რომელიც მან მოიშკო იმ თავისი იდეალის განხორციელების ხანს — „შე დაფიყვირ — მაშ მოკვდი? მოკვდი-მეთქი? შენ? მატყუბი? შენი სიკვდილი როგორ შეიძლება, ცად შენ ვერ ამაღლებდი, როგორცო შენ ვერ გზიდავს, ვერა-მეთქი.“

ასეა ბრალზე, მის როლზეავით, ვინდა ამერიკაში და ვინდა ჩვენშიც; მეტი მისტიკის ამ ერთ ტრაგიკულ გარემოებას ჩვენი ყოფიერებისას, იმას, რომ ტომას სატენისთან ადამიანები, და კიდევ უფრო ვაცილებით უფრო დიდი, თუნდაც სახელმწიფო მასშტაბის პიროვნებანი ისე კვდებოან, რომ ვერ შედავენ იმ თავისი საქმიანობისა და მოღვაწეობის პოლოსა თუ გაგრძელებას, რომელშიაც უკვე სხვა დროს შობილ მისივე სისხლსა და ხორცს, მისივე ერის შევლიტს ნებისა თუ უნებლეთ უხდებოდა მოწინაღობის მიღება, უამრავი შეურაცხულის ატანა და ზოგჯერ სიცოცხლის გაწირვაც.

ამ რომანის მთელი შინაარსი წარმოჩენილია იმ ფორმით, რასაც შეიძლება „ლანდების ლაციცი“ დავარქვათ, სწორედ ასე უწოდებდა კონსტანტინე ვამსახურდია წარსულის მოგონებას. სწორედ მოგონების მეშვეობით, ანუ, უ. ფოლკენერის თქმით, წარსულიდან „არჩილიების გამოხმობით“ ხდება ამ რომანის გმირების ცხოვრების, „სული მობრახობის“ რესტავირება და გაბრდასული ხანის ქეშმარიტების ხანმოკლე გამოიჭურება. ელენი, მისი მამა ბ.ნი ვულფიუ კოულდფილდი, მენრა, ჯულითა და, ასევე, მთავარი გმირი ტომას სატენი მოგონების ფორ-

* ანუ, წარსული უკვალად რომ ქრებოდეს.

მით, „პარტიკულარების“ სახით წარმოუდგემა მკითხველს.

მთელი ეს რომანი, ძირითადად, ოთხი გმირის თხრობაა აგებული, რადგან, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია ქეშმარიტების მიკვლევა უღონო და პირქუში ხანდაზმული ქალის, როჟა კოულდფილდის მეშვეობით, რომლის მსგეუნელს (შეიძლება ასეც ვთქვათ, „რომლის ცნობიერების ნაკადის“ მხმენელს), კვენტინ კომპსონს „თავგზა ახნელი და ყურთასმენა წართმეოდა.“ ამიტომ საიდუმლო ამოსხნაში, ანუ, უფრო სწორედ, გარდასული ხანის ამბების რესტავრაციაში მონაწილეობნ ბ-ნი კომპსონი, მისი ვაჟიშვილი, ზემოთ ხსენებული კვენტინ კომპსონი („ტომას სატპენის პირველი ოქცნ-პატარფელი მეგობრის შვილიშვილი“) და მისი თანაყურსელი შრივი. სამივენი დიდად ეწრაფიან ტომას სატპენის პირფენების ნათლით შემოსვას და ამ დროს გამოყენებულია თავად ტომას სატპენის მონათხრობი, სხვათა მონათხრობი მანზე, ყოველივე ეს, რაც დარჩენილა ადამიანთა მეხსიერებაში და ისიც, რაც ამ მეხსიერების მიღმა და დავიწყების ბურუსშია დანთქმული — ეს კი სწორედ იმ ზემოთ ხსენები რესტავრაციების საშუალებით წარმოვდიდება.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ეს „რესტავრაცია“ ორი გზით ხდება: 1) ძალზე სუბიექტურად; ადამიანები, ფაქტები, მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ მთხრობელი გმირის სუბიექტურ პრიზმაშია გამოტარებული და მისი განწყობის ძალეში ანარეკლითაა მოფენილი (როჟა კოულდფილდი); 2) მთხრობელი გმირები შეძლებსდაგვარად, ნაწილ-ნაწილ, მართებული თუ მცდარი, მრავალი ვარაუდის მოშველიებით, ბოლოს გარკვეული ობიექტურობით გვიყვებიან ამბავს, რადგან მათ მხოლოდ პრემარტივია ანტირეტსებთ და მათი ქეშმარიტების მიკვლევის სურვილი არ არის გაქრებული წყენისა და ნაცვალგების გრძნობით (გავისხენოთ კლავ როჟა კოულდფილდი). ამიტომ ეს გმირები, ძირითადად, მკითხველთან ერთად აღწევენ ამ მიზანს.

„ახეხალომ, ახეხალომ!“ როგორც ვხედავთ, სუბიექტურ და ობიექტურ აზრთა ჰილილია და ასე, თანდათანობით, იქმნება ქეშმარიტი სურათი — მისს როჟას ცრმელებით მონთხეული, კვენტინ კომპსონის ლირიკული წიაღხვლებით შემკული და შრივის გონებისმიერი განსჯით წარმოჩენილი.

* *

ა. შეროზიას დაკვირვებით, პიროვნების დამოკიდებულება თავის თავთან ხდება არა მარტო მისი ცნობიერების მოშველიებით, არამედ არაცნობიერის მეშვეობითაც. ჩვენთვის ფრიად ხაყურადღებო უნდა იყოს ხსენებული მეცნიე-

რის შემდეგია გამოწვევაში: პიროვნებაში „...თავის თავთან მისი დამოკიდებულებას წარტემა მისი არაცნობიერი ფსიქოლოგიური მეშვეობით დაკავშირებულია მის წარსულთან დაკავშირებულია მისი „არაცნობიერი ფსიქიკური“ როგორც უკვე ვიცით, უ. ფოლქნერი რომანი გარდახული ხანის ამბების რესტავრაცია, ამიტომ, იქნებ შესაძლებელი იყოს მოვიშველიოთ ა. შეროზიას ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისი. კერძოდ, იქნებ შევვიძლოთ ვთქვათ, რომ როჟა კოულდფილდი თავის წარსულთან დაკავშირებულია მისი „არაცნობიერი ფსიქიკური“ მეშვეობით“. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ამ დებულების მომარტება გარკვეულ ახსნას მოითხოვს: დიან, მისს როჟა მართლაცაა დაკავშირებული წარსულთან თავისი არაცნობიერი ფსიქიკურის საშუალებით, თუნდ ამკერად, ესე იგი, უ. ფოლქნერი რომანი იმ ნაწილში, სადაც მისს როჟას ამბავი მოთხრობილი, ჩვენ ვხედავთ კარგ ცდას ამ არაცნობიერი ფსიქიკურის წარმოჩენისა და გათავისების იმ ხერხით, ლიტერატურისმცოდნეობაში „ცნობიერების ნაკადს“ რომ უწოდებენ“. ამიტომ, რომ როჟა კოულდფილდი ერთობთ თვისებურად ვადმოგვეცემს თავის წარსულს, რაც მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება მისი ადრინდელი ხანის არაცნობიერი ცხოვრების მიკვლევა-წარმოჩენა იყოს და თავად იგი რაღაც სიწმარითთ აღიქვამს თავის მაშინდელ ყოფას — „მეტქალი სიმბოლო იმისა, ვინც სახეა სისხლითა და სორცით და კიდეცა არის სურვილის საგანი, ნაყოფი ზმანებისა, არსება ბუნდა სამეფოსი. მადულად, ოთხად მოკცილმა (სწორედ ეს ვისწავლე ბავშვობაში სიყვარულის ნაცვალად...) მაშინ ვნახე ეს სურათი, როდესაც შეუადრით იმ ცარიელ ოთახში შევიარად, სიწმარეში შევაბიჯე-მეუბი, ვერ ვიტყვი, მე ხომ ისედაც სიწმარეში მიხდებოდა ყოფნა...“

მისს როჟას მთელი ნაამბობი ამ ხუნდი ხამეფოს არსების — მისი არაცნობიერი სამყაროს რესტავრაცია-გათავისება და ახლა უკვე მან იცის, რომ თურმე მაშინ, ქერ კიდეც თავის ბავშვობაში ასე უზურდა ტომას სატპენს —

* A. E. Шерозия. «К проблеме сознания и бессознательного психического», II, с. 479.

** როგორც ვხედავთ, გარკვეულ შემთხვევაში მკიდროდა დაკავშირებული ფსიქოლოგია და ლიტერატურისმცოდნეობა, ანუ, უფრო სწორად, ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები.

ფსიქოლოგიაში, როგორც ჩანს, არის ისეთი საკითხები, რომლის საილუსტრაციოდ აუცილებელი ჩანს მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებიდან სთანიადო ადგილებს მოყვანა, ამის მოწმობს თავად ა. შეროზიას ზემოთ ხსენებული შრომა.

„ოცო წელაწადი ვუყურებდი იმ კაცს (როცა კი იყო შემთხვევა) ვითარცა კაცთაშია ღვეს, ნაღობს, შინის ზარს რომ სცემს ბაძღვებს“.

ცხადია, მისს როლზას, ამ ბუნდის სამეფოს არსების ნაამბობი ძნელი აღსაქმელია მისი მსმენელი უმარჯველკაცისთვის, კვენტან კომპსონისთვის და, რაღა თქმა უნდა, მეთხველისთვისაც.

უ. ფოლკენერის ზოგიერთი რომანის ბეჭდურ გამოცემებში, როგორც ვიცით, მოსულიანობა განსხვავებული შრიფტები. ასეა, მაგალითად, „მეაურსა და მძვინვარებაში“, ასეა ამ რომანშიც. ეს ხერხი ვარკვეულწილად ეხმარებოდა მკითხველს, მაგრამ, ასევე ვარკვეულწილად შეუძლია დაბნობის კიდევაც, რადგან ამ ორი რომანიდან თითოეულში ამ ფორმას შედარებით განსხვავებული ფუნქცია აქვს.

„მეაურსა და მძვინვარებაში“ განსხვავებული შრიფტი ძირითადად დროს შეუძლია გვიჩვენებს. ვთქვათ, თხრობა აწმურს მიმდინარეობს და უცებ შთბრობელს თავისი წარსული წამოაგონდება და ეს მოგონება შეიძლება ოდესღაც, მნიშვნელოვანწილად, ბავშვობაში განცდილთან იყოს დაკავშირებული. თავისი ფორმით ასეთი განცდა ლირიკულ ლექსს მოგვაგონებს, კერძოდ ისეთ ლექსს, რომელიც მცირე ლიტერატურის ენციკლოპედიის რუსულ გამოცემაში ასეა ახსნილი — „ლირიკული ლექსი ეს წამიერი რაჟაა ადამიანის შინაგანი ცხოვრებისა, რაღაც ერთგვარი ხატია მანაწილის ჯაღვეთებისა წარმოაჩენილი: ჩვენ თითქოსდა უცებ განცდის ეპიკენტრში აღმოვჩნდებით...“

სწორედ ასეთ განცდას უხედებით უ. ფოლკენერის პროზაში.

ასეა „აბესალომშიც“.

ამ მხრივ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მისს როლზას თხრობა, რ-ე თავიდან რომ იწყება და რომელიც უფროს ცდენა კვენტანმა ველარ შეძლო, რადგან „ამ ქალის თხრობაში იყო რაღაც, რასაც ვერ ჩაბდებოდა“.

მართლაცდა ძნელია იმის შეცნობა, რაც ადამიანის სულის წიაღიდანაა ამოთხეული და, ცხადია, ის შეიძლება ურთულესი აღსაქმელის, სწორედ ისეთი იყოს, როგორც მისს როლზას თხრობაშია.

ზ. ფროიდის თავისი მოძღვრების, ცნობიერებისა და არაცნობიერის თეორიის საფუძველზე აქვს განხილული ხელოვნების სპეციფიკა, რაც მისი აზრით, არის „სფერო ჩვენი ლირიკისა, ჩვენი ბუნებისა“.*

ზ. ფროიდის მიხედვით, არსებობს „მხატვრული ცნობიერება“, რომელსაც ა. შეროზია ახე ხსნის: „სწორედ ეს ცნობიერებაა ხელოვნებისა“.

ნება, რომელშიაც ასე მსწრაფლ ჩაქრობდნენ ჩვენი არაცნობიერის ჩრდილები და ამით შეეძლიათ მიანიჭონ მას მაღალი წესიერე ექვსივე ნიჭიერება, ანდა, პირაქით, უწესიერება: **წესიერე ექვსივე ლეგე — სიშლეგე ჩვენი ცნობიერებისა**.*

უ. ფოლკენერი თითქოსდა ზოგჯერ იძულებულია რაღაც წესრიგი დაამყაროს თავისი გმირების ლირიკის სფეროში, მათ სულში გაედევნოს ბუღი არაცნობიერი ჩრდილების წარმონაჩენის ხანს და ბშირად სწორედ ამიტომ იშველდნენ განსხვავებულ შრიფტს და ამით მიგვანიშნებს, რომ ჩვენ უკვე ადამიანის ლირიკის, ადამიანის ბუნების ძირისძირის წარმომხენ პასუხის ვკუთხულობთ: „მე ხომ ცხრაბეტი წლისამაც უკვე ვიცოდი, სიციხულე ერთი წარუვალი და გაუთავებელი წამია, როდესაც მომავლის წინაშე ნაქარტი ფარდა ჩამოვშებულა და მშვიდად, სხიარულითაც კი მოედის ხელის უდიერ წაკარებას, ოღონდ კი ვცადოთ, გვეყოს გაბედულემა (ქუყა, არა, ქუყა აქ არაფერ შუაშია) მის ჩამოხახვად, ან იქნებ არაფერ შუაშია მისი, რომელიც არ გვანებებს ჩავწვლად სულის დამატუტევებელი პირველსაწყისის უღალატობის ხვანჭებს და ჩვენი სულისავე სიმყარალის წიაღ ღამობის გაწყვიტოს ეს წვრილ-წვრილი არტერიები და ვენები და ზეიპტარს, მიეაბლოს მშვე და დაატყვევოს კიდევაც ის ნაპერსკალო, ეს ოცნება, რომელიც, ვითარცა მესხულად წარმომოხილი ბუჭტი, ირეკლავს და იმეორებს (იმეორებსო? არა, ბქმნის, ნაირ-ფეროვან, წარმავალ სფეროდ ვარდახახუა) მთელ სივრცესა და დროს, დედამიწასაც. გაუფრკვეველ და აღუფხულ დამალ ნარჩენებს მისას, და მიეღი ეს წლები არ უგუნინა სიკვდილის შეება, მხოლოდ განახლების ფერსულშია ჩაბმული ნიადგ. ხოდა, ეს ოცნება კიდევ...“

* ა. შეროზია ვარკვეულწილად ეთანხმება ზ. ფროიდის ამ მოსაზრებას, რადგან თავად ხელოვნებაში ნიობეება იმდენი ფაქტები, რომ მათი უგულვებელყოფა შეუძლებელია: „პირა მართო ანტიკური ხანის ხელოვნება და ლიტერატურა, არაფერ ჩვენი დროის ხელოვნება და ლიტერატურაც, მათ შორის რეალისტური ორიენტაციისა (თ. მ. დისტოვესკი, თ. მან, ს. ცვაიგი, უ.პ. სარტრი, იუჯინ ო'ნილი, უ. ფოლკენერი და სხვ.) გვაძლევს გავითვალისწინოთ და გავიზიაროთ ზ. ფროიდის ზოგიერთი მოსაზრება“ (იქვე, გვ. 120).

* კომენტატორთა აზრით, რომანის მეტყვეთე თავში როლზას მიწოლოგი ძირითადად რიტმული პროზითაა დაწერილი, ხოლო მისი ზოგიერთი ფრაგმენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც წმინდა ლექსისეული ჩინარით, რაც მიგვანიშნებს გმირი ჟალის პოეტურ ობუსებზე“
იხ.: William Faulkner, „Absalom, Absalom!“ Moscow, 1982, გვ. 378.

* იხ.: A. E. Шерозия, «К проблеме сознания и бессознательного психического», II с. 115.

ბა, მიღის, ქრება და აღარაფერია საბოლოოდ...
„ახეხალომ, ახეხალომ!“ 1886 წელს გამოქ-
ვედნა. ნახევარი საუკუნეა ვახული მას შემ-
დეგ. თუმცა, როგორც ამბობენ, მნიშვნელოვანი
მხატვრული ნაწარმოები თითქმის ანგრეს
დროს ყოველგვარ საზღვრებს და უამთა სვლას
არ ემორჩილება, ანუ მას უკვე გარკვეული შე-
გავლენის მოხდენა შეუძლია ლიტერატურულ
პროცესზე, ჩვენ ვგულისხმობთ უშუალოდ
მხატვრულ ლიტერატურასა და, ამისდა კვალიდ,
ლიტერატურისმცოდნეობასაც.

ცხადია, რაკი ასეთი ნაწარმოები უამთა
სვლას არ ემორჩილება, ფრიად მნიშვნელოვანი
უნდა იყოს მისი ფორმისა და შინაარსის წო-
გითი საკითხის განხილვა.

პირველადვე ლიტერატურისმცოდნეობაში
ერთი ცნობილი გარემოება უნდა აღვნიშნოთ,
უფრო სწორად გავიშვოთ — უამთა სვლას
არ ემორჩილებიან არც რომანის გმირები და
არც ჩვენ, სხვა თაობისა და სხვა ქვეყნის ადა-
მიანები, რადგანაც ჩვენს გვერდით ვხედავთ ტო-
მას სატაქენის, როუზა კოულდფილდის, ელენის,
ჯულიანის, ბენისის, უომ ჯონსის მსგავს ადა-
მიანებს.*

ამ რომანში სამსჯავროზე გამოყვანილი კა-
ცი და მისი იდეალი, ანუ კაცა და მისი სუ-
პერპროვინება. ამ ამბავის წარმოჩენას რამდენი-
მე მოხრობელი-გმირის ინტერპრეტირება დას-
ჭირდა და ვინ იცის, იქნებ კიდევ შეიძლება
მოსაზრების გამოთქმა „შავ შავზე“, მეთოთ-
მეტის, მეთხუთმეტის, მეოცის... რადგან ძნელ-
ზე ძნელია ადამიანის ქვეშაირების ჩახვედარ,
ოუნდაც ისეთი შემოქმედისთვის, როგორცაა
უ. ფოლკნერი. თავად მისი ნათქვამი შეგვიძლია
მოვიყვანოთ ამის დასტურად: „მე მგონია, შე-
უძლებელია ქვეშაირების შერვა: იგი აბრმავებს.
უმჯერს ერთი და ერთ ფაზას ხედავს მისას. უმ-
ჯერს მეორე — და ხედავს მეორეს. მაგრამ
თუ ამით ერთად შევიკრებთ, მივხვდებით მთლი-
ან ქვეშაირებას, თუმცა თითოეულმა ადამიანმა
ვერ შეძლო მისი მთლიანად დაწახვა“.

ძნელი კი იყო, მაგრამ შეუძლებელი არ აღ-

* შეიძლება მავანმა დი მავანმა თქვას, უ-
ფოლკნერის ეს რომანი უშუალოდ ზანგთა და
თეთრკანიანთა ურთიერთობას ეძღვნება — და
რასობრივ საკითხთან არისო დაკავშირებული;
ეს მართლაც ასეა, მაგრამ ისიცაა ნათელი, რომ
მსგავსი (და არა ანალოგიური, ესე იგი რასობ-
რივი საფუძვლის არა მქონე) პრობლემები თა-
ვის სათანადო გამოვლინებით შეიძლება ყვე-
ლა ქვეყანაში მოხდეს, რადგან ყველა ქვეყნის
შვილებს, მის სოციალურ ფენებს და ცალკეულ
პირებს აქვთ თავ-თავიანთი იდეალები, რომლე-
ბაც შეიძლება ტრაველიად გარდაისახოს ბევ-
რისთვის.

მონდა საბოლოოდ და ჩვენთვის, შეიძლებელ-
თათვის ასე თუ ისე ნათელია ტომას სატაქენის
არა მარტო ცხოვრება, მისი იდეალიც. ანუ
მისი სუპერპროვინებაც. ამ სუპერპროვინების
მიქვეყნა მოხდა რამდენიმე მოხრობელი-გმირ-
ის მიერ და ამ დროს ავტორი თითქმისდა
ჩრდილში დგას, არ უნდა ჩაეროს გმიოების
თხრობაში, თავად მისმა გმირებმა უნდა მიად-
წონონ მიწას, თითქმისდა იგი ამით პასუხის-
მგებლობას იხსნის და არ სურს უშუალო მონა-
წილეობა მიიღოს მთავარი გმირის, ტომას სატ-
აქენის ცხოვრების ინტერპრეტირებაში. ავტორის
ამ პოზიციას, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ,
მისი რომანის ფორმას ის აქვს საფუძვლად,
რომ მწერალი არ უნდა კაცხავდეს ადამიანებს,
იგი ადამიანისადმი თანაღმობის გრძობით
უნდა იყოს გამსჭვალული, თუ არა და იგი
ცული მწერალია“.

როგორც ვხედავთ, დიდი სიფრთხილეა სა-
ჭირო გმირის სუპერპროვინების წარმოჩენასა,
თუნდაც ეს გმირი მწერლის მოგონილი იყოს
(უ. ფოლკნერთან გარკვეულწილად ასეა, მიუ-
ხედავად ტომას სატაქენის იმ გენეალოგიისა,
წიგნს რომ აქვს დართული).

ჩვენს, საბჭოურ ლიტერატურაში ამ ბოლო
ხანს წოგით მწერალს თავის ნაწარმოებში
ცნობილი ისტორიული პირი გამოჰყავს. ისე
რომ გვარ-ხახულსაც არ ცვლის ამ გმირისას*.

წოგითი ასეთი ნაწარმოები შემდეგი
პრინციპით იწერება: მწერალი იცის ამ ცნო-
ბილი ისტორიული პიროვნების ხასიათი, ჩვე-
ვები, მიდრეკილებები, რომლის მიხედვითაც მას
შეუძლია ივარაუდოს მისი მოქმედების მოტი-
ვები და ასე გაითავისოს მისი მსჭვალვის ლო-
გია, მისი ინტონაცია, მისი ფიჭრები.**

ამ შემთხვევაში მწერალი „შავი შავის“ მხო-
ლოდ თავისი ხილვით კმაყოფილდება და, ცხა-
დია, მხოლოდ ერთი გარკვეული თვალსაზრისის
მოშველებით აგვიწერს არაგამოვლილ ან სა-
ხელშეცვლილ გმირს, არამედ რეალურ პი-
როვნებას, ჩვენთვის საუკუნის რომელიმე ცნობი-
ლი მოღვაწის ცხოვრებას. ნაწარმოების თხრო-
ბა, განპირობებული მხოლოდ ავტორისეული
ხილვით, ცხადია, წედმიწევნით უნდა იყოს ად-
ვიწერს გმირს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ბუ-
რული მოხაჯვს მას, მის სუპერპროვინებას, და

* ჩვენ შეგებულად არ ვასახელებთ არც რომ-
ელიმე მწერალს და არც იმის ისტორიულად
ცნობილ გმირს, რადგან არ გვინდა, თუნდაც
ჩვენდა უნებურად, რომელიმე კონკრეტული
მწერლის და მისი რომელიმე კონკრეტული ის-
ტორიულად ცნობილი გმირის დამკველის თუ
დამგომბელის როლში გამოვიდეთ.

** ამ პასაჟებს სრულიად რეალური ინტერ-
ვიუ უდევს საფუძვლად.

თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ, როგორც წინა, რეალური, სახელმწიფოებრივი გვირგვინის წარმოქმნა ჩვენთან ყოველთვის სენსაციას იქცევს (სამხედრო შეშუპარული ლიტერატურა ვა- ვისხვით) და შეიძლება ადრე ცენტრალურულში დაგმანული „მემორანდუმები“ სახით შავგვან- ლოს; მივხვდებით, რომ შემთხვევითი ბუ- რუსი გარკვეული ლიტერატურული ბაზარის- ბის შედეგია. მაშინ რაღა ფასი ექნება მწერლის „შეხვედრა“ იმ ცნობილი ინტორიული პირის- ნების მსჯელობის ლაგიაში, მისი მოქმედებას მოტყუების ვარაუდს, მისი ინტონაციის დაუფ- ლებას. ფიქრის ისე, როგორც ფიქრობდა ის თუკი პარაფრაზის გავლენას მოვისურვებთ, შე- იძლება როგორც კოლდფილდის თხრობა ვა- ვისხვით, ვინც თავის სულში ჩაწულ ტომას- ხატენის რაღაც ორეულს თუ პირილის ვა- ვისხვით, თუცა კი დიდი შედეგებით, მა- რამ ეს მანც „შეგი შეგი“ ერთი ხილვაა მხოლოდ, და მისი მსმენელი კვანძის კომპო- ნიც კი ძალაუფლებად იზიარებს ამ შეხედუ- ლებას (გარკვეული დროით მანც), და თუკი მხედველობაში გვექნება ის ვარაუდობა, რომ შედეგით მწერალთან მხატვრული ნაწარმოების გამოკვანძობა ინტორიული პიროვნება, მაშინ ანეთი ნაწარმოების ფორმა ყოველად შე- უწყნარებელი, უმარტობლო ჩანს, რადგან თითქმის ანეთი „სტილის“ მწერლისთვის სრუ- ლიად ცნობილია და იმის, რომელიც ანტიკ- ური ბანიდან მოყოლებული დღემდე არა და არ გვცოდნება, ოღონდ ხსენებებს იცვლის, ახლა ის ჩვენთვის ხომ „სუპერპიროვნებას“ ხსენითაა ცნობილი და უფრო მეცნიერული შეიქმნა, მაგრამ მანც მოხდებს ის ადამიან- მინდული იდეალება და ჩვენც იმ ძველი პერ- ნების დარად, შეტყობად არ ვცდით. თუ რო- მელია ამა თუ იმ ადამიანის „მეორეული თუ დამლუქველი დგომების პიროვნული ხსენ.“

თუმცა ამ „დგომების“ შეხატობად უ. ფოლ- კინის გარკვეული ხერხი გვახსენებს და ვაზი- არა იმ ცოდნის, რაც კაცის იდეალთან, მის სუ- პერპიროვნებასთან არის დაკავშირებული, კი- დეგაც გამოამწერა ამ ფენომენის გარკვეუ- ლი თვისებები, ის ფაქტები, რომ სუპერ- პიროვნება ყოველი ადამიანის მსგავსადვე უზა- რებად ინდივიდუალურია და მისი ჩამოყალი- ბება ძირითადად ბუნების, სიუმაწილის ასა- კ- ში ხდება და შემდეგ გარკვეული ტრანსფორ- მირების მოხდენად მთელი ცხოვრების მან- ძილზე თანა ხდება მან (ახე, მავალითად, ისევე თ. დოსტოევსკის რაკოლნიკოვი გავისხვით, ამ კაცს მკვლელობა ჩაადენინა იმავე სუპერ-

პიროვნებაში, რომელიც მერე მოახლოვდება კი- დეგაც); რომ სუპერპიროვნების ხსენი შეი- ლება სულში (არა სატენისთანავე, არა მხოლოდ- ვისთანა ძლიერი ადამიანების, არა მხოლოდ- რითადად, უხუხური ადამიანების ხელში) სხვა ადამიანი იყოს წარმოდგენილი — უფრო მან- სი ვაფხვანთ: რომ სუპერპიროვნება მწელად ემორჩილება რაღაც იარაღების მიერებს და რაღაც ერთმნიშვნელოვან ახსნას თუნიდაც ამ „უთვალავი ფერის“ ქვეყნის არსებობის ძა- ლით, და თუ ემორჩილება, მხოლოდ იმ შემთხ- ვევაში, როდესაც მხატვრული ნაწარმოები და- წერილია პოლიფონიური ფორმით და ვადმო- ცემულია მრავალი ხილვა „შეგი შეგი“.

ადამიანის უფრადგანზე რომ წერდა, უ- ფოლკინის იქნებ იმასაც გულისხმობდა, რომ მას ტანჯვით და ვაებით, მაგრამ მანც შეუ- ლია იდეალის შარავანდით მისილი თავისი ბუნ- დი გრძობების, არაცნობიერი ხამყარის გათა- ვისება.

განა ცოტა ცოდნა, ვაგება, ჩახვედრა, რომ იდეალის, სუპერპიროვნების გამოვლენა მხო- ლოდ აწმყოთი არ შემოიფარგლება და ის, ამევე დროს, შედარებითაცაა. ეს ითქმის ტომას სატენის შემთხვევაში, ვისი სატ- მინაობაც, ძირითადად, იცნაპატოლოგს ოლქს არ ვახვილებია, ეს ითქმის, მით უმეტეს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენ რომელიმე ცნობილი მოღვაწის მმართველობის შედეგს ვხედავთ, ანეთი ადამიანის სიკვდილის შემდე- გაც მისი იდეალი, მისი სუპერპიროვნება რაღაც დაურკვებელი ინერციით განაგრძობს მოქმედ- ბას ამ შედროულობის ძალით და უ. ფოლ- კინის დიდი ნიჭით დახატული ტომას სატენის- საგან განსხვავებით, ამ კაცის „ადამიანის“ პი- როვნული ხსენს დადგენა-დაზუსტება შეტად ძნელია, ამ დროს, როგორც ვიცით, მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებში ამ კაცის ერთი, ანუ, უფრო სწორად, მხოლოდ ავტორისებული ხილვით ჩვენება იქნებ ახვევ ერთი, გარკვეული მოსაზრების, შეხედულებების თუ წარმოდგენის ხალუქველი ვახდებს მკითხველთათვის და შე- იძლება ბრძოვული კატეგორიულობის დამოკლენ- მახვალად მოგვევლინოს. მაშინ კი, იქნებ, შრა- ვატლხის ჩავგანახავ ადამიანის ყოველგვარების ხორთულისა და ტრავიკულობის მაცნე იმ ბიბ- ლიურე მდუის ვადება — „შვილო ჩემო ახე- ხალომ, ახუხალომ, შვილო ჩემო! ვინამცა მო- მავდინა შე სიკვდილისა შენისა ვილ, შვილო ჩემო ახუხალომ, შვილო ჩემო ახუხალომ!“



ზაურ კალანდია

„უსნაური“ მემოზრის ნასნობი პორტრეტი

ზუგდიდში, მაცხოვრის კარის ეკლესიის ქვემოთ, შავ-თეთრი მარმარილოთი გადაბრკილებულ ფერდობზე, ანუ მდიდრულ საფლავებშია, ერთი რკინის ცხურით შემოკაეებული ღარიბული საფლავიც არის.

ეს საფლავი ეკუთვნის პოეტს. მაცხოვრის გორამდე, ადრინდელ ტელმანის ქუჩაზე, ბოძკინტებზე შემდგარი ხისჩუქურთმებიანი მითაქამინდელი მეგრული ოდა იდგა, რომელიც აგურის, ტუფის, ბეტონის სახლებშირის ჩაკარგულიყო.

ამ ოდა-სახლში დაიბადა პოეტი. მისი სახელი და გვარი არჩილ ფირცხალავაა.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის არჩილი უკვე ქალაქში „გახმაურებული“ პოეტი იყო. ქუჩაში რომ ცნობდნენ და თვალს მილულად გააყოლებდნენ უფროსკლასელი გოგონები — ეს ბიჭი პოეტი არჩილ ფირცხალავაა, ამის მომსწრე მე, მაშინდელი მე-5 კლასის მოსწავლე ვარ. როგორც ჩვენი მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი ამბობდა, — თბილისშიც იცნობდნენ და აფასებდნენ თურმე.

ზშირად ვამბობთ, ბედისწერას ვინ გაქცევიაო და, ცხადია, ასეც არის. არჩილმაც ისე და იმდენი იცხოვრა, ალბათ, რამდენიც ღვთისგან ჰქონდა ბო-

ძებული, მაგრამ მე მაინც მჭერა, თევად მან იჩქარა... სიკვდილი კი არ მოხტომია ან ჩასაფრებია უდროოდ დროს, პირიქით, თვით მიეგება და ჰპოვა კიდევც... მე ამას მისი ცხოვრების წესი, ღვთითბოძებული ნიჭის უღვთოდ ხარჯვა და არდანდობა მალაპარაკებს! ამიტომ, არჩილის თანატოლი თუ უმცროს-უფროსი მეგობრები ერთთავად იმ სამოციან წლებს ვიხსენებთ და მისი მწერლური ხვედრის თუ უდროოდ სიკვდილისა გამო შეძრწუნებულები ვართ. რახან მწერლური ხვედრი ვახსენე, ეს იმას არ ნიშნავს, არჩილმა პოეზიას უღალატა! პირიქით, მხოლოდ მისი ერთგული დარჩა ბოლომდე... ლექსის წინაშე სანთელივით სუფთა იყო ყოველთვის, სანთელივით სწორად იდგა და ასეც ჩაიფერფლა...

არჩილის ყოველდღიური ცხოვრება ბევრისთვის მიუღებელი, ერთობ უცნაური, სევდისმომგვრელი, მხიარული, ანუ ახალ-ახალი ექსცესებით თუ „უწყინარი“ ფათერაკებით იყო სავსე. ეს ერთიც კარგად იცოდნენ; მას სხვანაირად არ შეეძლო. მეორე: დროც ბევრი ჰქონდა ამისთვის; დღედაღამ გარეთ იყო... როგორც უბინაობა და უფულობა უწყობდა ხელს, ისე რაღაც ყმაწვილური ყინი და ფიცხი, მოუსვენარი ხასიათიც...

პირველი სიყვარულიც უცნაური ხვდა წილად. უფრო სწორად, მე ის მახსოვს: სკოლაში, პიონერთა სასახლეში, ყველგან... არჩილისა და ქალაქში ერთ-ერთი ულამაზესი, დიდი, ხატისთვალემა ხეივანი გოგონას სიყვარულზე ჰქონდათ დავა და წლობით საუბარი...

იმ წლებში სხვა რამეც „დააშავა“ არჩილმა. თურმე თავისუფალ საქართველოს უძღვნა ლექსი და კომპოზიციონიდან გარიცხეს. დასჯილი არჩილი ენგურჰესის მშენებლობაზე „გაამწყვდეს“ მებეტონედ. დიდხანს ვერ გაძლო, საერთოდ, მისი პოეტური ბუნება დიდხანს სამოთხესაც ვერ იფუტებდა, ალბათ.

დღეაჩემმა რომ ნახა შრომის წიგნაკში „ბეტონშიკი“ მეწერა, აქაც ბუნტოვშიკი ჩაგიწერეს, შვილოო, და ატირდაო, ხუმრობდა მერე.

უსახსრობა-უფულობისდა მიუხედავად, სად არ შეხვდებოდი არჩილს, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში „შინაურ კაცად“ იყო მიღებული და, თუ საჭირო იყო, თავის მსლებელს კი არა, მასპინძელს შეუძახებდა და მისებურად გაათამამებდა.

რაც უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო, მეგობრისთვის ყოველთვის ჰქონდა რაღაც გადანახული. ამისთვის საკმარისი იყო შენი ლექსის ერთი ცინცხალი სტრიქონი და, რომ დაგინახავდა, რაც უნდა ხალხმრავალი ქუჩა, თუ გინდა — ათასკაციანი წვეულება ყოფილიყო, შორიდან, საღამზე ადრე მოგაძახებდა ამ სტრიქონს, მერე, მიუხედავად შენი შეცბუნება-დამორცხვებისა, იქაურობას ხმაურით აიკლებდა.

უნიკალური მახსოვრობა ჰქონდა, მთელი ქართული პოეზია იცოდა ზეპირად. ერთ თავის ლექსს რომ წაგიკითხავდა, სამს — სხვისას და ეს მთელი სუფრის მანძილზე კი არა, სადღეგრძელოდან სადღეგრძელომდე... მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ჰყავდა მსმენელი. რახან მის გვერდით იდექი, ლექსი უნდა გყვარებოდა და, აქედან გამომდინარე, ვის და რა ხელობის კაცს

არ დაინახავდი არჩილის წინაშე მაგიდასთან გატრუნულს... ლექსის სიღრმე მკითხველი იყო; ოდნავ თვალმოწყურული და გვერდზე თავგადადებულად, კი არ გამოთქვამდა, კვსდა; სიტყვები ჰაერში თუ სკდებიანო; ბგერები ცხვირწინ გიჭკრიალებდა, გაბრუებდა... გულის სისხლს ატანდა სხვის ლექსს თუ თავისას და მალე შენც, პოეტიც-ბურად, ნერვივით იწყებდი თრთოლვას და ცახცახს... ის კი კვლავ და კვლავ ზორკლიან, თამამ სტრიქონებს ზედიზედ ჰედდა, ნაბერწყლებს აყრევინებდა სიტყვას კვესივით, რომ ბოლომდე გეგრძნო პოეზიის დამორგუნველი და ყოვლისშემძლე ძალა... მაშინ ლექსი იყო შენი სულის მპყრობელი, შენი ცა და მიწაც... და თუ ვინმე გელარ გაუძღებდა, გამოეცლებოდა ხელიდან, ჩათვლემდა, ვაი მისი ბრალი! ისეთს იტყოდა, ვითომ ხუმრობაში ისე გაწირავდა; შეიძლება, წლების მერე მოსულიყო გონს ადრესატი. კითხულობდა არჩილი ლექსს და გაოგნებულად, „პროზაული“ უცნობ-ნაცნობიც გრძნობდა, ლექსთან ერთად როგორ იზრდებოდა ეს ჩია ტანის კაცი. მერე ის და ახალგაჯნობილი კაცი მიდიოდნენ ქუჩაში, უფრო სწორად, ის მიჰყვებოდა არჩილს მორჩილად; გასუსული საკუთარი სახლისკენ, სადაც პოეტი უფრო სასწაულებს დაატრიალებდა...

მალე სხვა, ახალი უცნობი ჩნდებოდა მის გვერდით.

მართლაც, არჩილის ბოლომდე გაძლება ძნელი იყო. მის ახლობლებსაც უჭირდათ ეს. მას კი სხვანაირად არ შეეძლო, ანუ ჩვენსავით საქმიანს, ნაბიჯდამძიმებულს ევლო რუსთაველზე, ერბინა რედაქცია-გამომცემლობებში, სამსახურშიც არ დაგვიანებოდა... ამიტომ, ბოლო დროს თავად „ავგალო ხელი“, არც ჩვენ ვეძებდით მაინცდამაინც... არ „გმობდვარავდით“ ხოლმე — დრო და ლექსები ჰაიპარად, ქუჩა-ქუჩა არ ევანტა, ჯანი ხელაღებით არ გაენადგურებინა... ცოცხა გამხელილი

ჯობს, ზოგჯერ მის მაჩხ, ირონიითმოწყურულ მზერას თუ დაუნდობელ სიტყვას ვარიდებდით თავს, მაგრამ ეს ერთიც მჯერა, რაც არ უნდა მოგვემოქმედა, არც არაფერი შეიცვლებოდა, როგორც არჩილის „გამოსწორება“ იყო ძნელი, ისე ჩვენიც!

ეს მისი ცხოვრება იყო!
ჩვენც მიჩვეული ვიყავით ამნაირი არჩილის არსებობას.

ალბათ, ამიტომაც ერთ ნაცნობ-უცნობ პოეტად წავიდა ამ ქვეყნიდან — სიცოცხლეში ერთი ციკქნა ლექსების წიგნის ავტორი...

არადა, რამდენი დიდებული ლექსია ამ წიგნშიც!

რამდენი გამომზეურებას და წაკითხვას ელოდება!..

ეს მცირე მოგონება კი მისი ერთ-ერთი საყვარელი ლექსით მინდა დავამთავრო.

მე ახლაც ყურში ჩამესმის და ახლათ, ბევრს ჩემსავით, როგორც ახლაც ლოპს ამ ლექსს არჩილი: ერეკნული
მეცბრე თვა და მეცბრე კარბი გვეტყვიან
ცხრა სოცარი გალობა მესმა...
ნეტავ სიზმარში თუ ნახა დედამ
წუხელ ლამას რომ გამგულა ლექსმა.
გადაიარა არყოფნის ელდამ,
თმებშიც თანდათან განთდა მწუხრი,
ნეტავ სიზმარში თუ ნახა დედამ
რომელ საფლავთან ჩაეხარე მუხლი.
ნეტავ თუ იგრძნო ხეცურ დარდი
სად ჩიხაფრა იმედო ამო...

დავდივარ როგორც გრანელის ლანდა
და თბილისიდან გაქცევას ელამობ.
ვით ჩიხაფრა იმედი ამო,
თითქოს უფსკრულს კიდებე შევდებ.
სულ უმნიშვნელო დაღატის გამო,
სულ უმნიშვნელო დაღატის შემდეგ.
მართლაც ღვთიური ცრემლები დამდის
მართლაც ღვთიური ტრფილის გამო...
დავდივარ როგორც გრანელის ლანდა
და თბილისიდან გაქცევას ელამობ.



შოთა ლავკვიშვილი

დაუფიწყარი ამბავი...

1933 წელი ილგა. მე თბილისში, მახარაძის ქუჩა № 12-ში მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭი, ხშირად ავდიოდი მთაწმინდაზე, და ვათვალისწინებდი ჩვენი ცნობილი მწერლების საფლავებს. ყოველთვის პირველად დიდი ილია ჭავჭავაძის საფლავთან მივიღოდი ხოლმე; იმიტომ, რომ გულზე მაწვა მისი მკვლელობის ამბავი! აპრილის

თვე იყო, ძალზე კარგი ამინდიც, ავედი მთაწმინდაზე და, ილიას საფლავთან მივედი. ვნახე, რომ ილიას საფლავთან 5 მუშა კაცი იჯდა; წერაქვებით, და ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულნი. ძალზე არ მესიამოვნა ეს ამბავი! და ვკითხე მათ ბრიგადირს, „რატომ ხიზართ, ბიძიკო, ამ საფლავთანმეთქი! მან ხმამაღლა მიპასუხა: „ჩემი სიყვდი-

ბლითვის ვზივარ შვილოვო! დავაღვი-
ლილი ვვაქვს ილიას აქედან ამოღება
და, კუკიის სასაფლაოზე გადატანაო: მე
ქართველი კაცი ვარ, და ვერ ვინელე
ამ ამბავსო!“ ტანში ერთანტელმა და-
მიარა, და ამ კაცის სიტყვებმა მომცა
საშუალება მომეგონებია და, მეთქვა
ტყვილი: ბიძია, ეს ამბავი გაუვია პეტა
კაპანაძეს, იმ პეტას, რომელიც ინახავ-
და და იფარავდა სტალინს, არაღეგა-
ლური მუშაობის დროს და წასული
მოსკოვში, რომ თხოვს სტალინს, ხე-
ლი არ ახლონ ილია ჭავჭავაძის საფ-
ლავს-მეთქი. ამიტომ დავუცადოთ, რას
იტყვის სტალინმეთქი. შენი ოჯახი
აშენდეს ჩემო ბიძიკოვო, მითხრა ბრი-
გადირმა, მე ხელს არ ვახლებ საფლავს
და მუშებს უკან წავიყვან, მხოლოდ შენ
ეს ამბავი უნდა მოახსენო ქალაქის საბ-
ჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფი-
ლებას, რომელმაც მე აქ გამომგზავ-
ნაო. მე იმ წუთშივე გავიქეცი აღმას-
კომში და ყველაფერი დაწვრილებით
მოვასხენე სამშენებლო განყოფილების
უფროსს (გვარი არ ჩამიწერია მისი).
უფროსმა მითხრა, ალალი იყოს ის
ქართველი დედის ძუძუ შენზე, რომე-
ლიც გიწოვიაო... მხოლოდ ამ ხმებს ნუ
გაავრცელებ ქალაქშიო... მე რა დამა-
ძინებს იმ ღამეს, როცა ილიას საფლა-
ვი არ გვექნება მთაწმინდაზეო. ასე
მითხრა იმ კეთილშობილმა ქართველმა
კაცმა. მე დიდი მადლობა გადაუხადე
და წავედი სახლში.

სახლში რომ მივედი ვისადილე, და
ჭამის დროს ვფიქრობდი, როგორ მე-
ნახა პეტა კაპანაძე. ხალხის გადმოცე-
მიდან ვიცოდი, რომ ის ცხოვრობდა
ხაშურში. მეორე დილას ადრე ავდექი,
მივედი თბილისის რკინიგზის სადგურ-
ში, ჩავჯექი ბათუმში მიმავალ მატარე-
ბელში, დილის 11-30 საათზე ჩავედი
ხაშურში. იქაურ ადამიანებს ვკითხე
პეტა კაპანაძის მისამართი. ერთმა ხან-
ში შესულმა ქალმა მითხრა მისამართი,
თან გამომყვა და თითო მარცენა ეზო
და სახლი. მე დიდი მოკრძალებით შე-
ვედი შეუღობავ ეზოში და დავდექი

სახლის ახლოს. რამოდენიმე წუთის
შემდეგ, სახლიდან გამოვიდა ხანში შე-
სული კაცი და მკითხა, ვინ გწმენავ
შვილოვო! მე ვუთხარი პეტა კაპანაძე
ბატონმეთქი! გაელიმა და, მითხრა:
პეტა კაპანაძე მე ვარ, შვილო, მაგრამ
ბატონის თქმა, რომ აკრძალულია ჩვენ-
ში, ეს ხომ იციო! ეხლა კი მითხარი,
რა გნებავთო: მე მოვეუყვები ყველაფე-
რი ილია ჭავჭავაძის საფლავის ირგე-
ლივ და მისი ცხედრის გადატანის შე-
სახებ, კუკიის სასაფლაოზე და ისიც
ვუთხარი, რომ ხმა დავყარე, თითქოს
წასული ხართ მოსკოვში სტალინთან ამ
საკითხის მოსაგვარებლადმეთქი! პეტა
კაპანაძე, ცუდ ხასიათზე დადგა, და ასე
მითხრა, ბიჭო! რა კეთილი ოჯახის შვი-
ლი და დიდი ილიას მოყვარული ბიჭი
ყოფილხარ, შენ დიდხანს უნდა იცოც-
ხოვო; მე შვილო მაინც მივდივარ
მოსკოვში, სტალინის დეპეშა და წე-
რილი ხელთა მაქვს, მაგრამ რაკი საქმე
ესეა, ხვალვე გავემგზავრები მატარე-
ლითო და სტალინს ყველაფერს ვეტყ-
ვი — ილიას საფლავის ხელუხლებლო-
ბის შესახებ და იმასაც ვეტყვი, რომ
ეს ამბავი მომიტანა სრულიად საიდუმ-
ლოდ, ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა შოთა
ლეკვიშილმა, რომელიც დარაჯობს
ილიას საფლავსმეთქი.

მე, შვილო, სასულიერო წოდების
კაცი ვარ, ყოფილი მღვდელი, სპეცია-
ლობით პედაგოგი, მასწავლებელი და
მიყვარს ის ახალგაზრდები, რომლებიც
ასე იცავენ თავის მწერლებს, თავის
მოღვაწეებს და თავის ერსო! (თუმცა
დღევანდელ პირობებში ერის დაცვაზე
ვერაფერს იტყვიო...) ხომ ხედავ შვი-
ლო, როგორ ამუშავებენ ერის მამას,
ილია ჭავჭავაძეს და საფლავშიაც აღარ
აყენებენო...

მაშ ასე შვილო, მე წავედი მოსკოვ-
ში და ვფიქრობ, კარგ ამბავს ჩამოგი-
ტანო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ
ჰქონდა ისე გამოვემშვიდობე პეტა კა-
პანაძეს და წამოვედი თბილისში, ორი-
ოდე კვირის შემდეგ, ქალაქის საბჭოს
აღმასკომის სამშენებლო განყოფილე-
ბაში შევიარე, კარები რომ შევადე ხმა-

მალალი ლაპარაკი მომესმა — ილია ჭავჭავაძის საფლავის ირგვლივ. ვი-
ლაც სიხარულით ამბობდა პეტა კაპანა-
ძის ჩასვლას მოსკოვში უქმად არ ჩა-
უვლიაო, სასწრაფო განკარგულებაა,
ხელი არ ახლოთ ილიას საფლავსო.

საბლში რომ წამოვედი, ჩემს სიხა-
რულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე
დღესვე ვეწვიე პეტა კაპანაძის ხაშურ-
ში. კარზე რომ ჩემი თითები ახმაურ-
და, მაშინვე გაიღო კარი და პეტა კა-
პანაძემ შინ შემიპატიჟა. „ზალაში“
სამი ადამიანი იჯდა, ორი კაცი და ერ-
თი ქალი. პეტამ მათ ხელეგაშლით
უთხრა, მოვიდა ილია ჭავჭავაძის საფ-
ლავის დარაჯიო; ისინი ფეხზე წამოდ-
გნენ, ხელი ჩამომართვეს და ასე მით-
ხრეს, იმრავლოს შენისთანა ქართვე-
ლებმაო...

გაიმართა საუბარი, პეტამ მოჰყვა
მოსკოვში მოგზაურობის ამბავი, და
თქვა: სტალინთან რომ შევედი, ორი
კაცი ჰყავდა კაბინეტში, სტალინი ფეხ-
ზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და
მითხრა, დაბრძანდითო, იმ ორ კაცს კი,
უთხრა, ეხლა ჩვენ ამ ახალ სტუმართან
ქართულად გვექნება საუბარი და
თქვენ შეგიძლიათ დაგვტოვოთო... ისი-
ნი ადგნენ და წავიდნენ.

მე ჩვეულებისამებრ მოუყვევი ჩე-
მი ცხოვრების ამბავი, მერე საქართვე-
ლოს ამბები, და ძალზე გულნატკენად
ვეუთხარი ილიას საფლავის ხელყოფის
შესახებ. რა მოხდაო, საფლავს რატოს
ერჩიანო, მითხრა სტალინმა, აილო ტე-
ლეფონი და, დარეკა თბილისში, იმ
დროს სხვა ტელეფონები აწყრილდ-
ნენ და ვის დაურეკა არ ვიცი. მე კი
ასე მითხრა, ჩემო პეტა, თქვენ შეგიძ-
ლიათ დამწვიდდეთ, ილიას საფლავს
კაცი ხელს ვერ ახლებსო. მას ბევრი
ლაპარაკი არ უყვარდა, ამით დამთავრ-
და ყველაფერი. მე დიდი მადლობა მო-
ვახსენე, და სამი დღის შემდეგ, წამო-
ვედი მოსკოვიდანო. აი, ჩვენო ბიჭო,
შენს დარაჯობას უქმად არ ჩაუვლი-
აო... ამიტომ მე შენ მოგცემ სტალინის
ხელით დაწერილ წერილს და მის გა-
მოგზავნილ დეპეშას, რომელიც უკვდა-
ვი საბუთი იქნება იმისა, რომ შენ ჩემ-
თან დადიოდიო. ეს წერილი და დეპეშა
შენს უჯრაში იდოსო!

მე სიხარულით გამოვართვი წერილი
და დეპეშა, მადლობა მოვახსენე და
წამოვედი.



ოლდონ ჰაქსლი

ტრაგედია და სრული სიმართლე

ისინი ექვსნი იყვნენ, საუკეთესონი და უმამაცესნი. ოდისევსმა გემის კიჩოდან შეასწრო თვალი, როგორ იბრძოდნენ, როგორ ყვიროდნენ და განწირულად იმეორებდნენ მის სახელს. გადარჩენილნი უმწეოდ უტკეპრდნენ, სცილა იქ შესასვლელთან როგორ ნთქავდა მის მეგობრებს. მეგობრები კი ჰკიოდნენ, მისკენ ხელს იშვერდნენ, სიმწრით იბრძოდნენ. აქ ოდისევსი უმატებს, რომ ეს იყო უსაზარლესი სანახაობა, „რაც კი ვრცელ ზღვაში ხეტიალისას კირს შესწრებია“.

ყველაფერი ეს დამაჯერებელია; ჰომეროსის ზუსტი აღწერა (ორი პოეტური შედარება გვიანდელი ინტერპოლაციას) გვარწმუნებს მომხდარი ამბის სიმართლეში.

მოგვიანებით, როდესაც საფრთხემ გაიარა, ოდისევსი და მისი ამხანაგები ღამის გასათევად ხმელეთზე, სიცილიის სანაპიროზე გამოვიდნენ და ვახშამი მოიძნადეს — ჰომეროსის თქმით, „როგორც წესი არის“. ოდისევს მეტორმეტე წიგნი ამ სიტყვებით მთავრდება: „როცა შიმშილი და წყურვილი მოიკლა ყველამ, მოთქმატირილით მოვიგონეთ ის ძმობილები... რა დავითირეთ, მიგვეძინა და დაეისვენეთ“.

სიმართლე, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. რა იშვიათად ამ-

ბობდნენ მას ძველი ლიტერატორები. სიმართლის ნაწილს კი, ყველა კარგი წიგნი შეიცავს. (სხვაგვარად, არც იქნებოდა კარგი წიგნი) მაგრამ სრულ სიმართლეს — არა. წარსულის დიდ მწერალთაგან ცოტამ შეძლო ეს. ჰომეროსის — „ოდისეა“ ერთ-ერთი იმ მცირეთაგანია.

სიმართლე, რომლის შესახებაც ახლახან ვლაპარაკობდი, ფაქტობრივად სხვა არაფერია, თუ არა მისაღები დამაჯერებლობა. თუ ლიტერატურულ ნაწარმოებში გადმოცემული განცდა სრულიად შეესაბამება ჩვენს რეალურ განცდებს, ან იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი პოტენციური განცდა, ასე ვთქვათ რასაც ვგრძნობთ (როგორც ცნობილი ფაქტებიდან გამომდინარე მეტნაკლებად ზუსტი დასკვნები), რაც შეიძლება გადაგვხდნოდა, — ასეთ შემთხვევაში უეჭველია, ვაშობთ: „ეს ნაწარმოები სიმართლეა“.

მაგრამ, რა თქმა უნდა, საკითხი ამით არ ამოიწურება. ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში მოყვანილი შემთხვევაც მეცნიერული სიმართლეა იმდენად, რამდენადაც იგი გარკვეული მოვლენების დაწვრილებით ანგარიშს წარმოადგენს. ამასთანავე, ეს სიმართლე შეიძლება მისაღები, დასაშვები იყოს მკითხველისათვის, როგორც მისი სა-

კუთარი განცხადების შესატყვისი მოვლენა და ამდენად, შეძრას კიდევ იგი. მაგრამ, ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო არ არის ხელოვნების ნაწარმოები. იმისათვის, რომ ხელოვნების ნიმუში „მართალს“ ჰგავდეს, არაა საკმარისი რომ მწერლის მიერ აღწერილი განცდა დამაჯერებელი იყოს და შეესაბამებოდეს მკითხველის მიერ გადატანილ და წარმოსახულ განცდებს. კარგი ხელოვნება შეიცავს რაღაც ზემართალს. ის თვით ფაქტზე უფრო შესაძლებელი, მისაღები და დამაჯერებელია. ამიტომაც, რომ ხელოვანი დაჯილდოვებულაა გრძნობიერებით, უნარით, განაზოგადოს და „დააწყოს ფაქტები“. ეს თვისება მოვლენებს და ადამიანთა უმრავლესობას არ გააჩნია.

გამოცდილება მხოლოდ სწავლისათვის მოწადინებულთ ასწავლის, ისინი კი, არაფითარ შემთხვევაში არ არიან ისე მრავალრიცხოვანი, როგორც შეიძლება წარმოგვიდგინოს მისი მიკობერის მაგილოს საყვარელმა ანდაზამ. ხელოვანი განსაკუთრებულად არიან განწყობილი სწავლისათვის და ამასთანავე, გამორჩეულნი მასწავლებლები არიან თვითონ. ისინი, ადამიანთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, მოვლენებისგან იღებენ უფრო მეტს და ძალუძთ თავიანთი განცდილი გადასცენ იმ შთამბეჭდავი ძალით, რომელიც მათ აზრს მკითხველის გონების სიღრმეებისკენ უხსნის გზას. კარგ ლიტერატურულ ნაწარმოებზე ჩვენი ერთ-ერთი ჩვეულებრივი რეაქცია შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: „ეს სწორედ ისაა, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი და ვფიქრობდი, მაგრამ არასდროს ძალმიძდა გამომეხატა სიტყვებით, თუნდაც, საკუთარი თავისთვის“.

ახლა უკვე შეგვიძლია ავხსნათ, რას ვგულისხმობთ იმაში, რომ ჰომეროსი სრული სიმართლის მთხრობელი მწერალია. განცდა, რომელსაც იგი გადმოგვცემს, საოცრად შეესაბამება ჩვენს რეალურსა და პოტენციურ განცდებს და შეესაბამება არა მხოლოდ რაღაც

ერთ გარკვეულ მომენტში, არამედ ჩვენნი ფიზიკური და სულიერი არსებობის მთელ მანძილზე. ამასთანავე, ჰომეროსის ასახვის შთამბეჭდავი, ოსტატური ძალა ამ განცდებს ბუნებრივად მისაღებას და დამაჯერებელს ხდის.

ახლა, რაც შეეხება ლიტერატურაში სიმართლის ასახვას. ჰომეროსი, ვიმეორებ სრული სიმართლეა. წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დაასრულებდა ხომალდზე სცილას თავდასხმის ამბავს რომელიმე სხვა დიდი პოეტი. ექვსი კაცი ურჩხულმა შეიპყრო და შთანთქა მათი ამხანაგების თვალწინ. რას მოიმოქმედებდნენ ამის მხილველნი სხვა პოემაში? რა თქმა უნდა იგლოვდნენ. თვით ჰომეროსმაც ატირია ისინი. მაგრამ მოიშალდებდნენ კი პირველ რიგში საკმელს ასე ჩინებულად? ან თავდაპირველად მძღორისად ივახშმებდნენ, დაღვედნენ და ტირილის შემდეგ ან, უფრო სწორად, ტირილისას მშვიდად ჩაიძინებდნენ? არა, უდავოა, სხვა გმირები ასე არ მოიქცეოდნენ. ისინი უბრალოდ იტირებდნენ, გამოიგლოვებდნენ, თავიანთ უიღბლობას, თანამეინახეების საშინელ ბედს და პოემის თავიც ტრაგიკულად დასრულებოდა მათი ცრემლების ღვრით.

ჰომეროსმა კი, სრული სიმართლის თქმა არჩია. მან იცოდა, რომ თვით უკიდურესად დაბეჩავებულმაც კი უნდა ქამოს; რომ შიმშილი სინანულზე ძლიერია და მისი დაკმაყოფილებით მოგვრილი სიამოვნება წუხილზე წინ დგას. მან იცოდა, რომ ოსტატები აგრძელებენ ოსტატურად მოქმედებას და კმაყოფილებას თავიანთ ხელოვნებაში პოეებენ, თუნდაც მათი მეგობრები იმ წუთის შეკმულეები ყოფილიყვნენ. ჰომეროსმა იცის, რომ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კუჭი სავსეა, ადამიანს შეუძლია თავს დამწუხრების ნება მისცეს და ცრემლის ღვრა ვახშმის შემდეგ თითქმის განცხრომა დაბოლოს მან იცოდა, რომ თუკი შიმშილი მწუხარებაზე ძლიერია, დადლილობა ტკბილ ძილს მოგვრის და სიბე-

ჩვენს გადაავიწყებს აღამიანს. ერთი სიტყვით, პომეროსმა უარი განაცხადა თემის ტრაგიკულ გადაწყვეტაზე. მან სრული სიმართლის თქმა ამჯობინა.

მეორე ავტორი, რომელმაც უპირატესობა სრული სიმართლის თქმას მიაჩნია, ფილდინგია. „ტომ ჯონსი“ ერთი იმ მცირე „ოღისეური“ წიგნთაგანია, რომელიც ესქილეს დროიდან ჩვენს საუკუნემდე დაწერილია ევროპაში. „ოღისეური“ იმიტომ, რომ ის არასოდეს მტკივნეული და საბედისწერო, პათეტიკური და მშვენიერი ამბების აღწერის დროსაც არაა ტრაგიკული რაჟიდა ცხოვრებისეულია. ავტორი გვერდს არ უვლის რა ცხოვრების შეუსაბამობებს, ამით აწონასწორებს სიტუაციებსა და პერსონაჟებს, რომელთა „ქიმიური“ სიწმინდის“ დაცვას დაუინებით ცდილობენ ტრაგიკოსი მწერლები. გავიხსენოთ სოფი უესტერნის, ყმაწვილქალთა შორის ყველაზე მომხიბლავისა და თითქმის სრულყოფილი არსების მაგალითი. ფილდინგი, აშკარაა, აღმერთებდა მას, (ამბობენ, თითქოს სოფი შექმნილია მწერლის პირველი და უსაყვარლესი მეუღლის სახის მიხედვით). მაგრამ მიუხედავად თავისი სიყვარულისა, მწერალმა უარი განაცხადა გადაექცია იგი ერთ-ერთ იმ ქიმიურად სუფთა და გულისხმიერ პერსონაჟად, რომელნიც მოქმედებენ და იტანჯებიან ტრაგედიის სამყაროში.

რამ წააქცია სასტუმროს მებატრონე, რომელმაც ცხენიდან ჩამოსვა დაქანცული სოფია? არცერთ ტრაგედიაში ის ვერ დაეცემოდა ქალის სიმძიმის გამო. ეს იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა, ტრაგიკულ კონტექსტში. წონა შეუსაბამობაა, გმირი ქალები მიზიდულობის კანონს არ უნდა ემორჩილებოდნენ. მაგრამ შევახსენოთ მკითხველს, რა მოჰყვა ამ დაცემას. ზურგზე გამოტილმა მეფუნდუემ თან გადაიყოლა სოფია, მისი მუცელი ქალს ბალიშად დაეგო. ასე, რომ მას არაფერი დაშავებია, წუთიერად გადაიშალა სოფიას ყველაზე თვალწარმტაცი მშვენიერებანი.

სასტუმროს კარში მდგარი ტეტები იკრიკებოდნენ და როხროხობდნენ. საწყალი სოფია კი, როცა წამოაყენეს, დაბნეულობისა და შელახული თავმჯდვარეობისაგან წითლდებოდა.

ამ შემთხვევაში არაფერია განსაკუთრებულად უჩვეულო და სწორედაც რომ აღბეჭდილია ლიტერატურული სიმართლის ყველა ნიშნით. მაგრამ, მიუხედავად სიმართლისა, ეს არის შემთხვევა, რომელიც არასოდეს, გადახდებოდა ტრაგედიის გმირს. ამას ტრაგიკოსები არ დაუშვებენ, მაგრამ ფილდინგმა უარყო პათივი მიეგო ტრაგიკოსთა ვეტოსათვის; მან გვერდი არ აუარა — არც სრულ რომანტიკასა და საფრთხეში აბსურდულობის შეჭრას, არც ბედნიერებაში ცხოვრებისეულ, არანაკლებ შეუსაბამო მტკივნეულ ჩარევებს. ფილდინგს არ სურდა ტრაგიკოსობა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სოფიას მომხიბლავი სხეულის წამიერი და მარგალიტივით გაელევა საკმარისი იქნებოდა ტრაგედიის მუხის შესაკრთობად. ისევე, როგორც ოცდახუთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, „ოღისეაში“ შეერთა იგი სულით ხორცამდე შეძრული კაცების ბილვისას, რომლებიც ჯერ ვახშობენ, შემდეგ ახსენდებათ ტირილი: მერე კი რულმოგვრილებს ავიწყდებათ გადატანილი უბედურება.

თავის „ლიტერატურის კრიტიკის სეფტველში“ მისტერ ი. ა. რიჩარდსი აცხადებს, რომ კარგ ტრაგედიაში ვერ შეაღწევს ირონია და შეუსაბამობა; იგი შეიწოვს ყოველივეს და ისევ ტრაგედიად რჩება. ავტორი, ჩანს, ცდილობს წარმოაჩინოს ამ არატრაგიკულისა და ანტიტრაგიკულის შეწოვის უნარი ტრაგედიის ღირსების ქვაკუთხედად. ფაქტობრივად, მთელი ბერძნული, ფრანგული და ელისაბედის დროინდელი ტრაგედიების უმრავლესობა, მცდელობის მიუხედავად, ამ თვისების ნაკლებობას განიცდის. მხოლოდ შექსპირმა საუკეთესომ ტრაგიკოსთა შორის გაუძლო გამოცდას. ყოველ შემთხვე-

ვაში ასე ამბობს მისტერ რიჩარდსი. სწორია თუ არა ის? მე თავად ხშირად შემპარვია ეჭვი.

შექსპირის ტრაგედიები, მართლაც გამსჭვალულია ირონიით და ხშირად, შემზარავი ცინიზმითაც; მაგრამ ეს ცინიზმი ფაქტად გადმოტრიალებული პეროიკული იდეალიზმია, ირონია — პეროიკული რომანტიკის ერთგვარი ფოტოგრაფიული ნეგატივი. შეცვალეთ ტროილის თეთრი შავით და შავი თეთრით და მიიღებთ ტერსიდას; ოტელოსა და დეზდემონას შებრუნებული სახე იავო იქნება; თეთრი ოფელიას ნეგატივი ჰამლეტის ირონიაა, ოფელიას სიმღერების გულუბჟყვილო უხამსობა — მაჰანკლობა, შეშლილი მეფე ლირის ცინიზმი კი კორდელიას შავი აჩრდილი.

საგანი და მისი აჩრდილი ასეთ შემთხვევაში არ წარმოადგენენ შეუსაბამობას. შექსპირის ირონია და ცინიზმი მის ტრაგიკულ სამყაროს აღრმავებს, მაგრამ არ აფართოებს. ჰომეროსის „ოდისეაში“ შეუსაბამობამ განაგრცო ნაწარმოების სამყარო. შექსპირთან რომ ასე იყოს, მაშინ მისი ტრაგედია ავტომატურად შეწყვეტდა არსებობას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ როგორ ვახშობს ოჯახმოწყვეტილი მაკდუფი, სვამს ვისკის და ემატება მელანქოლია, ფიქრობს დახოცილ ცოლ-შვილზე, შემდეგ კი ისევ თვალშეუმშრალი იძინებს. ყოველივე ეს საკმაოდ ახლოს იქნებოდა ცხოვრებისეულ სინამდვილესთან. მაგრამ არ იქნებოდა ტრაგიკული ხელოვნების სიმართლე. ასეთი სცენის შემოტანა მთელი პიესის ხასიათს შეცვლიდა. ამგვარი „ოდისეური“ სტილით დამუშავებული „მაკბეტი“, როგორც ტრაგედია, არსებობას შეწყვეტდა.

გავიხსენოთ დეზდემონას იავოს უხეში ცინიკური შენიშვნები პერსონაჟის ხასიათის შესახებ არავითარ შემთხვევაში არაა შეუსაბამო ტრაგედიისათვის. ისინი ქალის ნამდვილი ბუნებისაა და ოტელოსადმი მისი გრძნობების

ნეგატიურ გამოხატულობას წარმოადგენს. ეს ნეგატიური გამოხატულებანი ტრაგედიის გმირი ქალის მსხვერპლსა თვისებების შეცნობის ერთგვარი საშუალებაა. ხოლო თუ დეზდემონა კვიპროსის სანაპიროზე წაიქცეოდა, (როგორც ეს დაემართა არანაკლებ წარჩინებულ სოფიას) და გამოიჩინდა მეტექსმეტე საუკუნის საცვლების მრავალფეროვნებას, პიესა აღარ იქნებოდა ჩვენთვის კარგად ცნობილი „ოტელო“. იავო აღზრდიდა პატარა ცინიკოსების ოჯახს და ამით სიმწვავისა და სასტიკი უაჩყოფის არსებული დონა გაორმაგდებოდა და გასამაგდებოდა. „ოტელო“ ძირითადად ისევ „ოტელოდ“ დაჩნებოდა, მაგრამ ცოტაოდენი ფილდინგისეული შეუსაბამობანი მას დაშლიდა, დაშლიდა, ასე ვთქვათ, როგორც ტრაგედიას. მისგან დამოუკიდებლად მივიღებთ შესანიშნავ დრამას, რადგანაც ტრაგედია და ის, რასაც მე სრულ სიმართლეს ვუწოდებ, ვერ შეთავსდებიან. სადაც არის ერთი, ვერ იქნება მეორე, არსებობს მოვლენები, რომელთა შესრუტვაც არ შეუძლია თუნდაც საუკეთესო, თვით შექსპირის ტრაგედიებსაც.

ტრაგედიის შესაქმნელად საჭიროა, რომ ხელოვნმა ადამიანის უზარმაზარი გამოცდილებიდან გამოყოს ერთი ელემენტი და მთლიანად გამოიყენოს ის თავის მასალად. ტრაგედია არის რაღაც ისეთი, რაც გამოცალკევებულია სრული სიმართლისაგან, ასე ვთქვათ გამოხდილია მისგან, ასევე როგორც სურნელობაა გამოხდილი ცოცხალი ყვავილისგან. ტრაგედია „ქიმიურად სუფთა“ და მამასადამე, მას აქვს ჩვენს გრძნობებზე სწრაფი და მძლავრი მოქმედების უნარი. ჩვენზე სწრაფი და მძლავრი მოქმედების ეს ძალა ყველა „ქიმიურად სუფთა“ ხელოვნებას გააჩნია. მაგალითად, „ქიმიურად სუფთა“ პორნოგრაფია (იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ის დაწერილია დამაჯერებლად „ფაქტების დაწყობის“ უნარის მქონე ადამიანის მიერ) შეუღარებლად დიდი

ბალის სწრაფად მოამქმედი ემოციური ნარკოტიკია, იგი გრძნობებზე არსებულ სიმართლებზე ან ზოგჯერ (უმრავლეს-თათვის) თვით ხელშეისახებ და ხორცი-ელ სინამდვილეზე გაცილებით მეტ გავლენას ახდენს. სწორედ თავისი „ქიმიური სიწმინდის“ გამოა, რომ ტრაგედია ასე ეფექტურად ასრულებს კათარზისის ფუნქციას. ის სწრაფად და მძლავრად ხვეწს, ასწორებს და იერს აძლევს ჩვენს ემოციურ სიციცხლეს. ტრაგედიასთან კონტაქტში შესული ჩვენი ცხოვრებისეული ელემენტები, ისევე მოექცევიან (წუთიერად მაინც) მოწესრიგებულსა და ლამაზ მოდელში, როგორც რკინის ნაწილაკები განლაგ-დებიან ზოლზე მაგნიტის მიზიდულო-ბით. ინდივიდუალური ვარიაციების მიუხედავად, ეს მოდელი, ძირეულად ყოველთვის ერთი სახისაა. ტრაგედიის კითხვის ან მოსმენისას ისეთი გრძნობა გვიჩნდება, რომ

„ჩვენი მეგობარია აღტაცება და ტკივილი, სიყვარული და ადამიანის დაუ-მორჩილებელი გონება“.

ჩვენც ნაწარმოების გმირებივით გვქმს, რომ ვერ დავგამარცხებთ ტან-ჯვა, რომ ვაჭირვებაშიც გვექნება სი-ყვარულის უნარი და შეიძლება ასეთ დროს, აღტაცებაც ვისწავლოთ. სწო-რედ იმის გამოა ტრაგედია ასეთი მშვენიერი, რომ მას ძალუძს ასეთი გან-ცდები წარმოშვას ჩვენში.

რა არის სრულიად მართალი ხელოვ-ნების ფესულობანი? რას აღძრავს იგი ჩვენში ღირებულს? ვცადოთ გავერ-კვეთ.

სრულიად მართალი ხელოვნება გა-დალახავს ტრაგედიის ფარგლებს და გვიჩვენებს, თუმცა მხოლოდ გადაკრი-თა და მინიშნებებით, თუ რა მოზდა ტრაგედიის ამბის დაწყებამდე, რა მო-ხდება მისი დამთავრების შემდეგ და რა ხდება იმავდროულად სადმე სხვა-გან (და ეს „სხვაგან“ მოიცავს იმ აზრსა და გმირს, რომლებიც თავიდან-ვე არ არიან ჩამბულნი ტრაგიკულ

ბრძოლაში). ტრაგედია თვითნებურად იზოლირებული მორევია იმ უზარმაზარ მდინარეში, რომელიც დიდებულად მო-ედინება და გარს უვლის მას ყოველი მხრიდან. სრულიად მართალი ხელოვ-ნება ახერხებს მორევთან ერთად გაი-თვალისწინოს თავად მდინარის არსე-ბობაც. ის საკმაოდ განსხვავდება ტრა-გედიისაგან მიუხედავად იმისა, რომ მასში, სხვა შემადგენლებთან ერთად ტრაგედიის ელემენტებიც შეიძლება შედიოდეს. (სხვადასხვა კონტექსტში მოთავსებული „სწორედ ის“ კარგავს თავის ინდივიდუალობას და შეგნებული გონებისათვის გარდაიქმნება განსხვავე-ბული მოვლენების თანმიმდევრობად). სრულიად მართალ ხელოვნებაში ისე-ვე, როგორც ტრაგედიაში, ტანჯვა შეიძ-ლება რეალური იყოს, სიყვარული და დაუმორჩილებელი აზრი აღმაფროთგა-ნებელი და მნიშვნელოვანი. ასე რომ, სცილას მსხვერპლნიც ისევე მტკივნე-ულად იტანჯებიან, როგორც ურჩხულის მიერ შთანქმული იბოლიტე „ფედრა-ში“. ტომ ჯონსის სულიერი ტკივილი გამოწვეული საკუთარი დანაშაულის გამო სოფიას დაკარგვით, დეზდემონას მოკვლის შემდეგ, ოტელოს განცდებ-ზე, არანაკლებ მძიმეა. (ის, რომ ფილ-დინგის უნარი „დააწყოს ფაქტები“ ვე-რავეითარ შემთხვევაში ვერ გაუთანაბ-რდება შექსპირისას, უბრალო შემთხვე-ვითობაა). მაგრამ ტანჯვასა და შეუ-პოვრობას სრულიად მართალი ხელოვ-ნების მწერალი უფრო ფართო კონ-ტექსტში გვთავაზობს, რის შედეგადაც ისინი აღარ ემსგავსებიან ტრაგედიისა-თვის ნიშანდობლივ გრძნობებს.

სრულიად მართალი წიგნის წაკით-ხვა არ გამოიწვევს ჩვენში პეროიკულ ეგზალტაციას; უბრალოდ, ჩვენ ვიწო-ნებთ ან უარყოფთ. (თუმცა მოწონე-ბაც შეიძლება იყოს პეროიკული). „ქიმიურად შერეული“ სრულიად მარ-თალ ლიტერატურას არ შეუძლია ისე-ვე სწრაფად და მძლავრად შეგვძრას, როგორც ტრაგედიას ან „ქიმიურად

სუფთა“ რომელიმე სხვა ხელოვნებას. მაგრამ მე მჯერა, რომ მისი ეფექტი უფრო ხანგრძლივია. ევზალტაცია, რომელიც მოჰყვება ტრაგედიის კითხვას ან მოსმენას, თრობის დროებით განცდას იწვევს. ჩვენი ყოფა დიდხანს ვერ უძლებს ტრაგედიის მიერ შემოთავაზებულ მოდელს. მოვაშორეთ მაგნიტი ნაწილაკებს და ისინი ქაოსს დაუბრუნდებიან. სრულიად მართალი ლიტერატურის მოწონებისა და უარყოფის მოდელი თუმცა აგებულიებით ნაკლებად ლამაზია, მაგრამ (სწორედ ამ მიზეზების გამო) უფრო სტაბილურია. ტრაგედიით გამოწვეული კათარსისი ძლიერი და აბოკალიფსურია, სამაგიეროდ, სრულიად მართალი ლიტერატურის შედარებით მსუბუქი კათარსისი გაცილებით ხანგრძლივია.

ბოლო ხანს ლიტერატურა უფრო და უფრო მკვეთრად შეიცნობს სრულ სიმართლეს — შეუსაბამი ფაქტების დიდ ოკეანეს, სადაც მოვლენები და ფაქტები უსასრულოდ მიემართებიან ყველა მიმართულებით, ავტორის მიერ განსასჯელად ამორჩეული ნებისმიერი კუნძულიდან. (პერსონაჟი იქნება ეს თუ ამბავი). ტრაგედიის დაწერის მსურველთა მიერ რაღაც თვითნებური აკრძალვების თავსმოხვევა მკითხველზე ამყამად ფაქტიურად შეუძლებელია. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თანამედროვე მწერალი უნდა დაემონოს წერის სუფთა ნატურალისტურ მანერას. სრული სიმართლის არსებობაზე მინიშნება თვალთახედვის არეში მოქცეული ყოველი საგნის მუყაითი აღნუსხვის გარეშეც შესაძლებელია. წიგნი შეიძლება დაწერილი იყოს წმინდა ფანტაზიის კანონებით და თან აზრით სრულ სიმართლეს გამოხატავდეს. თანამედროვე ლიტერატურის საყურადღებო ნამუშევრებში არ მოიპოვება არცერთი წმინდა ტრაგედია. არ არსებობს თანამედროვე თვალსაჩინო

მწერალი, რომელიც არ ამჯობინებდეს სრული სიმართლის გადმოცემას, ან მინიშნებას.

მიუხედავად ერთმანეთისაგან განსხვავებული სტილისა, ეთიკური ფილოსოფიური და მხატვრული მიზნებისა, აღიარებულ ფასეულობათა მისაზრებებისა, თანამედროვე მწერლებს ერთი რამ აქვთ საერთო — მათ აინტერესებთ სრული სიმართლე. პრუსტი, ვ. ჰ. ლოუტენსი, ანდრე ჟიდი, კაფკა, ჰემინგუეი — აი, უეჭველად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო თანამედროვე მწერალი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხუთი ავტორი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ისინი მხოლოდ ერთი რამით გვანან ერთმანეთს: არცერთ მათგანს არ შეუქმნია ნამდვილი ტრაგედია. ყველა მათგანი ზრუნავს სრულ სიმართლეზე.

ზოგჯერ მიფიქრია, რომ ხომ არ მოკვდება ტრაგედია, როგორც ხელოვნების ფორმა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენზე ასე შთაბეჭდავად მოქმედებს წარსულის ტრაგიკული შედეგები მაფიქრებინებს, რომ „ქიმიურად სუფთა“ ხელოვნების დღე ჯერ არ გასულა. ტრაგედია განიცდის ნაწილობრივი დაბნეულობის პერიოდს, რადგან, ჩვენი დროის ყველა თვალსაჩინო მწერალი დაკავებულია ახლად აღმოჩენილი თუ ხელმეორედ აღმოჩენილი სრული სიმართლის სამყაროს გამოკვლევით. მაგრამ მოვლენათა ასეთი განვითარების მტკიცე საფუძველი არ არსებობს. ტრაგედია იმდენად ფასეულია, რომ მისი სიკვდილი შეუძლებელია.

ბოლოს და ბოლოს არის იმის საფუძველი, რომ ლიტერატურის ორი სახე — „ქიმიურად შერეული“ და „ქიმიურად სუფთა“, შეიძლება არსებობდეს ერთდროულად. თვითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ცალკე სამყარო და ადამიანის სულს ორივე ესაჭიროება.

თარგმანი დარეჟან რაზმაძემ



ავსტრიელი იმპრესიონისტების მხატვრული მეთოდი და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის ზოგიერთი თავისებურება

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში გამოიყოფა ნაწარმოებთა ერთი ნაწილი, რომელსაც გარკვევით ატყვია უცხოური ლიტერატურული მიმდინარეობების გავლენა. ერთ-ერთი ასეთი მიმდინარეობაა იმპრესიონიზმი, რომლის კვალის არსებობას მკვლევართა უმრავლესობა აღგენს ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, ა. ჭუმბაძის, ნ. შიუკაშვილის და ჯ. ჯორჯიკის შემოქმედებაში. ამასთან, დასახელებული მწერლების შემოქმედების „იმპრესიონისტული“ პერიოდისადმი მიძღვნილ კრიტიკულ სტატიებში ეს მიმდინარეობა დახასიათებულია უპირატესად ფერწერულ მიმდინარეობასთან მითითებაში, ძირითადად მიიწერილი აქვს მისი თვისებები და ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება იმ ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებზე, რომლებიც ლიტერატურულ იმპრესიონიზმს ფერწერულისაგან განასხვავებს. ეს განსხვავება უპირატესად ვლინდება მსოფლმხედველობრივ და ფილოსოფიურ საფუძვლებში, რის გამოც ლიტერატურული და ფერწერული იმპრესიონიზმი აღიქმება ერთმანეთისაგან მსოფლმხედველობრივ ასპექტში საკმაოდ დაშორებულ ცნებებად და საფუძვლს იძლევა ეჭვქვეშ დადგეს საკითხი, თუ რამდენად მართებული იყო

თავის დროზე ამ ლიტერატურული მიმართულებისათვის ფერწერის ანალოგიით იმპრესიონიზმის დარქმევა. რადგანაც ყველაზე დასრულებული სახე ლიტერატურულმა იმპრესიონიზმმა მიიღო ავსტრიაში და კერძოდ საუკუნეების გასაყარის ვენაში, სადაც იგი გაფორმდა ლიტერატურულ მიმდინარეობად „ახალგაზრდა ვენის“ ჯგუფის მწერალთა მიერ, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ა. შნიცლერი, პ. ალტენბერგი, პ. ფონ ჰოფმანსტალი, მათ ლიტერატურულ მოღვაწეობას საფუძველს უმაგრებდა იმპრესიონიზმის თეორეტიკოსის ჰერმან ბარის ბრწყინვალე ესსეისტური თხზულებანი.

ფერწერული იმპრესიონიზმის აღმოცენებას საფრანგეთში უკავშირებენ 1874 წელს კლოდ მონეს მიერ გამოფენილი ნახატის სათაურს „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“. „იმპრესიონიზმი“, ანუ შთაბეჭდილების მხატვრები მონეს და მის მეგობრებს აღშფოთების, უარყოფითი დამოკიდებულების გამო უწოდეს, რადგან ისინი ცდილობდნენ განზე გასდგომოდნენ ტრადიციულ მხატვრობას, დაერღვიათ მისი პრინციპები და წესები.

იმპრესიონისტებს, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ მონე, რენუარი, დეგა, პისარო და სხვ. ახასიათებდათ

მანია შანჯიკიკა

ავსტრიელი იმპრესიონისტების მხატვრული მეთოდი და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის ზოგიერთი თავისებურება

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში გამოიყოფა ნაწარმოებთა ერთი ნაწილი, რომელსაც გარკვევით ატყვია უცხოური ლიტერატურული მიმდინარეობების გავლენა. ერთ-ერთი ასეთი მიმდინარეობაა იმპრესიონიზმი, რომლის კვალის არსებობას მკვლევართა უმრავლესობა ადგენს ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, ა. ჭუმბაძის, ნ. შიუჯაშვილის და ჯ. ჯორჯიკის შემოქმედებაში. ამასთან, დასახელებული მწერლების შემოქმედების „იმპრესიონისტული“ პერიოდისადმი მიძღვნილ კრიტიკულ სტატიებში ეს მიმდინარეობა დახასიათებულია უპირატესად ფერწერულ მიმდინარეობასთან მითითებაში, ძირითადად მიწერილი აქვს მისი თვისებები და ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება იმ ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებზე, რომლებიც ლიტერატურულ იმპრესიონიზმს ფერწერულისაგან განასხვავებს. ეს განსხვავება უპირატესად ვლინდება მსოფლმხედველობრივ და ფილოსოფიურ საფუძვლებში, რის გამოც ლიტერატურული და ფერწერული იმპრესიონიზმი აღიქმება ერთმანეთისაგან მსოფლმხედველობრივ ასპექტში საკმაოდ დაშორებულ ცნებებად და საფუძველს იძლევა ექვემდებარებას იქონი, თუ რამდენად მართებული იყო

თავის დროზე ამ ლიტერატურული მიმართულებისათვის ფერწერის ანალოგიით იმპრესიონიზმის დარქმევა. რადგანაც ყველაზე დასრულებული სახე ლიტერატურულმა იმპრესიონიზმმა მიიღო ავსტრიაში და კერძოდ საუკუნეების გასაყარის ვენაში, სადაც იგი გაფორმდა ლიტერატურულ მიმდინარეობად „ახალგაზრდა ვენის“ ჯგუფის მწერალთა მიერ, რომელთა შორის უნდა დავსახელოთ ა. შნიცლერი, პ. ალტენბერგი, პ. ფონ ჰოფმანსტალი, მათ ლიტერატურულ მოღვაწეობას საფუძველს უმაგრებდა იმპრესიონიზმის თეორეტიკოსის პერმან ბარის ბრწყინვალე ესსეისტური თხზულებანი.

ფერწერული იმპრესიონიზმის აღმოცენებას საფრანგეთში უკავშირებენ 1874 წელს კლოდ მონეს მიერ გამოფენილი ნახატის სათაურს „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“. „იმპრესიონიზმი“, ანუ „შთაბეჭდილების მხატვრები მონეს და მის მეგობრებს აღშფოთების, უარყოფითი დამოკიდებულების გამო უწოდეს, რადგან ისინი ცდილობდნენ განზე გასდგომოდნენ ტრადიციულ მხატვრობას, დაერღვიათ მისი პრინციპები და წესები.

იმპრესიონისტებს, რომელთა შორის უნდა დავსახელოთ მონე, რენუარი, დეგა, პისარო და სხვ. ახასიათებდათ

სამყაროს აღქმის ახლებური მეთოდი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელოვანმა შეუძლებელია გადმოსცეს სამყაროს ჭეშმარიტი სახე, თუკი მისი სუბიექტური აღქმა განპირობებულია ამა თუ იმ საგანზე წინასწარ შექმნილი ცოდნით. სამყაროს ნამდვილი სახის გადმოცემა შესაძლებელია მხოლოდ საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილების ყველა კომპონენტის სინათლის ფუნქციად გარდასახვის გზით. რადგან საგანი მუდმივ ცვალებადობაშია და მისგან მიღებული შთაბეჭდილება დამოკიდებულია ხედვის პროცესის დროზე, რაკურსზე და სხვა მრავალ მიზეზზე, ამიტომ ობიექტური რეალობის ასახვა შესაძლებელია მხოლოდ უშუალო, დაუმუშავებელი წუთიერი შთაბეჭდილების ფიქსირების გზით. იმპრესიონისტული ხატვის მანერა ძალიან სუბიექტურია. მხატვარი ცდილობს გადმოსცეს საგანი ისე, როგორც იგი მას ხედავს, და არა ისე, როგორც ის არის „სინამდვილეში“. საგნობრივი რეალობა მუდმივ ცვალებადობაშია, მას ხელოვანი ასახავს თავისი სუბიექტური განწყობილების მიხედვით, ამას კი ემატება სუბიექტივიზაცია დამკვირვებლის მხრიდან, რომელიც ასევე თავისი საკუთარი განწყობით მიდის აღსაქმელ ნახატთან.

იმპრესიონისტი მხატვრისათვის სამყარო ობიექტურად არსებობს, მისი აღქმა ყველას შეუძლია, მაგრამ ყველას სხვადასხვაგვარად. იმპრესიონისტები იზღუდებიან მხოლოდ „ხედვით“, „წამის“ ხატვით და უკანა პლანზე გადააქვთ სინამდვილის შეფასების, განსჯის მომენტი. მათთვის ყველა საგანი თანასწორუფლებიანია და ერთნაირ ყურადღებას იმსახურებს, ეს ერთის მხრივ იწვევს ხელოვნების შინაარსის შეზღუდვას, ხოლო მეორეს მხრივ მისი წყალობით ექცევა მხატვრობის ინტერესის სფეროში უბრალო ადამიანი, უბრალო, ყოველდღიური მოტივები.

იმპრესიონისტებმა ფერწერაში მოი-

ტანეს ახალი სტილი, რომელიც ემყარებოდა ფერის და სინათლის დამუშავების ახლებურ ტექნიკას; სიცოცხლით, სიხარულით, მარადიული განუფხილავი ემოციებით დატვირთეს ხელოვნება, იყენებდნენ რა შეუჩრეველი, წმინდა ფერების პალიტრას, საერთოდ უარყოფდნენ შავსა და რუხს. იმპრესიონიზმი ჩამოყალიბდა სამყაროს აღქმის თავისებურ მსოფლმხედველობად, რომელმაც მხატვრობის გარდა მოიცვა მუსიკა, სკულპტურა, ლიტერატურა და გარკვეულწილად მთელი ეპოქის აღმნიშვნელ ტერმინადაც იქცა.

ტერმინი „იმპრესიონიზმი“ ლიტერატურისმცოდნეობაში პირველად გამოყენებული იქნა ბრუნტიეს მიერ 1879 წელს დოდეს მისამართით და აღნიშნავდა ნატურალიზმის ერთ-ერთ საფეხურს, რომელმაც შეითვისა იმპრესიონისტული ფერწერის თეორიული საფუძვლები. იმპრესიონიზმი ვახდა ტრადიციის დამრღვევი, პასიური, მკვეთრად სუბიექტური და ინდივიდუალისტური, უშუალო მწერლობის სიონიზმი, რომელიც უფულებელყოფს თხრობის რეალისტურ მეთოდს, მაქსიმალურ ყურადღებას ამახვილებს ინდივიდის სულიერ ცხოვრებაზე, შემთხვევითობაზე, ბედისწერაზე. იგი მხოლოდ აფიქსირებს იმას, რასაც ხედავს, ისევე ფრაგმენტულად, დანაწევრებულად, ერთმანეთთან დაუკავშირებლად გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებებს, როგორც ისინი ხედებიან მისი მხედველობის არეში. იმპრესიონისტები არ ახდენენ სინამდვილის ობიექტივიზაციას, არ იაზრებენ ასახულ პრობლემას, უკანა პლანზეა განსჯის, გადამუშავების მომენტი. მაგრამ იმპრესიონისტული მხატვრობისაგან განსხვავებით იმპრესიონისტული ლიტერატურა მძაფრად პესიმიტურია, მინორულია, ხშირად ტრაგიკულიც კი, მისი დამახასიათებელი ნიშნებია უიმედობა, დაღლილობა, შემოდგომის განწყობილება.

„იმპრესიონიზმი“, როგორც ტერმინი, ლიტერატურისმცოდნეობაში საბო-

ლოლო მკვიდრდება ჰერმან ბარის ეს-
სეს „ნატურალიზმის დაძლევა“ დაწვე-
რის შემდეგ (1890 წელს), როგორც
ნატურალიზმის შემდგომი პერიოდის
მწერლობის აღმნიშვნელი ტერმინი.
ბარი შეეცადა თავის ნაშრომში ჩამოე-
ყალიბებინა ახალი ლიტერატურული
მიმდინარეობის პროგრამა, მოგვიანე-
ბით იგი გაეცნო მახის ემპირიოკრიტი-
ციზმს და იგი იმპრესიონიზმის ფილო-
სოფიად აღიარა.

ემპირიოკრიტიციზმისთვის ცენტრა-
ლური ცნებაა „მე“, რომელიც შეგრ-
ძნებათა კომპლექსის ორგანოა და ამავე
დროს მისი პროდუქტიც, ე. ი. თვითო-
ნაა „შეგრძნებათა კომპლექსი“, შემე-
ცნების გზა მიემართება აზრისა და
შეგრძნებებისაკენ, საგნებისაკენ და არა
პირიქით. სამყარო არსებობს მხოლოდ
როგორც ჩემი შეგრძნებები, სამყარო
„ელემენტების“ — ფიზიკური და ფსი-
ქიკური ელემენტების კომპლექსია.

ჰერმან ბარი, ერნსტ მახის შგავსად,
იდეალურად, შეუმცდარად მიიჩნევს
ბავშვურ, ნაივურ ხედვას, რადგან იგი
ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ მხედვე-
ლობას და არა აქვს მოთხოვნა სხვა
ორგანოების საშუალებით, აზრო-
ვნების, განსჯის ჩარევით შეასწოროს
მხოლოდ თვლით აღქმული სინამდვი-
ლე. ბარის აზრით სინამდვილის შეცნო-
ბის პროცესი სუბიექტურია და ასევე
სუბიექტურია მისი გადმოცემაც, რომე-
ლიც დამოკიდებულია ობიექტური რეა-
ლობის ზეგავლენის და სუბიექტური
ფსიქიკური კონსტიტუციის ერთობლივ
ზემოქმედებაზე.

არტურ შნიცლერის მწერლური ინ-
ტერესის სფეროში შედის მხოლოდ ინ-
დივიდუალური, სუბიექტური, ცალკე-
ული შემთხვევა და არა ზოგადი, აბს-
ტრაქტული. მისი ნაწარმოების ცენ-
ტრში მუდამ დგას ერთი ადამიანი თა-
ვისი რთული შინაგანი სამყაროთი და
პრობლემებით, რომელსაც არ გააჩნია
შუარი საყრდენი ცხოვრებაში და მუ-
დამ სხვადასხვა როლის თამაშითაა და-
კავებული, რომელთაც სიტუაციების

მიხედვით ირჩევს, შნიცლერის შემეც-
ნად უარყოფითი პერსონაჟების ასო-
ფლმხედველობას განაპირობებს უკიდურესი
უკიდურესი კატეგორიის ~~მნიშვნელობა~~
ლისა და სიკვდილის დამოკიდებულება,
შესაძლებლობათა სამყაროს და ობიექ-
ტური სინამდვილის ურთიერთმიმარ-
თება, ოცნებისა და რეალობის პარ-
მონიული შეერთების საკითხი. შნიც-
ლერის ეგოისტი, მარტოსული, გარე-
ბული, ცვალებადი, მაგრამ არა განვი-
თარებადი გმირებისათვის სიკვდილი
ხდება უკანასკნელი გარდასახვის სა-
შუალება, უკანასკნელი შესასრულებე-
ლი როლი, რომელიც შნიცლერთან გა-
აზრებულა როგორც უთავბოლო ცხო-
ვრებისათვის მოვლენილი ხსნაც და სა-
სჯელიც, რადგან ეს პერსონაჟები, მიუ-
ხედავად იმისა, რომ სიყვარულს ელ-
ტვიან, მაინც მარტოობის სულების
წინასწარ განსაზღვრული განცალკევებ-
ბის მსხვერპლნი არიან.

შნიცლერის სამედიცინო მოღვაწეო-
ბამ, აგრეთვე მისმა დაინტერესებამ
ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზით,
გამოიწვია შემოქმედებაში ადამიანის
ფსიქოლოგიის იდუმალი შრეების შე-
მოქრა, მისი ხასიათის კვლევა ექსტრე-
მულ სიტუაციებში. შნიცლერის „ლი-
ბიდო“-ადამიანსაც არნახული ძა-
ლა აქვს ეროტიულ ტკბობისაკენ ლტო-
ლისა, მაგრამ იგი ვერ შეეღის ადამი-
ანის დასაღუბავად განწირულ „მე“-ს,
რადგანაც მისთვისაც მიუღწეველია
მისწრაფება, გაიმარჯვოს ქვეცნობიერ-
ზე, წონასწორობა დაამყაროს სასურ-
ველისა და რეალურს, ანდა ეროსსა და
ტანატოსს, ანუ სიყვარულსა და სიკვ-
დილს შორის.

შნიცლერის გმირები „წამისთვის“
ცხოვრობენ, რადგან მარადიულის, აბს-
სოლუტურის ცნებებს მათთვის შნიშვ-
ნელობა დაკარგული აქვთ. შნიცლერის
ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილური
საშუალებაა შინაგანი მონოლოგის
გამოყენება, რაც ფროიდის ასოცია-
ციური აზროვნების ლიტერატურულ
ადექვატს წარმოადგენს. ავტორი თით-

ქოს ცდილობს მკითხველი პირდაპირ ჩართოს პერსონაჟის ცნობიერების ნაკადში და ამბავი გადმოსცეს როგორც განცდილი დრო, დანახული მხოლოდ ერთი რომელიმე პერსონაჟის სუბიექტური პერსპექტივიდან. ასეთი სტილისათვის დამახასიათებელია თბრობის უკიდურესი უშუალობა, სისხარტე, რადგან იგი აგებულია პერსონაჟის ასოციაციურ ფიქრზე და მწერალს მკითხველამდე მოაქვს ყველა აზრი, რომელიც მწიფდება გმირის გონებაში.

ყველაზე მეტად ფერწერული იმპრესიონიზმის სტილურ თვისებებს უახლოვდება პეტერ ალტენბერგის პროზა, რომლის მიზანია რაც შეიძლება მოკლედ, ლაკონურად, და ამავე დროს ნათლად გადმოსცეს წუთიერი შთაბეჭდილება, დაკვირვება. მისი მწერლობის მთავარი პრინციპია უდიდესი ეფექტის მიღწევა უმცირესი ხარჯით, ანდა ნაწილის აღწერა მთელის მაგივრად. ალტენბერგის მინიატურების გმირები არიან ჩვეულებრივი ადამიანები, უმწიფენლო საგნები და მოვლენები, რომელთა აღწერაა ავტორის მიზანი და არა მათი არსის ანალიზი. „როგორც მე ეხებავ“, „რას მომიტანს დღე“, „პატარა ცხოვრების რეპროდუქციები“ ასეთი იმპრესიონისტული სახელწოდებები აქვს ალტენბერგის მინიატურების კრებულებს, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან საუკუნეების გასაყარის ვენის სრულყოფილ სურათს და განმსჭვალული არიან იმ საერთო „იმპრესიონისტული“ განწყობით, რომელიც აერთიანებდათ „ახალგაზრდა ვენის“ ჭგუთის წევრებს.

ახალგაზრდა ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, რომელიც უპირატესად ცნობილია როგორც ბრწყინვალე ლირიკოსი, შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ქმნის იმპრესიონისტული მსოფლმხედველობით გამსჭვალულ დრამებსა და მოთხრობებს, რომლებშიც მხატვრულად გააზრებულ ლიტერატურულ-ესთეტიურ იდეალს თეორიულად აყალიბებს 1902 წელს დაწერილ ესეში „წერილი“, სა-

დაც იგი ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას იმპრესიონისტული ხელოვნების იდეალის მიმართ. მთავარი იდეა „წერილისა“ ის არის, რომ ცხოვრება რომელიც თავიდან გამოვლინდა ლიტერატურაში წამიერი შთაბეჭდილებების იმპრესიონისტულად გამოხატვაში, შემდეგ გადაიზარდა სწორედ ენობრივი გამოხატვის კრიზისში, რადგანაც სიტყვებს აღარ გააჩნდათ მყარი, მუდმივი მნიშვნელობა, მათ უკან აღარ იდგა არაფერი მყარი, მუდმივი.

ჰოფმანსტალის „წერილს“ ქრონოლოგიურად წინ უძღვოდა რამდენიმე მოთხრობა და დრამატული ნაწარმოები (მაგ. „გუშინ“, „672-ე დამის ზღაპარი“ და ა. შ.). რომლებშიც იგი ხატავს გათრებულ პიროვნებებს, რომლებსაც დაკარგული აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტი, ცდილობენ გაექცნენ რეალურ ცხოვრებას, თავიანთ თავში გამოიკეტონ, შეიქმნან ილუზიებით ნასაზრდოები სამყარო. მათ გარეგნულ, ხელოვნურად შექმნილ ბრწყინვალეობასა და შინაგან, სულიერ სიღატაკეს შორის არსებული წინააღმდეგობა ხდება მათი ტრაგიკული, ერთი შეხედვით მოულოდნელი, მაგრამ პრინციპში ლოგიკური აღსასრულის მიზეზი. ჰოფმანსტალის გმირების მცდელობა, ერთმანეთს შეუფარდონ პრაგზისტენცია და ეგზისტენცია, მარცხით მთავრდება, რადგან არარეალური, სიზმრისეული ხელოვნურად შექმნილი სამყაროდან რეალურ ცხოვრებაში გადასვლისას შეხვედრილ წინააღმდეგობათა გადალახვა მის გმირებს აღარ შეუძლიათ. მათ აღარც ძალა შესწევთ, თავიანთ პირვანდელ ყოფას დაუბრუნდნენ, რადგან ცნობიერების გამოფხიზლებას, საკუთარი „მე“-ს შეცნობას, წარმოდგენილი სიკვდილის რეალურად დანახვას ისინი ვეღარ უძლებენ. ამ განწყობითაა გამსჭვალული ჰოფმანსტალის ადრეული ნაწარმოებები, რომლებსაც აშკარად ეტყობათ „ახალგაზრდა ვენის“ წევრებთან სიახლოვის გავლენა.

განხილული მწერლების ერთი მიმ-

დინარეობისადმი მიკუთვნების ძირითადი კრიტერიუმია ის საერთო იმპრესიონისტული მსოფლმხედველობა, გმირი, განწყობა, ხედვა, მანერა, რომელიც მათ აერთიანებთ, თუმცა ჰ. ბარი, ა. შნიცლერი, პ. ალტენბერგი და ჰ. ფონ პოფმანსტალი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ინდივიდუალური ხელწერის მწერლები არიან.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული პროზისათვის დამახასიათებელია ახალი ფორმების, გამომსახველობითი საშუალებების ძიება. ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი მეტი ყურადღებით ეკიდება უცხო ლიტერატურულ თუ სხვა კულტურულ პროცესებს და ყველაფერში ცდის თავს, მითუმეტეს, რომ მათ ჰქონდათ საშუალება, უშუალოდ მიედოთ მონაწილეობა ევროპაში მიმდინარე კულტურულ პროცესებში. ამიტომ პოულობს გამოძახილს საქართველოში ისეთი ლიტერატურული მიმდინარეობები, როგორიცაა სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურისმი და იმპრესიონიზმი, ოდონდ, რა თქმა უნდა, არა ისეთი ფორმით, როგორითაც ისინი ვითარდებიან ევროპაში.

გრ. ბორაქიძე 1924 წელს დაწერილ ესეში „ექსპრესიონიზმი“, იმპრესიონიზმს ექსპრესიონიზმისაგან განასხვავებს იმ ნიშნით, რომ იმპრესიონისტისათვის მთავარია ასახოს არა საგანი თვითონ, არამედ საკუთარი შთაბეჭდილება, ექსპრესიონისტი კი საგანს ასახავს ისე, როგორც იგი გარდაიქმნება მის სულში. ამის გამო იმპრესიონიზმი რობაქიძისთვის აღქმის პასიური, მიუღებელი მეთოდია, რადგან იმპრესიონიზმისათვის მთავარია უშუალო, შეუღახავი, რეფლექსიით დაუმახინგებელი შთაბეჭდილება. იგი მომხრეა უფრო აქტიური ექსპრესიონიზმისა, რომელსაც შეუძლია საგანი მოიხელთოს, რომ მიიღოს მისი ქმედითი „გარდაქმნა“, ექსპრესიონიზმს შეუძლია მოაწესრიგოს ის ქაოსი, რომელიც იმპრესიონიზმმა შექმნა, როცა არ ცდილობდა საგნების გამოცალკევე-

ბას და მათთვის მნიშვნელობების მინიჭებას;

იმპრესიონიზმისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დადასტურებად ს. შნიცლერი აცხადებს, რომ ტენდენციაც, რომ ქართველი კრიტიკოსები ხშირად ცდილობდნენ „იმპრესიონიზმის“, „დეკადენტობის“ და სხვა მისთანანის იარლიყი მიეწებებინათ სუსტი ნაწარმოებებისათვის და ამით თავიდანვე უარყოფითი შეფერილობა მიეცათ ყველა უცხო მიმდინარეობისათვის. ამის გამო თუა, რომ იმპრესიონისტებად გამოცხადდნენ თავის დროზე ა. ჭუმბაძე, ნ. შიუკაშვილი და ჯ. ჯორჯიკია.

ა. ჭუმბაძის ძირითადად რეალისტურ ნოველებში აქა-იქ გამოერევა უცხო ფორმის ძიების ცდები, მაგალითად „ტყუბთა საგანე“-ში, სადაც ავტორი ცდილობს დააყენოს პიროვნების გარეგნული საკითხი, მაგრამ ეს ცალკეული ეპიზოდები არ ჩაითვლებიან იმპრესიონისტული მეთოდის გამოყენების მაგალითებად.

ნ. შიუკაშვილის 1917 წლის რევოლუციამდე შექმნილი დრამები უმეტესად ფსიქოლოგიური ხასიათისაა, აქ პრობლემათა ცენტრში ყოველთვის დგას ოჯახისა და სიყვარულის ურთიერთმიმართების საკითხი. რევოლუციის შემდეგ კი მის შემოქმედებაში იჭრება რევოლუციური თემა თავისი თანამედროვე იდეებით.

ჯ. ჯორჯიკია, ეტყობა, თავის დროზე მოიხიბლა ალტენბერგის პროზის გარეგნული ფორმით, მისი მწერლური ნიქისათვის მომგებიანი აღმოჩნდა მინიატურა და ამან განაპირობა მცირე ზომის ნაწარმოებებით მისი დაინტერესება, მწერლის მოკრძალებულ სათქმელს სრულად აკმაყოფილებს მინიატურის ფორმა და ზომა, მაგრამ მისი განწყობილება, პათოსი, სრულიადაც არ არის იმპრესიონისტული.

საფიქრებელია, რომ ნიკო ლორთქიფანიძე, თუკი პირადად არ იცნობდა ვენელ იმპრესიონისტებს, კერძოდ, პეტერ ალტენბერგს, ასეტრიაში რამდე-

ნიმე წლიანი სწავლის მანძილზე აუცილებლად გაცნობდა მათ შემოქმედებას და იმ ლიტერატურულ ატმოსფეროს, რომელმაც ჩამოაყალიბა იმპრესიონისტული მსოფლმხედველობა.

განსხვავებით წინა წლების კრიტიკისაგან, რომელიც ნ. ლორთქიფანიძის არარეალისტურ ნაწარმოებებს „მარცხად“, „შეცდომად“ აღიარებს, უკანასკნელი წლების კრიტიკაში გავრცელებულია აზრი, რომ იმპრესიონიზმმა ბევრი სასარგებლო მისცა ნ. ლორთქიფანიძეს და წარმოუვა მისი სტილი, რომელსაც ისინი „რეალისტურ იმპრესიონიზმს“ ანდა „იმპრესიონისტულ რეალიზმს“ უწოდებენ, რაც ვითომ იმაში გამოიხატება, რომ სინამდვილისადმი მისი მიდგომა, ე. ი. მეთოდი რეალისტურია, ხოლო ხატვის მანერა იმპრესიონისტული, რომელსაც არ ვეთანხმებით. ჩვენი აზრით, ლორთქიფანიძის რეალისტურ ნაწარმოებებში ხედვის მანერაც რეალისტურია, ხოლო იმპრესიონისტულში — იმპრესიონისტულია შინაარსიც და ფორმაც. დაწყებული ფრაზა, დატეხილი სტრიქონი, გამოთქმის ლაკონურობა, ლაპიდურობა, ელიფსური წინადადება — ნ. ლორთქიფანიძის ინდივიდუალური სტილის ნიშნებია, რომელსაც იგი ყველგან იყენებს, და რაც ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმპრესიონისტულობას. მიგვაჩნია, რომ ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“ მისი ყველაზე სრულყოფილი, მკაფიოდ გამოხატული იმპრესიონისტული ნაწარმოებია და მისი განხილვის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, თუ რა არის ლორთქიფანიძის იმპრესიონიზმი და გამოიკვეთოს მისი დანარჩენი პროზის იმპრესიონიზმის პოზიციიდან შეფასების კრიტერიუმები.

ამ მოთხრობაში მთავარი გმირის — ელი გორდელიანის თვალთ დანახული სინამდვილეა გადმოცემული და მისი ცხოვრების მაგალითზეა ნაჩვენები საზოგადოებრივი ყოფის რელატივიზმი და პესიმიზმი. მოთხრობილია მარტო-

სული ადამიანის ცხოვრება, რომლის დამახასიათებელი ნიშანი სინამდვილე კი არ არის, არამედ ილუზია. ელის ცხოვრება სავსეა წუთიერი გადაწყვეტილებებით, იგი ცხოვრობს სიტუაციის კარნახით, იმპულსურად, რადგან უაზრო ყოფა უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს წუთიერ სიამოვნებას, სპონტანურ მოქმედებას, ადამიანის დევიზი ხდება რაც შეიძლება მეტი გამოსტყუოს წუთს, რათა თავი მოიტყუოს, თვალი არ გაუხსროს სინამდვილეს. მაგრამ მოჩვენებითი კეთილდღეობა წარმავალია და ელი კარგად გრძობს უზრუნველი ცხოვრების უაზრობას, არასაიმედოობას, მის ცნობიერებაში მწიფდება აზრი, დაუბრუნდეს თავის ძველ მდგომარეობას, ან სიკვდილში კპოვოს ხსნა, რადგან იგი ვერც გარე სამყაროში და ვერც თავის თავში ვერაპოულობს სასიცოცხლო ძალებს, დაკარგული აქვს მოქმედების უნარი. მას გარეგანი და შინაგანი ძალები აძულებენ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, მოთხრობის ფინალში მისი სუბიექტური გრძობები გადაიზრდება ობიექტურ მოქმედებაში და მთელი სიმძაფრით დგება სიკვდილ-სიცოცხლის ანუ გადარჩენა-არაგადარჩენის საკითხი. ლოგიკურია, რომ ელის დაღუპული „მე“ ფიზიკურადაც განადგურდეს.

იმპრესიონისტული პოზიციიდანაა დახატული მოთხრობის დანარჩენი გმირების სახეები და მათ შორის ურთიერთობები, რომლებიც ზერელე, ზედაპირულ ხასიათს, ატარებს. პრინციპში ყველა მარტოა, არ არსებობს ნამდვილი ურთიერთობები, მათი ცხოვრება დაფუძნებულია ერთ მიზანზე — იცხოვრონ წამისათვის, დღევანდელ დღეს გამოსტყუონ ყველაფერი, რისი მოცემაც მას შეუძლია, რადგან სხვა ყველაფერი გაურკვეველია, ბუნდოვანებითაა მოცული.

ნ. ლორთქიფანიძის მინიატურებში იმპრესიონიზმის ნიშნების ძებნისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ მსოფ-

ლმხედველობით საფუძველზე და არა გარეგნულ ფორმაზე და სტილურ საშუალებებზე, რათა სწორად განისაზღვროს მათი ადგილი მწერლის შემოქმედებაში.

1916-26 წლებში ლეო ქიაჩელი ქმნის თავისი დანარჩენი შემოქმედებისაგან განსხვავებული ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებებს, რომლებსაც აშკარად ატყვიათ იმპრესიონიზმის გავლენა. „Escalade“, „მკვლელობა კონტა გორაზე“, „შეთრატყოფილი“, „მე და ჩემი ორი მე“, „XXX (ისეთი შთაბეჭდილებით გამეღვიძა)“ და სხვ. ყურადღებას იპყრობს მკვეთრად გამოხატული სუბიექტური აღქმით, საინტერესო კომპოზიციით და წერის განსხვავებული ტექნიკით. ამ მოთხრობებში იგი ეპყვეშ აყენებს „ნამდვილად“ მიჩნეული ფაქტების ნამდვილობას. „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“, „Escalade“-ს დევიზი აერთიანებს ქიაჩელის კიდევ რამდენიმე მოთხრობას, რომელშიც ხდება სინამდვილის და წარმოდგენის დაპირისპირება, იკვეთება სიზმრისა და რეალობის ურთიერთმიმართება. ლ. ქიაჩელი ხშირად ამყოფებს თავის გმირებს მდგომარეობაში, როდესაც ადამიანი ფხიზელია, მაგრამ ჩაფლულია წარმოდგენებში. გამოთიშულია გარემოსაგან, ჩაეკტილია თავის თავში.

ლ. ქიაჩელი წარმოდგენის აღმოსა-ცენებლად იყენებს ნიღბებს, კარნავალის, სიმთვრალის სიტუაციას; რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს თავისუფალი გზა მისცენ ვნებებს, სიგიჟეს. განთავისუფლდნენ ყოველდღიური ყოფის ბორკილებიდან. ამით მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს ნორმალურ, ჩვეულებრივ მდგომარეობას და ქაოსს, როგორც არეულობის, თავისუფლების, სილალის სინონიმს. ქაოსში წარმოდგენა ემთხვევა სურვილს, ნატვრას. რა თქმა უნდა, ზღვარი წარმოდგენასა და სინამდვილეს შორის არ იშლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი

როლებს ცვლიან, წარმოდგენა უფრო ნამდვილია, ვიდრე სინამდვილე.

ლეო ქიაჩელი იყენებს შინაგანმო-ნოლოგიით პირველ რიგში თხრობის ტექნიკას, რომელიც დამახასიათებელი იყო შნიცლერის რამდენიმე მოთხრობისათვის. თხრობაში აქა იქ ასევე პირველ პირში ჩართულია მოთხრობელის შენიშვნები, მაგრამ დანარჩენი ტექსტი აღიქმება როგორც ერთი პერსონაჟის აფორიაქებული ფიქრი, მწვავე განცდები, რომელთა მიხედვით ვიგებთ მოთხრობის შინაარსს, ამბის მსვლელობას, იმის მაგივრად, რომ ავტორმა გვიჩვენოს მოქმედების რეალური მიმდინარეობა, ამბავს გვიყვება როგორც უკვე ერთხელ განცდილს, პერსონაჟის გონებაში გატარებულს.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. ქიაჩელი იყენებს იმპრესიონისტული ლიტერატურის რამდენიმე ძირითად ხერხს, იგი მაინც არ შეიძლება იმპრესიონისტ მწერლად ჩაითვალოს. მის ზემოთ-დასახელებულ მოთხრობებში პირველ პლანზე დგას ზნეობრივი და მორალური საკითხები, რომელთაც ავტორმა ორიგინალური გადაწყვეტა მოუწია. ავსტრიული იმპრესიონისტული ლიტერატურის გმირები ილუპებიან იმის გამო, რომ აწყდებიან სინამდვილესა და ილუზიის დაპირისპირებულობას. მაგრამ რადგანაც მათი ილუზიური ცხოვრება მათივე ცნობიერებით საზრდობს, ისინი ქვეცნობიერად ყოველთვის გრძნობენ ამ ცხოვრების არარეობას და ასევე ქვეცნობიერად ატარებენ სიკვდილის სურვილს, როგორც ხსნას, როგორც შველას, როგორც უკანასკნელ დასაყრდენს. ერთი სიტყვით მათი „მე“ დაღუპულია, განწირულია.


სრულიად საწინააღმდეგო განწყობასთან გვაქვს საქმე ლეო ქიაჩელის შემთხვევაში. მისი ზემოწამოთვლილი მოთხრობების უმრავლესობას აქვს პროლოგი ან ეპილოგი, ან ორივე ერთად, რომლის დანიშნულებაცაა დავგანა-

ხოს მთხრობელის პოზიცია მოთხრობილი ამბის მიმართ. ნაწარმოების პროლოგსა და ეპილოგში ყოველთვის გამოთქმულია აზრი, რომ გადმოცემული ამბავი მხოლოდ ერთი ეპიზოდია მათი ცხოვრებისა და არა მათი განწყობის ტიპური ნიმუში. მთხრობელის დამოკიდებულება ამბისადმი ვერ აღწევს იმ ტრაგიკულობას, რომელსაც ავსტრიელ იმპრესიონისტებთან ვხვდებით. ლეო ქიაჩელის გმირები ახერხებენ ზნეობრივი პოზიციიდან სწორად შეა-

ფასონ მომხდარი და შორიდან შეხედონ საკუთარ თავს. სინანული, სირცხვილი, შეურაცხყოფა არის ის გრძნობები, რომლებსაც მათში იწვევს სიზმარში, წარმოდგენაში, ქაოსში მათი მოქმედება.

ჩვენი აზრით, ქართველი მწერლების მიერ იმპრესიონიზმის მხატვრული მეთოდის გამოყენება არ სცილდება ლიტერატურულ ექსპერიმენტის საზღვრებს და არ ემსახურება იმპრესიონისტულ განწყობილების შექმნას.

ღიმილის წუთები ● ღიმილის წუთები ● ღიმილის წუთები ●



— რა ვქნა, მამაჴმდომო, ახალ მიკრორაიონში მოუციათ ბინა, მირაზრით მივაბენი.

მხატვარი ზ. შორენიძე
თემა ნ. ბართაყაძის



ნოზრევენ ზიჟარინანი

საშური საქმე, საქირო ნიზნი

ეროვნული მწერლობისადმი ინტერესი და სიყვარული ყოველთვის დიდი იყო ჩვენს ხალხში. ამ სიყვარულმა გადაგვირჩინა ტრაგიკული წარსულის მქონე ერის შვილებს ის დიდი კულტურული საგანძური, რომელიც მარად „თანამდევნი უყვდავი სულია“ ჩვენი. ეს სიყვარული აიძულებდა სენაკში განმარტოებულ ბერს სანთლის შუქზე გადაეწერა და შთამომავლობისთვის შემოენახა სანუკვარი ხელნაწერები. მაგრამ, საბედნიეროდ, ძველი ქართული მწერლობა მხოლოდ სიძველეთსაცავებში შენახული ფოლიანტები კი არაა, — დღესაც მხარში გვიდგას, გვასწავლის, გვმოძღვრავს, გვიქადაგებს. სიყვარულს, სათნოებას, სიკეთეს; ამ უდიდესი საგანძურის პატრონობა მხოლოდ მკვლევართა საქმე როდია, მისი მნიშვნელობა აქტიურად უნდა გაიცნობიეროს ყოველმა ქართველმა.

წარსულის შეცდომებმა სავეალალო შედეგამდე მიგვიყვანა: ოდესაც წიგნიერებით განთქმული ერის შთამომავალნი ხშირად სათანადოდ არ ვიცნობთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. წიგნები მხოლოდ „სპეციალისტისათვის“ არ იწერება, იგი ერისათვის, ქვეყნისათვის იქმნება. ამა და მრავალ სხვა საფიქრალს აღძრავს პროფესორ რევაზ ბარამიძის წიგნი „ქართული მწერლობის

შესწავლისათვის“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „განათლება“. ნაშრომი განკუთვნილია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, მაგრამ მასში დასმული პრობლემები ერთნაირად დაინტერესებს ყველა თაობის მკითხველს.

წიგნი იხსნება წერილით „გასწავლეთ ცხოვრება ფარნავაზისი“.

როგორც ცნობილია, „ცხოვრება ფარნავაზისი“ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მკვლევარის აზრით, ლეონტი მროველმა საქართველოს ერთიანი ისტორიის შექმნის მიზნით წყაროებთან ერთად მასში შეიტანა აღრეულ ეპოქებში შექმნილი ცალკეული თხზულებანი. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია „ცხოვრება ფარნავაზისი“, რომელმაც ყველაზე მეტად შეინარჩუნა თავისი აღრინდელი დამოუკიდებელი სახე. ამ დებულების დასამტკიცებლად პროფ. რ. ბარამიძეს მოჰყავს მრავალი არგუმენტი, რომელთაგან გამოვყოფთ რამდენიმეს და უმთავრესს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ვრცელი მხატვრულ-ფსიქოლოგიური ანალიზი; მკვლევარის დაკვირვებით ეს მონაკვეთი განსხვავდება, ლეონტი მროველის საერთო სტილისაგან, აგრეთვე: ლეონტი მროველი არცერთი მეფის შესახებ ამბავს არ ასათაურებს და არა აქვს ცალკე გამოყოფილი. იგი რომელიმე ახალ

ეტაბს ან მონაკვეთს, ახალ საფეხურს სა-
თაურს კი არ აძლევს, არამედ ამბავს იწ-
ყებს ასე: „მეორე მეფე საურმაგ“, „მე-
სამე მეფე მირვან“ და ა. შ. ასეთი ტიპის
სათაურები ერთი მთლიანი თხრობის
ქვესათაურებს გამოხატავენ; სხვა ვახ-
ტანგ გორგასალის, არჩილისა და ნინო
„ცხოვრებები“, თითოეული მათგანი გა-
მოირჩევა დასრულებული თხრობით
და მათში გადმოცემულია აღნიშნულ
ისტორიული პიროვნებების ცხოვრება
და მოღვაწეობა. ასევეა „ცხოვრება ფა-
რნავაზისიც“. ცნობილია, რომ ლეონტი-
სეულად მიჩნეული „ცხოვრება ვახტანგ
გორგასალისა“ ჯუანშერის კეთვნილობა
აღმოჩნდა. ამ და სხვა არგუმენტების
მოშველებით პროფ. რ. ბარამიძე ასა-
ბუთებს, რომ ხელთა გვაქვს „ფარნავა-
ზიანის“ ლეონტისეული გადამუშავებუ-
ლი რედაქცია; ამავე დროს, გვაცნობს
ლეონტი მროველის, როგორც რედაქ-
ტორის მუშაობის სტილს; ნაწარმოებში
ავლენს წარმართი მწერლისათვის დამა-
ხასიათებელ ტენდენციას, რითაც სარ-
წმუნოს და სანდოს ხდის დებულებას,
რომ „ცხოვრება ფარნავაზის“ დაწე-
რილია წარმართულ ხანაში, ფარნავაზის
ეპოქაში, დაახლოებით მე-2 საუკუნეში
ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომელიც შე-
ცვლილი სახით შემოგვიანა „ქართლის
ცხოვრებამ“, ე. ი. ეს ნაწარმოები შვი-
დი საუკუნით უსწრებს წინ „შუშანიკის
წამებას“!

ყოველივე ეს ჩვენ საინტერესოდ და
სარწმუნოდ გვეჩვენება არა მხოლოდ
პატრიოტული თვალსაზრისით, არამედ
პირველ რიგში მეცნიერულით, მრავალი
ერი უღირსად ეპოტინება და ითვისებს
სხვა ერის ნაღვაწს, მათ შორის ჩვენსა-
საც; ჰქმნის სხვა ერის ლიტერატურის,
კულტურის ხარჯზე თავის ლიტერატუ-
რის, კულტურის ისტორიას; საჭიროა,
ისედაც შორს მიმავალი ჩვენი ეროვნუ-
ლი სამწერლო თუ სხვა კულტურული
ფესვები უფრო კარგად წარმოვაჩინოთ,
გულით შევაცვაროთ, ვასწავლოთ ახალ-
გაზრდობას.

ამის მაგალითს გვაძლევს პროფ. რ.

ბარამიძის ზემოთგანხილული გამო-
კვლევა „ფარნავაზიანზე“ და არანაკლებ
ეროვნული მგზნებარებით დაწერილი
ამავე წიგნში შემავალი წიგნის წინასწარ
საბანისძის ზნეობრივი იდეალი“.

პავიოგრაფიული ეპოქის ეროვნულ-
პატრიოტული იდეის ყველაზე მეტად
და ყველაზე სრულყოფილად გამომხა-
ტველი ეს ნაწარმოები დიდი ხანია
აღარ ისწავლება სკოლაში. არადა პირ-
ველ რიგში უნდა ისწავლებოდეს. თუ
რატომ, ზოგადად ყოველი წიგნიერი ქა-
რთველისათვის გასაგებია, მაგრამ კონ-
კრეტულად აი რას წერს პროფ. რ. ბა-
რამიძე: „იოანე საბანისძის თხზულება
არის პირველი ქართული ძეგლი, რო-
მელშიც სახალხო ტრიბუნის გზებით
წამოჭრილია ეროვნული თვითმყოფე-
ლობის იდეა. ესაა ნაწარმოები, რო-
მელშიც გარკვეული ისტორიული სარ-
წმუნოებრივი ფაქტი გააზრებულია
ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის
გასავეითარებლად. იოანე საბანისძე
აბოს სახის გამოკვეთით მიზნად ისა-
ხავს თანამედროვეთა შორის მაღალი
ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებას.
იოანე საბანისძის თქმით, აბოს მო-
რალურ-ზნეობრივი სახის ჩვენებით
„სიტკიცე და სიხარული ექმნის ქაბუკთა
მოთხრობითა მით“-ო. ახალ თაობამ
უნდა მიბაძოს მას, რადგანაც „კეთილ
არს ბაძვა კეთილისთვის მარადის“, რად-
გან „სათნოებითა იქნა იგი საყუარელ
ყოვლისა ერისა“, ხოლო „სარწმუნოება
საუნჯე დიდი არს“. ავტორისაგან ხაზ-
გასმულ ამ მორალურ-ზნეობრივ მხარეს
აქცევს მკვლევარი განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას. მისი განმარტებით, „სარ-
წმუნოებას“ მართო რელიგიური პოზი-
ციებიდან არ უნდა შეგხედოთ. პიროვნე-
ბებს უნდა გააჩნდეს რწმენა ამაღლე-
ბულის, დიადისა... ავტორს სწორედ
ზნეობრივი ასპექტები აქვს მხედველო-
ბაში და მათზე ამახვილებს განსაკუთ-
რებულ ყურადღებას.

მკვლევარი შესანიშნავად ანალიზებს
იოანე საბანისძის ერთ ფრაზას ქართვე-
ლების ერთმორწმუნე ბიზანტიასთან და-

მოკლებულულებს თობაზე. მკვლევარი აზრით: „იოანე საბანისძის თხზულება თანამემამულეთა ყურადღებას არსებითად იმაზე ამახვილებს, რომ ერს უნდა ჰქონდეს იმდენად დიდი და თავისთავადი ეროვნული პოტენცია, რომ შესძლოს არა მარტო სხვა სარწმუნოების მქონე ერის აგრესიისაგან თავის დაცვა, არამედ ერთმორწმუნე, თუნდაც უფრო დიდი ერის წინაშე მიაღწიოს თვითმოყოლობის შენარჩუნებას. სარწმუნოებრივი ერთიანობა არ არის აუცილებელი პირობა ერთა აღრევისა და დაქვემდებარებისა, რადგანაც გარდა მსოფლმხედველობითი ერთიანობისა, ერს ინდივიდუალურ, თავისთავად და დამოუკიდებელ სახეს აძლევენ სხვა ფაქტორებიც, როგორცაა ენა, ეროვნული ტრადიცია და ხასიათი, ეროვნული კულტურის თავისებურება და ფსიქიკა.

ყოველივე ამის დაცვა და შენარჩუნება აუცილებელია მაშინაც, როდესაც ურთიერთობა მყარდება თუნდაც ერთმორწმუნე, საერთო მსოფლმხედველობის მქონე სახელმწიფოსთან. ყოველივე ამის გათვალისწინებისა და ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილების გამო იოანე საბანისძე გვევლინება უაღრესად შორსმჭვრეტელ, ღრმა მოაზროვნე მწერლად“.

ველა იმ საკითხს, რომელიც განხილულია წიგნში, დაწვრილებით ვერ შევვხებით, თუნდაც იმის გამო, რომ ხშირად მოგვიწევს ვრცლად ციტირება, ავტორისეული მხატვრული ანალიზის გადმოცემა აზრს გააბუნდოვნებს, წიგნში კი ზოგჯერ ერთი ფრაზის, ნიუანსის ანალიზი კი მთელ გვერდზე, ხან რამდენიმე გვერდზეც გრძელდება. ამიტომ მკითხველებთან წინასწარ ვიხდით ბოდიშს, თუ ქვემოგანხილულ წერილებს ნაკლები ადგილი დავუთმეთ. იმას მაინც აღვნიშნავთ, რაც ჩვენი აზრით მთავარი და არსებითია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ უმთავრესია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. სწორედ ამას ეხება პროფ. რ. ბა-

რამიძის ერთ-ერთი წერილი. ამ საკითხს იგი აღრეც შეეხო, ოღონდ გაცერით, თავის წიგნში „ქართული ეკლესიური და ორატორული პროზა“¹ დაქვემდებარება ვრცლად განხილული საერთო ფეოდალთა, სახელმწიფოსა და საეკლესიო მამთა, მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულებების საკითხი. ავტორი შთამბეჭდავად ხსნის, არა მხოლოდ რომელიმე ეპიზოდს, არამედ თითოეულ ნიუანსში არკვევს მკითხველებს; მერჩულეს მიერ ფიქსირებული ფაქტის არსში გვანებებს; დამაჭერებელი ვარაუდებით, მოსაზრებებით, თვითოეული სიტყვის, ფრაზის გამოწვლილვითი შესწავლით ბევრ თითქოსდა ცნობილ ფაქტს ახლებურად გვიჩვენებს.

ასევე ორიგინალურობით გამოირჩევა კიდევ ერთი გამოკვლევა პროფ. რ. ბარამიძისა — „დაკვირვებანი „სიბრძნე სიცრუისას“ ფაბულურ-სიუჟეტურ ჩარჩოზე“.

ქართველი მეცნიერებისაგან განსხვავებით რ. ბარამიძემ „სიბრძნე-სიცრუისა“-ს კვლევის საგნად სიუჟეტურ-ფაბულარული ქარგა გაიხადა. ავტორის დაკვირვებით და, სამართლიანადაც, ძირითადი სიუჟეტურ-ფაბულური ქარგა არაკების გამოკლებით წარმოადგენს ერთ მთლიან დამოუკიდებელ, დასრულებულ ნაწარმოებს, რომელშიაც მკაცრი კომპოზიციური პრინციპის დაცვით განვითარებული აღწერის, დიალოგებისა და ბაქტობის საშუალებით პერსონაჟთა ინდივიდუალურად გამოკვეთილი სახეობა წარმოდგენილი, ხოლო არაკები კი ამა თუ იმ დებულებისა და პერსონაჟთა პოზიციის საილუსტრაციო ფაქტურას წარმოადგენს“. მკვლევარი ვრცელი მხატვრული ანალიზის საფუძველზე თვალსაჩინოს ხდის ამ თვალსაზრისს. მას საგანგებოდ გამოუკრფია თხზულებიდან არაკები და მიუღია კომპოზიციურად შეკრული, დასრულებული ვრცელი მოთხრობა, რომელშიაც საცხებით დაცულია ნაწარმოების, როგორც არქიტექტონიკური მთლიანობა, ისე თხრობის თანმიმდევრული განვითარება.

დავით გურამიშვილის პოეზიის ალეგორიულმა ბუნებამ საკმაო ხანია შიშვაცია მკვლევართა ყურადღება; სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა პოეტის შემოქმედების რელიგიურ-ასკეტიკურ და საეკლესიო-მორალურ მოტივებს. ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოდ და საყურადღებოდ გვეჩვენება რ. ბარამიძის გამოკვლევა „დავით გურამიშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი“, რითაც მთავრდება კიდევაც სარეცენზიო წიგნი.

ავტორის აზრით „სახარებაში“ აღძრული ეთიკური პრინციპები ბიბლიური დავითის „ფსალმუნებში“ ჩამოყალიბებული თვითდახვეწისა და მონანიშობის ლოგიკური თანახვედრია. სწორედ ამიტომაც, რომ დავით გურამიშვილთან განსაკუთრებული ხვედრითი წონითაა დამკვიდრებული „სახარება“ და „ფსალმუნი“. „დავითიანის“ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ბიბლიური მეფსა-

ლმუნე დავით წინასწარმეტყველი. გურამიშვილთან ბიბლიური დავითი არაა მხოლოდ მხატვრული სახე ან მხოლოდ შთაგონება. იგი, როგორც პროფ. სერაძე აღნიშნავს, გურამიშვილის პოეტური ორეულია. გურამიშვილს ბიბლიური დავითი აღქმული აქვს როგორც საკუთარ განცდათა დიდი მესიტყვე. გურამიშვილი კი არ ბაძავს, კი არ იმეორებს ბიბლიურ დავითს, არამედ ესაათანახვედრა განპირობებული განცდათა სიღრმითა და აზროვნების სტილის მსგავსებით...

მკვლევარის ყოველი წერილი, როგორც ვხედავთ, ძველ ქართულ მწერლობას ეხება, სურვილი და მიზანი ერთია: რაც შეიძლება მეტი ინტერესითა და ყურადღებით შევისწავლოთ, გავითავისოთ ჩვენი ძველი სულიერი კულტურა, რადგან მწერლობა რაგინდ ძველიც არ იყოს, თუ ის კემზმარტი მწერლობაა, მარად თანამედროვეა, ერის „თანამდევნი უკვდავი სულია“.



ნახატი რამაზ სანაღლიჩაძისა

— ხელაჲ სსსუაულსუ მიფრინავს პაღამიანი...
 — სსსუაული კი არა, დამწყები კოეტი. კრიტიკოსა ფრთები შეასხა და ცაში აიწყანას...



გიორგი ღვალისვილი

ვის დაუკავიროთ?

მილიონობით საბჭოთა მკითხველი განცვიფრებული დარჩა ამ ბოლო დროს რამდენიმე მეცნიერის მცდელობით, რათა დაამტკიცონ „ლენინისა და სტალინს შორის არსებული განხეთქილება“. ადრინდელი ოპოზიციური უმცირესობის — პირველ რიგში კი ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის ჭირისუფალთა და თანამედროვე ანტი-სტალინელთა „მონებრებელი ხელისშეწყობით“ ეს მტკიცება, ყოველგვარი ალიბის გარეშე, გარკვეულწილად „დამაჯერებლად“ გამოიყურება. ამასთან აშკარად ჩანს, რომ ზოგი მათგანი უგულებელყოფს მარიამ ილიას ასული ულიანოვას ისტორიულ წერილს, სულ სხვა მიმართულებას და ელფერს რომ აძლევს რევოლუციის კორიფესა და მისი ერთგული მოწაფის, თანამებრძოლს შორის არსებულ ფაქტურ, მეგობრულ ურთიერთობას.

ისარგებლა რა ვ. ი. ლენინის ხანგრძლივი ავადმყოფობით, ხოლო შემდეგ გარდაცვალებით, ტროცკიმ ყველა თავისი ლეგალური და არალეგალური ძალების დახმარებით 1924 წელს წამოიწყო შტურმი, რათა ხელში ჩაეგდო სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელობა. ტროცკისტული საიდუმლო იატაკქვეშა ორგანიზაციები, რომლებსაც სამოქალაქო და სამ-

ხედრო ორგანოებში, აგრეთვე მდიდობაში კორპუსში ჩამოყალიბებული ჰქონდათ თავისი ჯგუფები, — სატელეგრაფო და რადიოკავშირით, კოდებით, შიფრებით, არალეგალური სტამბების გამოყენებით ხალხში ავრცელებდნენ ტროცკის წერილებს, მისი პლატფორმის დებულებებს (ეგრეთწოდებულ „განცხადება-46“-ის სახელწოდებით).

განზრახული იყო, რომ პარტიის XIII ყრილობაზე უნდა მომხდარიყო პარტიული და სახელმწიფოებრივი გადატრიალება საერთო პარტიული დისკუსიის თავზე მოხვევით. იმისათვის, რომ სტალინი და ლენინი პროვოკაციულად დაეპირისპირებიათ, ტროცკისტებმა გადაქექეს მთელი საქმეები და მათ შორის არსებული მიწერ-მოწერის ათასობით დოკუმენტი, მაგრამ ვერაფერი ნახეს საეჭვო, გარდა ეგრეთწოდებული ლენინის „ანდერძის“ ორიოდ აბზაცისა. მაშინვე ატეხეს დიდი განგაში და მოაწყვეს ისეთი ობსტრუქცია, რომ სტალინი რამდენჯერმე იძულებული გახდა მიემართა პლენუმების, კონფერენციებისა და ყრილობებისათვის მისი გენერალური მდივნის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

როგორც ყრილობებმა, ასევე კონ-

ფერენციებმა, პლენუმებმა დაგმეს პიროვნული ძალაუფლებისათვის ბრძოლის ანტიპარტიული ტროცკისტული პლატფორმა და შეახსენეს „იუდეუშკას“ (ეს სახელი ხომ მეტად მოხერხებულად და შესაფერისად შეარქვა ლენინმა ტროცკს), რომ ლენინი თუმცა აკრიტიკებდა სტალინის ზოგიერთ პიროვნულ თვისებებს, მაგრამ მან მაინც საჭიროდ მიიჩნია და მიიღო მეტად ბრძნულად შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება, როდესაც წამოაყენა სტალინი გენერალური მდივნის თანამდებობაზე. ამით ლენინმა უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური კატასტროფის წინაშე დააყენა ტროცკი და ტროცკისტები, ხოლო ამას შემდეგ მოყვა მათი ბლოკის სრული განადგურება. პარტიული ფორუმის მონაწილენი ერთპიროვნულად გამოდნენ სტალინის პიროვნების კომპრომენტაციის უსუსურ მცდელობას, აგებულს ლენინის ამხანაგურ შენიშვნებზე. ოპოზიციონერების მიერ ამ შენიშვნათა გაზვიადება აყვანილი „ლენინსა და სტალინს შორის განხეთქილებაზე“ მკაცრად იქნა უგულვებელყოფილი და განკიცხული, ჩაითვალა როგორც ყოვლად უსაფუძვლო. ლენინის გვერდით მომუშავე ამხანაგებმა დაამტკიცეს, რომ იმ მძიმე დღეებში, როდესაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლიტიბიურომ დაავალეს სტალინს და არა სხვა ვინმეს, ყოველდღიური კონტაქტი ჰქონოდა ავადმყოფ ლენინთან და ეხელმძღვანელა ლენინის მკურნალობის მიმდინარეობისათვის, მათი ურთიერთობა უფრო განმტკიცდა, გახდა ძალიან ახლო, მგრძობობიარე და განსაკუთრებით მეგობრული.

აი კეშმარიტი დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1926 წლის 26 ივლისით და შედგენილია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის საყვარელი და უახლოესი ადამიანის, მისი დის მარიამ ილიას ასულ ულიანოვას მიერ. იგი ხომ განუშორებლად იმყოფებოდა ვ. ი. ლენინთან და მუშაობდა პირადად მის

დავალებებით. ვნახოთ რას სწვრდა იგი: „ცენტრალური კომიტეტის ოპოზიციური უმცირესობა უკანასკნელ წლებში აწარმოებს სისტემატურ მოხდომებს სტალინის წინააღმდეგ. ისინი უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ ლენინის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ლენინსა და სტალინს შორის მოხდა განხეთქილება. კეშმარიტების დადგენის მიზნით მე ჩემს თავს ვთვლი მოვალედ მოკლედ შევატყობინო ამხანაგებს ლენინისა და სტალინის დამოკიდებულების არსი ლენინის ავადმყოფობის პერიოდში (მე არ შეგეხები ავადმყოფობის წინა დროს. მდიდარი მასალა გამაჩნია იმის ნათელსაყოფად, რომ მათ შორის მუდამ არსებობდა მგრძობობიარე და სათუთი დამოკიდებულება. ამის შესახებ ჩემზე უკეთესად იციან ცეკას წევრებმა) იმ მომენტიდან, როდესაც მოუშორებლად ვედექი ჩემს ძვირფას ძმას და ვასრულებდი მის მთელ რიგ დავალებებს.

ვლადიმერ ილიას ძე ძალიან აფასებდა სტალინს. მაგალითისათვის შემიძლია მოვიყვანო 1922 წლის გაზაფხული, როდესაც ვლადიმერ ილიას ძეს პირველი შეტევა მოუვიდა და აგრეთვე, ამავე წლის დეკემბერი, როცა კვლავ გაუმეორდა შეტევა. ამ დროს ვლადიმერ ილიას ძე იხმობდა ხოლმე თავისთან მარტო სტალინს და აძლევდა მას მეტად ინტიმურ დავალებებსაც კი, მაგალითად ისეთი სახისას, რომლებიც შეიძლება გაანდო მხოლოდ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებით იცნობ და ენდობი, რომელსაც თელი ნამდვილ რევოლუციონერად და უახლოეს ამხანაგად. ასეთ მომენტებში ლენინი დაყინებით ამბობდა, რომ ლაპარაკი უნდოდა მხოლოდ სტალინთან და არა სხვა ვინმესთან. საერთოდ ავადმყოფობის მთელ პერიოდში, სანამდე მას კიდევ შეეძლო ამხანაგებთან საუბარი, მეტწილად თავისთან უხმობდა ამხ. სტალინს, ხოლო როდესაც ლენინის მდგომარეობა უფრო გაუარესდა — იგი ცეკას წევრებიდან ალა-

რავის დებულებობდა, გარდა სტალინისა. ადგილი ჰქონდა ერთ ინცინდენტს ლენინსა და სტალინს შორის, რომლის შესახებაც ამხ. ზინოვიევი ილაპარაკა თავის გამოსვლაში (ეს მოხდა ლენინის მიერ მეტყველების დაკარგვამდე

— 1923 წლის მარტამდე). იგი სუფთა პირადი ხასიათისა იყო და არავითარი კავშირი პოლიტიკასთან არ ჰქონია. საქმის ვითარება ასეთი იყო: ცეკას პლენუმმა ამხ. სტალინს დაავალა (ექიმების რჩევით) მკაცრი კონტროლი გაეწია, რათა მძიმე მდგომარეობაში მყოფი ილიჩისათვის არ შეეტყობინებინათ პოლიტიკური სიახლენი. ლონისძიება გამოწველი იყო იმით, რომ ავადმყოფი არ აღელვებულყო და მას არ გამოეწვია ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ამასთან დაკავშირებით ამხ. სტალინმა გააკიცხა ილიჩის ოჯახის წევრი პოლიტიკური სიახლის შეტყობინებისათვის. როდესაც ლენინმა შემთხვევით შეიტყო ეს ამბავი (მისი მოვლის რეჟიმის შეზღუდვა ყოველთვის აღელვებდა ლენინს) მან სათანადო შენიშვნა მისცა ამხ. სტალინს, რომელმაც ბოდიში მოუხადა ილიჩს და ამით ამოიწურა ინცინდენტი. რასაკვირველია ეს, რომ მომხდარიყო სხვა ვითარებაში და არა ავად-

ყოფობის დროს, შესაძლოა ლენინს სხვანაირი რეაგირება მიეცა ამ ფაქტისათვის. დოკუმენტები ამ ყველაფრის შესახებ არსებობს და მე შემძლია ისინი წარვუდგინო ცეკას პირველი მოთხოვნისთანავე.

ამრიგად, მე ვადასტურებ, რომ ოპოზიციონერთა „მტკიცება“ ვლადიმერ ილიას ძესა და სტალინს შორის არაა ჯანსაღი დამოკიდებულების შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს. მათ შორის დამოკიდებულება ყოველთვის იყო დაბოლომდე დარჩა მგრძობიარე და ამხანაგური.

მ. ულიანოვა.

(1926 წლის 26. VII, ფონდა 17, აღწერა 2, შენახვ. ერთეული 246, გამოშვება IV, გვერდი 104)

მკითხველებმა თავად განსაჯონ თუ რაოდენ შეესაბამება სიმართლეს ტროცკისა და მისი ერთგული მეგობრების მიერ შეთითხნილი ვერსია ლენინსა და სტალინს შორის არსებული „განხეთქილების“ შესახებ.

და ბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო აკადემიკოსს, გენერალ-ლეიტენანტ ი. ი. ჯორჯაძეს, რომელმაც კონსულტაცია გამიწვია ამ წერილზე მუშაობის პროცესში.



იელსის პნუბანი

სელიაჟაროვსკის და რევესკის რაიონების შესაყართან, კალინინის ოლქში, არის სოფელი იელცი — სოფელში კი, კოპერაციული მოხმარების მაღაზია. სწორედ აქ დულს და გადმოდულს დაუოკებელი ვენებები...

უწყვეტ და კარგად მოწესრიგებულ რიგებად დგანან მანქანებით, ტრაქტორებით, ცხენებითა და მოტოციკლებ-

ბით სოფლის გარეუბნებიდან მოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აქტიური ჩამბარებლები.

მაღაზია მოსახლეობისგან ყიდულობს კარტოფილს. და ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი: ამ დაუოკებელი აქტიურობის მიზეზი (თუ გავითვალისწინებთ რომ ეს გამოცოცხლება ძირითადად

მოსახლეობის მამრობითი სქესის ნაწილს შეეხება) იმაში მდგომარეობს, რომ კარტოფილის სანაცვლოდ კოოპერაციული მოხმარების მაღაზია იძლევა სპირტიან სასმელებს.

ეს, ჩვენი დროისთვის მეტად ორიგინალური და უჩვეულო მეთოდი ჩამბარებლების მოქალაქეობრივი აქტივობის ისეთ მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას იწვევს, რომ შედეგი მეტად სავალალოა.

საბედნიეროდ, ჯერჯერობით მსხვერპლი არ არის. მაგრამ, იელციის ამ კოოპერატორების აქტივობისგან გამომდინარე, სახეზეა უკვე ერთი გადაბრუნებული სატვირთო მანქანა, დასახიჩრებული ცხენი და უამრავი დალილავებულ-დაკაწრული ადამიანი. ეს ტრაგედიები მათ მაღაზიის შტურმის დროს მიიღეს.

ძნელი სათქმელია, რითი ხელმძღვანელობს ამ სიტუაციაში სელიჟაროვსკის რაიონის აგროსაწარმოო გაერთიანება. იქნებ ესწრაფვის, რაღაც არ უნდა დაუჭდეს, „ამოქაჩოს შესყიდვის გეგმა“? შემდეგ კი, როგორც ეს არაერთხელ ხდებოდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ხალისიანად უპატაკონ: „სა-

სოფლო ვაჭრობის უბრეტენზით, მორიდებული მშრომელების გამიჯნულ მალისხმევაზე, სახელმწიფოს „მეორე პური“ — კარტოფილით მომარაგების შესახებ“.

სიმართლე რომ ვთქვათ, უბრალოდ შეუძლებელია, ამ თემაზე ფხიზლად და ცივი გონებით ვიმსჯელოთ. რა დასამალია და, ვერ მოვიდა ამ წელს ბლომად კარტოფილი ტვერის მიწაზე. ზედმეტ მოსავალს როდი იძენენ ამ გზით ამბიციური კოოპერატიული მომხმარებლები იელციდან. ისინი არყით სწორედ იმ „მეორე პურს“ ქაჩავენ სოფლიდან, რომელსაც მერე, ზამთარში, სამმაგ ფასში მიჰყიდიან მოსახლეობას.

ადგილობრივი მთავრობის პოზიცია კი, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი და აუხსნელია. პოზიცია მათი, ვისაც სრული უფლება აქვთ, დახუროს ეს „დუქანი“. ამ დროს კი, კეთილგანწყობილად შესცქერის მაღაზიასთან არსებულ ბატალიებს.

„სოვეტსკაია როსია“, 1988 წ.

22 სექტემბერი

ა. ანტონოვი (საკდესის კორესპონდენტი)

ა. ტარახოვი გაზეთ „რევესკაია პრაედა“-ს რედაქტორი.

თარგმნა ნინო მდივანია

მზინა ჩხატინი

სველა პარალი

„რა აცვენს ფოთლებს —
ჭარის სიცივე,
თუ შზის ღალატი.“

ალბათ, მართლაც, პოეზიის მომადლებული
მორთინ თუა ამ, თითქმის ბეშეურად გულუბ-
რყვილო შეკითხვებს ასეთ სასიამოვნო იდუმა-
ლებას რომ ანიჭებს და შემდეგ კი უფრო
ტკივილიანი ფიქრებისათვის განგვაწყობს:

„ვინ მოიგონა ფერისცვალება,
ანდა დაკარგვის სველა მარადი“...

ეს შეკითხვები, იქნებ ამ სტრიქონების ავტ-
ორს არ დაუსვამს პირველად, მაგრამ მაინც
სიახლის, გულწრფელი და ნატიფი ადამიანური
სვედის მკრთალი ნათელი ადგათ — უდავოდ
იმიტომ, რომ ზოია ვაშაიძე უშუალოა და ბუ-
ნებრივი თავისი ქალური სიხარულისა თუ ტკი-
ვილების გამოხატვისას.

სიტყვა „ქალურს“ განსაკუთრებით ხაზს ვუს-
ვამ, რადგან პოეტის ამ ახალ წიგნში („გაზა-
ფხულის მოახლოება“, „მერანი“ 1987 წელი)
თავმოყრილ ლექსებს სწორედ ქალის ხასიათის
თვალშისაცემი სიბოთ და სისალუქე ანიჭებს
მიმზიდველობას:

„სარკმელზე ნატვრით მიადებს ლოყას,
რომ მეტი ღონი, ღიმილი ნახოს,
მე ვენაცვალე პატარა ქობსაც,
რომელშიც ტბილი ოჯახი სახლობს“.

„ოჯახი“ — ასე დაურქმევია ზოია ვაშაიძე-

ეს იმ ოთხსტროფიანი ლექსისთვის, საიდანაც
ეს სტრიქონები ამოვიწერე. თითქმის ნიშანდო-
ბლივია, რომ ავტორმა ეს ახალი წიგნი ყოველ-
ლი ჩვენთაგანისათვის ასე ძვირფასი და ახლო-
ბელი, უწმინდესი ცნების — ოჯახის პოეტური
განზოგადებით დაიწყო:

„ზოგჯერ შეჩვევა იცის დარდებმა,
ტკივილში უფრო ვიძინო სიფხიზლეს,
ჩემს თავყანს ყველას ვუწვდი ვარდებდალ

ვინც წმინდა გულით ოჯახს იფიცებს“.

მე მეგობარ, რომ სწორედ ამგვარ ნათელ და-
მოკიდებულებასაა პოეზია ძალუმი და თავისთა-
ვადი, და არა თვითმიზნურად შედგენილ, ყალბ
მეტაფორებში, საიდანაც კაცი ხშირად აზრსაც
ვერ გამოიტანს.

წიგნის პირველივე გვერდზე შექმნილი ეს
განწყობილება, — ადამიანურ ურთიერთობებ-
ში დანახული მადლისა და სინათლის, სიყვარუ-
ლის განწყობილება, მიგვეცება თითქმის ბოლო
სტრიქონებამდე და ამ ლირიკულ კრებულს ახ-
ლობელსა და სასიამოვნოს ზღის ჩვენთვისაც:

„რა ცა, რა მზე დაგზურთო,
მორყეულო ფესვებო,
ვაზო მამის დარგულო,
ღედის ნააღურსებო.
ვერ თმობს ქართან ფორიაქს
შენა პუკალი მცოცაივი,
სანამ შენ ხარ, მგონია,
რომ მამაც მეყეს ცოცხალი“.

ასევე საინტერესოა ლექსები, სადაც გამოხა-
ტულია ავტორის დამოკიდებულება შეიღბი-
საღმბო, სამშობლოსაღმბო, მთელი ქვეყნიერებისა-
ღმბო, საერთოდ მოყვასისაღმბო. პოეტის პოზიცია
ეს არის ქეშმარიტი მოქალაქის, პატრიოტის პო-
ზიცია. იგი ერთნაირი სინახით ეფერება ძველი
ციხე-ტაძრების კედლებსა თუ ომში დაღუპული
მამის ხალყის.

პოეტი შეკვარებულია და ამ სიყვარულს თუ
გულის თრთოლვით, თუ ჭიუტი დაყინებით გვი-
მხელს და ცდილობს ჩვენც დავეაყროს, რომ
სწორედ სიყვარულია ერთადერთი და ქეშმარი-
ტი დღვრიტა ადამიანური სიყვითის მარადიულობ-
ისა:

„რამეთუ ტრფობამ აამაღლა
ყოველი ცაღა,
რამეთუ ყოვლის შემქლნია ვართ,

როდესაც გვიყვარს
და უფრო მეტად ვართ მეოხი
სხვათა და სხვათა...“

ეს პატარა წიგნი სიამოვნებით იკითხება. ადამიანური ყოფის ბევრი სატკბო და სიმწაბრე გამოსვლით ამ სტრიქონებიდან, ბევრი ცრემლი და სიხარული. ჩვენ ერთი თაობისანი ვართ, ერთი ბედისანი და ცრემლები, რომელთაც იგი „ყაყაჩოს ბორცვთან“ ღვრის, ჩემი თაობის სევდაა.

მე, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ ზოია ვაშაიძის ამ ახალმა წიგნმა ახალი აღმოჩენებში, განოსახვის ახალი ფორმებით და ხერხებით გაამდიდრა ქართული პოეტური კულტურა (ამის პრეტენზია ბევრ სხვას, მრავალი სქელყდიანი წიგნის ავტორსაც არ აქვს), მაგრამ მისი თვალთა და გულით აღქმული სამყარო

რო მიანც მისეულია, იქ თვით პოეტო ქალის ბუნება, მისი თბილი გული ჩანს, წუთისოფლის ავ-კარგის მცოდნე ქალის მადლი და ღირსება.

რა თქმა უნდა შეიძლება ეს წიგნი უზინჯო არც იყოს, აქა-იქ, იქნებ ბნაღური სახე და ფერაც იჩენდეს თავს, მაგრამ როგორც თვითონვე წერს:

„ფიქრებს სათაურებს ვუცვლით,
თორემ ჩვენც ვიწვევით იან,
როგორც დაფერვლილა ბევრი...“

მთავარი კი, ის ვახლავთ, რომ წიგნი ნათელი სიკეთითა და სათნოებით არის აღსავსე. თითქოს ჩვენც ისევე ვუყვარვართ ავტორს და ჩვენც ისევე გვიფრთხილდება, როგორც საყვარელ დედას; — „არ წაგაყიხნებ ჩემს ლექსებს, დედა, არ გაგიახლებ იმ ძველ ტკივილებს...“, აი, ამგვარი სათუთი დამოკიდებულებებით გვიხიბლავს ზოია ვაშაიძის ლექსები.



ელგუჯა მარაბიშვილი

„ეს ქვეყანაა თეთრი სასტუმრო“...

იყო დრო, როცა პოეზიაშიც და ფერწერაშიც მოწოდებებისა და ლოზუნგების პათოსი ბატონობდა, ადამიანური, ზოგადკაცობრიული კი უქანი პლანზე იყო გადაწეული. სწორედ ეს დრო შემახსენა ამ წიგნმა — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტანბულმა კორნელი სანაძის ლექსების კრებულმა, როცა მის კითხვას შევეუდგე. კორნელი სანაძე, როგორც შემოქმედი, იმ დროიდან მოდის, იმ ტკივილებიან ბოზოქარ ხანაში უდგას ფესვები, როცა „იყო ტირილი, ღრუბლას ქვლები, ზეჟრის ნაფლეთი ცრემლებს მალავდა და დახეთქილი ფეხის გულები თოვლში სტოვებდნენ სისხლის ნაკვალევს“. თუმცა ამის მხალველი, ამის გულზე დამკვდები კაცი ლოზუნგებისათვის ვერ მოიცილდა და აქი ვერც მოიკალა. გამოიარა დიდა ცხოვრება და ადამიანის ქომავალ დარჩა ბოლომდე. სადამდეცა არ უნდა ჩასწვდეს მის

პოეტურ ხილვებს — ყველგან მოყვასის სიყვარულის ხატი ანთია.

ძნელია წარსულში დაბრუნდეს შენი ბავშვობის, შენი სიჭაბუქის გამოსახობად და იქიდან ტკივილი არ გამოიყლო. მართლაც, პოეტი არაერთხელ ბრუნდება გარდასულ დღეთა ლაბირინთებში და მისი ყოველი ნაბიჯი ნაკარახევი იმის მაღალი შეგნებით, რომ წარსულის წიაღში ყოველი ნაბიჯი, მართო მისი პირადული კი არ არის, ეს ესტაფეტაა წინა თაობის მიერ დატოვებული მომდევნო თაობებისათვის გადასაცემად.

ამ წიგნში კორნელი სანაძის ფერწერული ტილოებისა და პოეტური სახეების გზავასაყარი დაინახე, იქ სანიშნე ქვა დევის ერთი და ზედ აჭდევია: „ბედნიერება არის სიცოცხლე, სიყვარული და პატიოსნება.“

ეს არის მისი მოქალაქეობრივი მრწამსი, იქე-

დან მოდის ის სიხალისე, პაეროვან თბილ ფე-
რებში პოეტური სახეების გაელვებანი.

იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო,
დევალმოსილი კაცი, საქართველოს სახალხო
მხატვარი კარგი ლექსის დაწერაზე ოცნებობდა.

„ნეტავი შეეძლო, ჩემმა ლექსებმა, იმღერონ,
როგორც ლაღმა ფრთოსნებმა“, — ინატრა და
აუზღა კიდეც, მისი ლექსი „საყვარელ ქუჩაზე“
სიმღერად აფრინდა და მთელ საქართველოს
მოედო, მას სხვა ლექსებმაც აუბეს მხარი.

სიმღერად ლექსის აღზევება იმის ნიშანია,
რომ მასში კეთილშობილი პოეტის მაღლი ტრიალ-

ებს, რომ სიტყვა მუსიკალობს, თუმცა კორნე-
ლი სანაძის ლექსებს მაინც ატყვია მხატვრის
ხელი — ყველა პოეტური სახე და ზარი სიკო-
რად სხარტ და მსუბუქ ფერებშია განსხვავდუ-
ული. აქ სხვებთან ერთად წარმომავლობის სვედ-
ასაც თავისი ფერი შეუთინია: „ახალგაზრდა
ხარ, იცინი, ხუმრობ, საბერძნეთი კი იმედს რად
მარხავ? ეს ქვეყანაა თეთრი ასატუმრო, მოზ-
ვალ, იცხოვრებ და ისევ წაბვალ“.

მხატვრობა რომ პოეზიაა და პოეზია — მხა-
ტვრობა ამის ერთი მკაფიო ნიმუშია შესანიშნა-
ვი ქართველი მხატვრისა და პოეტის ეს ბოლო
წიგნი.



ჯანრი გოგაშვილი

„კ ე დ ე ლ ი“

„სოფელი ბებესიერი ზღვის პარას იყო მიკრ-
ული და რიფებზე მოტორტმანე ხომალდს წა-
აგავდა შორიდან“ (ზურაბ თორია, „კედელი“,
გამომცემლობა „მერანი“, 1968 წ.), — თბრობ-
ის შთამბეჭდავი დასაწყისით აღძრული ინტე-
რესი ერთგულ მიგზურობას პირდება მკითხ-
ველს.

რომანტიკული ელფერიტა და უშუალობით
დსურათხატებული, სოფლის ფსიქოლოგიურ
პორტრეტთან თანშერწყმული ექსპოზიცია ნა-
თლად წარმოაჩენს ბებესიერთა ადგილსამყოფე-
ლსა და ყოფას.

თბრობის შინაგანი კავშირი საამოდ პარმო-
ნიულია და ფაბულაც ოსტატურად ავლენს ავ-
ტორისეული ჩანაფიქრის მხატვრულ განზოგა-
დებას.

მთბრობელი თითქოსდა თავად სოფელია და
პერსონაჟება ლირიკულ გმირებად გვევლინებ-
იან. მათ „მონოლოგებში“ გამოკვეთილი ურთი-
ერთისაწინააღმდეგო აზრების დაპირისპირება
ორაზროვნად მიგვანიშნებს აღძრული სატყვირის
ერთიან ფესვებზე.

ლაკონურად თანდართული ავტორის მეტყ-

ველება მკითხველს თანამოაზრებობის სურვილს
აღუძრავს. დამაჯერებლად აანალიზებს რა მომ-
ხდარს, ამასთანავე თითქოსდა ფხიზლად უთვა-
ლთვალუბს სოფლის ცხოვრებაში შთანთქმული
საკუთარი ყოფის ნირს.

ბებესიერლება ლაღად ცხოვრობენ და თუმც
მფარველი თილისმის დაკარგვის შემდეგ მო-
სალოდნელ უბედურებას ვუმანით გრძობენ,
სიფრთხილემიძინებულნი სოფლის თავისუფალი
სულის დასამონებლად მოვლენილ „კოკლ
კაცს“ ღირსეულ წინააღმდეგობას ველარ უწ-
ვეენ.

იქვე, შორიახლო „სერიის ნაყურებლებივით“
შემოჭარულ საისრებზე სახლდებიან. „კოკლი
კაცის“ მიითებთ კი ზღვის სანაპიროზე ზღვი-
დან გამიჯნავი კედლის მშენებლობას იწყებენ.

სამკვიდროდან გაძევებულმა ხალხმა „წინაპა-
როთა საფლავებისა და საყდრის არსებობა მალე
საესებთ მიიფიქვს“ და საკუთარ არსში მო-
ნტრი შიში იმ კედლევიით ამოზიდეს.

თავდაპირველად ლუკას გააძეგებენ (შოდ-
ვარის მიერ წარმოთქმული სენტეციის მიმართ

უნდობლობას იხეწენ) და მალე საისტრელბად ქცეულნი ლეგენდების საბურველით შემოსილ მარწმასაც გაუორგულდებიან.

„კედელს სოფელში ბორტების დასაბამად თვლიდნენ“... მაგრამ „მათ კედლის არა მარტო შიში, არამედ პატივისცემის თუ თაყვანისცემის გრძობაც ვასჩენოდათ.“

ერთეულთა გულებში შემალული რწმენის საყრდენად სოფელს მშობლების მიერ ქალაქად გახიზნული ქუჩი მოეცილებინებო.

ქუჩი მიილტვის წინაპართა სამკვიდროსკენ. ჯერ კედელთან მიახლოვება გაბედავს, მერე მის გაღივანზეც აიღწივს და თანასოფელელთა წინაქეზებლად სათოხით რჩება ზედ. მცველებსაც კი არ ებუება. ბოლოს კი, მალულად კედლის დანგრევასაც შეეცდება.

თავისუფლებისმოყვარულ ექვს მხოლოდ მცირე ჯგუფიღა თანატურბანობს. სხვებს, ძველებურად ტყუილი სიმართლეს ურჩევენიათ.

„ეკოლ კაცს ბოლომდე სჯეროდა კედლის აგების, მისი ხელშეუხებლობისა და შენარჩუნების აუცილებლობა. ქუჩის სურდა შეეტყო, რა საფუძველი ჰქონდა ამ რწმენას...“, რათა მშო-

ბლიური კუთხის დაბეჩაეების მიზეზი გამოეკვლია.

სოფლის არსში ჩამკვდარი თავისუფალი სულის აღორძინება არ ზერხდებო.

თითქოსდა შეძრწუნებული ზღვა სპეტეცდელს და ბლანტ სითხედ ანოზიდული ადამიანის გულისცემის ხმას გამოსცემს. შიშს მოპგერის მომხდურს, „შემოხეტებულს“ და ყოფილ მკვიდრსაც.

ბრუნდება ლუკაც, რომლის ნამხილებელი სიტყვა საისტრელბებს უმძაფრებს თავიანთი უბადრუკი ყოფის შეგრძნებებს და ყველაფერი ეს გამოშწევად ახელვბთ.

ქუჩის უბედურების მომტანად შერაცხავენ.

საბოლოოდ კი მხოლოდ მისი თავგანწირული ლტოლვა შთაბერავს ზღვას მაცოცხლებელ სულს. აზვირთებული ზღვა კედელსა და თავისუფლებაწართმეულ ადამიანთა ყოფის ყოველგვარ ნიშნებს გადარეცხავს.

ხალხი სამკვიდროს უბრუნდება.

და ფინალი აპოთეოზის ელფერით იმოსება. გაშიშვლებულ და მიუხაფარ სივრცეში ადამიანის ერთადერთ იმედად საყდარი მოჩანს.



საქლონ ცანაპა

ლია სტუკუას ორი ლექსის გამო

„ლიტერატურულმა საქართველომ“ (30 სექტემბერი, 1988) გამოაქვეყნა ექვსი ნიშუში ლია სტუკუას ლექსების ცაკლიდან — „სიყვარულის წიგნი“. ჩვენ ორ მათგანზე შევჩერდებით („უსიყვარულოდ“ და „ჩვეულებრივი ამბავი“).

პირველ ლექსში გადმოცემულია ადამიანთა გაუცხოებითა და ეკოლოგიური უბედურებებით გამოწვეული ვეებერთელა ადამიანური ტკოვილები, რომლებიც განრიდებულთა შტამპებისა და ტრაფარეტებისაგან. პოეტი სათქმელს ჩვეულებრივად ვერლიბრით გადმოგვეცემს, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ზელს თავის სათქმელს

მკითხველსათვის წარუდინებელი ემოციური და ესთეტიკური დატვირთვა მიანიჭოს.

ჩვენი წინაპრების დიდი საუნჯე — ერთმანეთის სიყვარული, რიდი და პატივისცემა იყო („რა ელუთ-მეღეთი მოსლიოდათ ერთმანეთის დანახვაზე“) და, რაც მთავარია, იმდენად უბიწონი იყენენ „მართალი ეგონათ, რომ ბავშვებს იასამნის ბუჩქებში პოულობენ“. ეზლა ყველაფერს „შუე პროექტორივით მიაშუქებს“ და „წეროს ფრთიდან ჩამოყვანილი ბავშვები საკუთარ შვილებს ტანჭეთთა და ვაებით ვაჩენთ“. ვაჩენთ და წუთიერი ცხოვრებით ვზრდით. „სულ უფრო ვემგავანებით იმ მუნჯ ბავშვს, რო-

მელსაკ მოსიყვარულიე კაციჭამია მშობლები ყოველდღე თითო ოქრობირს აყლაპებენ, მას კი მანც, სიტყვის ნაცვლად განწირული ყმაილი ამოსდის პირიდან“, რადგან, შვის ნაცვლად, სახე მანქანების გამოზნაბლქვისაკენ აქვს მიქცეული, ელოდება მანქანის ზორბლეზიდან ზროწყელის ხის წითელი ზურთივით გამოხდომის ე. ი. კიდევ ერთი ვადარჩინილი ვახუხულის გამოჩენას (ორიგინალური მეტაფორაა), რთა დატკბეს ამ ვახუხულის ყოველი წუთით მანამ, სინამ, როგორც მარტოხელა მგელს, თავისივე მოძიებები დაგლეჯდნენ („და როცა ბორბლებიდან ბროწყელის ხე გამოხატება, წითელი ზურთივით, — კიდევ ერთი ვადარჩინილი ვახუხულის, ისე უხარია მისი ყოველი წუთი, როგორც მარტოხელა მგელს, სანამ თავისივე მოძიებები დაგლეჯენ“). ამ ლექსში ადამიანის გაუცხოებისა და ეკოლოგიური ამოკალაპსის ტრაგიკული განცდა ძალზე ორიგინალურადაა წარმოსახული. მეორე ლექსში, ისევე დღევანდელმობსთან მისდაგებით, მარადიული გმირის ამირანის სანიშნო სახე გამოჩენიულად, ღია სტურუას მხატვრული პრინციპის თვალსაწიერიდანაა რეპროდუცირებული. ასეთი რეპროდუცირება სადღეისო პრობლემებითაა შეპირობებული. პოეტი ქალი დიდი ძალისხმევით წარმოაჩენს ჩვენი საზოგადოების დაცემის მიზეზს. ყოველ დამე გამძღარი, კმაყოფილი, ვენებადამცხრალი ადამიანები სინათლეს აჭრობენ, იძინებენ, რათა დილით ადრე ადგნენ, მისაშრონ „ალაპარაკებულ-ამლერებულ დამწყებულებებს“ და ულოტბარონ, ამით „მარმარილოს პრეტენზიული აბრები გაამართლონ“. შემდეგ კი ხორავი და სისმელი მიზიდონ სახლში, „იბობოქრონ, ისიყვარულონ, მოითნთონ და ისევ ლოგინის თეთრ კალაპოტში ჩაშალონ“ (ძალზე ორიგინალური,

სტურუასკალიე პოეტური სახეა „ლოგინის თეთრ კალაპოტში ჩაშლა“). პოეტის თქმით, „მეც ვართი იმთავანი ვარ“, მაგრამ, სწეგბისაგან განსხვავებით, მის „უძილო ფანჯარაში კლდე ელანდება, რომელზედაც კაცია მიჯაჭვული, ცეცხლი რომ მოგვიტანა“. ეს ცეცხლის მომტანი პრამეთე-ამირანი კაცობრიობის კულტურული გმირება, რომლებმაც ადამიანებს ცეცხლი „არა მარტო ხელების გასათბობად“ ჩამოუტანეს, არამედ სამოხველო პროგრესის, აბაღლებულობისა და სიკეთის ქნანდობისათვისაც. ორივე კეთილი გმირი ღმერთებმა სამუდამოდ მიაჭაჭვეს კლდეზე და გულ-ღვიძლის მკობრული ფრწყველი მიუჩინეს. უძრავ და უთქმელ კლდეს „ხორცის სისხლიანი ნაღველიდან ყვავილები ამოკაეს“ ადამიანებს კი ასეთი ყვავილები და ეტილონური სიკეთე — გულ-ღვიძლის მსხვერპლად მიტანით მოპოვებული, დაფიწყებით, „ლოგინის თეთრ კალაპოტში ჩაშლიონ“. პოეტის მთავარი სათქმელი ისაა, რომ კლდეზე მიჯაჭვული გმირს „ჩვენი უმეცრება დაგლეჯილ ღვიძლზე მეტად სტკივა“. ოთახის „უძილო ფანჯარაში“ ალანდული კლდე და მასზე მიჯაჭვული კაცი პოეტის ბავშვობისდროინდელი ოცნების („მითების წიგნზე დაცემული ცრემლების“) ვახსიერებაა. ჩვენი უმეცრება დაგლეჯილ ღვიძლზე მეტად სტკივა ამირანსო, — გვეუბნება პოეტი და საკუთარი ტკივილების ტულისგულშიც გვიხედებს. სწორედ ასეთი ტკივილის გამო „დამამობით ყვირის და ამხანაგები შერეკოს ეძახიან“.

დაბეჭდებით შეიძლება ითქვას, რომ ღია სტურუას ორივე ლექსი ძალზე მაღალბრფესიული ოსტატობითაა შესრულებული და საოცარი ძალისხმევით ეხმარება თანამედროვეობის სუბიორტო საკითხს.



მორივე რედაქტორი გელა კიკლაშვილი, მხატვარი ვახტანგ რურუა, ტექნოგრაფი რევაზ გუბაშია, კორექტორი ნანა ცირამუა ჩაბარდა წარმოებას 21. 11. 88 წ., ხელმოწერილია საბეჭდოდ 7. 02. 89 წ., ზომა 70×108¹/₁₆, ქალაქი № 1. სააღრიცხვო თაბახი 12,51; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14.

უე 06888 შეგვ. № 2938 ტირაჟი 10 000

ფასი 85 კაბ.

საქართველოს კვ. ცვ.ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14